საქართველო ბეჭედია ბაჯაღლო და თბილისი – შიგ ჩასმული ბადახში
www.tbiliselebi.ge
ყოველკვირ... ფასი 1,50 ლარი 17–23 აგვისტო №33(764)



ჩემი მეოთხე მეუღლე ჩემი უფროსი ვაჟის ტოლია

გვ.14

როგორ გაიპარა 11 თვის გიორგი გურგულია სახლიდან, რატომ ეპატიჟებოდა დედას კლდის წვერზე და რის გამო გარიცხეს ის ათი სკოლიდან

გვ.54

რა აკრძალვები აქვს ნატა ბერეჟიანს მეუღლისთვის და რას იხვეწება ზურა ნიჟარაძე ნატო კაკაჩიასთან დაკავშირებით

გვ. 10

როგორ მოხვდა ალეკო ელისაშვილი ჰარამხანაში და რა შარში გაყო მან თავი

გვ. 59

როგორ შექმნა თინათინ ჯაფარიძემ ავტობიოგრაფიული სპექტაკლით ახალი ჟანრი ბროდვეისთვის და როდის ჩაწერენ მის სიმღერებს სელინ დიონი და ბარბრა სტრეიზანდი

ISSN 1987-569X



რის გამო მოკლა ცოლი ბელგიაში ბონდ მღებრიშვილმა და

გვ.18

რატომ მონათლეს ის ქართველ ლეონარდო დიკაპრიოდ



გვ.58

რატომ გადაიქცა ზალიკო სულაკაურისა და ნინო განუგრავას ჯვრისწერა თუშეთში დღეობად და რატომ გაატარა წყვილმა თაფლობის თვე კარავში



გვ.11

რაში გაშიფრა გიორგი სიგუამ „ბარიგები" და რატომ დაახვედრა მან ანაკლიაში შამპანურის ზღვა ნანუკა ჟორჟოლიანს

ფესტივალზე მყავდა ოთხივე შვილი, დედ-მამა, ცოლი, „მოქმედი" და ყოფილი სიდედრები



გვ. 12

სად ჰქონდა კოკო გამსახურდიას ფულის გათეთრების ოფისი და როგორ შექმნა მან „სამალიარო" ჯგუფი

# გილოცავთ ფერისცვალებას!

აგვისტოს
აქცია

EXPRESS
კრედიტი

# 700 ლარამდე

კრედიტის
გაცემის
საკომისიო: **0** ლარი

EXPRESS BANK მარტივია

www.ebank.ge
(0 32) 2 555 555

# რა მთავარი პროფესიული პრინციპი ახსენდება საოპერაციოში შესვლამდე ექიმ თემურ ჩიგოგიძეს



**უროლოგ თემურ ჩიგოგიძის კაბინეტთან პაციენტების რიგია. ინტერვიუს ჩასაწერად მისი მოხელთება საკმაოდ რთულია, თუმცა ბატონი თემური ისეთივე ყურადღებიანი რესპონდენტია, როგორიც ექიმი. სწორედ მისი პროფესიონალიზმი და გულისხმიერება გახლავთ იმ ფაქტის ერთ-ერთი კრიტერიუმი, რომ ბატონი თემური წლის მოთხოვნად უროლოგად დასახელდა.**

**მინი-დოსიე:** ალ. წულუკიძის სახელობის უროლოგიის ეროვნული ცენტრის მეოთხე უროლოგიური განყოფილების ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი; 1980 წლიდან მუშაობს უროლოგიის ეროვნულ ცენტრში, სადაც გაიარა პროფესიული დახელოვნების ყველა საფეხური, დაწყებული უფროსი ორდინატორიდან და მთავარი მეცნიერ-მუშაკიდან, დირექტორის მოადგილეობით დამთავრებული. ლექციებს კითხულობს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში; არის უროლოგიური დეპარტამენტის ხელმძღვანელი, სრული პროფესორი. გახლავთ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ჯანდაცვის სამინისტროს ექსპერტი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. ჰყავს უამრავი წარმატებული სტუდენტი, ბატონი თემურის ხელმძღვანელობით ბევრმა მათგანმა წარჩინებით დაიცვა მედიცინის აკადემიური დოქტორის ხარისხი და დღეს ისინი პერსპექტიული ახალგაზრდა ექიმები არიან. ასევე, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ბატონ ლაურ მანაგაძესთან ერთად, 1986 წლიდან იგი არის ნაწლავისგან ხელოვნური შარდის ბუშტის ფორმირების ავტორი.

**– ბატონო თემურ, ლაურ მაგაძესთან ერთად, თქვენ ერთ-ერთი პიონერი ხართ საქართველოში ამ უნიკალური ოპერაციის, როდესაც ადამიანს დაზიანებულ ან დაავადებულ შარდის ბუშტს ახლით უცვლით.**

– ხშირადაა შემთხვევები, როცა შარდის ბუშტის სიმსივნის ან სხვა დაავადებებისა და პათოლოგიების დროს, ადამიანს ესაჭიროება ახალი შარდის ბუშტის ფორმირება. კათეტერით მოსიარულე პირებს უჩნდებათ დისკომფორტი, არიან სოციალურად დათრგუნულები, ხოლო ხელოვნური შარდის ბუშტის ჩამოყალიბების შემდგომ, ისინი უკვე აღარ განიცდიან ფსიქოემოციურ დისკომფორტს. ასეთი პაციენტი უკვე ბევრია საქართველოში – მათი რაოდენობა 400-ს აღწევს. პირველად სწორად ჩვენთან, უროლოგიის ცენტრში, გაკეთდა ამ ტიპის ოპერაცია. ამ ოპერაციის შემდგომ პაციენტებს არ გამოუცვლიათ პროფესია, აქტიურად ცხოვრობენ და მეტიც – ისინი თითქოს თავიდან იწყებენ ცხოვრებას. ამ სპეციალურ ოპერაციას მსოფლიო სამედიცინო სპექტრში უწოდეს ,,თბილისის ტოპრაკი". სახელმწიფო პრემიაც ჩვენ სწორედ ამ პროექტში, ხელოვნური შარდის ბუშტის ოპერაციისთვის მოგვცეს. გერმანიის უროლოგთა მრავალი თაობის აღმზრდელმა პროფესორმა რუდოლფ ჰოჰენფელერმა მას მისცა ვიზირება, რომ დარქმეოდა ,,თბილისის ტოპრაკი". უკვე შემდგომ კი იაპონიაში, გერმანიაში, ინგლისში, რუსეთში და სხვა ქვეყნებში გამოცემულ უროლოგიურ ატლასებშიც შევიდა როგორც ერთ-ერთი საუკეთესო ოპერაცია.

მინდა გითხრათ, რომ უროლოგია საქართველოში ძალიან მაღალ დონეზეა განვითარებული და მსოფლიო უროლოგიური ორგანიზაციები ამას ღიად აღიარებენ.

**– ბატონო თემურ, კიდევ რომელი მნიშვნელოვანი ოპერაციები ტარდება თქვენს კლინიკაში?**

– ოპერაციები შარდკენჭოვან დაავადებებზე, ბუნებრივია, კეთდება როგორც გაჭრის გარეშე (ლაპარასკოპიული და ენდოსკოპიური მეთოდით), ასევე, ტრადიციული, ღია წესით. ვატარებთ პლასტიკურ ოპერაციებს, როდესაც პაციენტებს დაბადებიდან დაჰყვებათ ხოლმე დეფექტები. ასევე, ვატარებთ რეკონსტრუქციულ ოპერაციებს, თირკმლის გადანერგვას და სხვა. ჩვენი უროლოგია პასუხობს ევროპულ სტანდარტებს, ამიტომაც, ქართველი პაციენტი პრაქტიკულად არ გადის უცხოეთში ასეთი ტიპის ოპერაციების ჩასატარებლად,

**– თქვენს კლინიკაში თუ არის მოთხოვნების ადეკვატური მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და სამედიცინო აპარატურა?**

– ჩვენ გვაქვს თანამედროვე აპარატურა: ექოსკოპები, რენტგენის, ლაზერის დანადგარები; ფუნქციონირებს ლაპარასკოპიური, ენდოსკოპიური და რენტგენ საოპერაციოები; ტარდება თანამედროვე ლაბორატორიული კვლევები და ვპასუხობთ თანამედროვე მოთხოვნებს.

როდესაც უცხოეთიდან ჩამოდიან ჩვენი კოლეგები და ეცნობიან ოპერაციების სიას და სამუშაო დიაპაზონს, აღფრთოვანებული რჩებიან ჩვენი მაღალი კლასითა და პროფესიონალიზმით.

**– ბატონო თემურ, რა განცდა გაქვთ, როდესაც საოპერაციოში შედიხართ? თუ განსხვავდება უკვე გამოცდილი ექიმი თემურ ჩიგოგიძე დამწყები თემურ ჩიგოგიძისგან?**

– მთავარი პრინციპი გახლავთ ექიმის პასუხისმგებლობის გრძნობა – ასეა დასაწყისიდანვე და მიგყვება პროფესიული გზის ბოლომდე. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რამხელა რამ გაბარია: ადამიანის სიცოცხლე, ჯანმრთელობა... ოჯახიდან რომ მოჰყავთ მამა-ბაბუა, ბევრს რომ ფიქრობენ და შენზე შეაჩერებენ არჩევანს, შენ რომ ამ ნდობას უღალატო, ეს იგივეა, უღალატო საკუთარ პროფესიას, ოჯახს და ადამიანობას. ეს პასუხისმგებლობა უნდა გაითავისო, თუმცა, ასევე აუცილებელია მაღალი პროფესიონალიზმი და ურთიერთობა პაციენტთან. ზოგადად, პაციენტი უნდა ენდობოდეს ექიმს, უნდა მოგყვებოდეს და, ეს ომი, რომელიც მიმდინარეობს საოპერაციო მაგიდაზე დაავადების წინააღმდეგ, მხოლოდ ექიმის მოსაგები ომი არაა, აქ პაციენტის როლიც უდიდესია.

ჩვენ ძალიან ვუფრთხილდებით ალექსანდრე წულუკიძის სახელობის უროლოგიის ეროვნული ცენტრის უდიდეს სახელს მსოფლიო უროლოგიაში. ბატონი ლაურ მანაგაძის თაოსნობით ჩვენ კიდევ უფრო განვავითარეთ ცენტრის ფუნქციონირება, გვიჭირავს მაღალი თამასა და ვფიქრობ, რომ ჩვენი წვლილი შეგვაქვს თანამედროვე ქართული მედიცინის განვითარებაში.

**ანა თაბაგარი**

# Дебил б...дь

## „და მე ავტირდი ვით მეფე ლირი...“

რაკი **ისეა მოწყობილი ეს ცოდვილი მზისქვეშეთი**, რომ **მუდმივი მხოლოდ ინტერესებია**, ჩვენმა **ოკეანისგაღმელმა სტრატეგიულმა პარტნიორმა თავის უახლოეს მოკავშირე საუდის არაბეთსაც კი უგანა** (თუმცა მხოლოდ **ეკონომიკურად**). ან კი **როგორ არ უგანებდა, როდესაც დასავლეთისთვის ემბარგომოხსნილი ირანი ჰაერივითაა აუცილებელი დიდ გეოპოლიტიკურ ორთაბრძოლაში** ჩრდილოეთთან (სხვათა შორის, **ჩვენს კოჭსაც ემუქრება ალჩუზე დაჯდომის პერსპექტივა**, თუკი ირანი გაერევა საერთაშორისო მარაქაში, იმდენადაც კი, რომ, შესაძლოა, **თვით შავი დედლებივითაც კი გავკეთდეთ**).



ამიტომაც სავსებით **ბუნებრივია, რომ**, რადგან ირანი ხელიდან გამოაცალეს, **რფ საუდის არაბეთზე გადაერთო.** ან კი **როგორ არ გადაერთვებოდა, როდესაც საგაზ-სანავთობო ფრონტის ხაზზე მეფე ლირივით მარტო რჩება?!**

თუმცა **რფ რის რფ იქნებოდა, თავისებური რომ არ გამოერია?!**

ასე და ამგვარად, **რუსეთის** ფედერაციის **საგარეო საქმეთა მინისტრმა, ანუ ქვეყნის ნომერ პირველმა დიპლომატმა,** საუდისარაბელ თავის კოლეგასთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე, **როდესაც გამომსვლელი არაბულად უბნობდა,** არც მეტი, არც ნაკლები, **ჩაილაპარაკა:** „Дебил б...дь“.

შემდგომ **არაოფიციალურად განმარტა, რომ „დებილი“ ნომერ პირველმა რუსმა დიპლომატმა** არა თავის არაბ კოლეგას, არამედ **არაბ ჟურნალისტს უწოდა, ოფიციალური ვერსიით** (რფ-ის საგარეო უწყების განმარტებით) კი, **ბ-ნ ლავროვს არაფერი უთქვამს**, უბრალოდ, **ჩაახველა** (თუმცა, ვიდეოჩანაწერში „დებილიც“ ისმის და „ბლ...დიც“).

ჩვენ არ ვიცით, **რა რეაქცია ჰქონდა საუდის არაბეთის მხარეს მომხდარზე**, თუმცა ის კი **ადვილი წარმოსადგენია, როდესაც მისთვის მნიშვნელოვან მოკავშირესთანაც კი ვერ იკავებს თავს დიპლომატი,** სახელდობრ ჩვენ **რა შარში ვართ მათი გადამკიდე?!**

# „ვინ გაგაკვირვოს, რამ გაგაკვირვოს“?!

## სტრიპტიზის მოლოდინში

თუმცა **ჩვენს რჩეულებს ისე ვყავართ განებივრებულები სანახაობით** (თანაც – რვავე მოწვევისას), რომ **აღარც კი გვეგონა, თუ რამე გაგვაკვირვებდა,** მაგრამ, ჰოი, საოცრებავ და, **აღმოჩნდა, რომ თვით ჩვენი გაკვირვებაც კი შესაძლებელია ყოფილა.**



გასულ კვირას „ნაციონალურმა მოძრაობამ“ და თავისუფალი სიტყვის მებაირახტრე მათმა მეგობარმა მედია-საშუალებამ, როგორც თავად მიუთითეს, ექსკლუზიურად, **დაარისხეს განგაშის ზარები, რომ დეპუტატი გიორგი კარბელაშვილი პრემიერ-მინისტრის დავალებით გაიტაცეს და უკანონოდ დაატყვევეს!**

**ყოფილი შს მინისტრი** ბ-ნი **ბარამიძე კი პოლიციის განყოფილებაში** (სადაც ხსენებული მედია-საშუალების მტკიცებით, უკანონოდ იყო დატყვევებული ხალხის რჩეული), იმას გარდა, რომ **პოლიციელებს „ძაღლებად“ მოიხსენიებდა, მისთვის ყველა კარის გაღებას ითხოვდა** – პარლამენტის ვიცე-სპიკერი ვარო (ერთ-ერთი **ლუდოვიკოს სტილში: კანონი – ეს მე ვარო.** ).

მართლაცდა, **ინფორმაცია გულის გამგმირავი იქნებოდა**, რომ არა მოგვიანებით **შსს-ის მიერ ბ-ნი კარბელაშვილის დაკავების ამსახველი კადრების გამოქვეყნება**, სადაც წელზემოთ შიშველმა **ხალხის რჩეულმა ასო** (სახელდობრ, ყარი) **იმდენჯერ აათამაშა, მრავალჭირნახული ყური შეუწუხდა სრულიად საქართველოს მოსახლეობას** (პოლიციის დაუმორჩილებლობა საერთოდაც სხვა და უფრო მძიმე საკითხია).



ასეა თუ ისე, **გამოფხიზლების შემდეგ**, შესაძლოა, **ჩანაწერის გამოქვეყნების ძალითაც,** ბ-ნმა **კარბელაშვილმა ბოდიში მოიხადა**, ხოლო **სრულიად „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ერთხმად დაგმო** კოლეგის საქციელი.

მე არ ჩავუღრმავდები მომხდარის ანალიზს, თუმცა, თუ ასე გაგრძელდა, არ არის გამორიცხული, რომ მავანი ხალხის რჩეული მხოლოდ წელზემოთ გაშიშვლებას არ დასჯერდეს და, ადრე თუ გვიან, **სანახაობად სტრიპტიზიც შემოგვთავაზოს?!**

რადგან, **თუ „იბიარდია“ „იბიარდი“ იყოს!**


**ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები“**

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი **ზაზა ახობაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე **ალექსანდრა ნაკაიძე**

**რედაქციის მისამართია:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №47






**განყოფილებები**

პოლიტიკა: რედაქტორი – ნინო ხაჩიძე, ჟურნალისტი – თამუნა სამადაშვილი
საზოგადოება და კულტურა: გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ქეთი კაპანაძე, ეთო ხურციძე
რელიგია: ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე, რევაზ ტომარაძე
კრიმინალი და სამართალი: ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე

დაიჯესტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი
მედიცინა: ნონა დათეშიძე, მაია წუცუბიძე
სპორტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე
სტილისტ-რედაქტორი: თამრიკო ზამთარაძე
სტილისტი: ნანა წერეთელი
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თამუნა ახობაძე
ოპერატორი: მაია კარანაძე
ფოტოკორესპონდენტები: თეზუკა კვეზერელი, ალექს ხარიტონაშვილი

მხატვრები: ზაალ სულაკაური, ჯემალ ფხალაძე
ოფისმენეჯერი: ინგა კერვალიშვილი
იურისტი: ქეთი უტიაშვილი
მთავარი ეკონომისტი: ნანა ბირჩაძე
კომერციული მენეჯერი: მარინა მჟავანაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: სოფი ლორია
სარეკლამო სამსახური: სოფი ლორია, მანანა დოლიაშვილი, მაია ფირცხალავა, ხატია ჟღენტი
მარკეტინგის მენეჯერი: ლევან მენთეშაშვილი

ტელ: 239-25-52; 599 10-15-20 239-23-52
სარეკლამო სამსახური: 593 38-75-61; 239-23-53
დამფუძნებელი: შპს „თბილისელები პლუსი“ იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში“
ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა: tbiliselebi2001@gmail.com


ჟურნალში გამოყენებული სტატიებისა და ფოტოსურათების მთლიანი ან ნაწილობრივი გადაბეჭდვა რედაქციასთან შეთანხმების გარეშე ისჯება კანონით

# კონკურენტები

## ანუ რატომ არა ვარ... რობოტი

სანამ ჩვენ ადამიანები ვერ დაგვისაქმებია, შვეიცარიის უმაღლესი სკოლის მეცნიერებმა, არც მეტი, არც ნაკლები, **დედა-რობოტი შექმნეს, რომელსაც არა მხოლოდ შვილი-რობოტების შექმნა, საკუთარ შეცდომებზე სწავლაც კი შეუძლია.**

თუმცა მთლად ბუნებრივი გზითაც არა: **დედა-რობოტი შვილებს პლასტიკური კუბიკებისგან ქმნის,** სულ რაღაც, **ერთ საათში!** ოღონდ, **სამუშაოს შეუსვენებლად, 24 საათის განმავლობაში ასრულებს.**



მეორე მხრივ, ამ ტიპის რობოტების შექმნის მიზანი მათი არა მხოლოდ მექანიკური სამუშაოს შესასრულებლად გამოყენებაა, არამედ ის, რომ **ამა თუ იმ სფეროში ინოვაციების განვითარებას შეუწყონ ხელი.**

კერძოდ, ზემოთქმულის შემქმნელ მეცნიერთა **აზრით, შესაძლოა, მომავალში ამ რობოტებმა** სრულიად დამოუკიდებლად **ისეთი რობოტებიც კი შექმნან, რომლებიც ადამიანებზე უკეთ შეასრულებენ ამა თუ იმ სამუშაოს.**

ამიტომაც **რობოტების გადარჩევის მიზნით შეიქმნა გენომის ანალოგი,** რომელშიც განთავსებულია ინფორმაცია მომავალი რობოტის ფორმაზე და ბრძანებები, რომლებიც შვილი-რობოტის ძრავამ უნდა შეასრულოს.

მეტიც, მეცნიერები ამტკიცებენ, რომ **რობოევოლუცია არაფრით განსხვავდება ბუნებრივი ევოლუციისგან.** შვილი-რობოტების ყოველი ახალი თაობის შესაძლებლობებს დედა-რობოტი დააკვირდება და მათ შორის საუკეთესოებსაც შეარჩევს.

თუ გავითვალისწინებთ, რომ **დედამიწის მოსახლეობა კატასტროფული სისწრაფით იმატებს,** რომლის გამოკვება პლანეტას უკვე აღარ შეუძლია, შესაძლოა, **ძლიერნი ამა დედამიწისანი ამ მზის ქვეშ დარჩენას „ჭკვიან" რობოტებთან ერთად გეგმავდნენ,** რადგან, **რობოტებს აქვთ ერთი დიდი უპირატესობა:** არც საკვები სჭირდებათ, არც წყალი და არც ჟანგბადს მოიხმარენ.

# დროამოწურული

## ანუ სულ სხვა რამზანი

მაშინ, როდესაც **ჯერჯერობით თავი არა მხოლოდ ჩეჩნეთის, ჩრდილო კავკასიის უგვირგვინო მეფედ მოაქვს,** რამზან **კადიროვმა, არც აცია, არც აცხელა** და განაცხადა, რომ **ჩეჩნეთის რესპუბლიკის სათავეში სულ სხვა ადამიანები უნდა მოვიდნენ.**

**უფრო ჭკვიანები და მოქნილებიო** (ანუ არაჭკვიანი და მოუქნელი ვარო?!) და ეს რეგიონში ეკონომიკური პრობლემების გადაჭრას წაადგებაო.



და **რაოდენ საოცარიც უნდა იყოს, იმასაც ამატებს, რომ პოლიტიკაში მისი დრო ამოიწურა.**

ეს ამბავი სრულიად რუსეთის მოსახლეობას მან „რია ნოვოსტისთან" ინტერვიუში აუწყა და ისიც გაუმხილა, რომ **არაერთხელ მიუმართავს ცენტრისთვის გადადგომის თხოვნით.**

თუ ამ ინტერვიუს პათოსით ვიმსჯელებთ, **რამზანი ემშვიდობება ჩეჩნეთის პირველკაცის სკამს,** თუმცა **უცნობია, თავისი თუ კრემლის ნებით,** ან, **სად აპირებს მოღვაწეობის გაგრძელებას.**

თუმცა იქვე **კეთილდღეობის რეცეპტიც გაამხილა:** „ჩეჩნეთი ყველაზე ნაკლებად დაზარალდა დასავლური სანქციების შედეგად, რადგან **ჩეჩნეთი, ფაქტობრივად, არ თანამშრომლობს ევროპულ კომპანიებთან."**

ხოლო უფრო ადრე ფედერაციის ხელმძღვანელობას **საგარეო ვექტორის შეცვლა ურჩია – არაბული სამყაროსკენ;** მომყავს ციტატა: **„იმიტომ რომ, არაბული ქვეყნები არ უღალატებენ რუსეთს განსხვავებით დასავლეთისგან".**

ჩვენ არ ვიცით, **გაითვალისწინებს თუ არა ერთი პრ.** (პუტინი) **მეორე პრ.-ის** (კადიროვის) **რჩევას,** მაგრამ, **ფაქტია, რომ ჩრდილო კავკასიაში ცვლილებები იგეგმება** და, ფრიად რთული სათქმელია, **როგორ აისახება ამ ჩვენს დანაწევრებულ ბედზე.**

**გვერდები მოამზადა**
**ნინო ხაჩიძე**

# „ესაა პიკასოს ბიჭი"?!

## ანუ „ვარ გაკოჭილი მე ევროპელი და ვტკბები ზანგის თავისუფლებით"

რაკი **გასული კვირის მთავარი სანახაობა მაინც** ხალხის რჩეულის, ბ-ნი **კარბელაშვილის ვნებანი იყო** (როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით), მეც **კიდევ ერთხელ უნდა შევაწიო სიტყვა,** ოღონდ, მთლად მას კი არა, სულ სხვას.

**სანამ ამბავი ბოლომდე გაირკვეოდა** (ბოლომდე, ანუ, რა პოზიციას დაიკავებდა მთავარი მოქმედი პირი „ნაციონალური მოძრაობა"), **მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ საქმე არა გატაცებასთან, არამედ ზომაზე მეტად მთვრალი დეპუტატის მშფოთვარე ფანტაზიასთან გვქონდა,** „თავისუფალი **დემოკრატების" გენმდივანმა ისე ისულსწრაფა,** რომ თვით ბიძინა **ივანიშვილი დაამუნათა – რატომ იკადრეთ ბ-ნი კარბელაშვილის შეუფერებელი საქციელის ამსახველი ვიდეოჩანაწერის გამოქვეყნებაო.**



მომყავს ციტატა (სტილი დაცულია): **„იყო კაცი სუფრაზე, თუნდაც გადაამეტა, ორი გრამი ტვინი ხო უნდა გეყოთ ვინმეს ხელისუფლებაში, რო ამ კადრებით საქართველოს,** ბოდიში ამ სიტყვისთვის, **აბანძებთ, ყველას სალაპარაკოს აძლევთ!** რვა საათს **ოპოზიციონერ დეპუტატს რო გამოკეტავ, ამით მარტო ქვეყანა რო ზარალდება,** ამაზე არავინ არ ფიქრობთ? თუ შალიკიანი ოჯახიდან საცვლების ამარა რო გამოაჭენა თქვენმა „პაძელნიკმა" ოქრუაშვილმა, ეხლა თქვენ კარბელა უნდა არბენინოთ შარვლის ამარა? ეგაა თქვენი მასშტაბი ბატონო ბიძინა? მითხარი, რომ არაფერი არ იცოდი, ბატონო ბიძინა!"

რთული სათქმელია, **რა საერთო აქვს ბ-ნი შალიკიანისა და ბ-ნი კარბელაშვილის შემთხვევებს** (პირველს ეძინა საკუთარ სახლში და პოლიცია შეუვარდა; მეორე, არაფხიზლად მყოფი, პოლიციას თითქმის თავად შეუვარდა), თუმცა **ის უფრო რთული სათქმელია, რომელი სტანდარტებითაა მიღებული ოპოზიციონერი დეპუტატის მიერ პოლიციის შეურაცხყოფა და არდამორჩილება** და შემდეგ ამის დამალვა?!

რაც, თუ გავიხსენებთ, რომ **„თავისუფალი დემოკრატები" თავს დასავლური ყაიდის უალტერნატივო პოლიტძალად მიიჩნევს ქვეყანაში,** ბადებს **ტრაგიკულად რიტორიკულ კითხვას: ესაა პიკასოს ბიჭი** (ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ევროპული ორიენტაცია)?!

ნდობის ტელეფონი
ინფიმი
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან

ზარი ფასიანია

**თუმცა რუსეთის ფედერაციასა და „იუჟნაია ოსეტიას“ შორის შეთანხმება ინტეგრაციის შესახებ ძალაში შევიდა, სულ ახლახან გაჩნდა ინფორმაცია, რომ ცხინვალი და მოსკოვი თავდაცვისა და უსაფრთხოების ახალ სისტემას ქმნიან. რატომ არ აკმაყოფილებთ ინტეგრაციის ის დონე, რასაც მიაღწიეს ჩვენმა ოკუპანტებმა და სეპარატისტებმა და რას ნიშნავს „თავდაცვისა და უსაფრთხოების ახალი სისტემა,“ – ამ თემაზე ექსპერტი კავკასიის საკითხებში, მამუკა არეშიძე გვესაუბრება.**

# რატომ არის რუსეთისთვის გადარჩენის შანსი საქართველოს შუაზე გახლეჩა და რატომ ნიშნავს რუსული სახელმწიფოს მკვლელობას ირანის ენერგორესურსებისთვის საერთაშორისო ბაზრის გახსნა

**– რატომ არ არის საკმარისი ინტეგრაციის შეთანხმება ცხინვალსა და მოსკოვს შორის, რომელიც უკვე ძალაში შევიდა და დამატება რატომ გახდა აუცილებელი?**

– მოსკოვმა ორივე აღიარებულ რესპუბლიკას მოსთხოვა გარკვეული ნაბიჯების გადადგმა უსაფრთხოების სისტემაში ინტეგრაციის მიმართულებით. ეს შეეხებოდა ისეთ თემას, მაგალითად, როგორიცაა შინაგან საქმეთა სამინისტროს გარკვეული ფორმატის შექმნა, რომელშიც რუსეთი იქნებოდა დომინანტი. ერთგვარი გაერთიანება, დავარქვათ ასე: ერთობლივი კომისია. საბოლოოდ, აფხაზებმა ამაზე უარი თქვეს, მაგრამ ოსები დათანხმდნენ.

მთელი ეგრეთ წოდებული საზღვრის პერიმეტრის კონტროლი გადავიდა რუსეთის ხელში, აგრეთვე, რუსეთის ხელში გადავიდა სეპარატისტული თავდაცვის სამინისტროს ყველა ფუნქცია. ოსებს შეუძლიათ, იყოლიონ მხოლოდ 200 სამხედრო დეკორატიული ფუნქციით. ანუ, როდესაც ჩვენ ვხედავთ მანევრებს ეგრეთ წოდებული „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორიაზე, ჩათვალეთ, რომ რუსი ჯარისკაცები ვარჯიშობენ. იმიტომ რომ, ის 200 მოსამსახურე, ვინც დარჩა „სამხრეთ ოსეთის“ ეგრეთ წოდებული თავდაცვის სამინისტროს შემადგენლობაში, არ არიან ჯარისკაცები, მათ შორის, ოფიცრებიც არიან, დამლაგებლებიც და ასე შემდეგ.



**სპეციალურად გაკეთდა საბჭოთა დროს ის, რომ სომხეთიდან ირანში და ირანიდან სომხეთში მიმავალი გაზსადენი ყოფილიყო ვიწრო, რათა სომხეთს მხოლოდ იმ რაოდენობით გაზი მიეღო, რამდენიც სჭირდებოდა და არ ჰქონოდა იმის იმედი, რომ შეძლებდა გაზის ტრანსპორტირებას**

**– სამოქალაქო პერსონალი ანუ?**

– დიახ. ასე რომ, ეს არის განსაკუთრებული ინტეგრაციის სისტემა, ფაქტობრივად, ყველანაირი უსაფრთხოების ბერკეტი აღმოჩნდა რუსების ხელში და ოსები მხოლოდ დეკორაციის როლს ასრულებენ. ძალიან ბევრი ოსი სამხედრო მოსამსახურე უკვე მუშაობს რუსულ ჯარში, რუსულ შინაგან საქმეთა სამინისტროში, რუს მესაზღვრეებთან. ისინი არიან რუსეთის ჩვეულებრივი მოქალაქეები რუსულ სამხედრო სტრუქტურებში. აი, ასე მოხდა საბოლოო ჯამში.

**– მიიღეს მათ ის თავიანთი 3 მილიარდი, ამ შეთანხმების გაფორმების სანაცვლოდ რომ ჰპირდებოდა მოსკოვი?**

– დიახ, დაახლოებით, 4 მილიარდ რუბლამდე თანხაზე იყო ლაპარაკი, მაგრამ იმ თანხის ნაწილი, რომელიც გეგმურად უნდა მიეღოთ რვა თვის განმავლობაში, ჯერჯერობით არ არის გადარიცხული, ისევე, როგორც აფხაზეთში. მათ უნდა მიეღოთ სამი მილიარდ 700 მილიონი რუბლი, მაგრამ მხოლოდ 127 მილიონი რუბლი მიიღეს, იმიტომ რომ, აფხაზები არ თანხმდებიან ორ ძირითად საკითხს: შინაგან საქმეთა სამინისტროების გაერთიანებას და მიწის უცხოელებისთვის მიყიდვის შესახებ კანონის მიღებას.

**– ამ კანონის მიღების აუცილებლობა არ ეწერა შეთანხმების არც თავდაპირველ პროექტში.**

– ეს არაფერს ნიშნავს, რომ იქ არ ეწერა, ასეთია მოსკოვის ცალსახა მოთხოვნა. ისევე, როგორც რკინიგზის აღდგენაა ძალიან მნიშვნელოვანი მოთხოვნა აფხაზეთის შემთხვევაში და არ აქვს მნიშვნელობა, მოსკოვის ამ მოთხოვნებს ექნება თუ არა დოკუმენტის სახე. სხვათა შორის, აი, რუსეთის აფხაზებისადმი ასეთ დამოკიდებულებას შეეწირა სანავთობო საკითხი, როდესაც აფხაზმა დეპუტატებმა შეუჩერეს „როსნეფტს“ საქმიანობა აფხაზეთში და დააბრალეს ეკოლოგიას, აფხაზეთის სანაპირო ბინძურდებაო. ეკოლოგიის პრობლემა, რასაკვირველია, არსებობდა, მაგრამ, მეორე მხრივ, ეს იყო საკუთარი ძალის დემონსტრირება აფხაზების მხრიდან. ამ განცხადებაში პირდაპირ ჩანდა, რაკი მოსკოვი ანგარიშს არ გვიწევს, ჩვენ პროცესს მოვაქცევთ საერთაშორისოდ არსებულ ჩარჩოშიო.

**– თქვენც აღნიშნეთ, თუ როგორი ყოვლისმომცველია ცხინვალსა და მოსკოვს შორის შეთანხმება, მეტი რაღა უნდათ?! ბაიკანურს ხომ არ ააშენებენ ცხინვალში?**

– თუ დასჭირდათ, ააშენებენ. მინდა, ზუსტად იყოს გაგებული. ინტეგრაციის ეს დოკუმენტი, პირდაპირ რომ ვთქვათ, პოლიტიკური ერთიანობის გარდა, გულისხმობს დანარჩენ ყველა დარგში შერწყმას. ახლა ჩვენ მივიღეთ არა შერწყმა, არამედ – ჩანაცვლება.

**– გამოდის, რომ, ფაქტობრივად, მოქმედებენ არა სეპარატისტების, არამედ რუსეთის შეიარაღებული ძალები, რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო, რუსეთის სასაზღვრო უწყება, ოსი სეპარატისტები არიან ანტურაჟის როლში. ჩვენი ხელისუფლება ამ კოზირს რატომ არ იყენებს თუ იყენებს და მე არ ვიცი?**

– ჩვენმა ხელისუფლებამ რა უნდა თქვას?!

**– როდესაც კონფლიქტის ზონის ეგრეთ წოდებული საზღვარი იწევა აქეთ, ამას აკეთებენ რუსული სახელმწიფო სტრუქტურები. ეს არ არის კოზირი?**

– როგორ არ არის, მაგრამ კოზირს გამოყენება სჭირდება. პოკერის კარგმა მოთამაშეებმა იციან, როგორ გამოიყენონ შედარებით სუსტი კარგი ძლიერ კარტთან მიმართებაში. საქართველოს ხელისუფლებაში, სამწუხაროდ, არ არიან ისეთი ადამიანები, რომლებსაც თავიანთი ჭკუითა და გამოცდილებით შეუძლიათ ამის გაკეთება და, მეორე, ან შეგნებულად არ აკეთებენ. იმ კითხვაზე, რომელსაც თქვენ მე მისვამთ, პასუხი არ მაქვს, თუმცა ერთი რამ შემიძლია, გითხრათ: საერთოდ, აქტიურობა და აგრესია საჭიროა ორ შემთხვევაში; ერთი, როდესაც გინდა, რომ დღის წესრიგში მუდმივად იდგეს შენი საკითხი და მეორე, როდესაც ასპროცენტიანად ხარ დარწმუნებული, რომ ამ აქტივობას შედეგი ექნება. თქვენ თვითონ გადაწყვიტეთ, რომელიც ჯობია?! – პროცესში იყო და შედეგი არ ჰქონდეს თუ დაელოდო მომენტს და შედეგიანად დაარტყა?

**– მე მეორეს ავირჩევდი, ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული.**

– მაგრამ ამავე დროს იმასაც ვამბობ, რომ შედეგიანად დამრტყმელს ვერ ვხედავ საქართველოში, ვერც ხელისუფლებაში და ვერც პოლიტიკურ ოპოზიციაში. ბევრს ხტუნაობს დღეს „ნაციონალური მოძრაობა“, მაგრამ რამის გამკეთებელი რომ ყოფილიყო, 2008 წლის ომს არ დაუშვებდა. ამდენად, მათი ეს საყვედურები ამ ხელისუფლების მიმართ არის სასაცილო და მიუღებელი. სულ მსოფლიოს დღის წესრიგში უნდა იდგეს საქართველოს საკითხი, კი ბატონო, მაგრამ გვაძლევს ეს რამეს?! ჩვენი

## გურამ ახობაძის გახსენება



ორმოცი ტკივილიანი დღე გავიდა, რაც ამქვეყნიდან წახვედით და დააკლდით თქვენს ოჯახსა და ახლობლებს.

განსაკუთრებულად დადებითი, უაღრესად საინტერესო და ნიჭიერი ადამიანი იყავით. ვინც გიცნობდათ, ყველას ახსოვს თქვენი მარილიანი სიტყვა და მამობრივი რჩევა-დარიგება. ყველა განიცდის უთქვენობას, მაგრამ, ალბათ, განსაკუთრებით მოენატრებით თქვენს საფიცარ შვილიშვილებს. მხოლოდ სიკეთეს თესავდით და თქვენს მონაგარსაც მუდამ ამას ასწავლიდით. სწორედ ეს სიკეთე გაგინათებთ უფლისკენ მიმავალ გზას და ღმერთიც არ მოაკლებს თქვენს სულს მფარველობას ცათა სასუფეველში დასამკვიდრებლად.

**ჟურნალი „თბილისელები“**

# ალექსიშვილის კლინიკა

## ხერხემლისა და სახსრების დაავადებების მკურნალობა ეფექტური და სწრაფი მეთოდით

**ივლიტა ბოჯგუა** *(ზუგდიდი, 62 წლის).* **დიაგნოზი** *– ორმხრივი მონართროზი.*

რამდენი წელია, მუხლები მტკივა. ვაგროვებ ჟურნალებიდან ამონაჭრებს, მოვდივარ და ძლივს ჩამოვაღწიე. ახლა ვამბობ, ნეტავ აქამდე ჩამოვსულიყავი, რატომ დავიტანჯე თავი?! მაგრამ, ხომ იცით, ოჯახი, შვილები და... სანამ ტკივილმა არ დამაგდო, საკუთარი თავისთვის ვერ მოვიცალე. ჩემით უამრავი წამალი ვიხმარე, შედეგი მაინც ვერ ვნახე. აქ კი პირველივე დღეს ვიგრძენი სიკეთე. ორ დღეში ჯოხი გადავაგდე და მალევე დამოუკიდებლად ვახერხებდი სიარულს „მარშრუტკით“. არ მჯერა, რომ დილით ტკივილი აღარ მაღვიძებს. სიკეთე მოგცეთ უფალმა, მანანა ექიმო, არასდროს დაგკარგავთ!

**გიორგი თალაკვაძე** *(43 წლის, თბილისი, ეკონომისტი).* **დიაგნოზი** *– წელის მალთაშუა დისკის თიაქარი (7 მილიმეტრი).*

საკმაოდ რთული მდგომარეობით შემოვედი ორი თვის წინ. ტრავმის შედეგად დავიზიანე წელის მალები და გამიჩნდა დისკის 7-მილიმეტრიანი თიაქარი. საშინელი ტკივილები მქონდა, თეძოდან ფეხზე გადასცემდა. უამრავი ნემსი გავიკეთე, დაჭიმვა, ფიზიო, მალამოები, მაგრამ არაფერმა მიშველა. აქ ახლობელმა მომიყვანა. ასეთი შედეგით გაოცებული ვარ. ერთ დღეში ტკივილი გამინახევრდა და დაჯდომა შევძელი. ერთი კვირაა, დავდივარ და, ფაქტობრივად, აღარ მაქვს ტკივილი. მკურნალობას ვაგრძელებ. დიდი მადლობა მანანა ექიმს და მთელ პერსონალს.



# ბუასილი მარტივად იკურნება

**თონიკე ბაკურაძე** *(39 წლის, რუსთავი, მძღოლი).* **დიაგნოზი** *– ანალური ნაპრალი, ჰემოროიდული დაავადება, მესამე ხარისხის დისბაქტერიოზი.*

ზამთარში გავცივდი და ფილტვების ანთება გადავიტანე, დამჭირდა ანტიბიოტიკები, ნემსები, რამაც მთლიანად მომიშალა კუჭ-ნაწლავი და დამმართა ეს დაავადება. მწვავე ტკივილებით შემოვედი. მანამდე ოპერაცია მირჩიეს, წავილე მალამოები, მცენარეული ნაყენები და პირველივე კვირას აღდგა კუჭ-ნაწლავის მუშაობა. ტკივილები 2-3 დღეში მომეხსნა. ასევე, მქონდა სისხლდენა, ქავილი და ესენიც პირველივე 3-4 დღეში ალაგდა. ახლა მეორე კურსის წამლები მიმაქვს. ძალიან კმაყოფილი მივდივარ. ოპერაციას გადავრჩი. გაგახაროთ ღმერთმა, ქალბატონო მანანა!

*მისამართი: მეტრო „ნაძალადევთან“, ცოტნე დადიანის ქუჩა №87 (ყოფილი რკინიგზის პოლიკლინიკა); კაბინეტი №18; №19. მიღება 12-დან 16 საათამდე, წინასწარი ჩაწერით. ტელეფონები: 599-10-06-36; 599-57-16-99.*

**თამუნა ნიჟარაძე**


დასავლელი პარტნიორები არიან ამისთვის მზად? შეუძლიათ გადაწყვიტონ ეს საკითხი? მე ამას ვერ ვხედავ.

იქნებ ჯობია, დრო შევურჩიოთ და მაშინ დავარტყათ?! დავარტყათ იმიტომ, რომ ობიექტურად, უკრაინის მოვლენების გამო რუსეთის მდგომარეობა უკან-უკან მიდის. ეკონომიკური თვალსაზრისით სერიოზული კრიზისის რეჟიმშია დღეს რუსეთი, პლუს ნავთობის ფასის ვარდნაც. ეს იმიტომ კი არ არის საშიში რუსეთისთვის, რომ იქ სოციალური აფეთქება მოხდება და ხალხი ქუჩაში გამოვა, ეს არ არის მთავარი, არამედ, მთავარია, რომ ეს შეაფერხებს რუსეთის სახელმწიფოს განვითარებას. რუსეთის სახელმწიფო ინსტიტუტები ველარ იმუშავებს კარგა ხანს.

სხვათა შორის, ეს არის კიდეც ჩადებული იმ პოლიტიკაში, რომელსაც დასავლეთი ატარებს რუსეთის მიმართ. რუსეთი ხარჯავს თავის სავალუტო რესურსს, თავის სხვა ტიპის რესურსს იმისთვის, რომ მოისყიდოს დასავლეთში პოლიტიკოსები და ეს გამოსდის კიდევაც. მიუხედავად ამისა, დასავლეთში არსებობს პოლიტიკოსთა ერთი ჯგუფი, რომლებიც, მართალია, არ გამოირჩევიან განსაკუთრებული ხიბლით საერთაშორისო ასპარეზზე, მაგრამ ის მაინც შეუძლიათ, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით, რომ აწეული თამასა შეინარჩუნონ.

**– ბრძანეთ, რომ სუსტდება რუსეთის სახელმწიფო ინსტიტუტები და თუ ასე გაგრძელდა, აუცილებლად ძალიან დასუსტდება რუსეთი, და თუმცა პარალელურად უკრაინაზეცაა გადართული და თითქოს ჩვენთვის არ სცალია, მაგრამ მაინც აჩენს საცეცებს. ვიცით, რომ ბანერებს დგამენ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ თანდათან შემოდის სიღრმეში. რის მიღწევას ცდილობს ამით?**

– რუსეთი ამ შემთხვევაში მხოლოდ საქართველოს პოლიტიკურ კურსს კი არ ებრძვის, რუსეთი ცდილობს, თავი დაიცვას მოვლენების მომავალი განვითარებისგან.

**– გულისხმობთ ირანის შემოსვლას როგორც სამხრეთ კავკასიაში, ისე საერთაშორისო არენაზე?**

– ირანმა და აზერბაიჯანმა უკვე მოაწერეს ხელი დოკუმენტს, რის მიხედვითაც, იდეაში არსებობს ირანული გაზის აზერბაიჯანის გავლით ტრანსპორტირების ალბათობა ევროპისკენ. ფაქტია, ეს გაზი არ წავა რუსეთის გავლით, გასაგებია, რომ წავა საქართველოს გავლით. რუსეთი ცდილობს, ამას ხელი შეუშალოს და, ასევე, ხელი შეუშალოს თურქმენეთის გაზის სავარაუდო ტრანსპორტირებას დასავლეთისკენ. აგრეთვე, ხელი შეუშალოს აგვისტოს ბოლოს დაგეგმილ „ნატოს“ სასწავლო ცენტრის ამუშავებას; ხელი შეუშალოს ბევრ სხვა ისეთ საკითხს, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე ხორციელდება.

რუსეთს შეუძლია ორი რამ: ან ომი საქართველოსთან ან საქართველოს ხელისუფლებაში იმ ტიპის ზეწოლები, რასაც ახორციელებს. ჩვენ ეს კარგად უნდა გავიგოთ. ერთი საქმეა, რას აკეთებს საპასუხოდ საქართველოს ხელისუფლება და მე თქვენ გითხარით, რომ ამაზე პასუხი არ მაქვს, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ის მაინც უნდა ვიცოდეთ ზუსტად, რა უნდა რუსეთს. როგორც გითხარით, რუსეთს არ უნდა, დაუშვას ტრანსნაციონალური პროექტების განხორციელება საქართველოს ტერიტორიაზე. იმიტომ რომ, ეს მას ვნებს. დასავლეთმა რუსეთს დაუპირისპირა მისი ერთ-ერთი უახლოესი მოკავშირე, ვგულისხმობ ირანს, იმით, რომ დაამთხვია მათი ინტერესები. ირანისთვის იმდენად მნიშვნელოვანია თავისი ჭარბი ენერგორესურსების გაყიდვა, რომ არ არის გამორიცხული, ბარელი ნავთობის ფასი დასწიოს 20 დოლარამდე. აქ რუსეთთან ძმაკაცობა აღარ გამოდის და ამერიკელებმაც კი ამ საქმისთვის გაწირეს თავისი უახლოესი პარტნიორი – საუდის არაბეთი და უკან დამხევები არ არიან. რუსეთმა ეს კარგად იცის და თუ დაიწყო ირანის გაზის ტრანსპორტირება აზერბაიჯანისა და საქართველოს გავლით ევროპისკენ, ეს არის რუსეთის დაღუპვა.

**– ამიტომაც მოცოცავს?**

– ამიტომ მოცოცავს. ამის შემდეგ დგას საქართველოს ტერიტორიის შუაზე გახლეჩა. ამის გაკეთება რუსეთს დღეს გაუჭირდება, საამისო რესურსი არ აქვს.

**– თუ ჩვენ არ წამოვიკიდეთ.**

– რა თქმა უნდა. მეორე მხრივ, კონკრეტული ადამიანები ზარალდებიან ამ მცოცავი ოკუპაციით, რომლებსაც სარჩო-საბადებელს ართმევენ რუსი სამხედროები. აი, ასეთი დილემის წინაშე ვდგავართ. ამ დილემიდან თავის დაძვრენა შეგვიძლია, მაგრამ ეს უაღრესად რთულია და მხოლოდ ბრძენ ადამიანებსა და პოლიტიკაში დიდი გამოცდილების მქონეთ შეუძლიათ. არიან ასეთები საქართველოში?! მე ვერ ვხედავ, თუ არიან, ისიც – ერთი-ორი.

**– რუსეთი იმედოვნებდა, ჩემი შთაბეჭდილებით, რომ ირანის გაზი და ნავთობი წასულიყო სომხეთის გავლით, რადგან სომხეთის მონაკვეთი საშუალებას მისცემდა, მაინც ჰქონოდა ევროპის ენერგომომარაგებაზე ზემოქმედების ბერკეტი. სომხეთ-საქართველოს მარშრუტი გამოირიცხა?**

– არა, იმიტომ რომ, რუსეთი ყველაფერს გააკეთებს, ამ მარშრუტზე მსჯელობა იყოს. საქმე ისაა, რომ ირან-აზერბაიჯანის დამაკავშირებელი ძველი ინფრასტრუქტურა არსებობს. მართალია, გასარემონტებელია, მაგრამ არსებობს. გარდა ამისა, ამის აღდგენა უფრო ადვილია, ვიდრე სომხეთ-ირანის დამაკავშირებელი გაზსადენის გადაკეთება. სპეციალურად გაკეთდა საბჭოთა დროს ის, რომ სომხეთიდან ირანში და ირანიდან სომხეთში მიმავალი გაზსადენი ყოფილიყო ვიწრო, რათა სომხეთს მხოლოდ იმ რაოდენობით გაზი მიეღო, რამდენიც სჭირდებოდა და მომავალში არ ჰქონოდა იმის იმედი, რომ შეძლებდა გაზის ტრანსპორტირებას. ახლა ამ მილების გადაკეთებას, მათ ამოყრას და უფრო დიდი მოცულობის მილების ჩაყრას, უამრავი რესურსი დასჭირდება.

**– აქ კიდევ პირდაპირ მიუერთდება უკვე არსებულ საერთაშორისო მილსადენებს, რომლებიც სრულად მაინც არ არის დატვირული.**

– რა თქმა უნდა, ირანული გაზი მიუერთდება შაჰ-დენიზის გაზსადენს.

**– ანუ სიფრთხილე არის ჩვენი ერთადერთი იარაღი?**

– მართალი იქნება, საყვედური რომ მითხრას ამ რეგიონის რომელიმე მოსახლემ, რადგან მათ დაკარგეს ლუკმაპური და მათი მიწები უცებ აღმოჩნდა ახალი ბანერების მიღმა. ამიტომ ხელისუფლებამ, უპირველესად, მაქსიმალურად უნდა დაუჭიროს მხარი ამ ადამიანებს. ადრე თუ გვიან, ეს ყველაფერი დამთავრდება ან საქართველოს განადგურებით, ან საქართველოს გამარჯვებით. ჩვენი ასარჩევია, როგორც მოვიქცევით: ნემსის ყუნწში უნდა გავძვრეთ, რომ ქვეყანა შევინარჩუნოთ და უკეთეს დროს დაველოდოთ.

**ნინო ხაჩიძე**

# როგორ იქცა სპეცსამსახურებისთვის ინტერნეტი და სოციალური ქსელები საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედების ყველაზე ეფექტიან საშუალებად და როგორ მუშაობს დეზინფორმაციის სამსახურები სოციალური ქსელებით

**გარდა ინფორმაციის შეგროვებისა, სპეცსამსახურების ფუნქცია ადამიანის ფსიქიკასა და ფიზიოლოგიაზე ზემოქმედებაცაა. ამის ყველაზე მასობრივ საშუალებას, ალბათ, მსოფლიო ტექნოლოგიის მონაპოვარი – ინტერნეტი და ინტერნეტის თანმდევი სოციალური ქსელები იძლევა, რომელთა მეშვეობითაც ადამიანები ნებაყოფლობით და დიდი სიამოვნებით ავრცელებენ ინფორმაციას საკუთარი თავის შესახებ და ძალიან უიოლებენ საქმეს დაინტერესებულ პირებსა თუ უწყებებს, იმის პარალელურად, რომ მანიპულაციისთვისაც მეტად გემრიელ საკბილოს წარმოადგენენ. უფრო მეტიც – „ფეისბუქის“ მამა იმასაც კი დაგვპირდა, რომ ინტერნეტს კოსმოსიდან დაასხივებს დედამიწას, რომ ყველას ჰქონდეს სოციალური ქსელის სიკეთეებით სარგებლობის საშუალება. მიზანი, ერთი შეხედვით, მეტად კეთილშობილურია, თუმცა ისიც ცხადია, თუ რამხელა ხეირის ნახვა შეუძლიათ ამ აქციით ზემონახსენებ დაინტერესებულ პირებსა თუ სპეციალურ უწყებებს. მეორე მხრივ, არც ისაა საიდუმლო, რომ თითქმის ყველა ტექნოლოგიური ნოვაცია სწორედ ამა თუ იმ სპეცსამსახურის წიაღში შეიქმნა და მხოლოდ ამის შემდეგ იხილა დღის სინათლე, უდიდესი ალბათობით. ბესო ალადაშვილთან ერთად განვიხილავთ, ადამიანის ფსიქიკაზე ზემოქმედების რა საშუალებებს ფლობენ თავიანთ არსენალში კეთილად თუ ავადსახსენებელი სპეცსამსახურები.**

**– რა საშუალებებს იყენებენ სპეცსამსახურები ადამიანზე ზემოქმედებისთვის როგორც მის ფსიქიკაზე, ისე ფიზიოლოგიაზე და როდიდან იწყება ეს ისტორია?**

– სპეცსამსახურების მეთოდები ყოველთვის ტაბუირებული თემა იყო, მაგრამ შეგვიძლია, მოვიხმოთ ისტორიული ფაქტები. დაახლოებით, 100 წლის წინათ პირველად გამოიყენეს ევროპასა და ამერიკაში ეგრეთ წოდებული პოლიგრაფი, ანუ სიცრუის დეტექტორი. აპარატი ზომავს ადამიანის შიდა იმპულსებს, მათ გავლენას სიმართლესა და სიცრუეზე. შეუიარაღებელი თვალით ეს ძალიან ძნელად თუ დადგინდება, მაგრამ პოლიგრაფი საშუალებას იძლევა, დააფიქსიროს ეს ცვლილებები. აღმოჩნდა, რომ, როდესაც ადამიანი ტყუილს ამბობს, უხშირდება მაჯისცემა, მის ორგანიზმში ცვლილებები ხდება და ამას კარგად ადგენს სიცრუის დეტექტორი.

**– ფსიქოლოგიაში დადასტურებული ფაქტია, რომ ადამიანის სხეული რეაგირებს ადამიანის მიერ ნათქვამ ტყუილზე. ორგანიზმი უარყოფს, ვერ ეგუება იმ ორგანიზმის პირითვე წარმოთქმულ ტყუილს. ანუ ჩვენი იმპულსები ჩვენზე პატიოსნები არიან.**

– სიცრუის დეტექტორი გასული საუკუნის 20-იან წლებში გამოიყენეს ამერიკის პოლიციაში, 1924 წელს ფართოდ დანერგა სადაზვერვო ბიუროს დირექტორმა და დღესაც აქტიურად გამოიყენება, თუმცა მის მონაცემებს მტკიცებულების ძალა არ აქვს. სხვათა შორის, აპარატის მოქმედება ბევრადაა დამოკიდებული ინსტრუქტორზე, ვინც ამ გამოკითხვას ატარებს. თუმცა დღეს შეერთებულ შტატებში, განსაკუთრებით, საჯარო სამსახურში მიღების დროს, ფართოდ გამოიყენება სიცრუის დეტექტორი, რა თქმა უნდა, გაუმჯობესებული ფორმით და ამ ტიპის კვლევის ჩატარება სავალდებულოა რამდენიმე წელიწადში ერთხელ.



**როგორც წესი, საიდუმლო ინფორმაცია იხსნება 50-60 წლის შემდეგ და გასული საუკუნის 90-იან წლებში გახსნილი არქივებიდან ირკვევა, რომ ცენტრალურ სადაზვერვო სისტემაში ფინანსდებოდა ჰიპნოზისა და ტელეპატიის კვლევები**

**– ფილმებში ხშირად გვინახავს, როგორ ეშლებათ ადამიანებს გულახდილობის საღერღელი გარკვეული ტიპის პრეპარატების მიღებისას. ეს რეალობაა?**

– ამ პრეპარატებს სიმართლის ფხვნილს უწოდებენ. ეს შეიძლება, იყოს პრეპარატის სახით, ფხვნილის სახით, რომელსაც ადამიანს მალულად უყრიან საკვებში, სასმელში, ან შეიძლება იყოს სიგარეტის ფორმით. ანუ, ერთი შეხედვით, დადებითი მოვლენა, ადამიანმა ილაპარაკოს სიმართლე, ჩადგა სხვა მიზნების სამსახურში. ჩვენ შეგვიძლია, გავაგრძელოთ ამ საშუალებების ჩამონათვალი და მივალთ იქამდეც, როდესაც პრეპარატების გამოყენება სრულდება ადამიანის სიკვდილით. ასეთ საშუალებებს იყენებდნენ და, ალბათ, ახლაც იყენებენ არასასურველი პიროვნების ლიკვიდაციისთვის. რამდენიმე ფაქტია ცნობილი. მაგალითად, ბულგარელი დისიდენტის, გიორგი მარკოვის შემთხვევა, რომელიც 1978 წელს ლონდონის მეტროში ქოლგით გაკაწრეს და ის სამი დღის შემდეგ გულის შეტევით გარდაიცვალა. თავიდან არ ვარაუდობდნენ, რომ ეს ხელოვნურად გამოწვეული სიკვდილი იყო, თუმცა რამდენიმე წლის შემდეგ პარიზში ანალოგიური შემთხვევა მოხდა, მაგრამ ის ადამიანი გადარჩა. ამის შემდეგ გაავლეს პარალელი ამ ორ შემთხვევას შორის და, ასევე, იპოვეს სხეულზე მიკროსკოპული ზომის ნაჩხვლეტი, ქოლგის მეშვეობით სპეციალური საშუალება შედიოდა ორგანიზმში და იწვევდა გულის ინფარქტს.

გასული საუკუნის 90-იან წლებში საეჭვო მკვლელობა მოხდა რუსეთში, როდესაც მოკლეს ცნობილი რუსი ბანკირი ივან კიველიდი, მისი ტელეფონის ყურმილი დამუშავებული იყო სპეციალური ფხვნილით, რომელიც ხელის მოკიდებით გადავიდა ბანკირზე. მას დაემართა უცნობი დაავადება, რომელმაც რამდენიმე დღეში არა მხოლოდ ის, მისი მდივანიც იმსხვერპლა, რომელიც, ასევე, შეეხო იმ პერიოდში ტელეფონის ყურმილს.

ასევე, 2000-იან წლებში მსგავსი სიმპტომების დაავადებით გარდაიცვალა რუსეთის „დუმის“ დეპუტატი იური შჩეკოჩიხინი, დაპირისპირებული რუსეთის ხელისუფლებასთან და დღემდე ფიქრობენ, რომ ის მოკლეს უცნობი პრეპარატის ზემოქმედებით. გარეგნულად ჩანს რაღაც დაავადების კვალი, მაგრამ რეალურად ეს იყო ხელოვნურად სპეცსამსახურების ნამოქმედარი. აუცილებლად უნდა ვთქვათ ტელეპატიისა და ჰიპნოზის გამოყენების შესახებ, როგორც ადამიანზე ზემოქმედების საშუალებებზე.

**– ეს რეალობაა?**

– როგორც წესი, საიდუმლო ინფორმაცია იხსნება 50-60 წლის შემდეგ, როდესაც აღარ წარმოადგენს საიდუმლოებას და გასული საუკუნის 90-იან წლებში გახსნილი არქივებიდან ირკვევა, რომ ცენტრალურ სადაზვერვო სისტემაში ფინანსდებოდა ასეთი კვლევები და მითითებულია იმ კონკრეტული მეცნიერების გვარები, რომლებიც ამაზე მუშაობდნენ. ერთი მხატვარიც იყო, რომელიც თავისი სპეციალობით იყო ჩართული პროგრამაში, გვარად – სვანი და ატარებდა ცდებს. შეერთებული შტატები რაციონალური ქვეყანაა და ასეთი სერიოზული სტრუქტურა თანხას არ გადაყრიდა. რაღაც კვლევები ამ მიმართულებით საბჭოთა კავშირშიც მიმდინარეობდა, თუმცა დღესაც გასაიდუმლოებულია და არ გამოვრიცხავ, რომ ამჟამადაც მიმდინარეობდეს. მაგალითად, გასული საუკუნის 80-იან წლებში მანილაში გაიმართა ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტური, საბჭოთა კავშირს წარმოადგენდა ანატოლი კარპოვი, მისი მეტოქე კი იყო ყოფილი საბჭოთა მოქალაქე, რომელმაც ემიგრაციაში არჩია დარჩენა ვიქტორ კორჩნოი. და კორჩნოი თავისი დამარცხების მიზეზად სწორედ ჰიპნოზს ასახელებდა. ის ამტკიცებდა, რომ დარბაზში იყო რამდენიმე ადამიანი, საბჭოთა დელეგაციის წევრები, რომლებიც ჰიპნოზის საშუალებით არ აძლევდნენ მას სწორი გადაწყვეტილების მიღების საშუალებას.

**– ეს მაინც მისტიკა არ არის?**

– მისტიკა არ არის, იმიტომ რომ, ჰიპნოზი არსებობს, თუმცა ყველა ადამიანზე არ მოქმედებს. და ბოლოს, ყველაზე გავრცელებული ტექნოლოგიური სიახლე და გლობალიზაციის მთავარი მონაპოვარი – ინტერნეტი, ამჟამად არის აშკარა ზემოქმედების საშუალება და ელექტრონული ქსელი სპეცსამსახურების მიერ გამოიყენება არა მხოლოდ ინფორმაციის შესაგროვებლად, არამედ – ზემოქმედებისთვისაც. სოციალური ქსელები არის სწორედ ინფორმაციის უდიდესი წყარო და სპეციალური პროგრამები პირდაპირ მუშაობს ამაზე, სურათით ავტომატურად მიგითითებს პიროვნების სახელსა და გვარს, მეგობრების სიას, კარიერულ გზას. ეს ყველაზე მარტივია და რა თქმა უნდა, სპეცსამსახურებს დამუშავებული აქვთ უფრო საფუძვლიანი და რთული პროგრამები. მით უმეტეს, ჩვენ ხშირად მეტად გულახდილები ვართ სოციალურ ქსელებში და მახსოვს, რომ წინა ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი ამაყობდა, რომ „ოდნოკლასნიკებში“ იყო. გვინდა თუ არა, ყველა საჯარო მოხელეზე გროვდება ინფორმაცია და მის საქმიანობას თვალყურს ადევნებენ. ეს ფაქტია, იმიტომ რომ, ესაა სპეცსამსახურების საქმე; ამ დროს კი ქართველი ჩინოვნიკები სოციალურ ქსელებში დებენ საოჯახო ფოტოებს, აზიარებენ თავიანთ სიხარულსა თუ სიახლეებს.

რაც შეეხება ერთ-ერთ მთავარს: ფორუმები და სოციალური ქსელები უკვე აშკარად იქცა სასურველი საგარეო თუ საშინაო პოლიტიკის გასატარებლად ნიადაგის მოსინჯვის ადგილად.

**– დეზინფორმაციის გავრცელების ძალიან საინტერესო მეთოდია, როდესაც ვრცელდება ვითომ მასალა, ჩანს სათაური, რომელიც იკითხება და გვამცნობს მეორედ მოსვლას, არადა, რეალურად, ასეთი მასალა არ არსებობს, სათაურის ქვეშ მითითებული ლინკი არ იხსნება; გათვალისწინებულია ქართული ხასიათი, როდესაც კითხულობენ მხოლოდ სათაურს და ისე გამოა-**

# რა ქონება დააგროვეს გიორგი კარბელაშვილმა და მისმა მეუღლემ ოჯახის უფროსის ჩინოვნიკური კარიერის 16 წლის განმავლობაში

ან ხალხის რჩეული, ანუ საქართველოს მერვე მოწვევის პარლამენტის წევრი, საარჩევნო პარტიული სიით „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან," გიორგი კარბელაშვილი 1962 წელსაა დაბადებული. უმაღლესი განათლება საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მიუღია და კვალიფიკაციით – ელექტროკავშირგაბმულობის ინჟინერია, მისი სპეციალობა კი მრავალარხიანი ელექტროკავშირგაბმულობაა.

ბ-ნი კარბელაშვილის სამუშაო ბიოგრაფია 1979 წელს დაწყებულა ტელერადიოკომიტეტის ელექტრომექანიკოსად, 1980 წელს თბილისის სატელეფონო კვანძის ელექტრომექანიკოსად გადაუნაცვლებია, 1983-დან 1990-მდე კი რადიოფიკაციის რესპუბლიკურ კვანძში მუშაობდა, ჯერ ელექტრომექანიკოსად, შემდეგ – ინჟინრად, ბოლოს კი – უფროს ინჟინრად. იმას გარდა, რომ 1986-1988 წლებში სამხედრო-სავალდებულო სამსახურიც მოუხდია, 1990 წელს საქართველოს კავშირგაბმულობის სამინისტროს ელკავშირგაბმულობის ინსპექციის უფროსი გამხდარა, 1992-ში ფრანგულ-რუსული ერთობლივი ფირმის ტექნიკური კონსულტანტი, 1996-ში კი – შპს „ტელეცენტრის" გენდირექტორის მოადგილე. ხოლო 1998 წელს საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის მინისტრის მოადგილემდე დაწინაურებულა. 2000 წელს საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის მოადგილედ დაუნიშნავთ, 2002-2004 წლებში კი თბილისის მერიაში პრემიერის მოადგილედ მუშაობდა; 2004-დან 2012 წლამდე „საქაერონავიგაციის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეობდა. ამის პარალელურად, 2008 წელს ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილე იყო, 2009 წელს – რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე, 2011-2012 წლებში – „ტრასეკას" სამთავრობოთშორისი კომისიის ეროვნული მდივანი საქართველოში. 2012 წელს კი საქართველოს პარლამენტის წევრიც გახდა.



რაკი ხანგრძლივი ჩინოვნიკური გზა განვლო, რასაც, თუ გასულ კვირას მომხდარი ინციდენტით ვიმსჯელებთ, მის საჯარო მოქმედებებზე ხარისხობრივი კვალი მაინცდამაინც ვერ დაუმჩნევია, დეკლარაციაც არაერთხელ შეუვსია. მის მიერ პირველად შევსებული დეკლარაცია 1998 წლით თარიღდება, რომელიც მან კავშირგაბმულობისა და ფოსტის მინისტრის მოადგილის ამპლუაში შეავსო და ოჯახის წევრებად მიუთითა მეუღლე, 1967 წელს დაბადებული ეკატერინე პაპავა, ქალიშვილი – იავნანა და მშობლები. იმხანად ოჯახის ერთადერთი უძრავი ქონება საცხოვრებელი სახლი, 40 000 ლარად ღირებული, ეკუთვნოდა მამამისს, ანდრე კარბელაშვილს. მასვე ჰქონდა დეკლარაციის შევსების მომენტში ნაღდი ფული – 7 000 აშშ დოლარი და ის ეწეოდა სამეწარმეო საქმინობასაც – იყო შპს „რადიოცენტრის" კონსულტანტი. რაც შეეხება შემოსავლებს: 1998 წლის განმავლობაში ბ-ნ კარბელაშვილს, როგორც მინისტრის მოადგილეს, ხელფასის სახით, 2 330 ლარი აუღია.

ბ-ნი კარბელაშვილის მიერ ბოლოს შევსებული დეკლარაცია 2015 წლით თარიღდება, რაც საშუალებას გვაძლევს, შევაფასოთ, თუ როგორ აისახა მის ქონებრივ მდგომარეობაზე სახელმწიფო სამსახურის 16-წლიანი პერიოდი. ბოლო დეკლარაციაში ოჯახის წევრებად ის მიუთითებს მეუღლეს და ორ შვილს, 1996 წელს დაბადებულ იავნანასა და 2001 წელს დაბადებულ ანდრიას. რაც შეეხება უძრავ ქონებას: გიორგი კარბელაშვილის საკუთრებაა ბინა თბილისში, კეკელიძის ქუჩაზე (100 კვ. მ.) და მიწის ნაკვეთი ყვარელში (1 840 კვ.მ.); ეკატერინე პაპავას კი ეკუთვნის: მიწის ნაკვეთი ქვიშხეთში (1 535 კვ.მ.) და იქვე მდებარე საცხოვრებელი სახლი (174 კვ.მ.), ასევე, ბინა თბილისში, ფალიაშვილის ქუჩაზე (193 კვ.მ.), არასაცხოვრებელი ფართი თბილისში, აბანოს ქუჩაზე (34 კვ.მ.) და კიდევ ერთი ბინა თბილისში, ნუცუბიძის ქუჩაზე (48კვ.მ.). გიორგი კარბელაშვილს ჰყავს მსუბუქი ავტომანქანა – 1949 წლის „პობედა", ეკატერინე პაპავას კი აქვს 10 000 ლარზე ძვირად ღირებული ორი ფერწერული ტილო – ედმუნდ კალანდაძისა და ლადო გუდიაშვილისა.

ეკატერინე პაპავა „რესპუბლიკა ბანკში" გახსნილ ანაბარზე 10 000 აშშ დოლარს ინახავს და თუმცა დაუსაქმებელია, მიმდინარე ანგარიშებზე დეკლარაციის შევსების მომენტში ერიცხებოდა: 24 786 ლარი, 647 აშშ დოლარი და 3 190 ევრო. გიორგი კარბელაშვილს კი ავსტრიის ბანკის მიმდინარე ანგარიშზე – 2 000 ევრო. ოჯახში მხოლოდ ოჯახის უფროსია დასაქმებული და 2014 წლის განმავლობაში ბ-ნმა კარბელაშვილმა, როგორც პარლამენტის წევრმა, 53 300 ლარი აიღო. თუმცა ეკატერინე პაპავამ შემოსავალი მიიღო ფართის გაქირავებით – 13 000 აშშ დოლარი. გასულ წელს ბ-ნ კარბელაშვილს ქალიშვილის სწავლის საფასური 5 800 ლარი დაუჯდა, ვაჟიშვილის – 5 000 ევრო.

**ნინო ხაჩიძე**

---

**ქვთ დასკვნა. ერთია, რომ იჯერებენ ამ დეზინფორმაციას და, მეორე, რომ ამ არარსებულ ამბავზე ბჭობენ.**

– ჩვენ ჩვენი ემოციების გამო საკმაოდ მარტივად წამოვეგებით ხოლმე ასეთ შემოგდებულ სატყუარას და ეს რეალურად ხდება საზოგადოებრივი აზრისთვის პუტინისტური რუსეთის უფრო ნათელ ფერებში დასახატავად და დასავლეთის უფრო მუქ ფერებში წარმოსაჩენად. ესეც ურთულებს ჩვენს პეცსამსახურებს საქმიანობას.

**– ამას გარდა, თითქოს დასავლეთის მხარდაჭერის მიზნით, ისეთი ინფო ვრცელდება, რაც, რეალურად, დასავლეთის დისკრედიტაციაა.**

– ამ თემებზე რიგითი ადამიანები არ მუშაობენ, ამ თემებს ამუშავებს სპეცსამსახურები. რაც თქვენ ბრძანეთ: სპეციალურდ ისეთი სათაური შეირჩევა, რომ მაქსიმალურად დამაჯერებლად იყოს დეზინფორმაცია მიწოდებული და დამუშავებულია მეთოდი, თავად როგორ მართონ ეს პროცესი. ცნობილია, რომ არსებობს დეზინფორმაციის სამსახური. როგორც კი საბჭოთა კავშირი შეიქმნა, მეორე დღესვე შექმნეს ჩეკაში დეზინფორმაციის სამსახური, ასეთი იყო სტალინისა და ლენინის მოთხოვნა, რომ გარეთ და შიგნით ემართათ საზოგადოებრივი აზრი, ისე, როგორც მათთვის იყო ხელსაყრელი. იმავეს აკეთებს დღეს რუსეთი და, თუნდაც, ინფორმაციაში 10 პროცენტი იყოს მართალი და 90 პროცენტი – ტყუილი, ისეთი ოსტატობითაა შედგენილი დეზინფორმაციული ხაფანგი, რომ, სამწუხაროდ, ძალიან ბევრისთვის მისაღები ხდება. მაგრამ აქ არის ერთი მთავარი მომენტი: ბოლომდე უნდა ჩაყოლა იმ დეზინფორმაციას, რომელიც პოლიტიკოსებსა და საჯარო მოხელეებს ეხება. გახსოვთ, რომ 2013 წელს რამდენიმე ქართველ პოლიტიკოსზე, „ოცნების" წევრზე, გაჩნდა ინფორმაცია, რომ თითქოს ისინი თანამშრომლობდნენ „კუდთან" თუ „სოდთან". მაგრამ შემდეგ პროცესი გაჩერდა, ყველა მხარე, ვინც ამტკიცებდა და ვინც უარყოფდა, გაჩუმდა. გავიდა ორი წელი და ჩვენ ვერ გავიგეთ, ის გამოქვეყნებული ანკეტები და თანამშრომლობაზე ხელმოწერა რეალური იყო თუ შემოგდებული დეზინფორმაცია?! თვითონ დასახელებული პიროვნებები უნდა მიჰყვნენ ბოლომდე ყველა ამ საქმეს. თუმცა მე არ ვიცი, მიმართეს თუ არა მათ სასამართლოს და ხომ არ არის საქმე განხილვის პროცესში.

**– არა, არ მიუმართავთ.**

– დეზინფორმაცია ძალიან დიდი სისწრაფით ვრცელდება ინტერნეტით, ინტერნეტგამოცემებითაც და სოციალური ქსელებითაც. სოციალურ ქსელებს დიდი მუხტის შეტანა შეუძლია საზოგადოებაში და არაბული რევოლუციების მამოძრავებელი ძალა, განსაკუთრებით, ეგვიპტესა და ტუნისში, სწორედ სოციალური ქსელები იყო. ასე რომ, ინტერნეტი დღეს უკვე არის იარაღი, მაგრამ გააჩნია, მას როგორ გამოიყენებს ხელისუფლება და ხალხი, თავის დასაცავად და საკუთარი იდეების გასავრცელებლად თუ სხვისი გავლენის ქვეშ მოექცევა. სამწუხაროდ, ჩვენი პეცსამსახურები დღეს ძალიან პასიურობენ. აქვთ რამდენიმე საიტი და იმის იმედზე არიან, რომ ამით მოახდენენ საზოგადოებრივი აზრის ინფორმირებას, მაგრამ მათი ოსტატობის დონეც დაბალია და შედეგიც – არცთუ სახარბიელო.

**– მაგრამ სოციალურ ქსელს ის უპირატესობა აქვს, რომ რაოდენობა არ არის გადამწყვეტი. მთავარი ხარისხი და მოხერხებულობაა. ანუ მრავალრიცხოვნობა არ არის რუსული სპეცსამსახურის უპირობო უპირატესობა. რატომ ვერ ვუწევთ ჯეროვან წინააღმდეგობას?**

– სულ სხვადასხვა კატეგორიებია რუსეთისა და საქართველოს სპეცსამსახურები თავისი ადამიანური რესურსით და ფინანსური თუ ტექნიკური საშუალებებით, როგორც კოლო და სპილო. ამას გარდა, კიდევ რამდენიმე ობიექტური ფაქტორია: რუსეთის სპეცსამსახურებმა მემკვიდრეობით მიიღო საბჭოთა კავშირის სპეცსამსახურების გამოცდილება, ტექნოლოგიები, ინტელექტუალური ბაზა. რუსულ სპეცსამსახურებს აქვთ თავიანთი კვლევითი ინსტიტუტები და მუშაობენ ფსიქოტიპების შესწავლაზე, არა მარტო პიროვნულ, არამედ ეროვნულ და ეთნოსურ დონეზე. შეისწავლიან მენტალურ თუ რელიგიურ ხასიათს. ეს მონაცემები მუშავდება. ასევე, მათ გაცილებით მეტი დაფინანსება აქვთ და მეტი პატივისცემაც თავიანთ საზოგადოებაში. ჩვენ ბოლო 25 წელია, ვითომ დამოუკიდებლები ვართ, მაგრამ ვერ მოხერხდა, რომ შეიქმნას ეროვნული სპეცსამსახური და ეროვნული იდეოლოგია, რომ საზოგადოების ნაწილს კი არ ეშინოდეს თავისი ეროვნული სპეცსამსახურის, პირიქით, მისი დამხმარე უნდა იყოს. მით უმეტეს, აი, ამ გასაჭირის პერიოდში, როდესაც შემოტევების ეპიცენტრში ვართ და არა მარტო ჩრდილოეთიდან: დასავლეთიდან, სამხრეთიდან, აღმოსავლეთიდან.

**ნინო ხაჩიძე**


ნდობის ტელეფონი

0902200200

SMS – 93094



დარეკვა შეგიძლიათ ნებისმიერი ქსელიდან

ზარი ფასიანია

# როგორ მოხვდა ალეკო ელისაშვილი ჰარამხანაში და რა შარში გაყო მან თავი

*ალეკო ელისაშვილი აგვისტოს ცხელ დღეებს თბილისში ატარებს – საკრებულოს სხდომების გამო, ხანმოკლე არდადეგები თვის ბოლოსთვის გადადო, როცა ყველაზე საყვარელი და ძველი გატაცებისთვის მოიცლის. მისი ყველაზე დიდი ნეტარება, მთაში „გაქრაა". თუმცა ამ მხრივ მისი მიზნები უფრო შორსაც მიდის – სამარყანდში თემურ ლენგის ნაკვალევი აქვს სანახავი. სანამ სამარყანდში მოხვდება, იქამდე თბილისთან დაკავშირებული ბევრი საქმე და გეგმა აქვს, რაზედაც საკრებულოს ხმაურიანი დეპუტატი, როგორც სჩვევია, საუბარს არასდროს გაურბის.*

**ალეკო ელისაშვილი:** ჯერჯერობით თბილისში ვარ, ჩემი არდადეგები არ დაწყებულა. ვართ თბილისში და ვმუშაობთ აგვისტოს სითბოში. აგვისტოს მეორე ნახევარში, გვპირდებიან დასვენებას, ვნახოთ, რა იქნება. აქ მე არ ვილებ გადაწყვეტილებებს. შაბათ-კვირას მანგლისში მივდივარ. ბავშვები იქ არიან, მე და ჩემი მეუღლე აქეთ ვართ „დაბანაკებული" *(იცინის).*



მიზიდავს ის ქვეყნები, სადაც ჩვენი ქვეყნის ბედი წყდებოდა

**– სამაგიეროდ, ცოტა ხნის წინ გქონდა ამერიკული არდადეგები.**

– ზოგს კი ჰგონია ის დღეები, რაც ამერიკაში გავატარე არდადეგები, სინამდვილეში, ძალიან კარგი 22-დღიანი სასწავლო პროგრამა იყო – ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ორგანიზებული კურსი ქალაქების მდგრად განვითარებასა და გარემოს დაცვით საკითხებზე. ხუთ ქალაქში მოგვიწია მუშაობა ისეთ საკითხებზე, რაც ჩემთვის საინტერესოა. პირველად ვიყავი ამერიკაში და იმედია, უკანასკნელად. ევროპაში ბევრჯერ ვარ ნამყოფი, ამერიკაში აქამდე რომ ვერ მოვხვდი, ეტყობა, ზოდიაქო მიშლიდა ხელს *(იცინის).*

**– რატომ უკანასკნელად? არ მოგეწონა ამერიკული ვოიაჟი?**

– ძალიანაც მომეწონა, თუმცა ეს არაა ქვეყანა, სადაც ვიცხოვრებდი. ისედაც ვერსად ვძლებ, მაგრამ ამერიკაში, მით უფრო... ძალიან კაპიტალისტური ქვეყანაა, თუმცა მაინც კარგი შთაბეჭდილებებით დავბრუნდი. ვნახე საოცარი, საინტერესო მუზეუმები. მომეწონა ამერიკელების წესი – წინასწარ მსჯელობა ყველაფერზე. ჩვენთან ხომ პირიქითაა, ჯერ გადაწყვეტილებები მიიღება, მერე იწყება ჩხუბი და დავიდარაბა. კიდევ მომეწონა ისიც, რომ სადაც არ უნდა შეხვიდე, ნებისმიერ ოფისში, სახლში, გამარჯობის თქმის შემდეგ, ტუალეტისკენ მიგითითებენ. ეს ძალიან კარგია. ჩვენთან ხომ სირცხვილია, საპირფარეშო იკითხო. სანამ არ გადაფიჩინდები და ცრემლები არ წამოგივა, შენც გერიდება ჰკითხო მასპინძელს, სად აქვს ტუალეტი. იმას ხომ საერთოდ არ აფიქრებს ეს. შესაძლოა, საიდანმე შერცხვენილი და თავმოჭრილი გამოხვიდე, რაც ამერიკაში არ მოხდება. აი, ეს ორი რამ ძალიან მომეწონა *(იცინის).* ჩემი ინტერესი უფრო აღმოსავლეთის ქვეყნებია – რამდენიმე ქვეყანაში, რაც მე მაინტერესებს, ახლა მტერი თუ წავა, თუმცა სულ მინდოდა, მენახა ირანი, ისრაელი. მაინტერესებს იორდანია, ცენტრალური აზია: უზბეკეთი. მე მიზიდავს ის ქვეყნები, სადაც ჩვენი ქვეყნის ბედი წყდებოდა. მაგალითად, ძალიან აღტაცებული ვიყავი, როცა პირველად მოვხვდი სტამბულში – დადიხარ, ნახულობ სულთნის სასახლეს, სადაც ვიღაც ტიპები შენი ქვეყნის ბედს წყვეტდნენ: აბა წავედით, სეირი ვაჩვენოთ გურჯისტანსო და მოდიოდნენ. ბევრი ვიგინე, როცა ჰარამხანაში მოვხვდი და გამახსენდა, რას უშვრებოდნენ ჩვენს ქალებს. მაინტერესებს სამარყანდი, სადაც ის მუდრეგი თემურ ლენგი იდგა, თუმცა სად იდგა? ნეტავ, მდგარიყო და არ ერბინა იმ ცხენით აღმა-დაღმა. მაინტერესებს, როგორ ჩანს საქართველო ისპაჰანიდან ან სამარყანდიდან. მაინტერესებს რა ემოციები გამიჩნდება იქ.

**– ალეკო, აქაურ ემოციებზე გკითხავ, პოლიტიკამ როგორ შეცვალა შენი ცხოვრება.**

– შეცვალა და საკმაოდ გაართულა. გაცილებით დაკავებული ვარ, ვიდრე ოდესმე ვყოფილვარ. უსაქმოდ არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ ახლა ბევრი სამუშაო მაქვს. ბევრი პრობლემაა მოსაგვარებელი. თუ ვინმე აქტიურობას მიწუნებს, მოვიდეს დილით და საღამომდე მდიოს. ვნახავ, როგორ ხასიათზე დადგება და მერე რას იტყვის. საკრებულოს სხდომები, მოქალაქეებთან შეხვედრები, აქეთ-იქით სიარული, საპროტესტო აქციები – არ ვიცი, მეტი რაღა ვქნა? ამ ერთ წელიწადში გამიჩნდა უფრო მეტი მტერი, ვიდრე მყავდა. როგორც კი ქართული ოცნების კრიტიკა დავიწყე – აა, შენ ნაცებისკენ გადახვედიო, მითხრეს. მე ყოველთვის ვცდილობ, თუ რამეს ვსაუბრობ, ვისაუბრო არგუმენტებით. მით უფრო, ახლა ვარ გაფაციცებული – თითოეულ ჩემს სიტყვაზე დაკვირვება მჭირდება, იმიტომ რომ, ბევრი მყავს გადაკიდებული. მათ ერთი სული აქვთ, წავიფორხილო, რომ ფეხი დამიდონ. თავიდან ძალიან მიჭირდა ამ ხმების გამო, ნელ-ნელა მივეჩვიე. არ ვიცი, როგორ შეიცვალა საზოგადოების დამოკიდებულება ჩემ მიმართ. ვისაც არ ვუყვარდი, ალბათ ისევ არ ვუყვარვარ. მე როგორც დავდიოდი ფეხით, ისევ ისე დავდივარ. სანამ „პირიმზიდან" საკრებულომდე მოვიდოდი, ათმა კაცმა მაინც გამაჩერა.

**– ამ თემაზე საუბარს და მოწოდებას, საკრებულოს დეპუტატებმა ფეხით იარონო, ოპონენტები პოპულიზმად გითვლიან.**

– ჩამითვალონ, ბატონო! ვინც ამას ფიქრობს, გადაყარონ ნახევარ-ნახევარი მილიონი ლარი წყალში. მე ვარ პოპულისტი და თვითონ არიან კარგი ტიპები? ყოველ წელიწადს საკრებულო წყალში ყრის სულ მცირე ნახევარ მილიონ ლარს ბენზინში. რას აკეთებ ამის ფასს? ძალიან მდიდრები ვართ და თავზე გადაგვდის ფული? გაჩერებულია ქვეყანა. ეკონომიკის 2-პროცენტიანი ზრდა არაფერს ნიშნავს. ლარის კურსი მიდის და მიდის და ამ დროს შეხედავ მთავრობის, საკრებულოს, მერიის ბიუროკრატიას და ისეთი „ჯიპებით" გადაადგილდებიან, გეგონება, ამერიკის პრეზიდენტები არიან. აგერ ბატონო, ამერიკაში ყოფნის დროს, ნიუ-იორკის, ვაშინგტონის საკრებულოებში ვერაფრით გავაგებინე, რას ნიშნავდა ჩემი შეკითხვა: ბოდიში მომითხოვია და მანქანების ამბავზე როგორ ხართ-მეთქი? თარჯიმანი მოკვდა ამ შეკითხვის თარგმნით *(იცინის).* მათთვის გამაოგნებელი იყო, როცა იგებდნენ, რომ ჩვენთან საკრებულოში 50 კაცი მუშაობს. პორტლანდი არის ქალაქი ნახევარმილიონიანი მოსახლეობით, ბიუჯეტი აქვს სამი მილიარდ ექვსასი მილიონი და საკრებულოში ჰყავს 20 კაცი, თბილისს არ „ეყოფოდა" 20-კაციანი საკრებულო?! იქ მარტო მერს ემსახურება მანქანა, ისიც სამუშაო საათებში. სამსახურში რომ მივა, იქ ხვდება მანქანა, რომელსაც იქვე ტოვებს. „საღამოს რესტორანში წამიყვანე და ბავშვი ცეკვაზე გაიყვანე" – იქ ასეთი ამბები არ არის. ამიტომაც ვერ გაიგეს, რას ვეკითხებოდი *(იცინის).*

**– თავად არ გყავს ავტომობილი?**

– კი, მყავს. დიდ შარში გავყავი თავი. შვიდი წელი ქირით ვცხოვრობდი და ოთხი წლის წინ სახლისთვის კრედიტი ავიღე. ამას რემონტის კრედიტიც მოჰყვა, რომელიც როგორც იქნა, დავასრულე ოთხი წლის განმავლობაში. ჯანდაბა და დოზანა ჩემს თავს, გავბრიყვდი – მანქანისთვის ავიღე კრედიტი. ლარის კურსი ნორმალური იყო და „ჯიპი" ვიყიდე, 2001 წელს გამოშვებული „ნისან იქსტერაა". მამაჩემთან აყენია მანქანა, ვერ გასცდა იქაურობას. ჩამქრალი მანქანის გარეცხვით შემოირფაგლება ჩემი მანქანიანობა. საჭესთან ვერ ვჯდები, მართვის მოწმობა არ მაქვს. ამისთვის ვერ მოვიცალე – დროდადრო ვემზადები ხოლმე, მაგრამ მერე რაღაც გამოხტება და გამოცდაზე გასვლას ვერ ვახერხებ. ტარება ვიცი, ოღონდ ისე რა. ამას წინათ დავიტანჯე, ყველაფერი ჩავრთე, რომ მინის უკანა საწმენდი ჩამერთო *(იცინის)* ავიღე კრედიტი და კი ავარდა ლარის კურსი, გაძვირდა ჩემი კრედიტი. მთელი ხელფასი ბანკში მიმაქვს და ძირითადად, ჩემი ცოლის ხელფასს შევცაცინებთ.

**– ცოლის კისერზე ხარ?**

– ასე გამოდის. ჩემი მატერიალური მდგომარეობა გაუარესდა. როცა ვმუშაობდი „კავკასიაში" და შეწყალების კომისიაში, ორი ხელფასის გამო, ძალიან ნორმალური მდგომარეობა მქონდა. ახლა ორჯერ მეტს ვმუშაობ, მაგრამ ორჯერ ნაკლები ხელფასი მაქვს – ამათი არც დანამატი მინდა და არც პრემია. იციან, მე რომ არ უნდა გამომიწერონ და ამას საყვირლად გავხდი. ვიღაც უსინდისოები ჩემზე რაღაცეებს კი ლაპარაკობენ, რომ ნაციონალებისგან რაღაც ავიღე, მაგრამ ეს მათ სინდისზე იყოს. მივიყვან ჩემი ბანკის კრედიტოფიცერთან, რომელიც ეტყვის, სულ რომ მიგვიანდება გადახდა და მას ჩახედონ თვალებში. ამას ისეთი ადამიანები ამბობენ, ცხრა წელი ჩირგვებში რომ ისხდნენ და ხმას ვერ იღებდნენ. წაქცეულები და გაბანძებულები რომ არიან ნაციონალები, ახლა მათი ლანძღვა და ბრძოლვნა იოლია. აქამდე სად იყვნენ. მე რა გიჟი კი არ ვიყავი, „კავკასიაში" რომ ვყვიროდი – ძალიანაც მეშინოდა, მაგრამ უკან არ ვიხევდი. არანაირი გარანტია არ მქონდა, რომ არაფერი დამემართებოდა. ამ ხმებს უკვე

(გაგრძელება 13-ე გვერდზე)

## დასაქმება

**მესაჭიროება თანაშემწე საოფისე საქმიანობისთვის. საჭიროა რუსულის ცოდნა. ანაზღაურება – მზარდი. გრაფიკი – თავისუფალი. წარმატებული მუშაობის შემთხვევაში – სოლიდური ბონუსები.**

ტელ.: **555-53-43-38. თამრიკო**

**ანაკლიაში ხმაურიანი GEM Fest დასრულდა და გიორგი სიგუამ პატარ-პატარა სკანდალების გარეშე ვერც ამ ფესტივალს დააღწია თავი. თუმცა, ფიქრობს, რომ ფესტივალი იმაზე კარგი გამოვიდა, ვიდრე ჩაფიქრებული იყო და არც ის ხმები აშინებს, რაც საქართველოში ჩამოსვლის დღიდან დაებედა. ტურიზმის დეპარტამენტის ყოფილ შეფს, რომელიც გასულ წელს ხმაურით წავიდა პოსტიდან, ანაკლიის ფესტივალის წარმატების შემდეგ, ახალი გეგმები აქვს, რასაც ის ძველ ისტორიებთან ერთად გვიმხელს ანაკლიიდან.**

# რაში გაშიფრა გიორგი სიგუამ „ბარიგები" და რატომ დაახვედრა მან ანაკლიაში შამპანურის ზღვა ნანუკა ჟორჟოლიანს

**გიორგი სიგუა:** ძალიან კარგი ფესტივალი გამოვიდა, იმაზე კარგი, ვიდრე გვქონდა დაგეგმილი. GEM Fest ჩაფიქრებული იყო როგორც მულტიფორმატული, ინტერნაციონალური ფესტივალი, რომელიც გამორჩეული გამოვიდა როგორც საინტერესო და მრავალრიცხოვანი სტუმრების თვალსაზრისით, ისე საორგანიზაციო მიმართულებით – არაჩვეულებრივი გარემო, გამართული ინფრასტრუქტურა, მუსიკალური პროგრამა, სცენური ტექნოლოგიები, ვიზუალური ეფექტები. ანაკლია მსოფლიო ვარსკვლავების თავშეყრის ადგილად იქცა, 120-ზე მეტი არტისტი იყო ჩამოსული მთელი მსოფლიოდან. ერთად თავშეყრილი ამდენი ვარსკვლავი, ალბათ, არსად ყოფილა, ჩვენ კი ეს მოვახერხეთ სამეგრელოს ორ პატარა სოფელში. სახლში წასვლა არავის აღარ უნდოდა. მოთხოვნა იმდენად დიდი იყო, დაგეგმილი ცხრა დღის ნაცვლად, ფესტივალი რამდენიმე დღით გაგრძელდა.



**ფესტივალზე მყავდა ოთხივე შვილი, დედ-მამა, ცოლი, „მოქმედი" და ყოფილი სიდედრები**

კიდევ მეტხანს გავაგრძელებდით, მაგრამ, ყველაფერი – სცენები, გახმოვანებისა და განათების აპარატურა დაქირავებული გვქონდა და ვადები ამოიწურა. ეს ინფრასტრუქტურა ჩემი საკუთარი რომ ყოფილიყო, საერთოდ არ გავაჩერებდი ამ ფესტივალს. საბოლოო ჯამში, ამ დღეებში ანაკლიას ოცი ათასი სტუმარი ეწვია, ამერიკიდან და არგენტინიდანაც კი გვყავდა ხალხი. ევროპა გადავსებულია ფესტივალებით და ამის ნაკლებობა არ აქვთ. ჩვენს რეგიონში კი ასეთი ფესტივალები არ არსებობს. ჩვენ შევქმენით ტურისტული პროდუქტი, რომელიც მალე გახდება ჩვენი ქვეყნის ტურისტული მიმართულების სავიზიტო ბარათი. ფესტივალს ჰქონდა კარგი გამოხმაურება – იბიცაზე ვარ მიწვეული, სადაც არ იმართება გრანდიოზული ფესტივალები. მაგრამ, იქიდან გამომდინარე, რომ იბიცა არის მსოფლიო ელექტრონული მუსიკის „ბუდე", იქ ხშირია კონფერენციები, სხვადასხვა სახის ღონისძიება, სადაც ძალიან მალე მივდივარ, რათა გადმომცენ სპეციალური პრიზი.

**– შარშანდელი ღონისძიება, რომელსაც ბევრი ხმაური მოჰყვა, არაერთხელ შეადარეს იბიცას ამბებს. წელს არ იყო ანაკლიაში თავისუფალი სექსის და ნარკოტიკის „ბუდის" ბრალდებები?**

– ეს იყო კარგი მუსიკისა და გართობის ბუდე, მე ვერც სექსით შემაშინებს ვინმე და ვერც ვერაფრით. ეტყობა, მიხვდა ხალხი, რომ სექსი და ნარკოტიკი არ იყო პრიორიტეტი და, ალბათ, ჩვენც სწორად ვიმუშავეთ პრომოუშენზე. ამ ფესტივალებში ცუდი ხომ არაფერია და არ არსებობს საფრთხე. ვინც მე მიცნობს, იცის, რომ ნარკოტიკისგან შორს ვარ, ჩემი ცდუნება ამ მხრივ წარმოუდგენელია. სულ ამის მტკიცებაში ვარ: მითი იმის შესახებ, რომ, კარგად გართობა თუ გინდა, ნარკოტიკის გავლენის ქვეშ უნდა იყო – „ბარიგების" მოგონილი და გავრცელებულია. მთავარი ის იყო, რომ ამ ფესტივალმა ბევრი ადამიანი გაახარა, ყველა სტუმარი იყო ბედნიერი, ყველამ დაინახა, რომ ჩვენს ქვეყანას აქვს დიდი პოტენციალი; დავამტკიცეთ, რომ დამოუკიდებლადაც შეგვიძლია, ორგანიზება გავუკეთოთ მსოფლიო დონის ფესტივალს. საოცარი ისაა, რომ ჩვენ ეს ფესტივალი რეალურად ექვს კვირაში გავაკეთეთ: აშენდა, დამშვენდა აქაურობა, დაიჯავშნა ადგილები. სულ ერთი თვე გვქონდა მარკეტინგისთვის და ასეთ პატარა პერიოდში ასეთი დიდი მიღწევა, რაც ჩვენს ფესტივალს ჰქონდა, გადასარევი შედეგი იყო.

**– როგორც ჩანს, შარშან კაზანტიპის სკანდალურ ფესტივალზე „დაოსტატდით." როგორ დასრულდა თქვენი და კაზანტიპის რესპუბლიკის პრეზიდენტის – ნიკიტას დავა, რომელიც უკანმოუხედავად გაიქცა ანაკლიიდან?**

– ეს დავა არ ყოფილა, მე არ ვყოფილვარ იმ ღონისძიების ორგანიზატორი. ორგანიზატორი იყო ნიკიტა, მე სახელმწიფოსგან ჩართული პირი ვიყავი, რომელმაც ის მოიძია და ყველანაირად ცდილობდა ხელშეწყობას. ფესტივალიც ბიზნესია – ან ვალი დაგედება, რომელსაც გადახდა უნდა, ან ფულს იშოვი. ასე ხდება ნებისმიერ ბიზნესში, უცებ არ მოდის მოგება. ბიზნესი გრძელვადიან პერსპექტივაზე უნდა იყოს გათვლილი. კაზანტიპის შემდეგ მე ბევრ ფესტივალს დავესწარი და სულ ვცდილობდი, როგორც მენეჯერს მიმეღო გამოცდილება. მე სულ მინდოდა ასეთი ფესტივალის გაკეთება, მაგრამ არ მქონდა ფული. პროექტი ათ მილიონზე მეტი დაჯდა და ეს ფული საიდანლაც ხომ უნდა მომეტანა?! სასტარტო თანხა იყო კრედიტი, რომელიც ვალად გვაქვს აღებული.

**– ამაზე ითქვა, რომ ბიუჯეტიდან გქონდათ გამოყოფილი თანხები.**

**პროექტი ათ მილიონზე მეტი დაჯდა და ეს ფული საიდანღაც ხომ უნდა მომეტანა?!**

– ერთი თეთრი არ მოუცია ჩვენთვის ბიუჯეტს. სახელმწიფომ მხოლოდ ის გააკეთა, რაც მათ ევალებოდათ – ეს იყო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და უსაფრთოების უზრუნველყოფა. რაც მოგვცა უფასო საგზებლობისთვის, ეს იყო აკვაპარკი. სახელმწიფოს თანხები არაფერში არ წასულა, ეს იყო კომერციული პროექტი, რომელიც განახორციელა ჩემი და ჩემი მეგობრის კუთვნილმა კერძო კომპანიამ. ჩვენ მოვიზიდეთ საპონსორო თანხები კერძო კომპანიებიდან, 28 სპონსორი გვყავდა, წარმატებული კომპანიები, რომლებიც საკუთარი პროდუქციის რეკლამირებასა და რეალიზაციას ეწეოდნენ ადგილზე. ფესტივალის უდიდესი კაპიტალი კი მაინც ხალხი იყო.

**– ამ ფესტივალს უკმაყოფილო ხალხიც ჰყავდა და მათ შორის იყო ნანუკა ჟორჟოლიანი, რომელმაც ბევრი ბრალდება წამოგიყენათ.**

– ნანუკამ, ასე ვთქვათ, თავისი ტელევიზიის ამბავში წაიპროვოკატორა – შამპანური და ყავა ვერ ვიშოვეო, რომ თქვა, მიჰქონდა აქაურობა ყავასა და შამპანურს, სასმლით იყო ყველაფერი გაძეძგილი. დავასხი კიდეც ნანუკას თავზე ერთი ბოთლი შამპანიური იმის ნიშნად, რომ ვერ იშოვა. უბრალოდ, „რუსთავი 2" არ იმჩნევდა ამ ფესტივალს, ისე, როგორც არ იმჩნევენ ხოლმე არაფერ კარგს, რაც კი ხდება ქვეყანაში და, სულ ცდილობენ, ისე წარმოაჩინონ, თითქოს ყველაფერი ინგრევა. დადიოდნენ და ხალხს ეკითხებოდნენ, უკმაყოფილო რითი ხართო. ასე მოიქცა ნანუკაც, ეს იყო და ეს. ვუთხარი: მეც ჩამწერეთ, ყველაფერი, რასაც ხედავთ, ფოტოშოპია და




სინამდვილეში, ასე არ ხდება-მეთქი, მაგრამ, ამას გაუშვებდნენ?! ახლა ტელევიზიის ქონების დაყადაღების პრობლემები აქვთ და, არ მინდა, რამე ვთქვა, მაგრამ, ძალიან ცუდად და ბოროტულად მოიქცნენ.

**– ადრე „რუსთავი 2-თან" ცუდი ურთიერთობა არ გქონიათ, ყველას გვახსოვს თქვენი ცრემლები ამ ტელევიზიის პირდაპირ ეთერში, როცა ტურიზმის დეპარტამენტის ადმინისტრაციის პოსტიდან ხმაურით წახვედით.**

– მე ცუდი ურთიერთობა არავისთან მაქვს და არც ახლა ვუპირისპირდები ვინმეს; ბოლოს მე და ნანუკა შევრიგდით კიდეც და არც არაფერი მაქვს მასთან გასაყოფი. საბოლოოდ, მან მშვენიერი დრო გაატარა თავის ახლობლებთან ერთად. მე მესმის „რუსთავი 2-ის" – მათ უხარიათ, როცა კარგი ამბები ხდება ოდესის ოლქში.

**– იქაურ გუბერნატორთან თქვენც დიდი ეპოპეები გაკავშირებთ.**

– დიახ, იძულებული გამხადა, გავქცეულიყავი – გამაგდო ქვეყნიდან და რვა წელი ვიცხოვრე სხვაგან. ემიგრაციაში არ გამიტარებია იოლი წლები, თუმცა, ახლა ვხვდები, რომ ის ყველაფერი ძალიან გამომადგა.

**– რაც საქართველოში დაბრუნდით, სკანდალები არ გაკლიათ. როგორ ფიქ-**

(გაგრძელება 15-ე გვერდზე)

**„ამ გონებითა და ცნობიერებით რომ დამაბრუნა ზვიადის პერიოდში, ბევრ რამეს ალბათ სხვანირად გავაკეთებდი. რაც გამიკეთებია, ყველაფერზე ვფიქრობ, რომ მეტი შემეძლო. მისი გარდაცვალების მერე ჩემი ცხოვრება რადიკალურად შეიცვალა. ერთადერთი, არ შემიცვლია ცხოვრების კრედო, დანარჩენი, რაც მწამდა და როგორც მწამდა, ისე ვმოქმედებდი. რაც ის გარდაიცვალა, დავრწმუნდი, რომ სამყაროში საყრდენი მეტი აღარავინ მყავს და საკუთარ თავს უნდა დავეყრდნო,“ – ამბობს კოკო გამსახურდია. ვინც მას არ იცნობს, გეტყვით, რომ ძალიან უშუალო და თავისთავად, ძალიან საინტერესო მოსაუბრეა. ეს ყოველივე მისი ფეისბუქ-სტატუსებიდანაც კარგად ჩანს. ამჯერად მას პირად თემაზე ვესაუბრე და არა მგონია, ამგვარი ინტერვიუ, რომელიც, ჩემი აზრით, ზედმეტადაც კი გულახდილია, სადმე გენახათ.**

# სად ჰქონდა კოკო გამსახურდიას ფულის გათეთრების ოფისი და როგორ შექმნა მან „სამალიარო“ ჯგუფი

**– კოკო, ის ფაქტი რომ მშობლები ერთ ჭერქვეშ არ ცხოვრობდნენ, რამდენად მოქმედებდა თქვენზე, როგორი იყო თქვენი ოჯახის მორალური თუ მატერიალური მდგომარეობა?**

– პირველი ასეთი, შეიძლება ითქვას, ძალიან მძიმე და მტკივნეული პერიოდი იყო 1973 წელს, როდესაც ჩემი მშობლები ერთმანეთს დაშორდნენ. ხდება გაშორებები, მაგრამ უფრო იოლად, აქ კი, განსაკუთრებით ბევრი მომენტი თამაშობდა როლს. ამან, რა თქმა უნდა, ჩემს ბავშვობას მძიმე დაღი დაასვა. იმ დროს მამა უშიშროების კომიტეტმა სამსახურიდან გაათავისუფლა (ეს იყო დაჭერამდე) და მეც ვიგრძენი მათი მხრიდან ზეწოლა. ბავშვი ვიყავი, მაგრამ ვიგრძენი. დიდი კონსტანტინეს სიცოცხლეში, კაციშვილი გადაბრუნებულ სიტყვას ვერ მეუბნებოდა. როგორც კი გარდაიცვალა, დაიწყო ჩვენი ოჯახის დევნა. ზვიადი უკვე ღიად გამოაცხადეს მტრად, თუმცა იყვნენ ადამიანები, ვინც გარკვეულ მფარველობას გვიწევდნენ: ვიქტორია სირაძე, ნინა ჟვანია... ეს მფრაველობა რომ არა, სრულიად შესაძლებელი იყო ადამიანის გაქრობა. არაერთი დისიდენტის შვილი მოუკლავთ გაურკვეველ ვითარებაში – გაუჩინარებულა ან ფსიქიკურად შეშლილა, ისეთ რამეს უწყობდნენ.



**უნარშეზღუდულ ბავშვებთან ერთად ვიღებდი მოსავალს, ხილს და ბოსტნეულს – კარტოფილს, ჭარხალს, სტაფილოს, ბოლოკს და თვის ბოლოს რაღაც გარკვეულ თანხას გამოვიმუშავებდით**

კონსტანტინეს გრადაცვალების შემდეგ, ზვიადი მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აღმოჩნდა. მე არ მქონდა ის, რაც ჩემს თანატოლებს ჰქონდათ – ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, სასკოლო თუ სხვა ნივთები, რასაც ვერ ვიტყოდი კონსტანტინეს სიცოცხლეში. სამაგიეროდ, დაკავებული ვიყავი ჩემი განათლებით. უკვე 13 წლისას თავისუფლად შემეძლო წამეკითხა დაახლოებით ერთსაათიანი ლექცია საქართველოს ისტორიაზე, ქართულ თუ უცხოურ ლიტერატურაზე.

**– მაგრამ, ამ ასაკში მაინც შეუძლებელი იყო ლექციები წაგეკითხათ უნივერსიტეტში. შესაბამისად, ამ გზით ფულს ვერ გამოიმუშავებდით...**

– ალბათ არა, მაგრამ მაშინ ეს საკითხი ასე არ იდგა. საბჭოთა კავშირში იყო ასეთი წარმოდგენა: რომ დაამთავრებ უმაღლეს, დაიცავ ერთ დისერტაციას, მეორეს, გახდები პროფესორი და შემდეგ უკვე გექნებოდა ღირსეული შემოსავალი, რითაც იარსებებდი. მე ამასთან, ასაკობრივად შორს ვიყავი. იმისთვის, რომ აკადემიკოსი გავხმდარიყავი, სულ ცოტა 40 წლის მაინც უნდა ვყოფილიყავი. ჩვენს ოჯახში არასდროს ყოფილა სიმდიდრის კულტი. ჩვენს ოჯახში ყოველთვის იყო წიგნიერების და იდეალების მსახურების კულტი.

**– ეგუებოდით თქვენს სოციალურ მდგომარეობას თუ ამისთვის ეძებდით რაღაც გზებს?**

– მე ვერანაირ გზებს ვერ მოვნახავდი, არ შემეძლო მომეძებნა, რამდენადაც არაპრაქტიკული ვიყავი. ჩემ გვერდით იყვნენ ასეთი პრაქტიკული ადამიანები, რომლებისაც მე არ მესმოდა. მაგალითად, იყო ახალგაზრდა კაცი, რომელიც მეცხრე კლასიდან იარაღით ვაჭრობდა და ეს ძალიან მაკვირვებდა. თუმცა, ვერც იმას გეტყვით, რომ დიდად თავს ვიკლადვი დისერტაციის დაცვით. მე მყავდა მამინაცვალი, რომელიც ხანდახან მატერიალურად უზრუნველყოფდა ჩემს პროექტებს. ერთად ვცხოვრობდით ჩვენთან სახლში. ძალიან კეთილი ადამიანი იყო. მამაჩემს არ აძლევდა მატერიალური მდგომარეობა საშუალებას, რომ აქტიურად ჩარეულიყო ჩვენს ცხოვრებაში. რა თქმა უნდა, გვეხმარებოდა, თუმცა ისე, როგორც მას შეეძლო. დისიდენტობის პერიოდში, როგორც ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, 250 საბჭოურ რუბლზე ცხოვრობდა, რაც დღევანდელი ვალუტით 500-600 ლარია.

**– როდესაც მამა გახდა საქართველოს პრეზიდენტი, მოგეცათ იმედი, რომ თქვენი ცხოვრება საგრძნობლად შეიცვლებოდა? ცხადია იმას, ვერასდროს წარმოიდგენდით თუ მისი პრეზიდენტობა ასეთი ხანმოკლე აღმოჩნდებოდა და დასრულდებოდა ისე, როგორც ეს დასრულდა.**

– როდესაც ზვიადი პრეზიდენტი გახდა, მე ვცხოვრობდი გირაოთი მეუღლესთან და მცირეწლოვან შილთან ერთად. მოგეხსენებათ, მაგ დროს მხედრიონის ყველა წევრი არ იყო დაპატიმრებული და შემოთვალეს, რომ ისინი აპირებდნენ ჩვენს მძევლად აყვანას. მაშინ, ზვიადის განკარგულებით, ჩვენ დაგვენიშნა პირადი დაცვა. მაგრამ, ეს იყო ძალიან აუტანელი, შევწუხდი და მეუღლესთან ერთად წავედი შვეიცარიაში ორი თვით. ამის შემდეგ ჩვენ მოგვცეს სამოთახიანი ბინა. სხვათა შორის, ეს ბინაც დაგვამადლეს უკვე შევარდნაძის ხელისუფლების მოსვლის პერიოდში. დიდი ამბავი იყო ატეხილი ამ ბინაზე. თითქოს განკუთვნილი იყო იმ ადამიანისთვის, რომელიც უნდა გამოესახლებინათ გალაკტიონ ტაბიძის სახლ-მუზეუმიდან და თითქოს სახელმწიფომ მისთვის სხვა ბინა ვერ იშოვა. ამის შემდეგ დავტოვე საქართველო ცოლ-შვილთან ერთად. ჯიბეში ზუსტად ექვსასი ამერიკული დოლარი მედო. მე არა მგონია, რომელიმე პრეზიდენტის შვილი ამ თანხით წასულიყო ქვეყნიდან და იმ პირობებში ეცხოვრა, როგორშიც ჩვენ ვცხოვრობდით. შვეიცარიაში აღმოვჩნდი ლტოლვილის სტატუსტით. თუმცა, კარგა ხანს არ ვითხოვდი ლტოლვილის სტატუსს, რადგან იმედი მქონდა, რომ აქ ყველაფერი მოგვარდებოდა. შვეიცარიაში ვიყავი სახელმწიფოს მიერ აღიარებული ლტოლვილი და სახელმწიფოს მიერ აღიარებულ ლტოლვილს გარკვეული დახმარებები აქვს. თურმე, ძალიან ბევრი რამ მეკუთვნოდა, მაგრამ ეს არ ვიცოდი, მოგვიანებით გავიგე. ყველაფერს ვიხდიდით ჩვენ. მე ვიშოვე მაშინ იქ სამუშაო. ეს იყო მთარგმნელობითი პროექტები. რასაც ვიღებდი, ქირას იმით ვიხდიდი. მანამდე მეგობრებმა გადაგვიხადეს რამდენიმე თვე. ბუნებრივია, რაც მოხდა, ჩემთვის იყო საშინელი სტრესი და კულტურული შოკი. შოკია, როდესაც ამ სიტუაციიდან გადადიდხარ სრულიად უცხო გარემოში. მართალია ზვიად გამსახურდიას სახელი იქაც ძალიან მშველოდა, მაგრამ ეს მაინც დაკავშირებული იყო უდიდესს განცდებთან. პირველ ხანებში ვერაფრით შევეგუე იქაურობას და მთელი წელი გავატარე სადარბაზოში. საათობით ვიჯექი კიბეებზე და ვეწეოდი სიგარეტს. სახლში მოწევა ისედაც არ შეიძლებოდა. ზვიადი ახალდაბადებული იყო. შედარებით დალაგდა სიტუაცია, როდესაც გარკვეულწილად მოვახერხე ინტეგრაცია იქაურ პირობებში. ენა ისედაც ვიცოდი. როგორც მეცნიერს მჭირდებოდა სხვადასხვა ევროპულ ენაზე წიგნების წაკითხვა, თუმცა პრაქტიკულად, ენა იქ დავხვეწე. ამავე დროს გავიჩინე არაერთი მეგობარი. მოვახერხე ის, რომ უკვე მქონდა საკუთარი შემოსავალი საკმაოდ მაღალი, აქაური ეკვივალენტით 800-900 დოლარი. ამას ყველაფერს წლები დასჭირდა. შვეიცარიაში ვიყავი 14 წელიწადი... ზვიად გამსახურდია, ალბათ, გინესის წიგნში შევა, როგორც მსოფლიოში ერთადერთი ულარიბესი პრეზიდენტი. მიამიტი ვიყავი. მეგონა, ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება არ შეირყევა რამდენადაც სიმართლეზე დგას-მეთქი. თურმე სულ სხვაგვარად ყოფილა საქმე.

**– იყო ისეთი მომენტები თქვენს ცხოვრებაში, როდესაც მოგიწიათ ფიქრი, რადიკალურად შეგეცვალათ გეზი, გემუშავათ ისეთ რამეზე, რაც კარგ ფინანსურ სარგებლობას მოგიტანდათ თქვენ და თქვენს ოჯახს?**

– მე მორწმუნე ვარ და მწამდა, რომ ღმერთი ყოველთვის გამოაჩენს იმდენს, რამდენიც შენ გჭირდება. როდესაც არ მქონდა სამუშაო, ვმუშაობდი ნათესებზე უნარშეზღუდულ ბავშვთა დაწესებულებისთვის. ანუ, უნარშეზღუდულ ბავშვებთან ერთად ვიღებდი მოსავალს, ხილს და ბოსტნეულს – კარტოფილს, ჭარხალს, სტაფილოს, ბოლოკს და თვის ბოლოს რაღაც გარკვეულ თანხას გამოვიმუშავებდით. ასევე, ვმუშაობდი თარჯიმნად პოლიციაში, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, საავადმყოფოში – მაგალითად, ადამიანი მძიმე მდგომარებოაშია რუსულ ან სხვა უცხოენოვანი და ესაჭიროება თარჯიმანი სასამართლოში, ლტოლვილთა უწყებაში. სხვა, ფიზიკურად მძიმე სამუშაოს ვერ გავუძლებდი, ჩემი ჯანმრთელობიდან გამომდინარე.

**– თუმცა, მე ვიცი, რომ სულ რაღაც**

**ორი წლის წინ თქვენ რამდენიმეკაციან ბრიგადასთან ერთად, სარემონტო-სამღებრო სამუშაოებს ატარებდით ტექნიკური უნივერისიტეტის ერთ-ერთ კორპუსში. ვინც დაგინახავდათ, ალბათ, მისთვის სრული შოკი იქნებოდა. თუმცა, მე პირადად, ამაში სათაკილოს ვერაფერს ვხედავ.**

– ჩვენ დავაარსეთ ფირმა „გონიო 2013“, ტენდერში მოვიგეთ, რომელიც სარემონტო-„სამალიარო” სამუშაოებს ასრულებდა იგივე ტექნიკურ უნივერსიტეტში, რაც თქვენ ახსენეთ. ეს იყო სულ რაღაც ნახევარი წელი. მქონდა ძალიან მცირე სასტარტო კაპიტალი, სულ რამდენიმე ათასი ლარი და ამით დავიწყე. მერე ეს თანხა ამოვიღე კიდეც. შემდეგ ფირმა მმართველობაში გადაეცა ერთ-ერთ თანადამაარსებელს, ლაშა თამაზაშვილს. სულ ეს იყო.

**– შვეიცარიაში როგორ მიდიოდა თქვენი ცხოვრება?**

– შვეიცარიაში ვკითხულობდი ლექციებს, მაგრამ მუდმივი პროფესურა მე იქ არ მქონდა. ამას სჭირდებოდა თანხები, რაც მე არ მქონდა. დაახლოებით სამი წლის განმავლობაში მე უნდა მომეხდინა ჩემი დისერტაციის ერთგვარი აბდეიტი, მორგება იქაურ სტანდარტებზე. ამის შემდეგ შესაძლებელი იქნებოდა, სადმე მიმეღო რამე ადგილი, მაგრამ სამი წელი რა უნდა მექნა? ამისთვის სადმე უნდა მემუშავა. მე ეს ვერ შევძელი, ვერ გავუძლებდი ასეთ დატვირთვას – თან მოვმზადებულიყავი დოქტურანტურაში და თან მემუშავა. ასლან აბაშიძეს წერილი გავუგზავნე თხოვნით, დამხარებაზე, მაგრამ პასუხი არ მიმიღია. ეს წერილი სხვათა შორის, გაატანეს გიორგი თარგამაძეს. მე ასევე, წერილი გავუგაზვანე მოსკოვში, მაშინ საქართველოსთვის უცნობ მილიარდერს ბიძინა ივანიშვილს, მაგრამ არც მისგან მიმიღია პასუხი. ამ წერილში ჩემი სადისერტაციაო პროექტი იყო აღწერილი და თხოვნა – თუ იყო შესაძლებელი გარკვეული სტიპენდიის დანიშვნა. ვერც შვეიცარიული არხებიდან მივიღე ეს სტიპენდია. ამიტომ, მე მომიწია თავაუღებელი მუშაობა. იმდენად დაღლილი მივდიოდი სახლში, რომ წიგნის წაკითხვის თავიც არ მქონდა. ვიწექი და ტელევიზორს ვუყურებდი, მეტი მე არაფრის თავი არ მქონდა. ზოგიერთს ეგონა, და ახლაც ჰგონია, შვეიცარიაში ცხოვრება ადვილია, რომ ხეებს ფოთლების ნაცვლად, ევროები ასხია.

ერთხელ ერთ-ერთ ცნობილ ვულგარულ გაზეთში ჩემზე დიდი სტატია დაიბეჭდა, რომელსაც ასეთი სათაური ჰქონდა – „ხანჯალი, ჰალსტუხი და ნაქსოვი პულოვერი”. იგულისმებოდა, რომ ბაბუამისს ეკეთა ხანჯალი, მამამისს – საპრეზიდენტო ჰალსტუხი, თავად კი აცვია ნაქსოვი პულოვერი და ასე ხვდება ჟურნალისტსო. რა თქმა უნდა, რაღაც ირონია იყო ამ სტატიაში, თუმცა ძირითადად – პოზიტიური. ამის შემდეგ, მე მთხოვა შეხვედრა ჰოფმან ლაროშმა, ცნობილი ფარმაცევტული გიგანტის ერთ-ერთმა დირექტორმა. ეს კაცი ფიქრობდა ჩემთვის სამუშაოს შემოთავაზებას, სულ ორჯერ შევხვდით ერთმანეთს. თუმცა, მერე აღარ გამოჩენილა. სხვათა შორის, მეორე გვერდზე იყო სოფი ლორენის დისშვილისა დ მუსოლინის შვილიშვილის, ალექსანდრა მუსოლინის დიდი ფოტო და სტატია. ეს ალბათ შეგნებულად გააკეთეს, რადგან ეს იყო მემარცხენეებისა და ლიბერალების გაზეთი.

**– მეუღლეს დაშორდით. რა ფაქტორებმა ითამაშა აქ როლი?**

– როდესაც საქართველოში დავბრუნდი, თავისთავად არჩევანიც გავაკეთე და ამას მოჰყვა ჩემი ოჯახის დანგრევა. მიზეზი იყო ჩემი ხელმოკლეობაც. ბუნებრივია, მე ვერ უზრუნველვყოფდი ოჯახს. მიუხედავად იმისა, რომ არაერთი სიბინძურე გაავრცელეს ჩემზე: თითქოს ხან ვის გამოვართვი თანხა და ხან – ვის; თითქოს ჩემი ოფისი ფულის გათეთრების ოფისი იყო. როცა შვეიცარიაში ვმუშაობდი, მხოლოდ იმას ვახერხებდი, რომ იქაური ხარჯები გადამეფარა. მაგრამ, საქართველოდან ეს უკვე შეუძლებელი იყო. როგორც უკვე აღვინიშნე დასაწყისში, იქ მქონდა სამუშაო, მაგრამ ეს სამუშაო დაიკარგა მას შემდეგ, რაც საქართველოში გადმოვედი. უკვე გრძნობაც გაცივდა და... 23-ე წელზე ჩვენი ოჯახი დაინგრა.

**– როგორ აპირებთ ცხოვრების გაგრძელებას, ვისთან ერთად?**

– მთელი თბილისის მამაკაცები თუ ქალბატონები, ყველა ვიღაცას ხვდება და რატომ არის ასეთი განსაკუთრებული ეს ჩემს შემთხვევაში? იმედია, გამოჩნდება ადამიანი, ვისთან ერთადაც გავაგრძელებ ცხოვრებას. არ მაქვს სურვილი, აკაკი წერეთელივით ვიცხოვრო. მისი მეუღლე ნატალია ბაზილევსკაია გადავიდა რუსეთში საცხოვრებლად, მათი ვაჟი ალექსი წერეთელი მოღვაწეობდა ასევე რუსეთში. აკაკი დარჩა საქართველოში და არც კი უფიქრია მეორეჯერ დაქორწინებულიყო. ბუნებრივია, ისიც არ იყო მარტო, ვიღაც-ვიღაცეებს ხვდებოდა. თუ სერიოზული ურთიერთობა განვითარდება, ამ ნაბიჯს გადავდგამ აუცილებლად.

**– გასულ წელს „ფეისბუქსზე” გაჩნდა ასეთი სტატუსი – საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას შვილიშვილებს ქუჩაში ყრიან. როგორ მოხდა ეს?**

– ვერ იხდიდნენ ფულს. სახლის მეპატრონე ფსიქიკურად შეურაცხადი იყო, ოღონდ ძალიან ეშმაკი და სხარტი აზროვნების. მას ჰქონია დამალული მრიცხველი და წლების შემდეგ აღმოაჩინა, რომ თურმე გადასახადები ელექტროენერგიაზე არასწორად მოდიოდა, ანუ გაცილებით მეტი იყო გადასახდელი. აღმოჩნდა, რომ ეს თანხა შეადგენს შვიდი ათას შვეიცარულ ფრანკს... როგორი სიურპრიზია უცებ ასეთი ქვითარი რომ მოგივა?! ამათ გაასაჩივრეს. თანხა გაუყვეს და როგორღაც გადაიხადეს. მე, სამწუხაროდ, ვერაფრით დავეხმარე. „ფეისბუქსზე” რაც შეიკრიბა, სადღაც 200 თუ 300 დოლარი, პირდაპირ გადავუგზავნე. ესეც გასაკვირია, როგორ მოვახერხე.

**ეკა პატარაია**

---

**(10-ე გვერდიდან)**

მივეჩვიე. ისეთი არაფერი მომხდარა ამ ერთი წლის განმავლობაში, რაზეც არ მიფიქრია, რომ მოხდებოდა. სადღეგრძელოებით და ილუზიური ოცნებებით არ ვყოფილვარ გატაცებული, კარგად ვიცოდი, ვინც არიან პოლიტიკოსები და რა მოლოდინი უნდა მქონოდა მათგან. ამ ერთი წლის განმავლობაში იმედგაცრუებაც ბევრი მქონდა. რომ მეგონა, ქართული ოცნების შემადგენლობა უფრო მოტივირებული იქნებოდა საქმისთვის, ამას მოჰყვა იმედგაცრუების ხანა. რამდენ ხანს ვიძახო, უი, რამდენი შემთხვევითია ამ პოლიტიკაში?! არიან და მოკალი.

**– დროდადრო ხმები, ალეკო ელისაშვილის მომავალ მერობაზე, ძალიან აქტუალური ხდება. იქამდე ჯერ კი ბევრი დროა, მაგარამ მაინც გკითხავ: აპირებ ამ მარათონში ჩაბმას?**

– არც ვკუდაბზიკობ და არც ვკუდრაჭობ, რომ ვთქვა: ვაიმე, არა, ღმერთმა დამიფაროს, ამაზე არც ვფიქრობ-მეთქი. როდესაც მაჟორიტარ დეპუტატად ვიყრიდი კენჭს, ჩემთვის პატივსაცემი ბევრი ადამიანი მირჩევდა, მერობაზე მეყარა კენჭი. მე კატეგორიულ უარს ვამბობდი, ამისთვის არანაირად არ ვიყავი მზად. არც ჩემს თავს მივაყენე ამით შეურაცხყოფა და არც ქალაქს. მარტო შედეგი ხომ არ არის – დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ მეორე ტურში გავიდოდი მე და არა, ბატონი ნიკა მელია. მაგრამ, არ მესმის, რატომ უნდა დამეწყო წაგებით? ან რა ხეირია, მეორე ტურში გასვლა. როცა გარედან უყურებ, როგორ მუშაობს საქალაქო მეურნეობა სხვაა, როცა შიგნიდან ხედავ ამას – სულ სხვა. ახლა უკვე სხვა გამოცდილება მაქვს, მაგრამ ახლა, ერთ თვეში რომ იყოს არჩევნები, მაინც არ ვარ მზად – ისევ უარს ვიტყოდი. თუმცა, ისეთი ტიპები უმიზნებენ სხვადასხვა თანამდებობას, რატომ უნდა გაუკვირდეს ჩემგან ვინმეს, თუ ვიტყვი, რომ ქალაქის მერად უნდა ვიყარო კენჭი-მეთქი? მერობა და თანამდებობა ბევრისთვის ცხოვრების აწყობაა, ჩემთვის კი – დიდი გამოწვევაა. საკრებულოს ერთი მაჟორიტარი დეპუტატი ვარ და დილიდან საღამომდე ვირივით ვმუშაობ. აგერ, ჩემ გვერდით გოგო რომ ზის, გასაქანს არ მაძლევს. რომ ჰკითხო, ჩემი თანაშემწეა, მაგრამ პირიქით გამოდის – ეგ არის ჩემი ექსპლუატატორი. უნდა, მაქსიმალურად გამომიყენოს და ბევრი რამ გამაკეთებინოს ***(იცინის).*** მე ჩვეულებრივი ქართველი ვარ. ღვინის დალევა მიყვარს, ქეიფი, სადღაც ბოდიალი. უსაქმურობაც მიყვარს, სახლში ჯდომა და ტელევიზორის ყურებაც. მეც მირჩვნია, ჩემ მაგივრად სხვამ აკეთოს ყველაფერი, მაგრამ, რომ ვხდავ, ის სხვა არ არის, ამიტომ ვარ ასე. ხანდახან მინდა ვიწუწუნო. აი, მაშინ ვეტყვი ხოლმე საკუთარ თავს: ეს იყო შენი არჩევანი და წუწუნი არ გავიგო-მეთქი. ახლობელმა მითხრა, საკუთარ თავთან ლაპარაკი არაა კარგი ამბავი, შიზოფრენიის ნიშანიაო. იმედია, ეს საფრთხე არ მემუქრება.

**– მთაში ბოდიალს შეელიე?**

– არა, ამას ვერაფრით შეველევი. ერთი სული მაქვს, თავისუფალი დრო მოვიგდო და მთაში გავიქცე. ტყე-ღრეში გაჭრისთვის სულ მზად ვარ. ბოლოს ვიყავი ცხირეთის ციხეში, რომლის ნახვაც სულ მაინტერესებდა. ერთხელ ვცადე, რამდენიმე თვის წინ, ბავშვებთან ერთად ამ ციხეში ასვლა, მაგრამ დაგვიღამდა და ვერ შევძელით. ბავშვები გაიზარდნენ და აღტაცებულები დამყვებიან ციხე-ციხე. ახლა გამოგვივიდა მეგობრებს ცხირეთში ასვლა. აღტაცებული ვარ, რომ ბავშვობის ოცნება ავისრულე. გული მწყდება, რომ ფოტოაპარატი არ წავიღე. ტელეფონი მაქვს უთოსავით, ამით გადაღებული ფოტო არ ივარგებდა. ამ ზაფხულს, აგვისტოს ბოლოსთვის დიდი გეგმები მაქვს – ბევრი ადგილი უნდა ვნახო. ეს ჩემთვის ყველაზე კარგი არდადეგებია. მაშინ ვისვენებ, როცა ტყეში ვარ გაჭრილი, როცა გამორთული მაქვს ტელეფონი. მთა და ბუნება არის ჩემი კურორტი და ნეტარება. შემიძლია, არასდროს გავჩერდე და არც ვიღლები. ჩემნაირი გადარეულები მყავს შემოამხანაგებული, თუმცა ჩემსავით მანიაკი ბევრი არაა. ჩვენი „გრაფიკი” გვაქვს: ხან ერთი პარტია მომყვება, ხან – მეორე. ასე რომ, ჩემი უფასო ტურისტული ბიუროც გამოვიდა ***(იცინის).***

**თამუნა ნიჟარაძე**

## განცხადება

**გამაჯანსაღებელი ცენტრი აცხადებს აქციას – ჯანმრთელობის ტესტირება უფასოდ.**

ტელ.: **592-04-74-49. თამარი**

**მსახიობი გიორგი გურგულია ერთი თვის წინ, 51 წლის ასაკში, მეოთხე და საოცნებო ქალიშვილის მამა გახდა, კვირაზე ცოტა მეტი ხნის წინ კი – მესამე შვილიშვილის ბაბუა. 39 წლის იყო, პირველი შვილიშვილი რომ შეეძინა, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ უკვე სამი შვილიშვილი ჰყავს, ამ როლს დღემდე ვერ ირგებს ბოლომდე, რადგან, თითქმის ყოველი შვილიშვილის შემდეგ, ისევ მამა ხდება. თუ ასეთი ტემპით გაგრძელდა მათი ცხოვრება, ვარაუდობს, რომ 69 წლის ასაკში უკვე დიდი ბაბუა იქნება. მსახიობმა ჩვენთან თავის შვილებსა და შვილიშვილებზე საკუთარი, თავგადასავლებით სავსე წარსულიც გაიხსენა.**

# როგორ გაიპარა 11 თვის გიორგი გურგულია სახლიდან, რატომ ეპატიჟებოდა დედას კლდის წვერზე და რის გამო გარიცხეს ის ათი სკოლიდან

**გიორგი გურგულია:** 19 ივლისს ქალიშვილი შემეძინა და მამიდაჩემის პატივსაცემად მარინოლა (ინოლა გურგულია – ავტ.) დავარქვით. სამი ვაჟი მყავს და გოგონაზე ყოველთვის ვოცნებობდი. ეს რაღაც ახალი, დიდი და ძალიან სასიამოვნო პასუხისმგებლობაა. სულ ვცდილობ, სახლში დროზე მივიდე და პატარას ყურადღება მივაქციო. ოჯახში კიდევ ერთი ახალი წევრი გვყავს: 8 აგვისტოს მესამე შვილიშვილი – ირაკლი გამიჩნდა. უფროსი გიორგი, უკვე 11 წლისაა; მომდევნო, ნინო – წლინახევრის. ჩემი ვაჟები კი უკვე დიდები არიან: ლუკა 30 წლისაა. ის რომ დაიბადა, მე 20 წლის ვიყავი და, მეგონა, ბავშვი თავისით იზრდებოდა *(იცინის).* მახსოვს, პირველად, ბანაობისას, ხელზე რომ დამიწვინეს, ძალიან შემეშინდა. ახლა 51 წლის ვარ და ყველაფერს სხვანაირად ვუყურებ. ლუკა ჩემს საძმაკაცოში პირველი ბიჭი იყო და, მახსოვს, რომ დაიბადა, მთაწმინდიდან დაწყებული, ჩემს სახლამდე, დიდი ქეიფი იყო. მომდევნო შვილი, დათუნა, 20 წლისაა, ანდრია – 7-ის. მე გურგულიებში ერთი ბიჭი ვიყავი. ახლა უკვე ხუთი გვარის გამგრძელებელი მყავს. იმედია, ოცამდე ავალთ *(იცინის).*

**– მკაცრი მამა ხართ თუ...**

– მკაცრი მამა არასდროს ვყოფილვარ. შვილებთან და შვილიშვილებთან მეგობრული ურთიერთობა მაქვს. როცა სიმკაცრეს ავლენ, ბავშვს შიში უჩნდება და შენთან ბოლომდე არ იხსნება. როცა ძმაკაცობ, მაშინ პირიქით ხდება. მირჩევნია, ჩემ მიმართ სიყვარული და პატივისცემა ჰქონდეთ, ვიდრე შიში.

**– თუმცა, გარკვეულ ასაკში რაღაც სირთულეები იქმნება, განსაკუთრებით – ბიჭებთან: ქუჩა, „წამალი", სასმელი... ეს ეტაპები თქვენც გავლილი გაქვთ. უზიარებდით მათ თქვენს გამოცდილებას?**

– რა თქმა უნდა. როცა პატარა ბავშვი „პლანს" მოწევს, ჯობია, აუხსნა, რას წარმოადგენს ეს, ვიდრე დაგიმალოს და არ იცოდეს, რა შეიძლება მოჰყვეს ამ საქციელს. ჩემს ახალგაზრდობაში ნარკოტიკი პრესტიჟულიც იყო და, ქუჩის ბიჭობა თუ გინდოდა, აუცილებლად უნდა მოგეწია. ვინც არ კაიფობდა, „დედიკოს ბიჭად" ინათლებოდა. საშინელი პროპაგანდა იყო. ყველა ცნობილი ადამიანი, რომელიც კუმირად ითვლებოდა, ნარკოტიკით იყო გარდაცვლილი და ეს თითქოს შარმს ჰმატებდა მათ. ამიტომ, ნარკოტიკების მოხმარება მისაბაძი იყო. ჩვენთანაც ყველაზე პოპულარულ ახალგაზრდებს აჩვევდნენ, რომ მერე ისინი სხვებისთვის მაგალითი გამხდარიყვნენ. მიხარია, რომ ამ თაობაში ეს სირცხვილად ითვლება.

**– ბაბუის როლი როგორ მოირგეთ?**

– პირველი შვილიშვილი რომ გამიჩდა, 39 წლის ვიყავი. ვფიქრობდი: ვაკის პარკში ვივლი შვილიშვილთან ერთად და პენსიონერივით ჭადრაკს ვითამაშებ-მეთქი. ოთხი წლის შემდეგ შვილი გამიჩნდა და ისევ გავახალგაზრდავდი. ახლაც ასე მოხდა. მოკლედ, ბაბუობის დრო ვერა და ვერ დამიდგა. როგორც კი ბაბუის როლში შევდივარ, ისევ შვილი მიჩნდება – ისევ მამა ვხდები *(იცინის).*



**ლარისა ჩემი მეოთხე მეუღლეა. ჩემი უფროსი ვაჟის ტოლია**

**– თქვენს მეუღლეზეც მოგვიყევით, რომელთანაც ახლახან გოგონა შეგეძინათ.**

– ლარისა ჩემი მეოთხე მეუღლეა. ახლა 30 წლის გახდა, ჩემი უფროსი ვაჟის ტოლია. შვილიც ჩემს გზას დაადგა და 19 წლისას ბიჭი გაუჩნდა. შვილიშვილი, როგორც ვთქვი, 11 წლისაა და, ასეთი ტემპით თუ გავაგრძელეთ, 69 წლის ასაკში უკვე დიდი ბაბუა ვიქნები. მან იეჭვიანა, როცა ჩემი უმცროსი ვაჟი დაიბადა. მეგონა, გაუხარდებოდა, მაგრამ იტირა. ყოველღამე ვაძინებდი, მთელი რიტუალები გვქონდა და, როგორც ჩანს, იგრძნო, რომ ყურადღება პატარაზე გადავიდოდა. სამწუხაროდ, მართალიც აღმოჩნდა. ახლა ოცნებად მაქვს, დიდი სახლი ავიშენო, რომელშიც მთელ ჩემს ოჯახთან ერთად ვიცხოვრებ, დიდ სუფრას გავშლით და ყველა ერთად დავსხდებით.

**– თქვენი ბავშვობა როგორი იყო?**

– მე იმდენად ცელქი ბავშვი ვიყავი, რომ, როცა სტუმრად მივდიოდით, მშობლებს ეუბნებოდნენ, გიორგის ნუ წამოიყვანთო. ერთხელ ბორჯომ-პარკში კლდის წვერზე ავედი. ხალხი შეიყარა. დედაჩემი მოვიდა და მშვიდად მეუბნება: გიორგი, ჩამოდიო. პანიკით, შეიძლება, ბავშვი შეაშინო, თან, დედაჩემი უკვე შეჩვეული იყო ჩემგან ასეთ საქციელს. მე, თურმე, ვეძახდი – შენ ამოდი-მეთქი.

> **ბაბუობის დრო ვერა და ვერ დამიდგა. როგორც კი ბაბუის როლში შევდივარ, ისევ შვილი ჩნდება, ისევ მამა ვხდები**

ის კი მპასუხობდა, დღეს არ შემიძლია, ხვალ იყოსო. ხალხი გაოცებული გვიყურებდა: ბავშვი – კარგი, მაგრამ, დედა ნორმალურიაო *(იცინის)?* ძალიან ხიფათიანი ვიყავი. ფეხი ათი თვისამ ავიდგი, თერთმეტი თვისა კი სახლიდან გავიპარე – პირველი სართულის კიბეები ჩავიარე და საბილიარდოში მიპოვეს, მაგიდის ქვეშ ვიმალებოდი. წლისა არ ვიყავი, 5 წლის ბავშვებს სამთვლიანი ველოსიპედი რომ მოვპარე და იმ ველოსიპედით ისე მივრბოდი, იმხელა ბავშვები ვერ მეწეოდნენ. აღარ ვიცოდი, ენერგია როგორ დამეხარჯა. მერე სპორტზე შემიყვანეს, ამან ცოტა მიშველა. თუმცა, ერთი თვის შემდეგ ტანვარჯიშის მწვრთნელი ჩემს მშობლებს ეხვეწებოდა, ეს ბავშვი წაიყვანეთო. სულ ტრავმები მქონდა, მაგრამ არასდროს არაფერი მომიტეხია. თურმე, ბავშვობიდან მიყვარდა კალცი და ძლიერი ძვლები მაქვს. „ორმაგი სახის" გადაღებისას მესამე სართულიდან გადმოვვარდი და თავით დავეცი, მაგრამ არაფერი მომიტეხია. ზურა ყიფშიძე შაყირობდა: კინოსტუდიაში ფილმს ვახმოვანებდი, როცა გავიგე, გიორგი მესამე სართულიდან გადმოვარდა და მოკვდაო. საავადმყოფოში მივედი და, რომ ვერ ვნახე, პანიკაში ჩავვარდი – როგორც ჩანს, მართლა გარდაიცვალა-მეთქი. ამ დროს ექიმი გამოვიდა, შემიყვანა და ორი სურათი მაჩვენა: აი, ეს არის ნორმალური ადამიანის ხერხემალი; ეს კი, რომელიც ნორმალურზე ორჯერ მსხვილია, თქვენი მეგობრისააო. ერთხელ კედელზე ავძვერი, „ბლოკს" მოვეჭიდე, გადმოვარდა და ზედ დამეცა, არც მაშინ მომტეხია რამე. ერთი-ორჯერ ცხვირი გავიტეხე რაგბის თამაშისას, თუმცა ტკივილს ვერ ვგრძნობდი. თუ რამე სახიფათო ხდებოდა, ისტერიული სიცილი მიტყდებოდა. სპიტაკის მიწისძვრის დროს პახმელიაზე ვიყავი და ხმაურმა გამაღვიძა. თვალი რომ გავახილე, ჭაღი ირწეოდა და ერთი კედლიდან მეორეს ეჯახებოდა. ასეთი რა პახმელია მაქვს-მეთქი, ვიფიქრე და თვალები მოვიფშვნიტე, მაგრამ, იგივე რომ დავინახე, მივხვდი, რაშიც იყო საქმე. ტუალეტში შევედით, რადგან, როგორც ვიცოდი, ის ყველაზე უსაფრთხო ადგილი იყო. საცვლების ამარა ვიდექით, სახლი ირწეოდა, წყლები ისხმეოდა და მე ვხარხარებდი. მამაჩემს ეგონა, რომ გავგიჟდი. რა უნდა მექნა, ტირილს ხომ არ დავიწყებდი? გაუსაძლისი ტკივილის დროსაც ასე ვიქცევი. ბავშვობაში, დაბადების დღეზე, ფარდის საკიდი მომარტყეს და ტუჩი გასაკერი გამიხდა. ექიმებმა ვერ დამიჭირეს, რომ ეს გაეკეთებინათ. ბოლოს დავთანხმდი, ოღონდ, იმ პირობით, რომ სარკეს მომიტანდნენ და მაყურებინებდნენ, როგორ გამიკერავდნენ ტუჩს. ხუთი წლის ვიქნებოდი მაშინ, მაგრამ ამის შიში არ მქონდა. მიფიქრია, ხელი რომ მომეჭრას, შემიძლია, ავიღო და საავადმყოფოში ჩემით მივიტანო.

**– სკოლაში როგორი გასაძლები იყავით?**

– ათი სკოლიდან გამომრიცხეს და, ალბათ, ხვდებით, როგორიც ვიქნებოდი. სხვათა შორის, უზრდელი არ ვიყავი. ხატვა მიყვარდა და პედაგოგებსაც „აწყობდათ", რომ ბოლო მერხზე ჩემთვის ვმჯდარიყავი და მეხატა. პირველი-ორი კლასი სკამზე ვერ მსვამდნენ. მშობლებს ეუბნებოდნენ: კარგი ბავშვია, ეგეთი ვაჟკაცი სკოლაში არ გვყავს, მაგრამ, სხვა სკოლაში წაიყვანეთო *(იცინის).* ერთხელ მე და გოგი კვერნაძემ კომპ-

ოზიტორთა სახლს გავუჩინეთ ხანძარი.

**– თუმცა, თქვენი მოუსვენრობა მოზრდილ ასაკში ცოტა სახიფათოც გახდა, არა?**

– 15 წლის ვიყავი, ფილტვში დანით რომ დამჭრეს. ძმაკაცს წავყევი ჩხუბში. რომ მივედით, ჩხუბი დაწყებული იყო, ერთი ბიჭი კი – დაჭრილი, რომელიც მე გამოვიყვანე. ჩვენც ჩავერთეთ. ჩემს ძმაკაცს დაუწყეს ჯოხებით ცემა და, ისე მოხდა, რომ ბოლოს, მე და ის სამოც ბიჭთან დავრჩით მარტო. მას ნეკნი ჩაუტეხეს და დავინახე, რომ დანის დარტყმას უპირებდნენ, ხელი ვკარი და, გამოვიდა, რომ მე დავიჭერი. ის ბიჭები მე მიცნობდნენ და ჩემი დაჭრა დიდად არ უნდოდათ – მაგ დროს უკვე იმდენი სკოლა მქონდა გამოცვლილი, რომ თითქმის ყველა უბანში მიცნობდნენ და თავისებური ავტორიტეტი მქონდა. შემთხვევით რომ დამჭრეს, ყველა გაიქცა. პირელი ვიყავი, ვისაც ჩემს თაობაში დანა დაარტყეს, ვისაც ტყვია ესროლეს და ასე შემდეგ. მოკლედ, ყველაფერში „სეზონის გახსნასავით" ვიყავი.

**– ამ გარემოდან თავის დაღწევა და ჩვეულებრივ რიტმში დაბრუნება მარტივი არაა. როგორ მოახერხეთ ეს?**

– მაშინ ქურდული სამყარო იყო თავისი ავტორიტეტებით. იყო „მომავალი თაობის" ხალხი. მე და ჩემი ძმაკაცი 15 წლისანი ვიყავით, როცა 15 000 მანეთის ჩაბარება ერთ თვეში შევძელით და „ავტორიტეტებმა" გადაწყვიტეს, რომ, თუ ამ ასაკში და ამ დროში, ამდენი ვიშოვეთ, სამომავლოდ ძალიან ბევრს შევძლებდით. ამიტომ, აწყობდათ, რომ მათ ბანაკში ვყოფილიყავით. მათ შემოთავაზებას ჩემმა მეგობარმა ძალიან სასაცილოდ უპასუხა: დედას ვკითხავო ***(იცინის).*** მე ვუთხარი: ჩვენ ვხატავთ, თქვენ პატივს გცემთ, მაგრამ ჩვენი გზა გვაქვს-მეთქი. ბავშვობიდან ვხატავ, მეოთხე კლასიდან ლექსებს ვწერ, მერე კი – კინოსცენარებს. ქუჩა თავისთავად მოვიდა, თორემ, „ქუჩის ბიჭობისა" და „ავტორიტეტობისადმი" დიდი მისწრაფება არ მქონია. თუმცა, ამ ჩხუბებისა და მიღებული გამოცდილების გამო, რაღაც ავტორიტეტი თავისთავად შემექმნა. მაგრამ, სწორად მოვახერხე თავის დაღწევა. ჩემი მეგობარი „ქუჩის ბიჭებიდან" 27 წლის ასაკამდე თითქმის ყველა შეენირა ქუჩურ გარჩევებს. 16-17 წლის ასაკში შემხვდა კაცი, რომელიც 45 წელი ციხეში იჯდა. ამ კაცმა თავისი ბიოგრაფია მომიყვა. მითხრა, კაცი რომ სიგარეტს ეწევა, იმით ვხვდები, რა პიროვნებაცააო. შენისთანა ალალი ციხეშიც დაიჩაგრები, სულ უსამართლობის შეგრძნება გექნება. თუ მილიციასთან „კუდი არ გადააბი," ციხეში დაგალპობენ ჩემსავითო. მე მხოლოდ დედა მყავდა და მის დაკრძალვასაც ვერ დავესწარიო. ძალიან თავაზიანი ადამიანი იყო. მან შთამაგონა, რომ ქუჩაში ზრდილობა ნომერ პირველი წესია. მითხრა: შენ უკვე იმდენი მტერი გყავს, ამ სამყაროდან წასვლას რომ დააპირებ, არ მოგეშვებიან – ან გესვრიან ან დაგჭრიან, მაგრამ, არ შებრუნდე, პასუხის გაცემაზე არ იფიქრო და ისევ ქუჩას არ დაუბრუნდეო. მშობლები ციხე-ციხე რატომ უნდა ატარო და დედას ცრემლი რატომ უნდა გაუშროო. ისეთი რჩევები მომცა, ვამბობდი, სკოლის პედაგოგიც კი ამას მეტყოდა-მეთქი. მაგრამ, უცებ, არავინ რომ არ ელოდა, მოვტრიალდი და თეტრალურში, ყველაზე არაქუჩურ ინსტიტუტში ჩავაბარე. ამის შემდეგ იყო ის ტყვიები. ვინც მესროლა, ის ავტორიტეტი იყო. რამდენჯერმე მყავდა ნაცემი და მისთვის მიუღებელი აღმოჩნდა, „ქუჩის ბიჭობა" რომ გადავიფიქრე. სამი ტყვია მომაყოლეს, მაგრამ გადავრჩი. ამით მან თავის ავტორიტეტს მიუმატა ქულები. მერე, როგორც გავიგე, ის ბიჭიც მოკლეს. მოკლედ, ამ კაცის ნათქვამი ზუსტად ახდა. მან ჩემი ცხოვრება შეცვალა.

**– შვილებთან მიმართებით არ გქონიათ ეს პრობლემები?**

– კი, უფროსი ორჯერ იყო დაპატიმრებული. მიხარია, რომ მესამე შვილი გაუჩნდა და უკვე სხვა ჭკუაზეა. ქუჩასთან პრობლემები მასაც ჰქონდა, თან, ის 90-იანებში იყო მოზარდი. მიმაჩნია, რომ ეს თაობა უკვე შეიძლება, ქუჩას მოვარიდოთ. თან, დღევანდელი ქუჩა ის ქუჩა აღარ არის. მაშინ ნაციხარი კაცი არ გეტყოდა, ციხეში ჩაჯექიო; პირიქით, ჭკვიანურ რჩევას მოგცემდა. მაგრამ დღეს ამ რჩევის მომცემი ხალხი აღარ არსებობს. ჯობია, ბავშვები სპორტითა და განათლებით დავტვირთოთ. ჩემი შვილებისთვისაც ვცდილობდი ამას, თუმცა, ქუჩა მაინც გარდაუვალია – სკოლა, სამეგობრო წრე, მაინც აქეთ უბიძგებს. მთავარია სიფრთხილე. დღევანდელი თაობა ძალიან იმეტებს ერთმანეთს. სანამ შვილი არ გამიჩნდა, ვერ მივხვდი, რას ნიშნავდა მშობლის ღელვა. არც იმ ბიჭებმა იციან, როგორ უნდა გაუფრთხილდნენ სხვისი შვილის სიცოცხლეს. ქართველები ისედაც ცოტანი ვართ და ცოდოები ვართ ერთმანეთის სასიკვდილოდ გასამეტებლად. ხელით ჩხუბი სხვაა, იარაღი და სისხლისღვრა – სხვა. ჩემი ყველა ძმაკაცი ჩხუბში მყავს გაცნობილი. კაცი რომ ჩხუბის დროს არ გაგექცევა და ვაჟკაცურად დაგიდგება გვერდში, ის ძმაკაცია. სადაც სისხლი იღვრება, ვინც დანას დაგარტყამს და სასიკვდილოდ გაგიმეტებს, მასთან შერიგებაზე და ძმაკაცობაზე საუბარი ზედმეტია.

**ქეთი კაპანაძე**

(11-ე გვერდიდან)

**რობთ, მუდმივად რატომ ხვდებით ხმაურიან ისტორიებში?**

– ალბათ იმიტომ, რომ მე არ მიჭირს გაბედული გადაწყვეტილებების მიღება; არ მეშინია სიახლეების, გაკიცხვის. არ ვცხოვრობ ისე სტანდარტულად, როგორც სხვები. შეცდომებს მეც ხშირად ვუშვებ, მაგრამ მათი აღიარებაც შემიძლია. ვერ ვიტყვი, რომ სფეროებს ხშირად ვიცვლი – კოსმონავტიკაში ვერ წავალ, ვერც აგრონომიაში და მეტეოროლოგიაში. ყველა ჩემი სამსახური მაინც ტურიზმთან იყო დაკავშირებული. როცა საქართველოში დავბრუნდი, მაშინვე ტურიზმის დეპარტამენტის ხელმძღვანელად კი არ დავნიშნულვარ, ჯერ პარლამენტარ ირაკლი ტრიპოლსკის თანაშემწედ ვიმუშავე რამდენიმე თვე, მერე გავიარე კონკურსი. ჩაციკლული არ ვყოფილვარ იმაზე, რომ სახელმწიფო სამსახურში მემუშავა. ყველგან ვიმუშავებ, სადაც შემეძლება, გავაკეთო კარგი საქმე და ეს იქნება სათანადოდ ანაზღაურებადი, რათა შევძლო ჩემი მრავალრიცხოვანი ოჯახის რჩენა. შვეიცარიაში, ციურიჰში, სასტუროების მენეჯმენტის ფაკულტეტი მაქვს დამთავრებული. ყველა სფეროში და ყველა საფეხურზე მაქვს ნამუშევარი – სასტუმროს შვეიცარობით დაწყებული, გენერალურ მენეჯერამდე. რესტორანში თეფშების მრეცხავი ვიყავი და შეფ-მზარეული გავხდი; ტურიზმში გიდობით დავიწყე და ტურიზმის დეპარტამენტის ხელმძღვანელი გავხდი. ცხრა ენა ვიცი, 47 სერტიფიკატი მაქვს, ეს ჩემი სფეროა. არაა გამორიცხული, ტურისტული კომპანია გავაკეთო ან კონსალტინგით დავკავდე.

**– როგორც ჩანს, ხელისუფლებასთან არსებული თქვენი დაპირისპირება, რაც თქვენი პოსტიდან წასვლას მოჰყვა, დალაგდა.**

– ხელისუფლებასთან არასდროს ვყოფილვარ დაპირისპირებული, იყო გაუგებრობა ჩემს ყოფილ ხელმძღვანელთან, გიორგი კვირიკაშვილთან, რაც ძალიან მალე აღმოიფხვრა. გიორგი კვირიკაშვილი იყო ერთ-ერთი მათგანი, ვინც ამ ფესტივალის ორგანიზებაში გვეხმარებოდა და გვგულშემატკივრობდა. გიორგი ანაკლიაშიც იყო ჩამოსული. მე, ზოგადად, სულ ვცდილობ, არაფერი ვინანო – ვაღიარებ საკუთარ შეცდომებს, თუნდაც იმას, რომ შარშან ბევრი შეცდომა დავუშვი, პირველ ყოვლისა – სუბორდინაციაში, იგივე გიორგი კვირიკაშვილთან და ეს, ალბათ, იყო ყოყლოჩინობა. სამაგიეროდ, ახლა შემიძლია, მადლობები გადავიხადო. ამ ამბებმა კბილებიდან ოფლიც გამომადინა და ჭკუაც მასწავლა *(იცინის).*

**– როგორ მოუყარეთ თავი პოლიტელიტას ანაკლიაში?**

– ყველა სიამოვნებით ჩამოვიდა. გახსნაზე ჩამოვიდა კახი კალაძე, ოთარ დანელია. სოზარ სუბარიც იყო ანაკლიაში და ნახევარი პარლამენტიც. კახი კალაძე შეხვდა აქტივისტებს, ჩვენთან ერთად შემოიარა მთელი ტერიტორია და ყველას აჩვენა მაგალითი, როგორი უნდა იყოს ახალგაზრდა მინისტრი და ჩინოვნიკი. ასეთი მხადაჭერა ჩვენთვის დიდი სტიმული იყო. მომავალ წელს ეს ფესტივალი უფრო დიდი მასშტაბებით გაიმართება. თუმცა, მანამდეც უამრავი გეგმა გვაქვს: ნოემბერში გვექნება დიდი ივენთი; ზამთარში გავაკეთებთ ფესტივალს, რომელიმე სამთო სათხილამურო კურორტზე; საგაზაფხულოდ საინტერესო ივენთები დავგეგმეთ; ზაფხულში ანაკლიაში გაიმართება ყველაზე დიდი ივენთი, რომელსაც, ალბათ, ფორმატი შეეცვლება – შეიძლება, სულ არ გაგრძელდეს ცხრა დღე და, საზაფხულო, სამ-ოთხდღიანი უიქენდებიც კი გავაკეთოთ.

**– ახლა ანაკლიაში ოჯახთან ერთად იყავით „დაბანაკებული"?**

– დიახ, ფესტივალზე ჩემთან ერთად იყვნენ: ჩემი ოთხი შვილი, დედ-მამა, მეუღლე, ყოფილი სიდედრი და მოქმედი სიდედრი. ჩემმა ყოფილმა მეუღლემ ვერ მოახერხა ბელგიიდან ჩამოსვლა, თორემ, ისიც ანაკლიაში უნდა ყოფილიყო. ფესტივალზე ყველა ასაკის ადამიანს ჰქონდა თავისი გასართობი – მარტო ელექტრონული მუსიკა კი არ გვქონდა, სტუმრად გვყავდა ნიკოლოზ რაჭველი და ნინო ქათამაძე; ჩავატარეთ კინოფილმების ფესტივალი; სტუმრების გასახალისებლად მოვიგონეთ ათასი თამაშობა და სპორტული შეჯიბრება. მე, ალბათ, ერთადერთი ადამაინი ვიყავი, ვინც ანაკლიაში არ ერთობოდა – მე ვმუშაობდი და ახლაც ვმუშაობ – სცენების დემონტაჟით, დასუფთავებით ვარ დაკავებული. ალბათ, სამი კვირაა, არ მიძინია, მაგრამ, არა უშავს, სამაგიეროდ, ყველაფერმა კარგად ჩაიარა. მგონი, არავისთვის არ ვიყავი ცუდი მასპინძელი.

**– თქვენი ოთხი შვილის სამი დედისთვისაც?**

– არა, მათ ორი დედა ჰყავთ და არა სამი. ცოლების რაოდენობით კი ვგონივარ ვიღაცეებს რეკორდსმენი, მაგრამ, ასეც არაა საქმე. სამი ბიჭის მამა ვარ და ათამდე უნდა ავიდე – აი, ასეთი კაპრიზი მაქვს. საქართველოს დემოგრაფიაში ჯერ კიდევ მაშინ შევიტანე ჩემი წვლილი, როცა ემიგრაციაში ვიყავი: ჩემი ორი შვილი ბელგიაში დაიბადა, ერთი ამერიკაში და, აქ, საქართველოში, როცა არავინ მიშლის ხელს, რატომ არ უნდა მყავდეს მეტი შვილი?! მით უფრო, რომ ჩემი მეუღლეც თანახმაა. ის უკრაინელია, მაგრამ ქართულიც კარგად ისწავლა, მშვენიერი ოჯახიც გვაქვს და ქართულადაც ვზრდით ჩვენს შვილებს, რომლებსაც კიდევ შვიდი ძმა შეემატებათ *(იცინის).*

**თამუნა ნიჟარაძე**

**მორწმუნე ადამიანის ცხოვრება სხვა არაფერია, თუ არა მუდმივად ფერისცვალება, გარდაქმნა, მასში ახალი კაცის დაბადება. თუმცა, ამას ხშირად ისინიც ვერ ახერხებენ, რომლებიც წლების განმავლობაში დადიან ეკლესიაში, საეკლესიო საიდუმლოებებში მონაწილეობენ, ლოცულობენ და მარხვას იცავენ, სახლში ხატებს მიაბრძანებენ. როგორ უნდა განიცადოს ადამიანმა ფერისცვალება, რა ეხმარება მას ამაში და როგორი ურთიერთობა უნდა ჰქონდეს წმიდანების ხატებთან, ამის შესახებ გვესაუბრება ნარიყალას წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მამა გიორგი (თევდორაშვილი):**

# როგორ ადამიანს შეუძლია გონების დაკეტვა ბოროტი და სამარცხვინო ზრახვებისგან და რა ზიანს მოუტანს მას ხატთან არასწორი ურთიერთობა

– სანამ უშუალოდ ადამიანების ფერისცვალებაზე ვისაუბრებდეთ, მინდა შევეხო ისეთ საკითხს, როგორიც არის ეკლესიიდან ოჯახებში ხატების მიბრძანება. როდესაც ეკლესიიდან მოძღვრის კურთხევით მობრძანდება შედარებით დიდი ზომის ხატი, ამ შემთხვევაში, ოჯახი განსაკუთრებულ რეჟიმში გადადის. ოჯახი მასპინძლობს ამ ხატს, კითხულობს დაუჯდომლებს, პარაკლისებს და ნაკლებად უთმობს დროს საერო საკითხებს, გართობას. ამ დროს სასურველია, ნაკლებად ვუყუროთ ტელევიზორს, ნაკლებად ვიფიქროთ ამ სოფლის ამაო საზრუნავზე. უმჯობესია, ის პერიოდი, რა დროსაც ხატი ბრძანდება ოჯახში, გამოვიყენოთ უფალთან დასაახლოებლად. ყველა ოჯახშია განსაცდელი და ყველგან, სადაც მართლმადიდებელი ქრისტიანები ცხოვრობენ, საჭიროა სულიერი გაძლიერება, სულიერი სიმტკიცე, უფალთან დაახლოება. როდესაც ოჯახში მობრძანდება ხატი, მას თან მოჰყვება სულიერი პირი და ამ დროს ხდება განსაკუთრებული ზეიმი. ოჯახის წევრები იკრიბებიან, ეკურთხება სახლი და იწყებენ პარაკლისებისა და დაუჯდომლების კითხვას. ძირითადად, ხატები მორწმუნე ადამიანებთან მიბრძანდება, მაგრამ ვინც უკვე ჭეშმარიტად მორწმუნეა, შეიძლება, მას ნაკლებად სჭირდებოდეს ხატის მიბრძანება. ამიტომ, იქ უფრო შეიძლება ხატის მიბრძანება, სადაც ნაკლებად სწამთ, ნაკლებად სასოებენ ღმერთს, რათა ხატის მიბრძანებამ ამა და იმ პიროვნებაში, ოჯახში გარკვეული სულიერი დაბადება წარმოშვას. ინდივიდუალურად, პირადი სურვილით, რაღაც ახირებით და მოძღვრის კურთხევის გარეშე, ხატების გადაბრძანებამ, შეიძლება, გარკვეული ზიანი მოუტანოს ადამიანს. სიწმიდესთან ურთიერთობა არის ეკლესიის გარკვეული მოვალეობა და მისი კურთხევით შეიძლება, ადამიანმა გადააბრძანოს ხატი და ჰქონდეს მასთან ურთიერთობა. ეკლესიაში არიან „ხატის მცველები", ვისაც დაავალა მოძღვარმა, რომ ხატს თან ახლდეს და გარკვეული სწავლება, შეგონება დანერგოს ოჯახში, რადგან ძალიან ბევრმა არ იცის ხატთან ურთიერთობა.

**– სახლის კურთხევამაც დღეს ფორმალური სახე მიიღო, ისევე, როგორც ბევრმა საეკლესიო საიდუმლომ, რიტუალმა.**

– ადამიანები, სადაც ცხოვრობენ, რითაც გადაადგილდებიან, ეს იქნება ნავი, ავტომობილი, მატარებელი თუ თვითმფრინავი, ყველაფერი უნდა დაილოცოს, რომ მან მშვიდობით ატაროს ხალხი. ადრე იყო ნავის, ურმის კურთხევა. როდესაც „კურთხევანი" შედგა, მაშინ არ იყო ავტომობილები, მაღაზიები, აფთიაქები და შემდეგში თანამედროვე მოძღვრებმა გარკვეული სიტყვები შევცვალეთ. ასე რომ, ნავი ეკურთხება, ურემი თუ მანქანა, ამას არ აქვს მნიშვნელობა, რადგან კედლები კი არ იკურთხება, არამედ ჩვენი მრწამსი იქნება უფლის თვალში შეწირული. სახლის კურთხევის დროს მოძღვარი ასხურებს კედლებზე ნაკურთხ წყალს, ზეთს სცხებს ოთხივე კედელზე, ზღურბლზე გამოსახავს მაცხოვნებელ ჯვრებს, იკითხება სახარება, კვერექსი და ეშმაკის განსხმის ლოცვა, რომელსაც ზოგჯერ კითხულობს მოძღვარი, ზოგჯერ – არა. ამ ლოცვას ჰქვია „სახლსა შეგრძნებულისა" და თუ ოჯახის წევრები მიიჩნევენ, რომ მათთან დაბუდებულია არაწმიდა სული, უნდა სთხოვონ მღვდელს, რომ მან წაიკითხოს ეს ლოცვა. თუ უფრო მძიმე სიტუაციაა, სასურველია, მოძღვარმა მცირე აიაზმა, მცირე წყლის კურთხევა აღასრულოს.



**იქ უფრო შეიძლება ხატის მიბრძანება, სადაც ნაკლებად სწამთ, ნაკლებად სასოებენ ღმერთს, რათა ხატის მიბრძანებამ ამა თუ იმ პიროვნებაში, ოჯახში, გარკვეული სულიერი დაბადება წარმოშვას**

**– სახლის კურთხევამ, ეკლესიაში სიარულმა, ლოცვების კითხვამ, საეკლესიო საიდუმლოებებში მონაწილეობამ ადამიანში ფერისცვალება – გარკვეული ცვლილებები უნდა მოახდინოს. თუმცა, ეს არც თუ ისე ხშირია.**

– არასდროს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ადამიანის ნებისმიერი საქციელი, მის შინაგან თვისებებზეა დამოკიდებული. თუკი მას ნამდვილად გონიერი, სათნო და სიკეთის მოყვარე სული აქვს, ეს მის ყოველ

**იესო ქრისტე, ღმერთი, ამქვეყნად ადამიანს ეცხადება იმ ზომით, რამდენადაც ადამიანი გაუძლებს მის სიდიადეს და დარჩება ცოცხალი**

ნაბიჯში გამოჩნდება: გამოხედვაში, სიარულში, ხმაში, ღიმილში, საუბარსა და სხვებისადმი დამოკიდებულებაში. ასეთ სულში ყველაფერს კეთილსახიერი შეხედულება აქვს და ის გონებას კეტავს ბოროტი და სამარცხვინო ზრახვებისთვის. ჩვენი ცხოვრება წინ, უკეთესობისკენ რომ მიდიოდეს, უნდა ვიზრუნოთ გულის კულტურის ამაღლებაზე, რაც გულისხმობს ადამიანში ადამიანურობის გამოვლენას. ის არა მხოლოდ სიკეთის, სილამაზის მქონეა, რომლითაც დაგვაჯილდოვა შემოქმედმა, არამედ, ამ მარადიული ღირებულებების მთესველიც არის. თუ ადამიანი სხვისგან სამაგიეროს მოელის, ესე იგი, პატივმოყვარეობითა და დიდებისმოყვარეობით არის შეპყრობილი. ნუ შეჰპირდებით სხვებს რამეს, თუ მისი შესრულება არ შეგიძლიათ. ნურც უფალს შეჰპირდებით რამეს, რადგან, არ იცით, ხვალ რა მოგელით. თითოეული ადამიანი ნათლობის დროს უფალს აღუთქვამს, რომ ის განეშორება შურს, განკითხვას, სიძულვილს, ანგარებას, მკითხაობას, უსაქმურობას, ყოველივე ბოროტებას და იცხოვრებს ღვთისა და მოყვასის სიყვარულით. ქვეყნის შემოქმედს ადამიანის მხრიდან სხვა პირობა არ სჭირდება, ამ ყველაფრის დაცვა და მიღწევა კი მხოლოდ ეკლესიური ცხოვრებით, წირვა-ლოცვებზე დასწრებით, ეკლესიური წესების სწორი დაცვითა და შესრულებით არის შესაძლებელი. ახალ აღთქმაში მოციქულები ამბობდნენ: ჩვენ ვიხილეთ ღვთის ღმერთი. რადგან უფალი დედამიწაზე ადამიანის სახით, განკაცებული მოვიდა, ამიტომ შესაძლებელი გახდა მისი ხილვა. მაცხოვრის ადამიანური ბუნება ფარავდა მის ღვთაებრივ ბუნებას, იმ დიდებას, რომლის ხილვა ადამიანს არ ძალუძს. იესო ქრისტეს ღვთაებრივი ბუნება რწმენის თვალით იხილვებოდა და იხილვება. ურწმუნოთათვის კი მაცხოვარი მხოლოდ და მხოლოდ ადამიანია. მეორედ მოსვლის დროს კი, უკვე ყველასთვის ხილული და განცხადებული გახდება იესო ქრისტეს ღვთაებრიობა და მოვა ის დიდებით. თუმცა, მინდა, აქვე აღვნიშნო, რომ მეორედ მოსვლამდე, როდესაც უფალი დედამიწაზე ადამიანებთან ერთად ცხოვრობდა, მან საკუთარი ღვთაებრიობა, საღვთო დიდება განუცხადა მოწაფეებს. ეს კი სწორედ ფერისცვალების დროს, თაბორის მთაზე მოხდა. იესო ქრისტე, ღმერთი ამქვეყნად ადამინებს ეცხადება იმ ზომით, როგორც ადამიანი გაუძლებს მის სიდიადეს და დარჩება ცოცხალი. თაბორის მთაზე მომხდარი უფლის ფერისცვალება იესო ქრისტეს ამქვეყნიურ ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი მოვლენაა. ამ ამბის შესახებ სამი სახარება მოგვითხრობს, ხოლო აღმოსავლეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ ფერისცვალება თორმეტ უდიდეს დღესასწაულს შორის შეიყვანა. ფერისცვალების შემდეგ, ეკლესია, რომელიც არის სასუფეველი ღვთისა, ეჯახება ამ სოფელს, შემოდის ჯვარი, გოლგოთა და ჩნდება პირველი მოწამე, მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე. ეკლესია კი ჩამოდის თაბორის მთიდან და შეუდგება გოლგოთის ძნელ და მძიმე გზას, რომლის შემდეგაც დგება სასუფეველი ცათა.

**ნათია უტიაშვილი**

# ღვთისმშობლის ხატი „სამხელიანი“

ისტორია ღვთისმშობლის ხატისა, სახელწოდებით „სამხელიანი“ – წმიდა იოანე დამასკელის ცხოვრებასთან, მის სასწაულებრივ განკურნებასთან არის დაკავშირებული. იოანე დამასკელი იყო შვილი კეთილმორწმუნე ქრისტიანი მშობლებისა. მისი მამა – სერგი მანსური, ხალიფას კარის ხაზინადარი იყო. დიდად განსწავლული იოანე ხალიფას კარზე მალე დაწინაურდა და მისი პირველი მრჩეველი შეიქნა. ამასთანავე ის ქალაქ დამასკოს თავადაც დაადგინეს. იმჟამად ბიზანტიაში იმპერატორი ლეონ მესამე ისავრიელი მეფობდა (714-741), რომლის დროსაც ხატმებრძოლობის მწვალებლობა აღმოცენდა. იმპერატორი მწვალებლებს მიემხრო, რის გამოც ხატმებრძოლობამ მთელ იმპერიაში სწრაფად იწყო გავრცელება. იოანე დამასკელი მართლმადიდებლობის სიწმიდის დასაცავად მხნედ აღდგა და დაწერა სამი ტრაქტატი – „ხატმებრძოლთა წინააღმდეგ“. იოანე დამასკელის ღვთივგანბრძობილმა წერილებმა იმპერატორი ლეონ მესამე გააფთარა. მაგრამ, რადგან მათი ავტორი ბიზანტიის ხელქვეითი არ იყო, მისი არც შეპყრობა შეეძლო და არც სიკვდილით დასჯა. მაშინ უსჯულო ლეონმა ცილისწამებას მიმართა. მისი ბრძანებით, დახელოვნებულმა კალიგრაფებმა მამა იოანეს ხელწერით ეპისტოლე დაწერეს, რომელშიც ხალიფას მრჩეველი იმპერატორს თითქოს სირიის დედაქალაქის დაპყრობაში ხელშეწყობას აღუთქვამდა. ეს ცრუ ეპისტოლე ულმრთო თვითმპყრობელმა თავისი, პირფერობითა და ლიქნით სავსე წერილთან ერთად, ხალიფას გაუგზავნა. განრისხებულმა ხალიფამ საქმის გამოუძიებლად, ისე, რომ წმიდანს თავის მართლების საშუალებაც არ მისცა, ბრძანა, ნეტარი თანამდებობიდან გადაეყენებინათ. მისთვის მარჯვენა მოეკვეთათ და სხვათა ჭკუის სასწავლებლად ქალაქის ბაზრის მოედანზე ჩამოეკიდათ. განაჩენი უმალ აღასრულეს... მოკვეთილი მტევანი იოანეს დასამარხად იმავე საღამოს დაუბრუნეს, რის შემდეგაც წმიდანი სალოცავ ოთახში ღვთისმშობლის ხატის წინ დაემხო. მოკვეთილი მტევანი მკლავს შეუერთა და ყოვლადწმიდა დედოფალს მხურვალედ შესთხოვა, მისთვის ხელი გაემთელებინა. ამ ვედრებაში იოანეს ჩაეძინა. სიზმრისეულ ჩვენებაში მას ხატზე გამოსახული ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი გამოეცხადა და უთხრა: „აჰა, განკურნებულ არს ხელი შენი და დაცხრომილ ტკივილთაგან, ამიერიდან ისწრაფე მიცემად ღმრთისა ლოცვათა შენთა“. გამოღვიძებულმა წმიდანმა იხილა, რომ მოკვეთილი მტევანი, მართლაც, მაჯასთან მკლავს მიერთებოდა. მხოლოდ წვრილი ვარდისფერი ზოლიღა მოაგონებდა იოანეს გადატანილ ტანჯვას. უფლის რჩეული სიხარულით აღივსო და უფალს შეჰღაღადა: „მარჯვენა შენი, უფალო, დიდებულ არს ძალითა შენითა, მარჯუენამან შენმან, უფალო, მოსრნა მტერნი“ (გამოსვლ. 15, 16). ამის შემდეგ იოანე დამასკელმა ვერცხლის ხელი გააკეთებინა და თავის მფარველ ღვთისმშობლის სასწაულმოქმედ ხატზე მიამაგრებინა. ამიერიდან ამ ხატს „ტრიხერუსა“ (სამხელიანი) ეწოდა.

მომხდარმა საშინელმა სასწაულმა დამასკოს მოსახლეობასთან ერთად, იოანეს უდანაშაულობაში ხალიფაც დაარწმუნა. ის კვლავ მეგობრულად განეწყო თავისი რჩეული ხელქვეითის მიმართ და სურდა, წყალობით გამოესყიდა დანაშაული, მაგრამ წმიდანმა ჩათვალა, რომ მისთვის სულ სხვა ცხოვრების ჟამი დადგა. იოანე დამასკელმა მთელი თავისი ქონება მოწყალებად გასცა და იერუსალიმის მოსალოცად გაეშურა. ამ მოგზაურობაში იოანე ღვთისმშობლის სასწაულმოქმედ ხატს განუყრელად თან ატარებდა. წმიდა ადგილების მოხილვისა და მოლოცვის შემდეგ ნეტარი მამა სამოღვაწეოდ საბაწმიდის ლავრაში დაემკვიდრა.

იოანე დამასკელის გარდაცვალების შემდეგ, „ტრიხერუსა“ ლავრის საკუთრება გახდა. 1112 წელს სასწაულმოქმედი ხატი სავანის ბერებმა სტუმრად ჩამოსულ სერბეთის მთავარეპისკოპოს საბას (ხსენება 12 იანვარს) საჩუქრად მიართვეს თავად ღვთისმშობლის სურვილით.

# ჭეშმარიტი სარწმუნოება

### როგორ გადაარჩინა მამა პაისის ხილვამ ახალგაზრდა უცილობელ სიკვდილს

მამა პაისი მთელ ღამეს ლოცვას უთმობდა და მხოლოდ გამთენიისას ისვენებდა ერთი-ორი საათით, რათა მის სიყვარულს შესძლებოდა, ეპასუხა სნეული ადამიანებისათვის, რომლებიც დღისით მასთან მრავლად მოდიოდნენ. ღამით ის განსაკუთრებულად იმ ახალგაზრდებისთვის ლოცულობდა, რომლებიც ღამეებს სხვადასხვა გასართობ დაწესებულებაში ატარებდნენ და რომელთა სიცოცხლესაც საფრთხე ემუქრებოდა. უამრავია ასეთი შემთხვევა, როდესაც მამა პაისის ლოცვამ იხსნა ისინი. თავად, რა თქმა უნდა, არასდროს ეთანხმებოდა იმას, რომ ეს მისი დამსახურება იყო.

ერთ ახალგაზრდა ვაჟს, ეგრეთ წოდებულ „ქუჩის ბიჭს, არავითარი კავშირი არ ჰქონდა ეკლესიასა და რელიგიასთან, ასევე, მის მშობლებსაც. ერთხელ, დაახლოებით ღამის 3 საათზე, ის თავბრუდამხვევი სიჩქარით მიჰქროდა საკუთარი ავტომობილით ათენიდან დაფინში. უცებ გზაზე ბერი შენიშნა. მან გაზი გამორთო და სიჩქარეს მოუკლო. ბერი ისევე მოულოდნელად გაუჩინარდა, როგორც გამოჩნდა. ამ დროს მარჯვენა მხრიდან მოხდა ისეთი რამ, რის გამოც ვაჟს სუნთქვა შეეკრა: იმ ადგილას, სადაც ბერი იდგა, მარჯვენა მხრიდან მძიმე სატვირთო მანქანამ ძალიან დიდი სიჩქარით ჩაიქროლა წითელ შუქზე.

მანამდე ბერი რომ არ გამოჩენილიყო, ვაჟი უკვე მკვდარი იქნებოდა. მან აკანკალებულმა განაგრძო გზა და უჩვეულო ხილვით გაკვირვებული იყო.

დიდი ხნის შემდეგ ის მეგობრებმა დაიყოლიეს, მათთან ერთად მთაწმინდაზე წასულიყო და მოენახულებინა მოძღვარი, რომელიც სასწაულებს ახდენდა. როდესაც ისინი პანაგუდაში ჩავიდნენ, ვაჟი გაშეშდა! მის წინ ის ბერი იყო, რომლის გამოჩენამაც მისი სიცოცხლე იხსნა. ვაჟმა მოძღვარს მომხდარის შესახებ უამბო, მან კი, როგორც ყოველთვის, არ აღიარა მომხდარი, ანუ, არწმუნებდა ვაჟს, არ დაეჯერებინა, რომ სწორედ ის ბერი იყო, რომელიც გზაზე გამოეცხადა. ვაჟი სრულიად დარწმუნებული იყო და ვერ ახერხებდა, უარეყო ის, რაც საკუთარი თვალით იხილა და ძალიან უკვირდა მოძღვრის თავმდაბლობა, რომელსაც მომხდარის აღიარება არ სურდა.

მოძღვარი მართალი იყო, რამეთუ ხედავდა, რომ სასწაულის აღსრულების დროს მოქმედი თვითონ როდი იყო. ის ამბობდა:

– მხოლოდ ერთი რამ შემიძლია, ღვთის შეწევნით ავასრულო – მორჩილად ვილოცო მთელი ღამის განმავლობაში მათთვის, ვისაც გზაზე განსაცდელი მოელის. კეთილი ღმერთი საბაბს ეძებს უწესო და დაუმორჩილებელი შვილების გადასარჩენად. ის ჩემს ლოცვას მოიმიზეზებს და თვითონ იმოქმედებს. მაგრამ, ვინაიდან უფალი ჩვენი თავმდაბალია ბუნებით, არ სურს, გამოჩნდეს; და რადგანაც მიზეზად ჩემი ლოცვა ჰქონდა – ანგელოზს ჩემი სახე მიანიჭა. ასე რომ, მე არაფერ შუაში ვარ.

**მოამზადა**
**რევაზ ტომარაძემ**

# მოძღვარი გვირჩევს

**კითხვა**: **ახლა ხანდაზმული ადამიანი ვარ. მყავდა ათეისტი მშობლები და მე, ჩუმად, საკუთარი ნებით მოვინათლე, მათ დაუკითხავად. ისე, რომ ნათლია არ მყავდა. ვითვლები თუ არა მონათლულად?**

**პასუხი**: დიახ, თქვენ მონათლული ხართ. ნურც ის გარემოება შეგაშფოთებთ, რომ ნათლია არ გყოლიათ – თქვენი ნათლია არის ის მღვდელი, ვინც ნათლობის რიტუალი შეასრულა.

**კითხვა**: **როგორ უნდა გავიღოთ მოწყალება?**

**პასუხი**: მოწყალება უნდა გასცეთ ისე, რომ მარცხენა ხელმა არ იცოდეს, რას აკეთებს მარჯვენა



**კითხვა**: **იმდენად გამწარებული ვარ საკუთარ შვილზე, რომ მზად ვარ, გავანადგურო ჩემი ქონება, რათა ამ უღირსს არ დარჩეს. დავისჯები თუ არა ამისთვის უფლისგან?**

**პასუხი**: თქვენ განაწყენებული ხართ შვილზე და ამ მდგომარეობას დიდი სატანჯველი მოაქვს იმისთვის, რომ აქვე, ამ ცხოვრებაში არ დაიწყოს თქვენთვის ჯოჯოხეთი. უპირველესად, ილოცეთ შვილისთვის, რომ ის გახდეს კეთილგონიერი და თქვენც გათავისუფლდეთ ამ დამთრგუნველი გრძნობისგან.

**კითხვა**: **ძალიან მინდა ღვთისმშობლის ხატის მოქარგვა. აუცილებელია თუ არა ამისთვის კურთხევის აღება?**

**პასუხი**: ძალიან კარგია, რომ ასეთი სურვილი გაგიჩნდათ, ეს ღვთისმშობლისადმი თქვენს სიყვარულზე მიუთითებს, თუმცა მართლმადიდებელი ხატის მოქარგვას აქვს თავისი კანონიკა, ამიტომ აუცილებელია, კურთხევა მოძღვრისგან აიღოთ.

# რატომ მონათლეს ბონდ მღებრიშვილი ქართველ ლეონარდო დიკაპრიოდ და რის გამო მოკლა მან ცოლი ბელგიაში

**სასიხარულოა, როცა ქართველი წარმატებას აღწევს უცხოეთში და, ორმაგად გასახარი, როცა მას არ ავიწყდება საკუთარი წარმოშობა. ბონდ მღებრიშვილი 9 წლის იყო, მშობლებმა უცხოეთში რომ წაიყვანეს საცხოვრებლად. ის იქ გაიზარდა და საკმაოდ პოპულარული ბიჭი გახდა როგორც სპორტში, ასევე კინოში. დღეს ბონდი ბელგიაში ცნობილი და მოთხოვნადი მსახიობია: გადაღებულია ფილმებში, ტელესერიალებში და რეკლამებში. როგორც თავად ამბობს, მას წარმატების მიღწევაში ქართული გენეტიკა, ტემპერამენტი და მენტალიტეტი დაეხმარა. საკმაოდ ახალგაზრდამ, 24 წლისამ, მიაღწია დიდ წარმატებებს და, ამის მიუხედავად, ის თავმდაბალი, მოსიყვარულე და კომუნიკაბელურია, თან, არც ქართული წერა-კითხვა და ლაპარაკი დავიწყებია.**

**ბონდ მღებრიშვილი:** რომ დავიბადე, მშობლებმა ბაბუის სახელი დამარქვეს – ბონდო. ბელგიაში როცა გადავედით საცხოვრებლად და მეკითხებოდნენ, რა გქვიაო, რომ ვეუბნებოდი, ბონდო-მეთქი, ყველა ასე ამბობდა: „ვა, ბონდ? ჯეიმს ბონდ" ***(იცინის).*** ამიტომ, დღეს ეს სახელი შემომრჩა და ყველა ბონდით მიცნობს. საქართველოში ყოფნის დროს ვმღეროდი ანსამბლ „მძლევარში" და კარგი სასიმღერო მონაცემები მქონდა. სხვათა შორის, გარდა სიმღერისა, ყველა აღნიშნავდა ჩემს მსახიობურ მონაცემებსაც – მეუბნებოდნენ, შეგიძლია, სიხარულიც და ტკივილიც ემოციით, თვალებით, ქცევით გამოხატოო. სწორედ ამ ემოციების წყალობით ვარ დღეს ბელგიაში მსახიობი, მიღებენ ფილმებში, ტელესერიალებში და რეკლამებში, რომლებიც ხშირად ტრიალებს ტელეეკრანზე.

**– ბელგიაში ჩასულს არ გაგიჭირდა ახალი გარემოს შეგუება?**

– როგორ არა, თავიდან ძალიან გამიჭირდა. საქართველოში დავტოვე მეგობრები, ნათესავები, საყვარელი ხალხი, მაგრამ, ხომ იცით, დროთა განმავლობაში, ეგუები გარემოს, სადაც გიწევს ყოფნა; ცდილობ, იქ დაიმკვიდრო შენი სახელი და აკეთო ის საქმე, რაც წარმატებას მოგიტანს. ნოსტალგია მქონდა; სულ მინდოდა, ჩემი ქვეყანა მესახელებინა უცხოეთში; ყველაფერს ვაკეთებდი, რომ წინ წამეწია. სანამ კინოში მოვხვდებოდი, კონსერვატორიაში გავიარე აკადემიური კურსები, შემდეგ ვარჯიში დავიწყე ტაი-ბოქსზე.

**– როგორც ვიცი, არა მარტო სამსახიობო კარიერაში, სპორტშიც საკმაოდ წარმატებული ხარ.**

– დიახ, საკმაოდ დიდი წარმატებები მქონდა კრივში და დიდ იმედებსაც ამყარებდნენ მწვრთნელები. შემდეგ უნივერსტეტში ჩავაბარე მარკეტ-მენეჯმენტის ფაკულტეტზე. კლავიშებიან ინსტრუმენტზეც ვუკრავ, თვითნასწავლი ვარ. უნვერსიტეტში თეატრალური დარბაზის სცენაზე დავუკარი და სწორედ ამ დროს შემამჩნია დარბაზიდან ერთმა ადამიანმა. დაკვრა რომ დავასრულე, მოვიდა, გამეცნო და მითხრა, მე ვარ რეჟისორიო და, აი, იმ დღიდან დაიწყო ჩემი სამსახიობო კარიერა. როგორც შემდეგ მითხრა, ჩემი აღნაგობა, ნავარჯიშევი სხეული და ემოცია მოეწონა, რასაც დაკვრის დროს გადმოვცემდი. მოკლედ, შემომთავაზა, გამევლო სინჯები როლზე. ამ ფილმში მთავარ როლს ჟერარ დეპარდიე თამაშობდა. წავედი საფრანგეთში, გავიარე სინჯები, მაგრამ, ბელგიური ფრანგული აქცენტის გამო დამიწუნეს. ძალიან მიზანდასახული ადამიანი ვარ და უკან არასდროს ვიხევ. თუ საქმეს შევეჭიდე, ყოველთვის ვცდილობ, ბოლომდე მივიყვანო და მთელი პასუხისმგებლობა ჩავდო მასში. ერთი ჩემი მეგობარი ცნობილი მსახიობია, აბაში და მან მითხრა, როლზე მოკრივე ტიპი სჭირდებათ და იქნებ ქასთინგი გაიაროო. გავიარე და ამ როლზე დამამტკიცეს. ეს ჩემი პირველი გამოჩენა იყო დიდ ეკრანზე და, მივხვდი, კინო ჩემი სტიქია გახდებოდა. ასეც მოხდა. ამ ფილმმა საერთაშორისო ფესტივალები მოიარა და საკმაო აღიარებაც მიიღო. ამის შემდეგ წარმოშობით თურქმა რეჟისორმა გადამიღო ფილმში, სადაც თურქული ბანდის ლიდერი ვიყავი. ზოგადად კი, ჩემი ტიპაჟის გამო, ძირითადად, მაფიოზურ როლებზე მიწვევენ.



მიყვარს ქალი, მაგრამ ის ჩემი სუსტი წერტილი არ არის

**– რამდენი ადამიანი გყავს „მოკლული"?**

– ბევრი ***(იცინის),*** მათ შორის პოლიციელები და ღალატის გამო ცოლიც კი, რომელმაც ფულში გამცვალა. სხვათა შორის, ყველა რეჟისორი აღიარებს, რომ ჩემში ყველაზე მეტად თვალები მოსწონთ და ბევრ როლზე სწორედ ამის გამო მამტკიცებენ. ზოგადად, დაკვირვებული ვარ, ქართველი რომ თვალებით გადმოსცემს იმ ემოციას, რაც შიგნიდან მოდის, სხვა ეროვნების ადამიანს ეს არ შეუძლია ან არ გამოსდის. ქასთინგზე ტექსტის გარეშე, უთქმელად მიწევს ტირილის, სიხარულის, ტკივილის გადმოცემა და ყველა აღიარებს – ეტყობა, ეს ქართული გენეტიკის ბრალია, სხვა მსახიობი ასე ვერ გადმოგვცემს ამ ემოციებსო და ეს ყველაზე მეტად მიხარია. ალბათ, კიდევ სამი წელი გავჩერდები ევროპაში, შემდეგ კი ამერიკაში ვაპირებ კარიერის აწყობას, კერძოდ, ლოს-ანჯელესში მინდა გადასვლა. დიდი გეგმები მაქვს – ჰოლივუდს ვუმიზნებ. ყველა მსახიობი ოცნებობს ჰოლივუდზე და ეს გასაკვირი არ არის. სხვათა შორის, ამერიკაში ფესტივალზე იყო წარდგენილი არმაზ ხორნაულის ფილმი – „ახალი ცხოვრების დაწყება", რომელშიც გენიალური გია ყანჩელის მუსიკა ჟღერს და კინოკრიტიკოსებმა საკმაოდ მაღალი შეფასება მისცეს ამ ნამუშევარს. მე კი, ამ ფილმში შესრულებული როლის გამო, კინოკრიტიკოსებმა ქართველ ლეონარდო დიკაპრიოდ „მომნათლეს". ამ ფილმმა მოიარა ამერიკის, საფრანგეთისა და იტალიის საერთაშორისო კინოფესტივალები. ასე რომ, ახალ ცხოვრებას ჰოლივუდში ვგეგმავ და, ვნახოთ, ეს კავკასიელი ლეონარდო დიკაპრიო როგორ გავართმევ თავს ***(იცინის).*** თუმცა, იმედი მაქვს.

**– გარდა სრულმეტრაჟიანი ფილმებისა, ტელესერიალებითაც გაგიცნო მაყურებელმა. სულ რამდენ სერიალში ხარ გადაღებული?**

– სულ სამ სატელევიზიო სერიალში გადამიღეს და ბოლო სერიალში შევასრულე მდიდარი იტალიელი ბიჭის როლი, რომელიც ცოტა მაზოხისტია, უყვარს ქალები, გართობა, მილიონებს ხარჯავს და იცის ცხოვრების გემო. ბევრ ქალთან აქვს ურთიერთობა და იცის, როგორ მოხიბლოს ისინი. საკმაოდ სახასიათო როლია, მე მომწონს.

**– რეალურად როგორია შენი პირადი ცხოვრება?**

– ძალიან ვაფასებ ქალს და არასდროს მიტკენია სუსტი სქესისთვის გული. რასაკვირველია, მე ქართველი ვარ და გენში მაქვს ქალისადმი პატივისცემა. ჩემს პირად ცხოვრებას ისე ვუდგები, როგორც კარიერას, ანუ, მასზე სერიოზულად ვფიქრობ. რასაკვირველია, სასიყვარულო პარტნიორი ყოველთვის მყავს, მაგრამ, სერიოზული არაფერი ხდება, ეს უბრალო ფლირტია. არ დავმალავ, მიყვარს ქალებთან ურთიერთობა, თან, ევროპაში გაცილებით გახსნილი და ლაღი კონტაქტებია. მიყვარს ქალი, მაგრამ ის ჩემი სუსტი წერტილი არ არის ***(იცინის).*** ცოლი კი აუცილებლად ქართველი მეყოლება – ეს გადაწყვეტილი მაქვს. საქართველოში წელიწადში ერთხელ მაინც ჩამოვდივარ. მიყვარს ჩემი ქვეყანა და, მინდა, ის ყველგან ვასახელო, სადაც ფეხს დავდგამ.

**ნონა დათეშიძე**

**საკუთარი ცხოვრების მართვა ნებისმიერ ჩვენგანს შეუძლია, ანუ, შეგვიძლია, ჩვენი ცხოვრება უფრო სასიამოვნო, მრავალფეროვანი, სახალისო და წარმატებული გავხადოთ და ამაზე უარი არ უნდა ვთქვათ. მაგალითად, თუ იცით, რატომ არ არის რეკომენდებული ბინაში ორი ცოცხის ქონა და რაზე აისახება ის ცუდად, ერთი აუცილებლად უნდა გადააგდოთ; ან, კარგად მოვლილი თმით ბევრი რომ იწონებს თავს, ცოტამ თუ იცის, რომ სწორედ მასში იმალება ის საიდუმლო, რაც ჩვენს ფარულ ზრახვებს გასცემს. ქალბატონი მანანა, ამ საკითხებში კარგადაა გარკვეული და მიიჩნევს, რომ საჭიროა იმ ელემენტარული წესების გათვალისწინება, რასაც ეზოთერიკოსები გვირჩევენ.**

# რა ინფორმაციას აწვდის ჩვენი თმა ქვეცნობიერს რეალური სამყაროდან და რატომ არ უნდა გქონდეთ ბინაში რამდენიმე ცოცხი

**მანანა**: ყოველთვის მიხარია, როცა ჩემს გამოცდილებას სხვებს გადავცემ და ამით ისინი სასურველ შედეგს აღწევენ – ცხოვრებას უკეთესად იწყობენ და აწმყოთი და მომავლით ხარობენ. ადამიანები ხომ იმ მისიით ვართ მოვლენილნი ამქვეყნად, რომ ერთმანეთს დავეხმაროთ, ცოდნა და გამოცდილება გავუზიაროთ. მიხარია, თუ ჩემი რჩევები თქვენი ჟურნალის მკითხველებს დაეხმარება და ამით მადლიერები იქნებიან. მაგალთად, ბევრმა არ იცის, რომ თმა ბევრ ისეთ ინფორმაციას აწვდის ქვეცნობიერს, რაც რეალურ სამყაროში წარმატებების მიღწევასა და საჭირო ინფორმაციის მოპოვებაში გვეხმარება, ანუ, თმა უხილავი სამყაროდან იღებს ინფორმაციას.

**– დაგეთანხმებით, რომ ადამიანის თმას უამრავი ჩვეულება უკავშირდება. ძველად ქალს სწორედ თმის სიგრძითა და მოცულობით აფასებდნენ, მაგრამ ის ბედ-იღბალთანაც თუ იყო კავშირში, ალბათ ბევრმა არ იცის.**

– დიახ, ასეა და, მინდა, ისეთი რჩევები მოგაწოდოთ, რაც თქვენს ცხოვრებას სასიკეთოდ შეცვლის. მაგალითად, უკან გადაწეული, ჩაწნული თმა უფრო მეტად გამოკვეთავდა მისი პატრონის სიჭკვიანეს, სისადავეს, ერთგულებასა და მეოჯახეობას. ამიტომაც იყო, რომ გასულ საუკუნეებში ქალები სწორედ ასეთი ვარცხნილობით აწონებდნენ მამაკაცებს თავს. ადამიანი თმით ამყარებს კავშირს შეუცნობელ, ამოუხსნელ და უხილავ სამყაროსთან, საიდანაც ვიღებთ ინფორმაციას, ვაწვდით ტვინს და ვაღწევთ წარმატებას. თმას შეუძლია სამყაროდან დაიჭიროს და ჩვენს ქვეცნობიერს მიაწოდოს ულტრადაბალი ტალღები, რაც ტვინის ყოველდღიური განვითარებისთვის, უბრალოდ, აუცილებელია. მხოლოდ ჭაღარა თმას უჭირს სამყაროდან ინფორმაციის მიღება და მისი გადაცემა ტვინისთვის. სხვათა შორის, თმის ტიპი – სქელი, თხელი, ხშირი, ხუჭუჭი – დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მიიღება და ნაწილდება ადამიანის ორგანიზმში ენერგია. საერთოდ, კეფაზე ამოსული თმა იღებს ინფორმაციას, შუბლთან ამოსული კი ერთგვარი გადამცემის როლს ასრულებს. თუ კეფაზე თმა გაცვენილი ან მოპარსულია, მაშინ სამყაროდან მოსული ინფორმაცია ადამიანს დამახინჯებულად მიეწოდება. თმის შეჭრისას, ბიოველი, რომელიც მის გარშემოა, საგრძნობლად იცვლება. რაც უფრო მოკლედაა თმა შეჭრილი, მით უფრო უჭირს მას ინფორმაციის გადაცემა.

**– თუ თმა იწყებს ცვენას, ამას რაიმე კავშირი აქვს ორგანიზმში მიმდინარე ენერგეტიკული ცვლის დარღვევასთან?**

– როცა ორგანიზმში ენერგიის ცვლა დარღვეულია, მაშინ არც სამყაროს უხილავი ენერგია მიიღება და იწყება თმის ცვენა. როდესაც თმის გარკვეული ნაწილი ცვივა, ჩათვალეთ, რომ ნელ-ნელა მცირდება სამყაროდან საჭირო ინფორმაციის მიღება. ძველად ათასგვარ საშუალებას ხმარობდნენ, თმის მოსავლელად, მაგალითად, ხორბლის ნახარშს. ამით ცუდ ენერგიას ჩამ-



ოირეცხავდნენ თმიდან, რაც მათ იღბალზე დადებითად მოქმედებდა. არა მარტო

## ჭაღარა თმას უჭირს სამყაროდან ინფორმაციის მიღება და მისი გადაცემა ორგანიზმისთვის

ხორბლის, არამედ, ჭინჭრისა და მუხის ხის ქერქის ნახარშიც გამოიყენებოდა თმიდან ნეგატიური ენერგიის ჩამოსარეცხად. მუხის ქერქის ნახარშით თავის დაბანა ხსნის დაღლილობას; ხორბლის ნახარში ორგანიზმს უბრუნებს სასიცოცხლო ძალებს, ხოლო, ჭინჭრის ნახარში თმის ღერს ასუფთავებს და წმენდს სამყაროდან მიღებული უსარგებლო ინფორმაციისგან. ზოგადად, მცენარეები ძალიან გვეხმარებიან, ვიყოთ ჯანმრთელები და ბედნიერები. ალბათ, ბევრმა იცის, რომ თითოეულ ადამიანს ჰყავს თავისი მფარველი და მკურნალი ხე. ძველი ხალხი ცდილობდა, რაც შეიძლება ბევრი ხე დაერგო, მათ მოჭრას კი ერიდებოდნენ. ხეებს ადამიანების ბოროტი და ავი ენერგიებისგან დაცვაც შეუძლია. ხესთან ჩახუტებით კი თქვენს ორგანიზმს ჯანმრთელობითა და სიცოცხლით აავსებთ. ჩვენი წინაპრები ამბობდნენ, რომ მრავალწლიან ხეებს განსაკუთრებული ენერგეტიკა აქვთ და მათი მოჭრა ადამიანს კატეგორიულად ეკრძალება. ღრმად სწამდათ, რომ ხეებს შეეძლოთ ჯანმრთელობის, ბარაქის, კეთილდღეობისა და დღეგრძელობის საქმეში წარმატების მოტანა; ავადმყოფობისგან განკურნება; გათვალვისა და ჯადოს აცილება და სურვილების ახდენა. საქართველოში ეს ტრადიცია დღემდეა შემორჩენილი – ალბათ, ბევრს გინახავთ ფერად-ფერადი ლენტებით აჭრელებული, ეგრეთ წოდებული „ნატვრის ხეები". ხოლო, ვინც ასეთ ხეს ცულს დაჰკრავს და დააზიანებს, მას დიდი უბედურება და რისხვა დაატყდება თავს. ასევე, ცოდვად ითვლება ნებისმიერი ბებერი ხის მოჭრა, თუ ის არ არის გამხმარი. აქვე ერთ წესს გასწავლით, რომელიც პირადი ცხოვრების მოწყობაში, კარიერასა და ფინანსური კეთილდღეობის მოპოვებაში დაგეხმარებათ: აიღეთ ნაძვის ტოტი, ზედ ძაფით დაამაგრეთ ფერად-ფერადი ღილები და თან ჩაუთქვით, რისი ახდენა გსურთ. შემდეგ ეს ტოტი ჩამოკიდეთ სახლში, გამოსაჩენ ადგილას, რომ ხშირად შეხედოთ. თუ სიყვარულში გსურთ წარმატება და პირადი ცხოვრების უკეთ აწყობა, მაშინ ნაძვის ტოტზე წითელი ღილები დაამაგრეთ; თუ კარიერაში გსურთ წინსვლა – იისფერი, ფინანსური შემოსავლების ზრდისთვის კი ოქროსფერი ღილები გამოგადგებათ. ასევე, უმჯობესია, ისინი კენტი იყოს. თუ სამივე სფეროში გსურთ, წინ გადადგათ ნაბიჯი, მაშინ ტოტზე თანაბარი რაოდენობის ფერადი ღილები დაამაგრეთ.

**– ქალბატონო მანანა, გამიგია, რომ ოჯახში არ შეიძლება რამდენიმე ცოცხის ქონა. ეს რაიმე კავშირშია ეზოთერიკულ კანონებთან?**

– ცოცხს დიდი მაგიური დატვირთვა აქვს და ოჯახისთვის ბედნიერება და იღბალი მოაქვს. არ არის რეკომენდებული ბინაში ორი ცოცხი გქონდეთ – ეს ცუდად აისახება ბედზე და, არ არის გამორიცხული, საყვარელმა ადამიანმა ღალატით დაგწყვიტოთ გული. გარდა ამისა, ცოცხი უნდა შეინახოთ ტარით ქვევით; არასასიამოვნო სტუმრის წასვლის შემდეგ კი აუცილებლად სველი ცოცხით უნდა გამოგავოთ ოთახი, რათა ის ენერგია, რომელიც მან საცხოვრებელში დატოვა, ადვილად გაანეიტრალოთ და გარეთ გაიტანოთ.

**ნონა დათეშიძე**



**ნათელმხილველი - ნელი ბიჩიკაშვილი**

თუ ბევრი გასაჭირი დაგატყდათ თავს, როგორიცაა უბარაქობა, ბედის ჩაკეტვა, უშვილობა, ჯადოს ზემოქმედება, ნარკომანია, ლოთობა, კაზინოდამოკიდებულება და სხვა. მიმართეთ ნათელმხილველ ნელი ბიჩიკაშვილს! ქალბატონი ნელი იმ ერთეულთა შორისაა, ვისაც შეუძლია უზუსტესად იწინასწარმეტყველოს თქვენს თავს დატეხილი უბედურების მიზეზი და ამ მიზეზის განეიტრალება მოახდინოს... ქალბატონმა ნელიმ ბევრ უშვილო წყვილს აჩუქა შვილის ყოლის ბედნიერება....

*ჩაწერა ხდება წინასწარ.*

**ტ: 214-20-65 (ბინა). 593-30-65-51, 599-20-37-64, 597-10-23-37.**

# რატომ ვერ ეგუება ზოგიერთი ქალი რეალობას და რაში ტყუვდებიან ისინი გათხოვების შემდეგ

**ყველას არ შეუძლია, უყვარდეს. სიყვარული არის ნიჭი, რომელიც, თუ არ გაქვს, თავად უნდა აღზარდო საკუთარ თავში. არცთუ იშვიათად, ვცდებით ხოლმე სხვების შეფასებისას, რადგან ზოგიერთს ორბუნებოვნება ახასიათებს. არსებობენ მამაკაცები, რომლებსაც შეუძლიათ, გარეთ სხვანაირები იყვნენ და იდეალური პიროვნების შთაბეჭდილება დატოვონ. ძალიან დაკვირვებულმა ქალმაც კი შეიძლება დაუშვას შეცდომა, ცხოვრება ასეთს დაუკავშიროს და, დიდი ალბათობით, ის ბედნიერი ვერ იქნება.**



**დიანა** *(29 წლის):* როგორი იმედი მქონდა, რომ შევქმნიდი ოჯახს და მერე ჩემს რჩეულთან ერთად დიდხანს და ბედნიერად ვიცხოვრებდი – ყველა ქალი ხომ ამაზე ოცნებობს. მიკვირს, რატომ უყურებენ კაცები ამას ირონიულად – ოჯახი მათთვისაც ხომ მნიშვნელოვანია და ამაზე ძვირფასი რა შეიძლება ადამიანს ჰქონდეს?! ჩემი მომავალი ქმარი ხალხში არაჩვეულებრივი და განსაკუთრებული იყო.

**– რას გულისხმობთ ამაში?**

– არაჩვეულებრივად იქცეოდა – ძალიან რაინდულად და ღირსეულად, ისე, რომ ყველა ქალს შურდა ჩემი – ნაცნობსაც, მეგობარსაც და უცნობსაც. ზოგჯერ მე თვითონაც კი არ მჯეროდა საკუთარი ბედნიერების – ასეთ განსაკუთრებულ მამაკაცს როგორ შევუყვარდი-მეთქი. თურმე, ორსახოვანი მამაკაცებიც არსებობენ – საშინაო დესპოტები და საგარეო რაინდები. ზუსტად ასეთი აღმოჩნდა ჩემი ქმარი.

**– ფიქრობთ, რომ მხოლოდ მამაკაცები შეიძლება იყვნენ ასეთები?**

– ამ წუთში, მე სხვა არ მაინტერესებს, თუმცა, მგონი, უფრო კაცებისთვისაა ამ ტიპის ორსახოვნება: სანამ ცოლად შეგირთავს, თავს გაჩვენებს, რომ შენით ცოცხლობს, სინამდვილეში კი მოახლე და მონა სჭირდება, რომ მასზე იბატონოს და თუ ეს მონა მუნჯიც იქნება, მთლად უკეთესი.

**– ასეთი ურთიერთობა გაქვთ ქმართან? მუნჯი უნდა იყოთ, ამას გაიძულებთ?**

– ერთი შეხედვით ეს ასე არ ჩანს, მაგრამ აშკარაა ჩემ მიმართ უპატივცემულობა. ყოფილა შემთხვევა, როცა სამი დღით დაკარგულა და არც კი აუხსნია, სად იყო. ხომ წარმოგიდგენიათ, როგორ ვინერვიულებდი. მაგრამ, როცა მოვიდა და ვკითხე, სად იყო, სანანებელი გამიხდა – ისეთი „ჩამიტარა“, თავის მოკვლა მინდოდა. აქეთ დამადანაშაულა: მითხრა, რომ ისტერიკისკენ მაქვს მიდრეკილება; რომ აზრზე არ ვარ, როგორი ურთიერთობა უნდა მქონდეს ქმართან. მაშინ უნდა მივმხვდარიყავი, რომ არაფერი ეშველებოდა; რომ იმ ადამიანების კატეგორიას მიეკუთვნება, რომლებსაც სიყვარული არ შეუძლიათ. იმდენჯერ ავუტირებივარ, სათვალავი ამერია. ასე მგონია, სხვა კაცთან ვცხოვრობ და არა იმასთან, ვისაც ქორწინებამდე ვიცნობდი და მიყვარდა. ფეხით მოსიარულე ყურადღება და მზრუნველობა იყო; თვალებში მიყურებდა, რომ გამოეცნო, რა მესიამოვნებოდა... მართლა ყველას შურდა ჩემი. ფსიქოლოგი ან ტელეპატი უნდა ვყოფილიყავი, რომ მის ჭეშმარიტ ბუნებას ჩავწვდომოდი. ერთადერთი, რასაც ვამჩნევდი, სიჯიუტე იყო, მაგრამ, ჯიუტი ვინ არ არის? ამით როგორ უნდა მივმხვდარიყავი, სიყვარული შეეძლო თუ არა?

**– არცერთხელ არ გაემჟღავნებია თავი?**

– რაში? იმაში, რომ სიყვარულის უნარი არ ჰქონდა? – რა თქმა უნდა, არა. ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის ეს შეუმჩნეველი დარჩა.

**– კიდევ რაში გამოიხატება მისი „არსიყვარული“ თუ „ვერსიყვარული“... ანუ ის, რომ სიყვარული არ შეუძლია?**

– უნარი არ აქვს, გამიგოს; არაფერს წარმოვადგენ მისთვის; გვერდში დგომის უნარი არ გააჩნია. რაც უნდა მოხდეს, ყველფერში მე ვარ დამნაშავე. იშვიათი ნიჭი აქვს, მთელი ბრალეულობა ჩემზე გადმოიტანოს და იქით მომახდევინოს ბოდიში. ეტყობა, მოსწონს, მუდმივად თავის მართლების რეჟიმში რომ ვარ. თუ ჩემს წარმატებებზე ვუყვები, დუმს, თითქოს საერთოდ არაფერს წარმოვადგენ. ერთხელ ვცადე, დაველაპარაკებოდი – ვუთხარი, შენ, მგონი, აღარ გიყვარვარ-მეთქი. სულელი ხარ. რა უნდა გავაკეთო, სიყვარული რომ დაგიმტკიცო, თავდაყირა ვიარო?! იქნებ მას ასე ესმის სიყვარული? ან, იქნებ, პირიქით, როგორმე მე უნდა გავუგო და დავეხმარო? მოკლედ, აღარ ვიცი, რა ვქნა. იმიტომ, რომ, როგორც კი იმას ვეუბნები, არ გიყვარვარ-მეთქი, გიჟდება, სახლიდანაც კი გარბის. ორჯერ უკვე მოიქცა ასე. ვფიქრობდი, არ დამირეკა და ამით დამესაჯა, იქნებ ჭკუაზე მოსულიყო, მაგრამ, მხოლოდ დღე-ნახევარი გავძელი და ბოლოს ისევ მე დავურეკე, მაგრამ, ისეთი რალაცეები მითხრა, ცრემლებით ვეხვეწებოდი, ოღონდ დაბრუნდი და ყველაფერზე თანახმა ვარ-მეთქი.

> **ასე მგონია, სხვა კაცთან ვცხოვრობ – იმასთან არა, ვისაც ქორწინებამდე მიყვარდა და ვისაც მანამდე ვიცნობდი...**

**რა გითხრათ?**

– რომ მე ეგოისტი და უსულგულო ვარ; რომ ის ზრუნავს მთელ ოჯახზე, შრომობს, მე კი განსაკუთრებულ ყურადღებას ვითხოვ და არ შევდივარ მის მდგომარეობაში... თუმცა, როცა მოვიდა და ატირებული დავხვდი, თან ვუთხარი, რომ ძალიან მიყვარს, მითხრა – ვიცოდი, რომ დამირეკავდიო. მერე, რამდენიმე დღე, თითქოს ცდილობდა, ძველებურად თბილი და ყურადღებიანი ყოფილიყო, მაგრამ, ძალიან ცოტა ხანს გასტანა, ისიც გარკვეული ულტიმატუმებით.

**– რა ულტიმატუმებით?**

– არ უნდა ჩავიცვა მოკლე კაბა; ზედმეტად გულამოჭრილი მაისურებიც უნდა დავივიწყო; ბევრი არ უნდა ვილაპარაკო – მოკლედ, მკაცრი განაწესი მაქვს. ასეთ რეჟიმში და მუდმივ სტრესში როგორ უნდა ვიცხოვრო? მითხარით, ეს სიყვარულია?! მისი ყველა გამოხდომა სულში ნაიარევს მიტოვებს და ეს ჭრილობები გროვდება. ველარ ვეგუები რეალობას, მიჭირს ამდენ ტკივილთან ცხოვრება. ქორწინებაში სხვა გეგმები გვქონდა, რომელიც დამენგრა.

**– რა გეგმები გქონდათ?**

– მშვიდი ცხოვრება მოსიყვარულე ქმართან და შვილებთან ერთად, ყოველგვარი დაძაბულობისა და სტრესების გარეშე. ადამიანს აღარ ვგავარ.

**– ხომ არ ეჭვიანობთ, რომ ვილაც სხვა ქალთან ხარჯავს მთელ სითბოს და ამიტომ გახდა თქვენ მიმართ ასეთი?**

_ არ ვიცი. შეიძლება, ეგეც არის, ვერაფერს გამოვრიცხავ. მე აღარ მაქვს იმის ენერგია, უკან ვდიო და რაღაც-რაღაცეები გამოვქექო. რომ გამიგოს, სულ გადაირევა.

**– ანუ, ისევ მის მდგომარეობას უფრთხილდებით?**

– ოჯახს ვუფრთხილდები. თან, გამიგია, როცა კაცები საყვარელს იჩენენ, პირიქით, ძალიან ყურადღებიანები ხდებიან, ცოლებს საჩუქრებით ავსებენ... ეს რატომ იქცევა არანორმალურად, მართლა ვერ ვხვდები.

**– ქცევა ინდივიდუალურია. ამის მიხედვით მსჯელობა ლოგიკური არ იქნება.**

– არ ვიცი, ძალიან დავიბენი და, შეიძლება, სისულელეებსაც ვლაპარაკობ. დაბნეულობა ცუდი მრჩეველია. ხან ვფიქრობ, რომ ყველაფერი უნდა დავასრულო და ახალი ცხოვრება დავიწყო.

**– ქმრის გარეშე?**

– როცა ამ აზრამდე მივდივარ, მაგრად ვფრთხები, უკან ვიხევ და ისევ მზად ვარ, ჩემი ქმრის უსიყვარულობა და გულცივობა ავიტანო... რამდენიმე დღის წინ მიყვირა – თავი დამანებე, მომცილდიო. რანაირადლა ველაპარაკო? არავითარი გრძნობა... არავითარი. ცივია და შეუვალი, რაც მომაკვდინებელია ჩემთვის. ჩემმა ქმარმა სიყვარული არ იცის, უბრალოდ, ზოგჯერ ახერხებს, ითამაშოს მზრუნველი და მოსიყვარულე ქმრის როლი. ეს კი საკმარისი არ არის, მით უმეტეს, როცა საქმე ოჯახს ეხება. მაგრამ, არც ის ვიცი, რა მოვახერხო...

**დალი მიქელაძე**

## ᲐᲠᲐᲕᲘᲗᲐᲠᲘ ᲔᲛᲝᲪᲘᲔᲑᲘ...

ერთ ჭერქვეშ ცხოვრება ყველაზე საყვარელ ადამიანთან ერთადაც კი რთულია. არსებობს დაუწერელი კანონები და უხილავი საზღვრები. პირველი უნდა მიილო და დაემორჩილო, ხოლო მეორე – არ უნდა გადალახო. სალი აზრი ყველაზე საჭიროა საყვარელ ადამიანთან ურთიერთობაში. გრძნობა და ემოციები კარგია, მაგრამ მხოლოდ მათი აყოლა პრობლემებსაც ქმნის.

დაიმახსოვრეთ:

* თუ საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას თუნდაც უმნიშვნელო შეცდომა დაუშვით, გაჯიუტების გარეშე აღიარეთ და ბოდიში მოუხადეთ. ეს თქვენს პიროვნებას არ დააკნინებს, პირიქით, თქვენი პარტნიორის კეთილგანწყობას მოიპოვებთ.

* ნურასდროს შეეცდებით კონფლიქტის გაღრმავებას; ნუ ჩაუღრმავდებით თუნდაც უსამართლო შენიშვნას. ჯობია, იმ მომენტში გაჩუმდეთ და მხოლოდ რაღაც პერიოდის შემდეგ უთხრათ, რომ მართალი არ იყო, ოღონდ, ყოველგვარი საყვედურებისა და პრეტენზიული ტონის გარეშე.

* ნუ შეეცდებით, თქვენს შეცდომებში მეუღლე დაადანაშაულოთ. თავის მართლებაც, როცა რაღაცას სწორად არ გააკეთებთ, დიდი სისულელეა. ვის რას დაუმტკიცებთ ამით?! აჯობებს, დაუფიქრდეთ, რა შეგეშალათ და თავადვე გამოასწოროთ.

* კრიტიკა მიიღეთ მშვიდად, ზედმეტი ემოციების გარეშე. შეეცადეთ, მიხვდეთ, რატომ, რის გამო აქვს მეუღლეს თქვენთან პრეტენზია. ახსნასა და თავის მართლებას შორის დიდი სხვაობაა. როცა თავს იმართლებთ, იმ ბავშვს ჰგავხართ, რომელმაც რაღაც დააშავა და ახლა სასჯელის ეშინია; ახსნა კი ყოველთვის შედეგის მომტანია, მთავარია, ეს სწორად გააკეთოთ.

## ᲛᲧᲘᲤᲔ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ

ამბობენ, თითქოს ქალებს ერთმანეთთან გულწრფელი, უანგარო და ხანგრძლივი მეგობრობა არ შეუძლიათ... და რომ მათ ცხოვრებაში გაჩენილი მამაკაცი წერტილს უსვამს ყველაზე ძლიერი მეგობრობით დაკავშირებულ ურთიერთობას. მაგრამ, საბედნიეროდ, ეს სიმართლე არ არის, მშვენიერ სქესს შესანიშნავი მეგობრობა შეუძლია, თანაც, ეს სულაც არ არის იშვიათი მოვლენა. თუმცა, ქალური მეგობრობა ცოტათი მყიფეა, ანუ ფაქიზია – ერთი არასწორი ნაბიჯიც კი საკმარისია, რომ ყველაფერი კრახით დასრულდეს. რა თქმა უნდა, ამაზე ორივემ უნდა იფიქროს. უნდა ვაღიაროთ ისიც, რომ, არცთუ იშვიათად, ქალებს შორის ჩხუბისა და გაუგებრობის მიზეზი ნამდვილად ხდება ხოლმე მამაკაცი. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ქალები კაცის გამო აუცილებლად დაერევიან ერთმანეთს და ვერ იყოფენ მას. ქალებიც უფრთხილდებიან მეგობრობას, უბრალოდ, ისინი კაცებზე გაცილებით ემოციურები, ეჭვიანები და მესაკუთრეები არიან. მამაკაცები კი ბევრად უფრო რაციონალურად უდგებიან ნებისმიერ ურთიერთობას.

იმისთვის, რომ ასეთი „მყიფე" მეგობრობა ხელებში არ ჩაგვეფშვნას, ქალებმა ერთი რამ უნდა ვიცოდეთ: არასოდეს გავეჯიბროთ ჩვენს დაქალებს, რისი მიზეზიც ყველაზე ხშირად მამაკაცია ხოლმე. პრობლემის გადაჭრას ყოველთვის შველის გულახდილი საუბარი. არავითარი „თამაში"! დაპირისპირება და შედარებითობა შეუთავსებელია მეგობრობასთან. იდეალური ურთიერთობა გამორიცხავს ეგოისტობას. ნუ იქნებით ეგოისტები და, მაშინ, თქვენი მეგობრობა მყიფე კი არა, მტკიცე იქნება.

## ᲘᲡ ᲐᲛᲐᲡ ᲕᲔᲠ ᲘᲢᲐᲜᲡ

მამაკაცების დიდი უმრავლესობა ვერ იტანს, როცა ვინმე, თუნდაც საყვარელი მეუღლე, მის უსუსურობასა და უუნარობას ხედავს. ამიტომაც არჩევენ, არავის გაუმხილონ საკუთარი პრობლემები და ჩუმად, დამოუკიდებლად მონახონ მათი გადაჭრის გზები. მეუღლეც და მეგობრებიც მამაკაცს თავისი ტრიუმფის გასაზიარებლად სჭირდება. მით უფრო, თუკი ის ბუნებით ამბიციური და მიზანდასახულია. იშვიათია კაცი, რომელსაც მოეწონება, როცა გვერდით მყოფი ქალბატონი იცოდებს ან მიუთითებს სისუსტეზე, უუნარობასა და უმოქმედობაზე. როცა კაცი ნერვიულობს და თქვენ ამას ამჩნევთ, ჯობია, საერთოდ შეეშვათ და აცადოთ, გაერკვას საკუთარ თავში. ნუ შეეცდებით, გაიგოთ, სად აქვს პრობლემები – სამსახურში თუ რომელიმე მეგობართან. დატოვეთ თავის ფიქრებთან მარტო და არ იღელვოთ, მით უფრო – შესამჩნევად. მოიქეცით ისე, თითქოს არაფერი ხდება – გადით სხვა ოთახში და, თუ საქმე არ გაქვთ, მეგობრებს დაურეკეთ საჭოროდ, ან, სალონში წადით და სახლში გალამაზებული დაბრუნდით. ნუ შეაწუხებთ შეკითხვებით – ის ამას ვერ იტანს. ხოლო, თუ მისთვის საჭირო იქნებით, ის თავადვე გეტყვით.

## ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘᲐ

სიტყვებს სასწაულის მოხდენა შეუძლია... შეხებას, ჩახუტებას კი უიმედო სიტუაციის წარმატებისკენ შემობრუნება. ნეგატივი წუთში გაქრება და პოზიტივით აივსება თქვენი ცხოვრება. სხვათა შორის, თბილი სიტყვები, ჩახუტება და ალერსი მხოლოდ სიამოვნების მომტანი კი არ არის, სამკურნალო ეფექტებიც გააჩნია. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ფიზიკური, პოზიტიური სიახლოვისგან მიღებული დადებითი იმპულსები. არასდროს გამოგიცდიათ ამ ყველაფრის ჯადოსნური ძალა? მაშინ აუცილებლად სცადეთ და თავად დარწმუნდებით.

ათი წუთით საყვარელ ადამიანთან ჩახუტება ამცირებს არტერიულ წნევას, მთლიანად ხსნის სტრესს და დაძაბულობას, აძლიერებს იმუნიტეტს.

სამწუხაროდ, ადამიანებს ერთმანეთისთვის ტკივილის გამომწვევი, უხეში სიტყვების მიხლა უფრო გვეადვილება, ვიდრე თბილი, გულშიჩამწვდომი სიტყვების თქმა და ალერსი.

საყვარელი ადამიანის მიერ წარმოთქმული სიტყვები, რომლებიც გულის სიღრმეში სწვდება, ზოგჯერ წამალივით მოქმედებს. ამიტომაც ამბობენ, სიტყვები ყველაფერიაო. სიყვარულიც ყველაფერია და არასოდეს დაინანოთ თბილი სიტყვები საყვარელი ადამიანისთვის.



გვერდი მოამზადა ნინო წულუკიძემ

## ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲛᲝᲕᲘᲓᲐ

**მოღალატე არ ვარ. ღმერთმა დამიფაროს, მსგავსი რაღაც გულში და ფიქრში გავივლო, მაგრამ მომწონს, როცა მამაკაცების ყურადღებას ვიპყრობ და ქმარს ვაეჭვიანებ. ამით სიამოვნებას ვიღებ. ჩემი მეუღლე ზოგჯერ ბრაზობს და მეუბნება, რომ ჩემი ნდობა არ შეიძლება, რომ ასეთი საქციელით კაცებს ცუდს ვაფიქრებინებ ჩემზე. რა მოხდა, თუ ვიპრანჭები, რას ვაშავებ ამით? ქალისთვის, მგონი, ნორმალურია, იპრანჭებოდეს.**

**გამოხმაურება:** დიახ, ქალი ცოტას უნდა იპრანჭებოდეს. ამაში ცუდი ნამდვილად არაფერია, მაგრამ გააჩნია, ამას როგორ აკეთებთ. შეიძლება, თქვენი ქმარი უკეთ ამჩნევს კაცების რეაქციას თქვენს პრანჭვაზე. ამიტომ კეთილგონიერება გამოიჩინეთ. ქმრის თანდასწრებით მაინც ნუღარ მოიქცევით ასე. თუმცა, რადგან მეუღლეს უკვე აქვს რაღაც ეჭვები, აჯობებს, იმაზე იზრუნოთ, როგორ გაუქარწყლოთ ისინი.

ფსიქოლოგი
მაგდა როგაქიძე

# როგორ იქცნენ ნუგზარ ჯულელისა და რუსთაველის თეატრის მსახიობი მამაკაცების ცოლები ერთ ღამეში „უნესო“ ქალებად

„ხშირად სვამენ კითხვას – როგორი უნდა იყოს სპორტული კომენტატორი?.. ჩემი დაკვირვებით, კომენტატორი, უპირველეს ყოვლისა, საინტერესო პიროვნება უნდა იყოს. მიმაჩნია, რომ ყველა დროის საუკეთესო კომენტატორი ეროსი მანჯგალაძე იყო. არის პოეტი, რომელიც ერთი ლექსით რჩება კაცობრიობას; არის კომენტატორი, რომელიც ერთი ფრაზით დაამახსოვრდება ყველას. მხედველობაში მყავს კოტე მახარაძე, როდესაც მან წაიყვანა რეპორტაჟი 1981 წლის 13 მაისს დიუსელდორფიდან... “



მაგრამ დღეს არც ერთის და არც მეორის დღიურებს არ გადაგიშლით, ამჯერად ნუგზარ ჯულელის სპორტული ცხოვრების დღიურებს გადავავლებთ თვალს: ისიც მასახიობი-კომენტატორი; ისიც გასაოცარი, კომენტატორობისთვის საჭირო ხმის ტემბრითა და კარგი საუბრის მანერით. თავს ბედნიერ კაცად მიიჩნევს, რადგან ქართული ფეხბურთის ყველა ვარსკვლავი ცოცხლად ჰყავს ნანახი. რეპორტაჟის წაყვანის დროს ხშირად მოსდიოდა შეცდომები და სწორედ ამ შეცდომებმა შემოინახა ქართველი კომენტატორის სახალისო ისტორიები.



მაშ ასე, ამ დღიურებს ერევნის რესპუბლიკურ სტადიონზე, „არარატთან“ თამაშით ვიწყებ:

„სომეხმა ფეხბურთელებმა გაგვიტანეს ბურთი, მაგრამ მსაჯმა რატომღაც არ ჩათვალა. არ ჩათვალაო! დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო! გაგიჟდა ხალხი! ასეთ შემთხვევაში ეძებ იმ ობიექტს, რაზეც ან ვისზეც უნდა იყარო ჯავრი... უცებ ვიღაცამ მოიხედა ჩემკენ – შუშის ჯიხურში ვზივარ. ერთმა-ორმა მუშტიც მომიღერა. გამეცინა – რა უნდა ჩემგან-მეთქი? გაგეცინაო?! ვხედავ, ეს ხუთიათასკაციანი ბრბო ჩემკენ წამოვიდა... კიდევ უფრო ამიტყდა სიცილი... რა ჩემი ბრალია, ბურთი მსაჯმა არ ჩათვალა-მეთქი. აი, მომიხლოვდნენ... ამ დროს, წამოიღო ერთმა ერევნელმა ფეხბურთელმა ბურთი და გაგვიტანა! – ამოისუნთქეს იმათ და ამოვისუნთქე მეც. შესვენებისას მოვიდა ტექნიკური მუშაკი და მითხრა: შენი ჭირიმე, ოჯახის პატრონი ვარ, სამი შვილი მყავს. თუ ძმა ხარ, აგერ, შავი სათვალე, გაიკეთე, თორემ, შეიძლება მსაჯმა კიდევ არ ჩათვალოს გოლი და, იცოდე, ორივე დავილუპებითო!..“

## თარსი კატა

„ამბობენ, რაც უფრო მეტ შეცდომას უშვებ, მით უფრო მეტ გამოცდილებას იძენ. თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ თქვენი მონამორჩილი ერთ-ერთი გამოცდილი კაცი ყოფილა ამქვეყნად... მართლაც, ისე აეწყო, რომ, ბოლო ორი ათეული წელია, თუ ვინმეს რამე შეცდომა მოსდის რადიო ან ტელეგადაცემების დროს, ყველაფერს მე მომაწერენ ხოლმე...

თბილისის „დინამოს“ უფროსი მწვრთნელი ერთ დროს ალიოშა კოტრიკაძე იყო. ერთ-ერთი გასვლითი მატჩია. რეპორტაჟის დროს ვამბობ: „გუშინ სასტუმროს ერთ-ერთ ნომერში, თბილისელთა გუნდის მთავარ ბანაკში მთელი ღამე ენთო შუქი – ალიოშა კოტრიკაძე ფიქრობდა დღევანდელ მატჩზე!“... ის თამაში წავაგეთ. მეორე დღეს ჩამოვდივარ თბილისში, ვიღაც მირეკავს და მეკითხება: „ნუგზარ, თუ ღმერთი გწამს, გამაგებინე, ბოლოს და ბოლოს, ალიოშამ ჩააქრო სინათლე?“

კვლავ ერევანი. ბურთი მიიღო ჩელებაძემ. მოატყუა რამდენიმე მეტოქე, შევიდა საჯარიმო მოედანზე, მოატყუა მეკარეც, კარი ცარიელია, ჩელებაძე... ცარიელი კარი... ბურთი... უკვე ვყვირი: „არის! არის!..“ დაარტყა ჩელებაძემ და... ააცილა... ამის შემდეგ წავიდა ლენინგრადში გუნდი. მე ვარ კომენტატორი – წააგო; წავიდა ტაშკენტში, ისევ მე ვარ კომენტატორი – წააგო; წავიდა კიდევ სადღაც, კვლავ მე ვუძღვები რეპორტჟს – კვლავ წააგო. რა ხდება? ხომ უნდა მოიძებნოს ამ წაგებული თამაშების მიზეზი? დიდებული გუნდი გვყავს – თოთხმეტი კაცი სხვადასხვა ნაკრებში თამაშობს, ბრწყინვალე მწვრთნელი გვყავს – ნოდარ ახალკაცი. ვინ არის დამნაშავე? – კითხულობენ. ჯულელი! რატომ? თარსია! შეიქმნა საზოგადოებრივი აზრი. დარეკეს ზემოდან: „მოაშორეთ ეგ ჯულელი!“ მომაშორეს. განვიცდი, კაცო, რა ჩემი ბრალია! ისინი აგებენ, მე რა შუაში ვარ? ის პერიოდია, იწვის კახეთი – საშინელი გვალვაა, იღუპება მოსავალი... მართალია, ფეხბურთს ჩამომაშორეს, მაგრამ, „მოამბე“ ხომ მიმყავს და, სულ ამ გვალვის ამბებს ვაშუქებ. მხვდება ერთი ახლობელი: „დინამოს“ წარუმატებლობა რომ დაგაბრალეს, კიდევ ჰო, მაგრამ, შენი ბედი რომ ვიცი, ახლა კახეთის გვალვაც შენ დაგბრალდებაო. დავწერე განცხადება და გავედი შვებულებაში.



...სხვათა შორის, კალათბურთელი ამას არ იკადრებს. ერთი სეზონი იყო, ზედიზედ ოცი მატჩი წააგეს ჩვენმა კალათბურთელებმა, ოცივე რეპორტაჟი მე გადავეცი, მაგრამ, არცერთ მათგანს არ დასცდენია, ჯულელის ბრალიაო. აქ კი, წავაგებდით ზედიზედ სამ თამაშს და – „ჯულელი, დაისვენე!.. შენი ბრალია!“

## თეატრიდან სტადიონამდე

სომერსეტ მოემს აქვს ნათქვამი: მსახიობების საქმე მაშინ წავიდა ცუდად, როცა მათი დასაფლავება დაიწყეს ქრისტიანულ სასაფლაოზე და როდესაც მსახიობებმა დაიწყეს ზრუნვა, პარლამენტის წევრები გამხდარიყვნენო. მსახიობს არ სჭირდება კარიერისკენ ლტოლვა. მსახიობები – ცალკე კასტაა... რაც დრო გადის, მით უფრო ვხვდები, როგორ შევცდი, როცა თეატრი მივატოვე.



1959 წელს დავამთავრე თეატრალური ინსტიტუტი. ძალიან დიდი სურვილი მქონდა, გავმხდარიყავი მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი, მაგრამ განაწილებით რუსთაველის თეატრში წავედი, სადაც თერთმეტი წელი ვიმსახურე. ჩემთან ერთად ინსტიტუტიდან თეატრში მოვიდნენ კახი კავსაძე, სოსო ლალიძე და რეზო ჩხაიძე. თერთმეტი წელი – ეს იყო უდიდესი ზეიმის პერიოდი. თეატრის შემდეგ გადავედი ტელევიზიაში. კინოსტუდიაშიც ვმუშაობდი გახმოვანებაზე. როგორც სპორტულ ჟურნალისტს, ძალიან ბევრ ქალაქში, ბევრ ორგანიზაციაში მიხდებოდა ყოფნა, ყველა ჯურის ადამიანთან ურთიერთობა, მაგრამ თეატრი სულ სხვაა.

## ხაკასეთის ჰაერით გათიშული ჯულელი

...კალათბურთელებს გავყევი ნოვოსიბირსკში. ქარბუქია. ნოვოსიბირსკმა არ მიგვიღო. თვითმფრინავმა გეზი ჩრდილოეთისკენ აიღო და ხუთი საათის შემდეგ ხაკასეთის ავტონომიურ ოლქში დაჯდა, სადაც, თურმე, ხეც კი არ იზრდება. კი გაგვაფრთხილეს, ძალიან ცივა, 50 გრადუსიაო, მაგრამ, აინუნშიც არ ჩავაგდეთ ეს გაფრთხილება. თვითმფრინავიდან რომ გადავედით, შევისუნთქე ჰაერი და... გონება დავკარგე. ერთი საათი მასულიერებდნენ. თურმე, რაღაც უნ-

# გახდი სტუდენტი ყოველგვარი გამოცდების გარეშე




## კავკასიის ევროპული უნივერსიტეტი
## გ თ ა ვ ა ზ ო ბ თ

**აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელში სწავლებას, როგორც დასწრებულ, ისე დაუსწრებელ სასწავლო კურსზე, შემდეგ ფაკულტეტებზე:**

1. იურიდიული;
2. ეკონომიკური;
3. ფინანსები;
4. მენეჯმენტი;
5. მარკეტინგი;
6. ბიზნესადმინისტრირება;
7. ჟურნალისტიკა;
8. ინფორმატიკა – პროგრამისტი;
9. საერთაშორისო ურთიერთობები;
10. ტურიზმი;
11. დიზაინი;
12. თარჯიმანი;
13. ეკოლოგია;
14. პოლიტოლოგია;
15. ბიოლოგიური;
16. ზოგადი მედიცინა;
17. ფარმაცია;
18. ფსიქოლოგია;
19. სტომატოლოგიური;
20. აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტი;
21. პედაგოგიკა და მეთოდიკა;
22. უცხო ენა;
23. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები;
24. სატრანსპორტო;
25. საინჟინრო;
26. ფინანსები და საბანკო საქმე.

***გაიცემა საერთაშორისო ხარისხის ბაკალავრის დიპლომი, რომელიც აღიარებულია 193 ქვეყანაში.***

ჩვენთან ჩარიცხულ ყველა სტუდენტს, პირველი სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ, შეუძლია ყოველგვარი გამოცდების გარეშე, სწავლა გააგრძელოს საქართველოში აკრედიტებულ ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში.

**ბიჭები გათავისუფლდებიან სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევისაგან.**

შპს „კავკასიის ევროპული უნივერსიტეტი" არის უკრაინისა და სომხეთის ქვეყნებში აკრედიტებული უნივერსიტეტის ოფიციალური პარტნიორი და წარმომადგენელი საქართველოში.

**სწავლება მიმდინარეობს ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე.**

**სწავლის საფასური შეადგენს:**

**სომხეთი**
დაუსწრებელი – 2 250 აშშ დოლარი
დასწრებული – 2 650 დოლარი

**უკრაინა**
დაუსწრებელი – 2 650 აშშ დოლარი
დასწრებული – 2 950 დოლარი

**გადახდა შესაძლებელია ყოველთვიურად 200 აშშ დოლარიდან**

**შესაძლებლობა გაქვთ, ისარგებლოთ სტუდენტური სესხით.**

სტუდენტთა რაოდენობა შეზღუდულია.

***მიმდინარეობს საბუთების მიღება შემდეგ მისამართებზე:***

**ქ. თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი №47 (ყოფილი პავლოვი), მე-4 სართული, ოთახი 420. მეტრო „დელისის" მოპირდაპირე მხარეს**

**ქ. ზუგდიდი, გამსახურდიას გამზირი №17, მე-2 სართული**

**ქ. ქუთაისი, თამარ მეფის ქ. №95**

**ტელ.: 577-717-444; 596-50-40-50.**

**www.ceu.ge**


და აიფარო და ისე ისუნთქო.

### სად გააქრეს გვერდწითელი?..

ფოთში ჩატარდა წყალსათხილამურო სპორტში ევროპის ჩემპიონატი. საზეიმო გახსნის გენერალური რეპეტიციაა. უნდა დავესწრო, მაგრამ, რად გინდა – დაგვესია კოღოები! ვგრძნობ, რომ შემჭამენ – არ ვიცი, ჩემი სისხლი მოეწონათ თუ რა იყო. ვიფიქრე, წავალ და მერე ჩავიწერ ყველაფერს, რაც და რა დროს უნდა გამოვაცხადო-მეთქი. მეორე დღეს პროგრამის რეჟისორმა თვითონ ჩამაწერინა გახსნის ცერემონიალის თანმიმდევრობა. დავიწყე რეპორტაჟი. დადგა კონცერტის ჯერი. ვაცხადებ: „კომპოზიტორ ვაჟა აზარაშვილისა და პოეტ მორის ფოცხიშვილის საგანგებოდ ამ ჩემპიონატისთვის დაწერილ სიმღერას შეასრულებს თამრიკო გვერდწითელი!" – ამავე დროს, თბილისიდან მაქვს სატელეფონო კავშირი, იქიდან კი ჩემი ერთ-ერთი თანამშრომელი მეძახის: „არაა, ნუგზარ, მაგი გვერდწითელი!" ესტრადა ჩემგან მოშორებითაა, წესიერად ვერც ვხედავ ვინ მღერის. პროგრამაში გვერდწითელი მიწერია; ხმას ვუსმენ – გვერდწითელია დიდ ტაბლოზე ანთია „გვერდწითელი." რა ვქნა? – ხალხო, დამანებეთ თავი, მღერის გვერდწითელი, დამიჯერეთ! – არ არის გვერდწითელი! – ისევ... თურმე, მართლა არ არის გვერდწითელი. ფონოგრამა კი მისია, მაგრამ, ავად გამხდარა, ვერ მოვიდა და მის ნაცვლად სხვა გამოიყვანეს, რომელიც მარტო პირს აღებს... რა ქნას ამ დროს კომენტატორმა? ვინ არის დამნაშავე? რასკავირველია, ნუგზარ ჯუღელი.

### „გათახსირებული" ცოლები

რუსთაველის თეატრის დასის მმართველი იყო ვანო ჯინჯიხაძე. მეგობრების წრეში იმით გამოირჩეოდა, რომ ასკეტურ ცხოვრებას ეწოდა – არასდროს ჰყოლია ცოლ-შვილი. ის ამტკიცებდა, რომ, იმ პირობებში, რომლებშიც მას უწევდა ცხოვრება, დანაშაული იყო, კაცს ოჯახი შეექმნა, იმიტომ რომ, მონამ მონა არ უნდა მოიყვანოს ცოლად და მონა არ უნდა შვას. შეკრებილები ვართ ბატონ ვანოსთან: მე, გოგი ხარაბაძე, რობერტ სტურუა და გოგი ქავთარაძე. ორიოდე ბოთლი ღვინო გვაქვს. ნელ-ნელა ვსავმთ და ვსაუბრობთ ცხოვრების ავ-კარგზე. მივადექით ქალის თემას. ხუთი მამაკაცი ვმსჯელობთ ქალზე, მის პატიოსნებაზე; როგორ უნდა გავარკვიოთ, არიან თუ არა პატიოსანი ქალები ჩვენ ირგვლივ. ბატონი ვანო გვეუბნება:



– ეს ადვილი გასარკვევია, ბიჭებო! აი, ახლა ავიღებ რუსთაველის თეატრის დასის სიას და ჩვენი თეატრის მსახიობი ქალების სიის მიხედვით ვუყაროთ კენჭი – ვინ არის პატიოსანი და ვინ არა, შემდეგ კი საშუალო არითმეთიკული გამოვიყვანოთ, – აიღო სია, წაიკითხა ერთ-ერთი მსახიობის გვარი და თქვა:

– ვინ არის მომხრე, რომ ეს ქალი პატიოსანია?

დავიწყეთ კენჭისყრა. საბოლოოდ, საშუალო არითმეტიკულით გამოვიდა, რომ ათი ქალიდან რვა-ნახევარი არ აკმაყოფილებს ჩვენს კრიტერიუმებს, ესე იგი, ათიდან მხოლოდ ერთნახევარი ქალი გამოვიდა პატიოსანი. შემდეგ ბატონი ვანო იმაგრებს თავის პოზიციებს და იქედნურად აცხადებს:

– ჩვენ ხუთნი ვართ. მე არ მყავს მეუღლე, თქვენ ოთხივეს გყავთ. ამ ოთხიდან საშუალო არითმეტიკულით გამოდის, რომ მხოლოდ ნახევარი ცოლია პატიოსანი?!

ცუდ დღეში ჩავცვივდით. როგორია?! არადა, გაიხარა ვანომ. არ გვინდა, რომ ამ კაცმა ასე დაგვცინოს და, უცებ, აღარ მასხოვს, მგონი, გოგი ქავთარაძემ ჰკითხა:

– კი მაგრამ, ვანო, დედაც ხომ ცოლია?

ჩიხში მოექცა ვანო. დედა სიგიჟემდე უყვარდა. დაკარგა ყოველგვარი იუმორის გრძნობა, ჩავარდა ისტერიკაში და, ერთი სიტყვით, პანღურისკვრით გამოგვყარა იქიდან.

ზამთარია. ვანო ცხოვრობს კრწანისში, რესტორანთან. ღამის 4 საათია. ცივა. მოვდივართ დაშამათებულნი. ვხედავთ, იქვე, რესტორნის დარაჯს დაუნთია პატარა კოცონი, ზის და ხელებს ითბობს. ჩვენც მივუჩოჩდით. გოგი ხარაბაძე მოუყვა დარაჯს, რაც გადაგვხვდა თავს და ბოლოს ჰკითხა:

– ბიძია, როგორ ფიქრობ, ის კაცი მართალია, ჩვენს ცოლებზე ასეთი რამე რომ თქვა?

დარაჯმა ამოგვხედა:

– ახალგაზრდებო, რომელი საათია?

– ხუთის ნახევარი!

– აბა, დილის ხუთის ნახევრამდე კაცი სახლში რომ არ შევა, იმას რა ცოლი ეყოლებაო..."

**ეკა პატარაია**



## ცხელ დღეებში სადილობა და ვახშმობა სალათებით დაიწყეთ

ჯანმრთელობის, ლამაზი გარეგნობისა და სიმხნევისა შესანარჩუნებლად აუცილებელია, სწორად იკვებოთ. ყოველთვის მიანიჭეთ უპირატესობა ახალ, სეზონურ ხილსა და ბოსტნეულს; იყიდეთ იმდენი, რამდენსაც ერთ-ორ ჯერზე მიირთმევთ, რადგან, ერთი დღის განმავლობაში მაცივარში დებისგან ის სასარგებლო ნივთიერებებისა და ვიტამინების დიდ ნაწილს კარგავს.

სადილი და ვახშამი სალათებით დაიწყეთ – ეს მოგიკლავთ შიმშილის გრძნობას.

ზაფხულში პურზე, საქონლის ან ღორის ხორცზე უარის თქმა თქვენს ჯანმრთელობას სასიკეთოდ წაადგება. ასევე, ნუ მოამზადებთ რამდენიმე დღის სამყოფ კერძს, რადგან, წინა დღეს მომზადებული და შემდეგ გაცხელებული საკვები სასარგებლო ნივთიერებებს კარგავს.

საუზმეზე კარგია ფაფა, ჯემი, შავი პური და ჩაი. ადამიანს დილით ჩაი უფრო აფხიზლებს და ავსებს ენერგიით, ვიდრე ყავა. სადილობა აუცილებელია, რადგან, ვინც არ სადილობს, ორმაგად ინაზღაურებს საკვებს ვახშამზე, ეს კი ორგანიზმისთვის მავნებელია.

ვახშამზე, ანუ დაძინებამდე ორი-სამი საათით ადრე, მიირთვით ბოსტნეული, თევზი და ორცხობილა, ნელა ჭამეთ, არ იჩქაროთ, რომ ზედმეტი საკვები არ მიიღოთ.

საუზმეზე, სადილსა თუ ვახშამზე კარგია სუპები. მისი გადამუშავების დროს ორგანიზმი გაცილებით მეტ კალორიას ხარჯავს, ვიდრე თვითონ ამ საკვებშია. თან, სუპის ჭამის შემდეგ დიდი ხნით აღარ შეგაწუხებთ შიმშილის გრძნობა.

კვირაში სამი დღე საუზმეზე მიირთვით უცხიმო ყველი და უშაქრო ჩაი ან ხილის წვენი დააყოლეთ. ლანჩზე კი შეგიძლიათ, უცხიმო იოგურტი და კვერცხი მიირთვათ.

სადილად მიირთვით ბოსტნეული, უცხიმო თეთრი ხორცი ან ორთქლზე მომზადებული კატლეტი; ვახშმის დროს კი – ერთი ჭიქა თბილი რძე, რომელშიც 1 ჩაის კოვზი თაფლი იქნება გარეული.

## რატომ არის ამებიაზი საშიში დაავადება და რა იწვევს მის გამწვავებას ზაფხულის დღეებში

ამებიაზი ნაწლავთა დაავადებაა, რომლისთვისაც დამახასიათებელია მსხვილი ნაწლავის წყლულოვანი დაზიანება და სხვადასხვა ორგანოში ჩირქის კერების განვითარება, რაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიმდინარეობს.

გადაცემის თვალსაზრისით, საშიშია ადამიანის ფეკალური მასით დაბინძურებული სამეურნეო თუ სასმელი წყალი, ანუ, დაავადება ჩნდება დაბინძურებული მწვანილით, ხილით, საკვები პროდუქტებით, რომლებიც ასეთი წყლით ირწყვება; ასევე – ჭუჭყიანი ხელებით, უსუფთაო საოჯახო ნივთებით, ზაფხულში კი – ბუზის მეშვეობით.

დაავადება ვითარდება ბრმა ნაწლავის ლორწოვან გარსში და ლორწოვანქვეშა გარსში. ამ ადგილებში წარმოიქმნება ანთებითი კვანძები, რომლებიც შემდგომში ღრმა წყლულებად გარდაიქმნება. დაწყლულების პროცესი ბრმა ნაწლავიდან თანდათანობით ვრცელდება – მსხვილი ნაწლავიდან სწორ ნაწლავამდე. მრავლობითი წყლულები განაპირობებს ისეთი სიმპტომების ჩამოყალიბებას, როგორებიცაა: კოლიტი, სისხლდენა, შეხორცებები და ასე შემდეგ.

ნაწლავთა ამებიაზის ფარული პერიოდი ზოგჯერ ოთხ თვესაც გრძელდება. დაავადება იწყება უმადობით, სისუსტით, დაღლილობის შეგრძნებით, მუცლის ტკივილით, შემდეგ კი ვითარდება ფაღარათი. პირველ დღეებში კუჭის მოქმედების სიხშირე დღე-ღამეში საგრძნობლად ხშირდება; განავალი თხელია, ლორწოვანი, ტკივილი კი ლოკალიზებულია ბრმა ნაწლავის არეში; დროთა განმავლობაში მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმდება. განავალში ამ დროს ჩნდება სისხლი. მსუბუქ შემთხვევაში, ავადმყოფის მდგომარეობა უმჯობესდება სამ კვირაში, მაგრამ, თუ ავადმყოფი სხვადასხვა ფაქტორის, მაგალითად, არასწორი კვების, გაციების, ავიტამინოზის გავლენით, კვლავ, ცისტების მატარებელი დარჩა, პერიოდულად ეწყება ამებიაზის გამწვავება, რაც დროდადრო, წლების განმავლობაში, გრძელდება. ამას კი ნაწლავური და ნაწლავგარე სხვადასხვა სიმძიმის გართულებები მოსდევს. ნაწლავური გართულებებიდან აღსანიშნავია ღრმა წყლულით ნაწლავის კედლის გახვრეტა, რასაც პერიტონიტის განვითარება მოსდევს. შესაძლოა, განვითარდეს ამებიური ჰეპატიტი (ანუ ღვიძლის ანთებითი დაზიანება) ან ღვიძლის აბსცესი.

ამებიაზის პროფილაქტიკისთვის საჭიროა სასმელი და სამეურნეო წყლის სანიტარული ნორმების დაცვა. საეჭვო შემთხვევაში, სასმელი წყალი აუცილებლად გადაადუღეთ და ისე სვით, ხოლო ხილი, ბოსტნეული და მწვანილი დიდხანს რეცხეთ გამდინარე სუფთა წყალში.

## რატომ არის საშიში ხალის სახეცვლილება, ქავილი და ტკივილი

მელანომა ავთვისებიანი წარმონაქმნია. აუცილებელია ამ დაავადების ადრეულ ეტაპზე აღმოჩენა, რადგან, დაგვიანებული დიაგნოზი, უმეტეს შემთხვევაში, ავადმყოფისთვის ტრაგედიით მთავრდება.

მელანომა არის კანის სიმსივნე. ის ძირითადად ვითარდება ხალებისგან, მაგრამ, შეიძლება წარმოიქმნას სუფთა კანზეც. კეთილთვისებიანი ხალები თანაბარი და გლუვია, ბრტყელი ან ოდნავ ამობურცული და არ იზრდება. ხალის გარეგნული სახის ნებისმიერი ცვლილება: ქავილი, სისხლდენა ან ტკივილი მის გადაგვარებაზე მიანიშნებს.

განსაკუთრებით ფრთხილად და ყურადღებით უნდა იყვნენ ისინი, ვისაც კანზე ბევრი დიდი ზომის, თანდაყოლილი ხალი აქვს. მათ, ვისაც აქვთ თეთრი კანი, ქერა თმა, ჭორფლი და ცისფერი თვალები, რომლებსაც ძალიან სწრაფად ეწვებათ კანი მზისგან, მაგრამ არ ირუჯებიან, ეკრძალებათ სოლარიუმში ულტრაიისფერი დასხივება და თაკარა მზეზე ცოტა ხნით დაჯდომაც კი.

აუცილებელია კანზე ხალის რეგულარულად გასინჯვა. ყურადღებით დაათვალიერეთ, რათა არ გამოგეპაროთ მელანომის განვითარების პირველი ნიშნები და დროულად მიმართეთ ექიმს.

## როგორ უნდა აღმოუჩინოთ გულწასულ ადამიანს დროული დახმარება

გულის უეცარი წასვლის მიზეზი თავის ტვინის მწვავე, მაგრამ მცირე ხნით განვითარებული სისხლნაკლებობაა, რაც არტერიული წნევის მნიშვნელოვანი დაქვეითებით არის განპირობებული. გულის წასვლა ვითარდება ნერვული გადაძაბვის, შიშის, გადაღლის, სისხლის დაკარგვის შემთხვევაში. ასევე, გულის დაავადებების, მწვავე სისხლდენის, შიმშილის, ჩახუთულ ჰაერზე ყოფნისას. ზოგჯერ გულის წასვლა აღინიშნება ფეხზე დგომისას, ან ჰორიზონტალურიდან ვერტიკალურ მდგომარეობაში უეცარი გადასვლის დროს. ასეთ მდგომარეობაში ადამიანი ფერს კარგავს, ოფლიანობს, ვითარდება ჰიპოთერმია, ანუ სხეული ცივდება, სუნთქვა ნელდება, არტერიული წნევა ქვეითდება. ამ დროს აუცილებელია გულწასული ადამიანის დაწვენა. ტვინის სისხლმომარაგების გაუმჯობესების მიზნით, სასურველია, მას ფეხები ააწევინოთ, რომ სისხლმა თავისკენ დაიწყოს სვლა. გულის წასვლის დროს, თუ ის დიდხანს გაგრძელდა, შესაძლოა, განვითარდეს ტვინის ინფარქტი, ამიტომ, დროზე უნდა აღმოუჩინოთ დახმარება.

ზოგჯერ გულის წასვლას თან ახლავს სხვა სიმპტომებიც, მაგალითად, გულმკერდის არეში ტკივილი, რაც გულის იშემიურ დაავადებაზე მეტყველებს. თუ მისი გამომწვევი მიზეზი რამე სერიოზული პათოლოგიაა, მაგალითად, გულის მანკი, გულის იშემიური დაავადება და სხვა, საჭიროა ამ ძირითადი დაავადებების მკურნალობა. გაფრთხილებთ, აუცილებლად მიაქციეთ სათანადო ყურადღება ჯანმრთელობას – თუ უეცრად წაგივიდათ გული, ჩაიტარეთ სათანადო გამოკვლევები და ნუ დატოვებთ ამ საშიშ სიმპტომს ექიმის მეთვალყურეობის გარეშე.

## რას იწვევს ვიტამინების ნაკლებობა და როგორ აღვიდგინოთ იმუნიტეტი ბუნებრივი საშუალებებით

ვიტამინების ნაკლებობა იწვევს ორგანიზმის იმუნიტეტის დაქვეითებას, პოლივიტამინური ნაყენების ხალხური რეცეპტები კი სი-

მხნევს მოგანიჭებთ, ტვინის მოქმედებას გააქტიურებს და ტონუსს აგიმაღლებთ.

* დანაყეთ 3 სადილის კოვზი ჭინჭრის ფოთოლი და 3 სადილის კოვზი ასკილი. დაუმატეთ 2 სადილის კოვზი მოცვი და კარგად აურიეთ. 3 სადილის კოვზ ნარევს დაასხით 2 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი და დადგით 2 საათით, ოთახის ტემპერატურაზე. სვით დილა-საღამოს, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე. ეს ნაყენი ამდიდრებს ორგანიზმს ყველა ვიტამინითა და მიკროელემენტით.

* ნახევარ ჩაის ჭიქა კუნელის ნაყოფს დაასხით 1 ლიტრი მდუღარე წყალი და დადგით დაახლოებით 5-6 საათით, ოთახის ტემპერატურაზე, შემდეგ 1 ჭიქა ნაყენში გაურიეთ 1 ჩაის კოვზი თაფლი და ჭამის შემდეგ დალიეთ.

* 1/4 ჩაის ჭიქა მოცვის ფოთლებს დაასხით 3 ჭიქა ცივი წყალი, დადგით ნელ ცეცხლზე და ადუღეთ ნახევარი საათის განმავლობაში. დალიეთ თბილი, დღეში 2-ჯერ, ჭამის შემდეგ. ეს ნაყენი ვიტამინების საბადოა.

* 4 სადილის კოვზი გვირილის ყვავილი, 4 სადილის კოვზი პიტნის ფოთოლი და 2 სადილის კოვზი ვალერიანის ძირები კარგად აურიეთ ერთმანეთში. ამ ნარევის 1 სადილის კოვზი ჩაყარეთ ჩაის ჭიქაში და შეავსეთ მდუღარე წყლით. გააჩერეთ დაახლოებით 10-15 წუთი, შემდეგ გაწურეთ და დალიეთ თითო სადილის კოვზით, დღეში ორჯერ.

* 1 სადილის კოვზ გვირილის ყვავილს დაასხით 1 ლიტრი ადუღებული წყალი და დადგით 20 წუთით. დაუმატეთ შაქარი და ნაღები გემოვნებით. ეს ნაყენი ორგანიზმისთვის ერთგვარი მკვებავია, ასევე, უხდება ნაწლავებს და აწესრიგებს ძილს.

* თანაბარი რაოდენობით შეურიეთ ერთმანეთს ასკილის ნაყოფი და მოცხარის კენკრა. 2 სადილის კოვზ ნარევს დაასხით 2 ჩაის ჭიქა ადუღებული წყალი და თავდახურული გააჩერეთ ერთი საათის განმავლობაში. შემდეგ გადაწურეთ და დაატკბეთ შაქრით. დალიეთ ნახევარი ჭიქა, დღეში სამჯერ. ეს ნაყენი კარგია ინფექციების დასამარცხებლად.

* ერთმანეთში თანაბარი რაოდენობით აურიეთ ასკილი და ცირცელი. 2 ჩაის კოვზ ნარევს დაასხით 2 ჭიქა მდუღარე წყალი, გააჩერეთ დაახლოებით ერთი საათით, შემდეგ კი გაწურეთ და მიიღეთ დღეში სამჯერ, ნახევარი ჩაის ჭიქა.

### ვის აწუხებს ხშირად რადიკულიტი

რადიკულიტი ხშირად მას ემართება, ვინც თავს მძიმე ფიზიკური შრომით იტვირთავს, უწევს არასასურველ ტემპერატურულ და მეტეოროლოგიურ პირობებში ყოფნა. კისრისა და გავა-წელის რადიკულიტი ნერვული სისტემის ყველაზე გავრცელებული დაავადებაა. მის განვითარებაში დიდ როლს ასრულებს ოსტეოქონდროზი. რადიკულიტის კლინიკური სურათის ჩამოყალიბება-გამომჟღავნების თვალსაზრისით, მნიშვნელობა აქვს შინაგანი და გარეგანი ფაქტორების არსებობას, კერძოდ, ხერხემლის თანდაყოლილ ანომალიას, ნივთიერებათა ცვლის მოშლას, დიაბეტს, პოდაგრას, ავიტამინოზს, C ვიტამინის ცვლის მოშლას, ტრავმას, გაციებას, ინფექციას, ინტოქსიკაციას და ასე შემდეგ.



გავა-წელის რადიკულიტი იწყება წელის არეში ყრუ ან მწვავე ტკივილით, რომელიც შემდეგ წვივზეც გადადის. ამ დროს სიარული, ფეხზე დგომა და მოძრაობა ტკივილს აძლიერებს. გავა-წელის რადიკულიტს ხშირად თან სდევს ხერხემლის გამრუდება და წელის კუნთების დაჭიმვა. მის მიმდინარეობას შესაძლოა მოჰყვეს სისხლის წნევის მომატება. გავა-წელის რადიკულიტის მსგავსი სურათი ზოგჯერ ზურგის ტვინის სიმსივნეების, თირკმლისა და შარდსასქესო კენჭოვანი დაავადებების, გინეკოლოგიური პათოლოგიების დროსაც ვითარდება, ამიტომ სწორი დიაგნოზის დასმა აუცილებელია.

ქრონიკული რადიკულიტის დროს კარგია სპეციალური ვარჯიშები; დისკოგენური რადიკულიტის დროს კი, ხშირ შემთხვევაში, აუცილებელი ხდება ქირურგიული ჩარევა.

ამ დაავადების თავიდან ასაცილებლად მთავარია სამუშაო პირობების მოწესრიგება, უხეში მოქმედებებისა და დიდი ტვირთისგან თავის დაცვა, ტემპერატურის მკვეთრი ცვალებადობის დროს ყურადღების გამოჩენა და ასე შემდეგ. ასევე, დაავადების პირველივე გამწვავებისას, მნიშვნელოვანია სრული სამკურნალო კურსის ჩატარება და ორგანიზმის გაკაჟება სამკურნალო მასაჟითა და ვარჯიშებით.

**გვერდები მოამზადა ნონა დათეშიძემ**

## ექიმის რჩევები

*კითხვა:* **ხერხემლის შუა ადგილას ბეჭები ხშირად მიბუჟდება და, თუ არ დავიზილე, საშინლად მტკივდება. იქნებ მითხრათ, რა არის მიზეზი და ვის მივმართო?**

*პასუხი:* პირველ ყოვლისა, უნდა ჩაიტაროთ ხერხემლის სვეტის გამოკვლევა. შესაძლოა, ჩივილი ოსტეოქონდროზს უკავშირდებოდეს. უნდა მიმართოთ ორთოპედ-ვერტებროლოგს.

*კითხვა:* **შეიძლება თუ არა, იშიაზი, რომელმაც წლების წინ იჩინა თავი, არ გართულდეს და მხოლოდ უბრალო ყრუ ტკივილით შემოიფარგლოს საჯდომთან (ისიც იშვიათად)? ეს ხდება დაახლოებით 7 წელია...**

*პასუხი:* იშიაზის დროს ტკივილი სხვადასხვა ხასიათისაა: მჭრელი, მწველი, მჩხვლეტი. შესაძლოა, მხოლოდ დაბუჟების შეგრძნება განვითარდეს. თუმცა, კონკრეტულად თქვენს შემთხვევაში, გირჩევთ დიაგნოზის დაზუსტებას, ანუ თქვენი ჩივილი ნამდვილად საჯდომი ნერვის ანთებას უკავშირდება თუ არა.

*კითხვა:* **იქნებ გამარკვიოთ, არხებდაბჟენილი კბილი იმას ნიშნავს, რომ ნერვმოკლულია, ანუ კბილი მკვდარია? როგორც ვიცი, მკვდარ კბილს კვება არ აქვს და, დიდხანს რომ შევინარჩუნოთ (გადაკვრის გარდა), რა წესები უნდა დავიცვათ ყოველდღიურ ცხოვრებაში?**

*პასუხი:* ეგრეთ წოდებული ნერვმოკლული კბილი ითვლება „მკვდარ" კბილად. მოვლის განსაკუთრებული წესები ამ შემთხვევაში არ არსებობს. ჩვეულებრივად, რეგულარულად უნდა დაიცვათ პირის ღრუს ჰიგიენა, თავის დროზე გაიწმინდოთ კბილები მაგარი და რბილი ნადებისგან. თუ ნერვმოკლული კბილი დაბჟენილია ხარისხიანად და სწორად, აუცილებელი არ არის მაშინვე გვირგვინის გადაკვრა, გარკვეული პერიოდის განმავლობაში ბჟენითაც მშვენივრად ინარჩუნებს თავის ფუნქციებს.

*კითხვა:* **ჩემი გოგონა 4 წლის არის და მოსძვრა პირველი კბილი. მაინტერესებს, ნორმალურია თუ არა ეს მისი ასაკისათვის? ძირითადად, რომელ ასაკში იცვლიან ბავშვები სარძევე კბილებს?**

*პასუხი:* სარძევე კბილები 6-7 წლის ასაკში იცვლება მუდმივი კბილებით. სარძევე კბილების ნაადრევი ან დაგვიანებული მოცვლა შეიძლება გახდეს პათოლოგიური თანკბილვის ჩამოყალიბების ერთ-ერთი მიზეზი. სარძევე კბილების ნაადრევ მოცვლას ხშირად იწვევს კარიესული კბილები. აქედან გამომდინარე, სასურველია, პროფილაქტიკური დათვალიერების მიზნით, ბავშვი მიიყვანოთ ბავშვთა სტომატოლოგთან, რომელიც მოგცემთ რჩევებს კბილების მოვლის შესახებ, დასახავს მკურნალობის გეგმასა და პროფილაქტიკურ ღონისძიებებს.

*კითხვა:* **2013 წლის აგვისტოში გავიკეთე ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინის სრული კურსი + იმუნოგლობულინი (4 ერთეული), 2015 წლის თებერვალში ისევ გავიკეთე 5 ვაქცინა. მაინტერესებს: 1. რამდენი ხნის განმავლობაში მექნება იმუნიტეტი? 2. მართალია თუ არა, რომ ვაქცინა უარყოფითად მოქმედებს ნერვულ სისტემაზე (ვაქცინაციის შემდეგ მაქვს ცოფის ფობია)? 3. სიმართლეს შეესაბამება თუ არა, რომ შესაძლებელია ვაქცინის წინასწარ გაკეთება იმუნიტეტის გამომუშავების მიზნით (როგორ ვიცით ვეტერინარები იკეთებენ მსგავს ვაქცინას)?**

*პასუხი:* ცოფის საწინააღმდეგო აცრას აქვს ერთწლიანი ვადა, შემდეგ კი, საჭიროების შემთხვევაში, აუცილებელია ჩაიტაროთ განმეორებით.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი
მაია წუცუბიძე**

# რა მიზნებს ისახავდა სტალინის მიერ ორგანიზებული საიდუმლო შეხვედრები ზუბალოვოს სამთავრობო აგარაკზე



მას შემდეგ, რაც ლენინი გარდაიცვალა და სტალინი უკვე ფორმალურადაც ქვეყნის მმართველი გახდა, მან საგარეო პოლიტიკის ყველა სადავე ხელში აიღო. პოლიტბიუროს ოფიციალური სხდომების პარალელურად, სათავე დაუდო მისი გარემოცვის ყველაზე ერთგული წევრების შეკრებებს, რომლებიც ზუბალოვოში იმართებოდა. ახლობლების გარდა, ამ შეხვედრებზე სხვადასხვა პროფესიის სპეციალისტებსაც იწვევდნენ, რომლებმაც შემდგომში უდიდესი როლი ითამაშეს ქვეყნის გაძლიერებაში. ფაქტობრივად, ამ არაფორმალურ შეკრებებზე წყდებოდა სახელმწიფოს ბედი და სტალინი შეგნებულად აკეთებდა ამას, რადგან პოლიტბიუროს გარკვეულ ნაწილს არ ენდობოდა, რაც დადასტურდა კიდეც მოგვიანებით. იქ, ზუბალოვოში ჩაეყარა საფუძველი რემდენიმე მსხვილი გეოლოგიური ექსპედიციის დაწყების იდეას, რომლის დროსაც ციმბირში ოქროს, ალმასისა და სხვა სასარგებლო ნივთიერებებისა თუ წიაღისეულის დიდი საბადოები აღმოაჩინეს. საშინაო პოლიტიკაზე რომ არაფერი ვთქვათ, სტალინის ოპონენტები საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის უხეში, მოუქნელი კურსის მომხრენი იყვნენ, მაშინ, როდესაც სტალინი მოქნილ, მაგრამ პრინციპულ პოლიტიკას ქადაგებდა და იმავდროულად, არამეგობრულ, ჩვენდამი მტრულად განწყობილ ქვეყნებში ფართო სადაზვერვო-სააგიტაციო-პროპაგანდისტულ ქსელებს ქმნიდა... სტალინმა და ძერჟინსკიმ 1918 წლის ბოლოს გერმანიაში პირველი მსხვილი სადაზვერვო რეზიდენტული ქსელი ჩანერგეს, რომელიც სულ მოკლე ხანში გამსხვილდა და იმხელა ეფექტი მოგვცა, ამას, ალბათ, მხოლოდ სტალინი თუ წარმოიდგენდა წინასწარ.

მიუხედავად იმისა, რომ ზუბალოვოს არაფორმალური შეხვედრები მკაცრად იყო გასაიდუმლოებული, სტალინი ყველა მათგანის სტენოგრაფიულ ჩანაწერს აკეთებინებდა და საკუთარი ხელმოწერით მათ საიდუმლო არქივში ინახავდა. ამის შემდეგ, ამ მასალებს „სრულიად საიდუმლოს“ ორმაგი გრიფი ედო. ჩემი აზრით, წინდახედული სტალინი ამ დოკუმენტებს არა მხოლოდ ისტორიულ მნიშვნელობას ანიჭებდა, არამედ პოლიტიკურსაც. ოციანი წლების დასაწყისში, როდესაც ჰიტლერის ნაცისტური მოძრაობა გერმანიაში მხოლოდ და მხოლოდ ძალებს იკრეფდა და მნიშვნელოვან ძალას არ წარმოადგენდა, საბჭოთა რეზიდენტურას დაევალა, საკუთარი ხალხი ჩაენერგა ამ მოძრაობაში. მათ ყველაფერი უნდა ელონათ საიმისოდ, რომ, რაც შეიძლება, მაღალ ეშელონებში შეეღწიათ და იქ გაედგათ ფესვები. ჩვენმა დაზვერვამ ეს ამოცანა წარატებით შეასრულა და 1923 წლის ნოემბრის დასაწყისისთვის (8-9 ნოემბერი – ეგრეთ წოდებული „ლუდის პუტჩი“), რამდენიმე ჩვენი აგენტი ჰიტლერის უახლოეს გარემოცვაში შევიდა. 1924 წლის 26 თებერვალს, როდესაც ჰიტლერი და მისი მომხრეები „პუტჩის“ ბრალდებით გაასამართლეს, სტალინმა ზუბალოვოში ძალიან ვიწრო წრეში გამართულ შეკრებაზე ძერჟინსკისა და ორჯონიკიძეს განუცხადა: „ეს კაცი (ჰიტლერი) სულ მალე ისეთ სახელს მოიხვეჭს, ერის მამად გამოაცხადებენ და ის სახელმწიფოს სათავეში მოვა.” იქვე, ძერჟინსკის დაავალა, ამ მიმართულებით (გერმანიის) რესურსები გაეორმაგებინა. სტალინს ფაშისტური ხელისუფლების უმაღლეს თანამდებობის პირთა შორის ისეთი აგენტები ჰყავდა, რომლებიც ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მუდმივად აწვდიდნენ ინფორმაციას საბჭოთა დაზვერვას, რეგულარულად ხვდებოდნენ თავად ჰიტლერს და გარკვეული გავლენაც კი ჰქონდათ ფაშისტების სახელმწიფო პოლიტიკაზე.

პოლიტბიუროს სხდომების უმრავლესობა ოციან წლებში დიდი ხმაურით მიმდინარეობდა და საბოლოოდ, სკანდალით მთავრდებოდა. იმ პერიოდში ქვეყნის ეს უმაღლესი პოლიტიკური ორგანო, ფაქტობრივად, ფუნქციის გარეშე იყო დარჩენილი და ინტრიგების ასპარეზად იქცა. იქ არანაირი ნორმალური დისკუსია აღარ იმართებოდა და აქედან გამომდინარე, არც რამე სერიოზული საკითხის განხილვა-გადაწყვეტა იყო შესაძლებელი. ალბათ, სწორედ ამის გამო ჩაუყარა საფუძველი სტალინმა ზუბალოვოს შეკრებებს, სადაც ერთი იდეითა და სულისკვეთებით შეკავშირებული ადამიანები იკრიბებოდნენ და ქვეყნის აღმშენებლობის საქმეს წყვეტდნენ. 1924 წლისთვის ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფო პირველ დამოუკიდებელ ნაბიჯებს დგამდა.

**„ჩეკას“ ხელმძღვანელობამ სტალინს წარუდგინა უტყუარი ცნობები იმის თაობაზე, რომ ტროცკის „ხლაფორთები“, საბოლოო ჯამში, სამხედრო გადატრიალებისთვის მზადება იყო და მას ტროცკის თავიდან მოშორება, მისი ლიკვიდაცია შესთავაზა**

1924 წლის ოქტომბრის ბოლოს, პოლიტბიუროს სხდომაზე ტროცკის გამო მორიგი სკანდალი მოხდა. ჩხუბის საბაბი გახდა არმიაში სამხედრო მეთაურთან არსებული პოლიტიკური კომისრის ინსტიტუტი. ტროცკი ამ თანამდებობის გაუქმებას კატეგორიულად მოითხოვდა, რასაც პოლიტბიურომ მხარი არ დაუჭირა. კენჭისყრის შემდეგ, ტროცკი სიტყვით გამოვიდა და პატარა ჯიუტი ბავშვივით, პოლიტბიუროს წევრებს დაემუქრა – იმ შემთხვევაში, თუ მის წინადადებას არ მიიღებდნენ, გადადგებოდა. ზინოვიევმა ამ გამოხდომაზე მკვეთრად უპასუხა: ტროცკის გადადგომა დიდად არ დააზიანებს საბჭოთა არმიასო და იქვე შესთვაზა პოლიტბიუროს წევრებს, ტროცკის გადადგომის საკითხი კენჭისყრაზე დაეყენებინათ. ამან გამოფხიზლებული სამხედრო კომისარი უკიდურესად გააღიზიანა და ზინოვიევს შეუტია. სიტუაცია ისევ სტალინის ჩარევამ გაანეიტრალა, რომელმაც ეს საკითხი განსახილველადაც კი არ გამოიტანა და ამის გამო ტროცკი მოხსნას გადაურჩა. თუმცა, მან დაუყოვნებლივ დატოვა სხდომა. მეორე დღეს, 30 ოქტომბერს სტალინმა ზუბალოვოში შინაურ ატმოსფეროში მიიწვია ძერჟინსკი, მისი მოადგილე იაგოდა, ვოროშილოვი, ორჯონიკიძე (რომელიც სპეციალურად ჩამოვიდა თბილისიდან) და რამდენიმე სამხედრო მაღალჩინოსანი, რომლებსაც საბჭოთა შეიარაღებულ ძალებში მაღალი პოსტები ეკავათ. ამ შეკრებებმა სამ დღეს გასტანა. საგანგებო სამხედრო კონფერენციაზე „ჩეკას“ ხელმძღვანელობამ სტალინს წარუდგინა უტყუარი ცნობები იმის თაობაზე, რომ ტროცკის „ხლაფორთები“, საბოლოო ჯამში, სამხედრო გადატრიალებისთვის მზადება იყო და მას ტროცკის თავიდან მოშორება, მისი ლიკვიდაცია შესთავაზა. 31 ოქტომბრის სტენოგრამაში, რომელსაც სტენოგრაფისტი ალა მურავიოვა აწერს ხელს, ვკითხულობთ: „ამხანაგი სტალინი ოთახში დინჯად მიმოდიოდა, ჩიბუხს აბოლებდა და დუმდა. ხმას არც დანარჩენი დამსწრეები იღებდნენ. ბოლოს ორჯონიკიძემ, რომელსაც, როგორც ეტყობა, მოთმინება დაეკარგა, ფეხზე ამდგარმა მიმართა სტალინს: „სოსო, რატომ არაფერს ამბობ? ხომ ხედავ, ის ნაძირალა (ტროცკი) საითკენ მიდის? რას ელოდები?“ სტალინმა მას ხელით ანიშნა, მაცადეო და პაუზის შემდეგ უპასუხა: „ახლა რომ ეს საკითხი გავამწვავოთ? ისეთ კოზირს მივცემთ ხელში ტროცკის, რომელზეც ის ალბათ, არც ოცნებობს.“ ორჯონიკიძემ მას შეაწყვეტინა სიტყვა: „რატომ გავამწვავოთ? იაგოდამ რაც შემოგვთავაზა, ის შევასრულოთ და ეს საკითხი თავისთვად მოიხსნება“. აქ უკვე მშვიდმა და გაწონასწორებულმა სტალინმა წამით თავშეკავებაც კი დაკარგა და ანთებული, მრისხანე თვალებით შეხედა ამხანაგ სერგოს: „შენ გინდა, მას წამებულის გვირგვინი დაადგან თავზე და მისი სახელით სხვებმა წამოჰყონ თავი? ნუთუ მაგდენს ვერ ხვდები? ტროცკი რომ ახლა თავის სიკვდილით მოკვდეს, მაინც არავინ დაიჯერებს და ეს ჩვენ შემოგვიბრუნდება ცუდად. პირიქით, ახლა ტროცკი ისე უნდა დავიცვათ, ცივი ნიავიც კი არ უნდა მიეკაროს და ამას თქვენ გავალებთ (სტალინმა ძერჟინსკის მიმართა), იცოდეთ, საკუთარი თავით აგებთ ამაზე პასუხს“.

ამ შეხვედრების დროს იაგოდამ სტალინს ტროცკის ლიკვიდაციის რამდენიმე ვარიანტი შესთავაზა და ამ საკითხმა გამოიწვია ეს პოლემიკა. სტალინმა, რომელიც, რა თქმა უნდა, ტროცკის მშვენივრად იცნობდა, ყველაზე კარგად იცოდა, როგორ უნდა ემოქმედა და მან სულ სხვა ტაქტიკა აირჩია. ამავე სტენოგრამიდან ვიგებთ: „ამხანაგმა სტალინმა ვოროშილოვს მიმართა: „კლიმ, შენ ამ სუბიექტის „მოყუჩებაზე“ უნდა იზრუნო და მას ძერჟინსკის იმ სამხედრო მეთაურების სია გამოართვა, რომლებიც „ჩეკას“ შავ რეესტრში ირიცხებოდნენ. მათ შენ საკუთარ კაბინეტში თათბირზე მიიწვევ, ხოლო ესენი კი (სტალინმა იაგოდასკენ გაიშვირა ხელი) მშვიდად აიყვანენ. ეს უფრო (მან ახლა უკვე ორჯონიკიძეს მიმართა) ჭკვიანური ნაბიჯია, რადგან ტროცკის ყოყლოჩინობა ამ მეთაურების ძალაუფლებაზეა დამყარებული. როდესაც მას ამ საყრდენს გამოვაცლით, რამდენიც უნდა, იყვიროს, იხტუნოს და წეროს“. ზუბალოვოს ამ სამდღიან თათბირზე სტალინმა და მისმა უახლოესმა თანამებრძოლებმა ტროცკის შესუსტების ზომები დასახეს და უკვე რამდენიმე თვეში გახდა შესაძლებელი, ტროცკი თანამდებობიდან მოეხსნათ, რადგან მა©ს ყოველგვარი საყრდენი გამოაცალეს. მხოლოდ 1924 წლის მიწურულისთვის „წითელ არმიაში“ 11 გენერალი, 8 ბრიგადის გენერალი და 50-მდე უფროსი ოფიცერი დააპატიმრა „ჩეკამ“. ტროცკი, რომელმაც ეს ადამიანები ღალატის გზაზე დააყენა, პოლიტბიუროს სხდომებზე პროტესტს გამოთქვამდა ამის გამო, რასაც თითქმის უკვე აღარავინ აქცევდა ყურადღებას. ხშირ შემთხვევაში, ეს პროტესტი კომიკურ ფორმებს იღებდა.

**მოამზადა**
**გიორგი ლაშაურმა**

# როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები

### ლასურიშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ლასური.**

გვარის შესახებ საკმაოდ მწირი ინფორმაცია მოიპოვება ისტორიულ წყაროებში.

„კუმურდოელი **იოანე ლასურიძე** ერთგულების პირობას აძლევს მცხეთის კათალიკოსს დავითს."

საქართველოში 216 **ლასურიშვილი** ცხოვრობს: მცხეთაში – 143, თბილისში – 54, საგარეჯოში – 19.

### პატარაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **პატარა.**

ეს სახელი 1202 წელს თამარ მეფის სიგელშია მოხსენიებული.

ამავე ძირისაა გვარები: **პატარავა, პატარაია, პატარაძე, პატარიძე.**

1873 წლის აღწერაში, სოფელ ენაგეთში მოიხსენიება **პაშა პატარაშვილი.**

საქართველოში 263 **პატარაშვილი** ცხოვრობს: ახმეტაში – 74, თბილისში – 68, თელავში – 37. არიან სხვაგანაც.

### გოგლიძე-გოგილიძე

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **გოგოლა.**

**გოგლიძეები** 1941 წელს ამბროლაურის რაიონიდან, სოფელ უყეშიდან ასურეთში გადავიდნენ საცხოვრებლად.

ამავე ძირისაა გვარები: **გოგილიძე** და **გოგლიაშვილი.**

საქართველოში 874 **გოგლიძე** ცხოვრობს: თბილისში – 522, გორში – 92, ონში – 78. არიან სხვაგანაც.

158 – **გოგილიძე.**

### მუჯირიშვილი

გვარის ფუძეა საკუთარ სახელად ქცეული თანამდებობის აღმნიშვნელი სიტყვა – **მუჯირი.**

**მუჯირიშვილები** ცხოვრობენ ქვემო ქართლში, გომარეთში, დმანისის რაიონში, ბოლნ-




ისის რაიონში, თბილისში და სხვაგანაც.

**მუჯირიშვილი** დაწინაურებული საგვარეულო იყო.

1666 წელს **ზებია მუჯირიშვილსა** და **გიორგი მუჯირიშვილს** შორის სადავო ყმა-მამულის წიგნში მოიხსენიება ქაიხოსრო ციციშვილი.

1680 წელს **უშუკა მუჯირიშვილს,** რომელიც საწვერისში ცხოვრობდა, ზაზა ციციშვილის ყმისთვის კარაპნის ადგილი თავად აუშენებია.

საქართველოში 433 **მუჯირიშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 284, დმანისში – 60, ბოლნისში – 43. არიან სხვაგანაც.

### ქარჩხავა

გვარის ფუძეა სიტყვა **ქარჩხა,** თუმცა ეს სიტყვა ლექსიკონებში არ გვხვდება. ქართულ წყაროებში დაფიქსირებულია სიტყვა ქარჩი, ქარჩა, რაც კუთხურად ბრტყელი პირის მქონე წერაქვს ნიშნავს.

ასევე, გვხვდება მამაკაცის საკუთარი სახელი ქარჩა, საიდანაც ნაწარმოებია გვარები: ქარჩაიძე, ქარჩავა და ქარჩილავა.

ისტორიულ მასალებში გვარი **ქარჩხავა** იშვიათად გვხვდება. **ვინმე ქარჩხავა** მოხსენიებულია მეცხრამეტე საუკუნის პირველ მეოთხედში.

საქართველოში 599 **ქარჩხავა** ცხოვრობს: ქუთაისში – 233, ვანში – 207, ბაღდათში – 71. არიან სხვაგანაც.

### ბოჟაძე

ამ გვარის შესახებ ისტორიულ წყაროებში, საკმაოდ მწირი ინფორმაცია გვხვდება.

აბანოში მცხოვრები **ბოჟაძე** მოხსენიებულია ზემო ქართლის კომლთა ნუსხაში.

**ბოჟაძე ზაქარია** მოხსენიებულია ზემო ქართლის სადროშოს აღწერის დავთარში.

საქართველოში 305 **ბოჟაძე** ცხოვრობს: ხარაგაულში – 49, თბილისში – 34, ზესტაფონში – 34. არიან სხვაგანაც.

**აკადემიკოს იაკობ ახუაშვილის**
**მასალების მიხედვით მოამზადა**
**ნონა დათეშიძემ**

# ნინო ვარსიმაშვილი – ექსტრასენსი და ნათელმხილველი, რომელიც თქვენს ცხოვრებას უკეთესობისკენ შეცვლის

## როგორ დავამარცხოთ ბოროტი ძალა, გავიხსნათ ბედი და მოვიზიდოთ ბარაქა

***ნინო ვარსიმაშვილი** დღეს თბილისში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ნათელმხილველი და ბიოენერგეტიკოსია. სამ ათეულ წელზე მეტია, რაც ის ნათელხილვის ფენომენალური უნარით არის დაჯილდოებული და მასზე საოცარ ისტორიებს ყვებიან. ქალბატონი ნინოს შესახებ ქართულ პრესაში ძალიან ბევრჯერ დაწერილა, რადგან მომავლის განჭვრეტასა და ბოროტი ძალების განეიტრალებაში მართლაც რომ არ ჰყავს ბადალი. ამაში თავადაც დარწმუნდებით, თუკი მას თქვენი პრობლემების მოგვარებას მიანდობთ. ნინო ვარსიმაშვილის მიერ ჩატარებული სეანსებით შეძლებთ, უკეთესობისკენ შეცვალოთ თქვენი ცხოვრება – გაიხსნათ ჩაკეტილი ბედი, მოიზიდოთ ბარაქა, დაძლიოთ წარუმატებლობა და მიაღწიოთ ფინანსურ წარმატებებს.*

**ნინო ვარსიმაშვილი:** „სამწუხაროდ, დღეს ნეგატიური პროგრამების ბუმია, რაც სოციალურმა მდგომარეობამაც გაამძაფრა, მატერიალურმა სიდუხჭირემ კი კიდევ უფრო გააბოროტა ადამიანები. ჯადოს, გათვალვას, შურს, წყევლასა და უარყოფითი ენერგიების გადაცემას დიდი ზიანის გამოწვევა შეუძლია; ამიტომაც, ყველას ვურჩევ, თუ გრძნობენ, რომ მათ ცხოვრებაში რაღაც შეიცვალა ცუდისკენ და არ ემართებათ ხელი, აუცილებლად მიიღონ ზომები. როდესაც ადამიანი თავადაც ცდილობს საკუთარი მძიმე კარმის განეიტრალებას, სპეციალისტების დახმარებით მას ეს გამოსდის კიდეც. არსებობს უამრავი პროცედურა და თილისმა, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია, წარუმატებლობა და უკუსვლა წარმატებით შეიცვალოს. საკუთარ თავზე საუბარი რთულია, მაგრამ, მაინც გეტყვით, რომ, სამი ათეული წელია, ვცდილობ, დავეხმარო ადამიანებს იმ პრობლემების მოგვარებაში, რაც მათ აწუხებთ. ვმუშაობ ოჯახის აღდგენასა და დაკარგული პიროვნების დაბრუნებაზე; ჯადოს მოხსნაზე, ბედის გახსნაზე, ბარაქის მოზიდვასა და ეკონომიკურ პრობლემებზე; ვკურნავ სხვადასხვა სახის შიშებს. პროცედურები განსაკუთრებულად ეფექტურია იმ თილისმების მეშვეობით, რომლებსაც 16 კომპონენტის შემადგენლობით ვამზადებ. პროცედურის შემდეგ ადამიანის ბედი თავისუფალია კეთილი მომავლისთვის. ვაკეთებ თილისმებს ბარაქასა და წარმატებებზე. ჩემი მუშაობის სტილი განსხვავებულია – მე მეხმარება სპეციალური ლიტერატურა, რომელიც სოფელ კაბალში მცხოვრებმა 81 წლის მამაკაცმა გადმომცა თხოვნით, მისი გზა გამეგრძელებინა, რადგან ეს ხილვაში ჰქონდა ნანახი. რამდენიმე წლის წინ მე მომიწია წასვლა საბერძნეთსა და მოსკოვში, სადაც იმ ადამიანების თხოვნითა და მიწვევით ჩავედი, ვინც ჩემი ძველი კლიენტები იყვნენ და მათ არაერთხელ გავუწიე დახმარება. დღეს მათთან მუშაობას ტელეფონით ვახერხებ."

ნინო ვარსიმაშვილთან ყოველთვის ხალხმრავლობაა. ზოგიერთები, ვისაც ქალბატონი ნინო ცხოვრების რთული ეტაპის გადალახვაში დაეხმარა, მადლიერების სათქმელად არის მოსული, ზოგი კი აქ პირველადაა, მაგრამ ნათელმხილველის ფენომენალური უნარის შესახებ საკუთარ შთაბეჭდილებებს არ მალავს. ჩვენ გავესაუბრეთ ამ ადამიანებს.

**ქეთინო ნ-შვილი** *(64 წლის, თბილისი):* „მე რომ სანერვიულო მქონდა, მტერს არ ვუსურვებ. ფინანსური პრობლემების გამო იპოთეკაში ჩადებულ სახლს ვკარგავდი. არ მეგონა, ჩემი საშველი თუ არსებობდა. ერთ-ერთ გადაცემაში შევიტყვე ნინოს შესახებ და აქეთ გამოვეშურე. განვმარტოვდით თუ არა, სიტყვასიტყვით მითხრა, რა მდგომარეობაშიც ვიყავი. ისეთი დეტალები დაინახა, შოკში ჩავვარდი. ერთ თვეში ამიხდა ის უცნაური ამბავი. ბევრ ნათელმხილველთან ვარ ნამყოფი, მაგრამ, არ არსებობს მეორე ვინმე, ვინც ასე ხედავდეს წარსულსა თუ მომავალს. სულ სამი-ოთხი შეხვედრა დაგვჭირდა და ყველაფერი შეიცვალა – ვალებიც გავისტუმრეთ და ძველ ბინაშიც დავბრუნდით, უფრო მეტსაც გეტყვით: 40 წლის ვაჟი მყავს, ორდიპლომიანი. არ გაუმართლა ჩემს შვილს, ოჯახის შექმნა დაუგვიანდა. ნინომ იმდენი გააკეთა, რომ დღეს ჩემს შვილს სამსახურიც აქვს და კარგი ოჯახიც შექმნა. ამის შემდეგ დავიჯერე ნინო ვარსიმაშვილის ძალა, დღესდღეობით თბილისში ის ყველაზე ძლიერი ნათელმხილველია."

**მანონი ჭ-ია** *(41 წლის, რუსთავი):* „ჩემს ოჯახში საშინელი ტრაგედია დატრიალდა: ჯერ დედა გარდამეცვალა, მერე, მოულოდნელად – და, ისე, რომ დიაგნოზიც კი ვერ დაუსვეს. დავრჩი სულ მარტო და შოკში ვიყავი ამ ტრაგედიისგან. ერთ დღეს, ჩემი სახლის შესასვლელთან, ძაღლმა მიწის თხრა დაიწყო და უცნაური ორგანო ამოთხარა. ყველაფერზე ხელი მქონდა ჩაქნეული, მაგრამ ამ ამბავმა ისე შემაშინა, მაშინვე ქალბატონ ნინოსთან წამოვედი. მასზე ბევრი რამ გამეგონა. ჩემს მეზობელს დაეხმარა. გარდა იმისა, რომ საოცარი უნარის მქონე ნათელმხილველია, ის სხვა მიმართულებითაც არის ცნობილი: ნინო ვარსიმაშვილის საგვარეულო რეცეპტით, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული ნაყენი, შეუცვლელია ჭარბი წონის მოსაშორებლად, წმენდს ორგანიზმს და ადამიანი ისე ხდება, დიეტებით ტანჯვა არ უწევს. როგორც ვიცი, თვითონაც 27 კილო დაიკლო. როცა ნინოსთან ძაღლის მიერ ამოთხრილი ის ორგანო მივიტანე, მგლის გულია, ამით საშინელი, სასიკვდილო ჯადო კეთდებაო. მეორე პროცედურაზე იმ ადამიანის სახე დამიხატა, ვინც ჯადო გააკეთა. გული გამისკდა თეთრ ტილოს რომ შევხედე – მასზე ბიცოლაჩემის სახე იყო გამოხატული. მერე თილისმები მომცა და მათი დახმარებით ჩემი ცხოვრება უკეთესობისკენაც შეიცვალა და დეპრესიიდანაც გამოვედი. არ ვიცი, რა გითხრათ, საკუთარ თავზე დავრწმუნდი, რომ ქალბატონ ნინოს ფენომენალური ხედვის უნარი აქვს."

გსურთ, დაამარცხოთ ბოროტი ძალა, გაიხსნათ ჩაკეტილი ბედი და მოიზიდოთ ბარაქა?!

**ნინო ვარსიმაშვილთან დასაკავშირებლად დარეკეთ ტელეფონის ნომრებზე: 597 82-68-68; 5 99 003-006 (ჩაწერა წინასწარ).**

**თამარ ჩხენკელი**

**ტყუილი პატარებისთვის დამახასიათებელი თვისებაა, თუმცა, ასაკის მიხედვით, ის სხვადასხვა კატეგორიად იყოფა: უმცროსი ასაკის ბავშვის ტყუილი ფანტაზიურია, მოგვიანებით კი ის უფრო რეალური ხდება. გამომწვევი მიზეზი კი უამრავია. შეიძლება, ბავშვის ტყუილებმა ხშირი და სერიოზული სახე მიიღოს, რამაც, შესაძლოა, მატყუარა ადამიანის ჩამოყალიბების საფრთხის წინაშე დაგვაყენოს. თუ როგორ უნდა მოიქცეს მშობელი ამ უსიამოვნების ასაცილებლად, ამ თემაზე კვალიფიციური რჩევები „დავითიანის“ ცენტრის ფსიქოლოგმა ნინო კერესელიძემ მოგვცა.**

# უნდა დაისაჯოს თუ არა ბავშვი ტყუილისთვის და რა ასაკში იწყებს ის სახიფათო ტყუილებით ცხოვრებას

**ნინო კერესელიძე**: დაახლოებით 50 პროცენტი ბავშვებისა, რომელთა მშობლებიც ჩვენ მოგვმართავენ, საკმაოდ მძიმე ჯგუფს მიეკუთვნებიან ტყუილის თქმის რაოდენობის მიხედვით. ამიტომ, მშობლების მოთხოვნა ყოველთვის ასეთია: გვასწავლეთ, როგორ გადავაჩვიო ბავშვი ტყუილის თქმას. ეს საკმაოდ რთული პროცესია. პირობითად, ტყუილი შეიძლება რამდენიმე კატეგორიად დაიყოს:

ეგრეთ წოდებული „ჯანსაღი ტყუილი” ბავშვის განვითარების ნაწილია. ბავშვები ასეთი ტყუილის თქმას ადრეული ასაკიდან იწყებენ. 5 წლამდე ასაკის ბავშვებს უჭირთ საკუთარი ფანტაზიის ნაყოფის გამიჯვნა რეალობისგან, თუმცა, განვითარების კვალდაკვალ, ბავშვი თანდათან უნდა ჩასწვდეს ტყუილისა და სიმართლის ცნებას. მის აღმოსაფხვრელად მნიშვნელოვანია გამომწვევი მიზეზების დადგენაც.

ეგრეთ წოდებული „თეთრი ტყუილი” მიმართულია ადამიანის კეთილდღეობისკენ. მაგალითად, ასეთი ტყუილის თქმა არის მცდელობა, რომ თავიდან ავიცილოთ სხვა ადამიანის გულისტკენა და წყენინება. ტყუილების უმრავლესობა, როგორც ბავშვებში, ისე მოზრდილებში, ემსახურება საკუთარი თავისთვის სარგებლობის მოტანას, სასურველის მიღწევას ან არასასურველის თავიდან აცილებას. მაგალითად, მოსწავლე მშობელს ატყუებს, რომ გაკვეთილები უკვე მოამზადა, რათა მიიღოს ნებართვა კომპიუტერზე სათამაშოდ; იტყუება, რომ თავი სტკივა, რათა თავიდან აიცილოს მეცადინეობა; ბავშვი იტყუება, რომ ლარნაკი გატეხა მისმა პატარა დამ, რათა თავიდან აიცილოს დასჯა მშობლის მხრიდან.



**თუ დაინახა, რომ მან გატეხა ლარნაკი, აღარ არის საჭირო შეკითხვა: „ვინ გატეხა ეს“, რადგან ამ შემთხვევაში ბავშვს ეძლევა დრო ტყუილის მოსაფიქრებლად**

**– როგორ უნდა მოიქცეს მშობელი, როცა იცის, რომ ბავშვი იტყუება?**

– მშობლის ქცევა რამდენიმე პუნქტად უნდა დავყოთ: პირველ ყოვლისა, მნიშვნელოვანია თავშეკავება. მშობელი უნდა ეცადოს, მეტისმეტად მწვავე რეაქციით არ შეხვდეს ბავშვის ტყუილს. კვლევები აჩვენებს, რომ ეს პრობლემა მკაცრი დასჯით ვერ აღმოიფხვრება. უმჯობესია, მშობელი დაფიქრდეს და ბავშვთან ერთად, მშვიდი კომუნიკაციით შეეცადოს ტყუილის მოტივის გამოვლენას; გაითვალისწინოს ბავშვის ასაკის, განვითარებისა და ტყუილის გაცნობიერების დონე; დაანახვოს მას ტყუილის გარეშე პრობლემის მოგვარების გზები. ტყუილის მიზეზის აღმოსაფხვრელად მნიშვნელოვანია ჩარევა. თუ მოხდება ტყუილის მიზეზის, მაპროვოცირებელი ფაქტორების დადგენა და შესაბამისი რეაგირება მათ მინიმუმამდე დასაყვანად, მაშინ შესაძლებელი იქნება, ანალოგიურ სიტუაციაში ტყუილის თქმის პრევენცია. მაგალითად, მოსწავლე იტყუება, რომ არ აქვს საშინაო დავალება მათემატიკაში. თუ დადგინდა, რომ მას საფუძვლად უდევს სასწავლო პროგრამის დაძლევის სირთულე და მოსწავლეს დავეხმარებით მათემატიკური დავალებების შესრულებაში, შემცირდება ტყუილის თქმის ალბათობა. მნიშვნელოვანია იარლიყების მიწებებაზე უარის თქმაც. თუ მშობელი ბავშვს „მატყუარას“ შეარქმევს, ამით კარგს ვერაფერს მიაღწევს; უფრო მეტიც, შესაძლოა, ამან განამტკიცოს კიდეც ეს ჩვევა. ბავშვმა, შესაძლოა, იფიქროს: დედა მაინც მატყუარას მეძახის და, შემიძლია, კიდევ ვიცრუოო. მშობელმა შვილს არ უნდა მისცეს ტყუილის თქმის დრო და საშუალება. თუ მშობლისთვის უკვე ცნობილია ბავშვის დანაშაულის შესახებ, პირდაპირ უნდა უთხრას, რომ მან ეს იცის. მაგალითად, თუ დაინახა, რომ მან გატეხა ლარნაკი, აღარ არის საჭირო შეკითხვა: „ვინ გატეხა ეს?” – რადგან, ამ შემთხვევაში, ბავშვს ეძლევა დრო ტყუილის მოსაფიქრებლად. დიდი მნიშვნელობა აქვს ტყუილის თქმის შედეგების ახსნასაც. მშობელმა უნდა აუხსნას ბავშვს, თუ რატომ არის ტყუილი ცუდი და რა შედეგებამდე შეიძლება მიიყვანოს ამან. ამავდროულად, მშობელმა მუდმივად უნდა გაუსვას ხაზი გულწრფელობის მნიშვნელობას და წაახალისოს ბავშვის მიერ სიმართლის თქმა, მაშინაც კი, თუ ეს სიმართლე არასასურველია. თუ სიმართლის თქმას მოჰყვება მშობლის მხრიდან გაბრაზება და დასჯა, დიდია ალბათობა, რომ ბავშვი ტყუილის თქმას ამჯობინებს, რათა თავიდან აიცილოს მშობლის მხრიდან ნეგატიური დამოკიდებულება. ალბათ, ძნელად მოიძებნება მშობელი, რომელსაც არ უთქვამს ტყუილი ბავშვის თანდასწრებით. მაგალითად: მოუტყუებია ბავშვის ასაკი კინოთეატრის ბილეთის შეღავათიან ფასში შესაძენად; უთხოვია შვილისთვის, მეზობელს უთხარი, დედა სახლში არ არისო. მშობელს უნდა ახსოვდეს, რომ ბავშვები ბევრ რამეს სწორედ მათგან სწავლობენ, ახდენენ მათი ქცევის მოდელირებას. შესაბამისად, თუ ბავშვი მშობლის ტყუილს აფიქსირებს, ეს მისთვისაც მისაღები ხდება. სწორედ ამიტომ, მშობლებმა უნდა გააკონტროლონ საკუთარი ქცევები და იზრუნონ ბავშვებისთვის კარგი მოდელის შეთავაზებაზე. 4-5 წელი ბავშვი ფანტაზიურ ტყუილებშია. ხანდახან ამბობს, რომ დათუნიამ მოუყვა ზღაპარი. ეს ტყუილი რაციონალურობამდე უნდა დავიყვანოთ. ასაკის მატებასთან ერთად, მას უნდა ავუხსნათ, რომ დათვი არ ლაპარაკობს და ვერაფერს მოუყვებოდა. მაგრამ, როცა მშობელი თვითონვე წაახალისებს ასეთ ტყუილს და შვილს ეტყვის, მე ჩიტმა ენა მომიტანა და ამიტომ გსჯიო, მაშინ ბავშვისთვის გაუგებარია – თუ ჩიტს ლაპარაკი არ შეუძლია, რატომ ელაპარაკება მშობელს?! ამიტომ ჩამოთვლილ კრიტერიუმებთან ერთად, მშობელმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ბავშვის ასაკი და აკონტროლოს საკუთარი საუბარი. ასევე, დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ რა ხდება გაყრილ ოჯახებში. როცა ორივე მხარე სხვადასხვანაირად არიგებს ბავშვს ერთიმეორის გასაბრაზებლად. ამ დროს ბავშვი იხლიჩება და ველარ იგებს, რა არის მართალი და რა – არა. ხშირად ამას შიშების ჩამოყალიბებამდე მივყავართ. ეს ბავშვზე პირდაპირი ფსიქოლოგიური ზეწოლაა. ჩვენთან დადიოდა 20 წლის გოგონა, რომელმაც გვითხრა: მე იმდენ ხანს მალაპარაკებდნენ ტყუილებს, ახლა არ ვიცი, როგორ მოვყვე უბრალო ამბავი ისე, რომ არ მოვიტყუო, თუნდაც ეს საერთოდ არ მჭირდებოდესო. მოზრდილ ასაკში ამ პრობლემის მოგვარება, გაცნობიერების შემთხვევაშიც კი, ძალიან რთულია. ტყუილი მის ქცევაშია გამჯდარი და გაუცნობიერებლად მოდის.

**– მშობელს ყოველთვის შეუძლია ამ პრობლემის მოგვარება?**

– ზოგჯერ, შესაძლოა, მხოლოდ მშობლის ძალისხმევა და სწორი მიდგომა არ იყოს საკმარისი ბავშვების ტყუილებთან გასამკლავებლად. განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს იმ შემთხვევებში, როდესაც: ბავშვი იტყუება სისტემატურად, ტყუილი გადაზრდილი აქვს ჩვევაში; იტყუება უმიზეზოდ, მაშინაც კი, როდესაც ტყუილის თქმის სერიოზული მოტივი არ აქვს და არც მისი განვითარების საფეხურს შეესაბამება; არ აქვს დანაშაულის განცდა ტყუილის თქმასთან დაკავშირებით; გარშემო მყოფები ველარ ენდობიან ბავშვებს – აღარ სჯერათ, რომ ის ოდესმე სიმართლეს იტყვის; ტყუილს აქვს სერიოზული ხასიათი და ზიანს აყენებს თვითონ ბავშვსაც და გარშემო მყოფებსაც. ასეთ შემთხვევებში ფსიქოლოგის ჩარევა აუცილებელია. მხოლოდ მშობელი, ამ პრობლემის მარტივად გადაჭრას ვერ მოახერხებს. მსგავს ტყუილებს ბავშვი 8 წლიდან იწყებს.

**– დასჯა მიზანშეწონილია?**

– დასჯას ყოველთვის ჯობია მოლაპარაკება. თუ ბავშვი ტყუილს იტყვის, სასურველია, მშობელმა რაღაც პერიოდის განმავლობაში აუკრძალოს რომელიმე სათამაშოს გამოყენება ან შეასრულებინოს კონკრეტული ქცევა, მაგრამ, ეს არ უნდა იყოს მხოლოდ დედის გადაწყვეტილება. ეს უნდა იყოს ბავშვთან შეთანხმებული. თუ დედა თავს აარიდებს მოლაპარაკებას და ბავშვს დასჯის მიზნით, მაგალითად, კუთხეში დააყენებს, ეს გამოსავალი არ იქნება. ამ დროს ბავშვი დიდ სტრესს განიცდის და ფიქრობს: „როცა მოვბრუნდები, აგერ ნახე, რა გავაკეთო” – და, ხშირ შემთხვევაში, მერე უარესად იქცევა. როცა აღმზრდელი მისი საქციელის დადებით და უარყოფით მხარეებს აუხსნის, მაშინ გასაგები და მისაღები ხდება ეს ყველაფერი.

**ქეთი კაპანაძე**

**მთვარეულობა ანუ სომნაბულიზმი საკმაოდ გავრცელებული პრობლემაა. ეს არის მდგომარეობა, როცა მძინარე ადამიანი გადაადგილდება და სხვადასხვა ქმედებას ახორციელებს. ეს დაავადება უფრო მეტად ბავშვებშია გავრცელებული. ასაკის მატებასთან ერთად, მისი სიხშირე იკლებს, თუმცა, უფრო დრამატული ხდება. ზოგ შემთხვევაში მთვარეული გარშემო მყოფებისადმი აგრესიითაც გამოირჩევა, რასაც საკმაოდ მძიმე შედეგები მოჰყვება. ბავშვებში კი ეს სენი უფრო ხშირად გვხვდება, თუმცა, ნაკლებ ხიფათის შემცველი შემთხვევები გვაქვს.**

# შესაძლებელია თუ არა, მთვარეულმა ვინმეს სიცოცხლე შეიწიროს და როგორ უნდა ავიცილოთ თავიდან საფრთხე

**თამარ ედიბერიძე (ბავშვთა ნევროლოგი):** მთვარეულობა საკმაოდ გავრცელებული მდგომარეობაა. ის ძილში გადაადგილებას გულისხმობს. სომნაბულიზმი – ძილში სიარული ანუ მთვარეულობა, განიხილება როგორც ძილის არაორგანული ტიპის დარღვევა. ძილს თავის სტადიები აქვს, რომლებიც ციკლურად მეორდება. ერთ-ერთია ნელტალღოვანი, ღრმა ძილის სტადია და მთვარეულობა დაახლოებით ამ სტადიაზე აღმოცენდება. ეს ყველაფერი ჩაძინებიდან გარკვეულ პერიოდში ვლინდება. რაც უფრო პატარა ასაკისაა ადამიანი, მით უფრო მალე მოხდება ეს ჩაძინებიდან და, შესაბამისად, რაც უფრო დიდია, მეტი დრო დასჭირდება. მთვარეულობის აღმოცენების პიკი დღემდე საკამათო თემაა. ეს დაახლოებით 6-დან 11 წლამდე პერიოდს მოიცავს.

**– მიზეზი თუ არის დადგენილი?**

– როგორც გითხარით, ეს არის არაორგანული ტიპის ძილის დარღვევა. მას თავის ტვინის ორგანული დაზიანება არ უდევს საფუძვლად. მისი გამომწვევი ერთი კონკრეტული მიზეზი არ არსებობს, მაგრამ, არსებობს მეორადად განვითარებული მთვარეულობა, როდესაც მის პროვოცირებას რომელიმე მედიკამენტი ახდენს. მთვარეულობის მიზეზი ხშირად ხდება ანტიფსიქოზური პრეპარატები და ანტიდეპრესანტები, რაც ძილის ფიზიოლოგიაზე მოქმედებს. ასევე, ზოგიერთი დაავადება და პათოლოგია. თუმცა, აღმოჩენილია გარკვეული გენები, რომელთა არსებობაც ზრდის სომნაბულიზმის განვითარების რისკს. ითვლება, რომ, თუ ბავშვობაში ერთი მშობელი მთვარეული იყო, მაშინ 40 პროცენტია შანსი იმისა, რომ ის შვილშიც განვითარდეს. თუ მსგავსი შემთხვევა ორივე მშობელთან იყო დაფიქსირებული, მაშინ ბავშვში მისი განმეორების ალბათობა 60 პროცენტამდე იზრდება. გავრცელება დაახლოებით 1-დან 15 პროცენტამდე აღწევს. აქტიურობა ძირითადად ბავშვებში ალინიშნება. მოზრდილობაში მისი შემთხვევები იკლებს, ხანდაზმულობაში კი ძალიან დიდ იშვიათობას წარმოადგენს. თუ მაინც დაფიქსირდა, იქ სხვა პათოლოგიას ვეძებთ და ეს ძირითადად მეორადი მდომარეობა აღმოჩნდება ხოლმე.

**– როგორ ხდება მისი გამოვლინება?**

– გამოვლინება სხვადასხვანაირია და ინდივიდუალურ შემთხვევებში სიხშირეც და მასშტაბებიც განსხვავდება. შეიძლება, ადამიანი წამოდგეს, ცოტა გაიაროს და შეასრულოს მისთვის ჩვეული ქმედება, ან ერთი კილომეტრის მანძილზე გადაადგილდეს. მთვარეულობის მთავარი თვისება ამნეზირებაა – მათ არ ახსოვთ, რა ჩაიდინეს. შეიძლება, ადგეს, ბევრი რამ გააკეთოს, მაგრამ, თვითონვე დაბრუნდეს საწოლში. თუმცა, ისიც შესაძლებელია, რომ რაღაც მომენტში დამოუკიდებლად ან სხვისი ზემოქმედებით გამოეღვიძოს.

**– ეს სახიფათო არაა?**

– ამაზე სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. აგრესიულად გაღვიძება არავისთვის არაა კარგი და, მათ შორის, არც მთვარეულისთვის, თუმცა, არ დასტურდება, რომ ამას რამე ტრავმა გამოეწვიოს. მათ ხშირად დამოუკიდებლად ელვიძებათ: ზოგს – ეზოში, ზოგს – გზაზე, ვენახში და ასე შემდეგ. როცა ეს პირველად ხდება, შიშს იწვევს, მაგრამ, თანდათან ეჩვევიან. რაც შეეხება ტრავმებს, თუ ადამიანი ნაცნობ ადგილებში მოძრაობს და გზად რაიმე გაუთვალისწინებელი ნივთი არ შეხვდა, დაზიანების ალბათობა ძალიან მცირეა. არსებობს რწმენა, რომ მთვარეულებს ბეწვის ხიდზე გაუვლიათ. ამ დროს ადამიანს განსაკუთრებული შესაძლებლობები ნამდვილად არ ეძლევა. უბრალოდ, შიშის შეგრძნება არ აქვს და უკეთ იყენებს იმ შესაძლებლობას, რომელიც მასშია. თუმცა, ვისაც საერთოდ არ აქვს სპორტულ ცხოვრებასთან შეხება, ის ვერც ძილში გაივლის თოკზე. აკრობატს კი ეს არც ძილში გაუჭირდება და არც სიფხიზლეში. მე ბავშვთა ნევროლოგი ვარ და ვერ ვიტყვი, რომ ჩვენი დაკვირვების ქვეშ მყოფ ბავშვებს ზედმეტად დრამატული შემთხვევები ჰქონიათ, მაგრამ, გარკვეული რისკები მათ შემთხვევებშიც იყო. მაგალითად, სოფელში ზამთრის სიცივეში ფეხშიშველი და პერანგის ამარა ბავშვი სახლიდან მოშორებით იპოვეს. იყო შემთხვევა, როდესაც ბავშვი აბაზანაში შევიდა და საწოლზე მაშინ მიუსწრეს, როცა მდუღარე წყლით შხაპის მიღებას აპირებდა. ერთი ბიჭი ადგა და ბუტერბროტებს იმზადებდა. დედამისი გაოცებული იყო – სიფხიზლეში თავისით წყალსაც არ სვამსო. მაგრამ, გაუმართლა, რომ პროდუქტები გამზადებული დახვდა და დანის გამოყენება არ დასჭირდა, ვინაიდან ეს საკმაოდ სახიფათოა. ამიტომ, ასეთი საგნები საგულდაგულოდ უნდა შევინახოთ. რაც უფრო ასაკით პატარაა ადამიანი, მით უფრო უმნიშვნელოა სომნაბულიზმის შემთხვევები. ასაკის მატებასთან ერთად, სიხშირე მცირდება, მაგრამ, შემთხვევების დრამატიზმი იზრდება. მოზრდილებში მთვარეულობის დროს საკმაოდ აგრესიული ქმედებებიცაა აღწერილი, მათ შორის – მკვლელობაც. ეს ძალიან მძიმე და იურიდიულად რთულად გასარკვევი შემთხვევაა. დასადგენია, რამდენად პასუხისმგებელია ამ დროს ადამიანი ჩადენილ დანაშაულზე. უმეტეს შემთხვევაში ისინი გამართლდნენ, რადგან დანაშაულის ჩადენის დროს არაადეკვატურები იყვნენ. თუმცა, იყო რამდენიმე შემთხვევა, როცა მთვარეული დამნაშავედ ჩაითვალა, რადგან მკვლელობა ზედმეტად რთულად და დაგეგმილად მიიჩნიეს და არა ავტომატურ ქმედებად. აქ ინდივიდუალური მიდგომაა საჭირო.



**ზამთრის სიცივეში ფეხშიშველი და პერანგისამარა მძინარე ბავშვი სახლიდან მოშორებით წასული იპოვეს**

**– აგრესიული მთვარეულების შემთხვევებში, პირველ ყოვლისა, ალბათ, ოჯახის წევრები არიან საფრთხეში, არა?**

– დიახ, ძირითადად მეუღლეებზე და ოჯახის წევრებზე მიაქვთ ხოლმე იერიში. არის მკვლელობის, დანის ან სხვა რაიმე ბასრი საგნის დარტყმის, გაუპატიურების მცდელობები და ეს აგრესია მხოლოდ ოჯახის წევრების მიმართ არ ხორციელდება. თუ მთვარეულმა მოახერხა სახლის დატოვება, შეიძლება მისი ძალადობის მსხვერპლი სხვაც გახდეს. იმ შემთხვევაში, თუ ადამიანი სიფხიზლეშიც აგრესიული არაა და შენ მას აგრესიის გამოვლენის დროს გამოაღვიძებ, იმწუთას შეიძლება მისთვის ეს ელდა იყოს, მაგრამ, საბოლოო ჯამში, იმდენად მძაფრი რეაქცია არ ექნება, რომ მისი გამოღვიძება არ ღირდეს. თუ დანაშაულს სჩადის, რა თქმა უნდა, უნდა გამოაფხიზლო.

**– ოჯახის წევრზე ძალადობას ხომ არ აქვს ხოლმე რამე წინაპირობა?**

– ჰქონია თუ არა მსგავს ადამიანს ძალადობის მცდელობა ადრეც – ეს ბოლომდე შესწავლილი არაა. იმის მტკიცება, რომ ის სიფხიზლეშიც უპირებდა ვინმეს მოკვლას, შეუძლებელია, მაგრამ, შესაძლოა, მასა და მისი აგრესიის ობიექტს შორის გარკვეული უთანხმოება ყოფილიყო. ძილის დარღვევებს ყოველთვის დღის ემოციები უდევს საფუძვლად. ეს არის გაცნობიერებული ან გაუცნობიერებელი სურვილები, რომლებიც ძილის დროს ტივტივდება. ასე რომ, სომნაბულიზმის დროს ჩადენილი ქმედება შეიძლება იყოს სიფხიზლეში დაუკმაყოფილებელი სურვილების რეალიზაცია, მაგრამ, ეს არ ნიშნავს, რომ ადამიანი სიფხიზლეშიც ისეთი აგრესიორია და რომ ის პირდაპირი გაგებით მკვლელობას აპირებდა. ეს ქცევა არაადეკვატურად იმიტომაც ითვლება, რომ ჩამდენი შედეგებს ვერ აცნობიერებს – მისთვის არსებითი არაა, ვინმეს ბოთლს ურტყამს თავში თუ ქაღალდს.

**– ვინც ისედაც აგრესიული ქმედებებისკენაა მიდრეკილი, ბუნებრივია, მასთან მეტი რისკი იქნება...**

– ასეა, მაგრამ ეს პანიკის საფუძველს არ გვაძლევს, რადგან მოზრდილებში მთვარეულობა მაინც იშვიათობას წარმოადგენს. თუმცა, მთვარეულობის დასამარცხებლად წამალი არცერთი ასაკის ადამიანისთვის არ არსებობს. აქ მთავარია უსაფრთხოების ნორმების დაცვა. ჩაკეტილი კარი და ფანჯრები; არავითარი მჭრელი და მსხვრევადი საგნები; საწოლი, რომელიც ხმას გამოსცემს, თუკი მასზე მწოლიარე ფეხზე ადგება, რათა ოჯახის წევრმა მოახერხოს მისთვის ყურადღების მიქცევა და ასე შემდეგ. მთვარეულობის მაპროვოცირებელია უცხო გარემო, ამიტომ, ადამიანმა, რომელმაც იცის თავისი პრობლემის შესახებ, ასეთ დროს განსაკუთრებით უნდა გაამახვილოს ყურადღება. მთვარეულობის შემთხვევები ღამეში მხოლოდ ერთხელ, თითქმის ერთსა და იმავე დროს ხდება და ამიტომ მისი კონტროლი შესაძლებელია. როგორც გითხარით, მას კონკრეტული გამომწვევი მიზეზი არ გააჩნია, მაგრამ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ გადაღლილობა, ზედმეტი საკვები, კომპიუტერის ხანგძლივად მოხმარება, სასმელი და ყველაფერი, რაც ძილის ხარისხს აქვეითებს, მის პროვოცირებას იწვევს.

**ქეთი კაპანაძე**

## ორშაბათი 17 აგვისტო

08.00 ან/ფ "ტატონკას თავგადასავალი" 09.00 "ლიხს იქით და ლიხს აქეთ" 09.30 "სადილის დრო" 10.00 ტ/სერ. **"ბედისწერის აჩრდილი"** 11.00 ტ/სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 12.30 ტ/სერ. **"ნიკიტა"** 13.30 დ/ფ "როგორ არის მოწყობილი სამყარო" 14.30 მხ/ფ. **"მისტერ ბინი დასასვენებლად მიემგზავრება"** 16.30 "ქართული დოკუმენტალისტიკა" 17.30 მხ/ფ. **"ოდრი ჰეპბერნის თავგადასავალი"** 19.30 "სიტყვების თამაში" 20.30 ტ/სერ. **"ევას სამი ვარდი"** 21.30 მხ/ფ. **"ამაოების ბაზარი"** (რ.უიზერსპუნი) 23.55 მხ/ფ. **"შენ" მე და დუპრი"** (კ.ჰადსონი) 02.00 დ/ფ "ქალაქები".

07.00, 15.40 სერ. **"ლამაზი სიზმარი"** 08.00 მხ/ფ. 10.15 სერ. **"დინასტია"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 სერ. **"განშორების სევდიანი ფერი"** 16.55 სერ. **"მოჯადოებულები"** 18.55 სერ. **"სტამბოლის ცა"** 19.55 სერ. **"ქარადაი"** 22.00 "კომედის კონცერტი" 23.30 სერ. **"გრიმი"** 01.00 მხ/ფ. 03.00 კურიერი. დაიჯესტი 03.30 მხ/ფ.

7.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 00.00, "მაესტროს ახალი ამბები" 07.30 ანიმაცია **"ყოჩაღი ბიჭები"** 08.30 **სერიალი "კარმა"** 10.00 **სერიალი "ქუჩეი და გუნეი"** 12.30 **სერიალი "უშენოდ ვერ ვსუნთქავ"** 13.35 **სერიალი "დაკარგული დრო** 15.35 სამედიცინო გადაცემა "პულსი" 16.00 **სერიალი "მფარველი ანგელოზი"** 18.30 დოკ. ფილმი "საქართველო მე-XX საუკუნე" 19.00 **სერიალი "თქვი, რომ ბედნიერი ხარ"** 20.05 **სერიალი "შავი ფული და სიყვარული"** 21.00 "მაესტროს ცხრიანი" 22.00 **სერიალი "ბელადის ვაჟი"** 23.00 **სერიალი "ქურთ სეიტი და შურა"** 00.30 **სერიალი "კარმა"** 02.00 **სერიალი "ქუჩეი და გუნეი"**.

07.30 სერ. **"მერლინი"** 08.30 სერ. **"კარმა"** 09.00 კულინარიული დუელი 10.00 სერ. **"დიდი სახლის პატარა დიასახლისი"** 1 სერ. 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.30, ქრონიკა 11.20 სერ. **"ბოშა ქალი"** 12.30 სტუმრად იუმორინასთან 13.30 ერთხელ საქართველოში 14.40, 15.55 სერ. **"ორი ბედი"** 17.35 სერ. **"სიცოცხლის საფასური"** 18.45, 19.03 სერ. **"გზაჯვარედინი"** 20.55 სერ. **"შავი ვარდი"** 22.00 სერ. **"შუა ქალაქში 10 წლის შემდეგ–2"** 23.00 ერთხელ საქართველოში 23.30 მხ/ფ **"სამი დღე მკვლელობისთვის"** (ე.ჰერდი) 01.40 მხ/ფ **"ძილის წინ"** 03.10 სერ. **"დედამიწის ბურჯები"** 6 სერ. 04.10 მხ/ფ **"ჰანი დენიელსი"** (ჯ.ალბა).

06.10 მუს.პაუზა 06.15 ივერიის ეკლესია-"საქართველოს ეკლესია კეთილმსახური მეფე თამარის დროს" 06.35 პატერიკი "ოთხი კიდობნის შესახებ" 06.45 ქართული ალბომი "ჯანდიერები" 07.10 დოკ. ფ. "ლადო ასათიანი" 07.45 თვენი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 მულტ.ფილმი **"კეროტის თავგადასავალი"** 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.10 პატრიარქის ქადაგება 10.40 საკვირაო სახარების განმარტება "იგავი მოწყალე მეფესა და უმოწყალო მსახურზე" 10.50 კვირიაკე 12.05 მხ/ფ **"ივანანა"** 13.30 საქართველოს დაცული ტერიტორიები-კოლხეთის ეროვნული პარკი 14.00 დოკ. ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" 14.30 ქრისტიანული სწავლება 15.20 მულტ. ფილმი ქართული 15.35 ბავშვები მუზეუმში 15.50 სპექტაკლი "მტრედის მოტანილი ბარათები" II-III ნაწ. 17.25 დეკორატიული ფლორა "ნეკერჩხალი" 17.35 დოკ. ფ "წმ. მოწამენი ქართლისანი" 17.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო-მეექვსე ცნება 18.05 მულტ. ფილმი "ვინი პუჰი" 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 18.50 ისტორიის დღიური 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 19.20 მხ/ფ **"კროსვორდის ამოხსნის მოყვარულთათვის"** 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 პატერიკი "წმინდა იოანე მოწყალე" 21.35 ღვთის სახლი "კასრისა და გიშის ტაძები" 21.50 ჩვენი ამბავი-დავით გურამიშვილი 22.25 დოკ. ფილმი "არის ასეთი ქვეყანა,მას საქართველო ჰქვია"-ზესტაფონი 22.45 საქართველოს სამართლის ისტორია 22.50 მუს.პაუზა 23.00 საღამოს ლოცვა 23.30 ერთსულოვანი ოჯახი "ბრეგვაძეები" 00.25 ტალანტები და თაყვანისმცემლები-ალექსანდრე ბასილაია.

## სამშაბათი 18 აგვისტო

08.00 ან/ფ "ტატონკას თავგადასავალი" 09.00 "ლიხს იქით და ლიხს აქეთ" 09.30 "სადილის დრო" 10.00 ტ/სერ. **"ბედისწერის აჩრდილი"** 11.00 ტ/სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 12.30 ტ/სერ. **"ნიკიტა"** 13.30 დ/ფ "როგორ არის მოწყობილი სამყარო" 14.30 "საუკუნის პორტრეტები" 15.00 ტ/სერ. **"ევას სამი ვარდი"** 16.30 "ქართული დოკუმენტალისტიკა" 17.30 მხ/ფ. **"ოდრი ჰეპბერნის თავგადასავალი"** 19.30 "სიტყვების თამაში" 20.30 ტ/სერ. **"ევას სამი ვარდი"** 21.30 "ქართული დოკუმენტალისტიკა" 22.40 **ფეხბურთი.** ჩემპიონთა ლიგის პლეიოფის პირველი რაუნდი 00.30 მხ/ფ. **"ერთი ქალის ამბავი"** (ა.ჟირარდო).

07.00, 15.40 სერ. **"ლამაზი სიზმარი"** 08.00 მხ/ფ. 10.15 სერ. **"დინასტია"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 სერ. **"განშორების სევდიანი ფერი"** 16.55 სერ. **"მოჯადოებულები"** 18.55 სერ. **"სტამბოლის ცა"** 19.55 სერ. **"ქარადაი"** 20.50 ეროვნული ლატარეა. 22.00 თომა "სოხუმის უკანასკნელი დღე" 23.00 თომა "ხრუშჩოვი უნდა მოკვდეს" 00.00 სერ. **"გრიმი"** 01.00 მხ/ფ. 03.00 კურიერი. დაიჯესტი 03.30 მხ/ფ.

7.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 00.00, "მაესტროს ახალი ამბები" 07.30 ანიმაცია **"კუნგ-ფუს ოსტატი"** 08.30 **სერიალი "კარმა"** 10.00 **სერიალი "ქუჩეი და გუნეი"** 12.30 **სერიალი "უშენოდ ვერ ვსუნთქავ"** 13.35 **სერიალი "დაკარგული დრო** 15.35 გადაცემა "თქვენი გადახდილია" 16.00 **სერიალი "მფარველი ანგელოზი"** 18.30 დოკ. ფილმი "საქართველო მე-**XX** საუკუნე" 19.00 **სერიალი "თქვი, რომ ბედნიერი ხარ"** 20.05 **სერიალი "შავი ფული და სიყვარული"** 21.00 "მაესტროს ცხრიანი" 22.00 **სერიალი "ბელადის ვაჟი"** 23.00 **სერიალი "ქურთ სეიტი და შურა"** 00.30 **სერიალი "კარმა"** 02.00 **სერიალი "ქუჩეი და გუნეი"**.

08.00 სერ. **"მერლინი"** 09.00 კულინარიული დუელი 10.00 სერ. **"კარმა"** 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.15, ქრონიკა 11.20 სერ. **"ბოშა ქალი"** 12.30 შალვა რამიშვილის შოუ 13.30 ერთხელ საქართველოში 14.40, 15.55 სერ. **"ორი ბედი"** 17.35 სერ. **"სიცოცხლის საფასური"** 18.45, 19.03 სერ. **"გზაჯვარედინი"** 20.55 სერ. **"შავი ვარდი"** 22.00 სერ. **"შუა ქალაქში 10 წლის შემდეგ 2"** 23.00 ერთხელ საქართველოში 23.30 მხ/ფ **"ბრეისი"** (დ. მალრუნი) 01.25 მხ/ფ **"წლის საუკეთესო მასწავლებელი"** 03.10 სერ. **"კამორას კლანი"** 04.10 მხ/ფ **"ნოკაუტი"** (ა.ბანდერასი).

06.10 სპექტაკლი **"მტრედის მოტანილი ბარათები"** **შმ-შშმ** ნაწ. 07.25 დოკ. ფ. 07.55 საქართველოს სამართლის ისტორია 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 მულტ.ფილმი "კეროტის თავგადასავალი" 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 პატერიკი "წმინდა იოანე მოწყალე" 10.40 დოკ. ფ "არის ასეთი ქვეყანა,მას საქართველო ჰქვია"-ზესტაფონი 11.00 თაობა ზეტი "საგზაო მოძრაობის წესები" 11.30 ჩვენი ამბავი-დავით გურამიშვილი 11.40 ღვთის სახლი "საქარიის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი" 12.10 მხ/ფ **"კროსვორდის ამოხსნის მოყვარულთათვის"** 13.30 საქართველოს დაცული ტერიტორიები-ლაგოდეხის დაცული ტერიტორია 14.00 დოკ. ფილმი "დები ტრევისის საოცარი სახლი" 14.30 ქრისტიანული სწავლება 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.20 მულტ. ფილმი ქართული 15.40 ტალანტები და თაყვანისმცემლები-ალექსანდრე ბასილაია 16.20 დოკ. ფილმი "გზა" **მ** ნაწ. 17.00 მგზავრები წუთისოფლისა-მცხეთის რაიონი სოფ. ქსოვრისი 17.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო-მეშვიდე მცნება 18.10 მულტ. ფ. **"ვინი პუჰი"** 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 ქართული ხმები-დიდგორი 20.00 ღია აუდიტორია-"ნიკოლოზ ახალკაცი" 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 ისტორიის გაკვეთილი-"ტაო-კლარჯეთი" 21.50 განთ.სიუჟ-ზარზმა (ფერიცვალების ხატი) 22.00 სიახლენი 22.20 ჩვენი ფონდი "ილუმენია მარიამი (მიქელაძე)-მოგონებები მამა გაბრიელზე" 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო-მეშვიდე მცნება 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 ერთსულოვანი ოჯახი "ბოლქვაძეები" 23.30 სადღესასწაულო სახარების განმარტება "ფერისცვალება" 00.20 საუფლონი ფერიცვალება-"ნათელი თაბორისა" 00.30 ერთსულოვნების სალონი "ასურელი მამების ღვაწლი".

გაგრძელება 35-ე გვერდზე

## კინოთეატრები

**კინოთეატრი „რუსთაველი“**
**რუსთაველის გამზირი №5.**
**ტელ.: 293-22-53, 255-50-00.**

**17 – 23 აგვისტო**

*დარბაზი 1*

13.00, 16.30, 19.50, 22.40 - **„შეუსრულებელი მისია 5: განდევნილთა ტომი“** *ხანგრძლივობა: 2სთ. 10წთ.*

*დარბაზი 2*

14.10 - **„შემთხვევითი პაემნები“** *ხანგრძლივობა: 1სთ. 40წთ;*

17.50, 20.00, 22.10 - **„ოცნებების სასაფლაო“** *ხანგრძლივობა: 1სთ. 35წთ.*

*დარბაზი 3*

12.10 - **„თავდაყირა“** 3D *ხანგრძლივობა: 1სთ;*

14.30 - **„პიქსელები“** 3D *ხანგრძლივობა: 1სთ. 45წთ;*

17.15, 22.40 - **„ანთ-მენი“** 3D *ხანგრძლივობა: 1სთ. 55წთ;*

20.10 - **„ქაღალდის ქალაქები“** *ხანგრძლივობა: 1სთ. 50წთ.*

*დარბაზი 4*

12.00, 14.20, 16.40, 19.30, 22.15 - **„მინიონები“** 3D *ხანგრძლივობა: 1სთ. 30წთ;*

*დარბაზი 5*

12.30, 14.40, 17.00, 20.00, 22.30 - **„ვატიკანის ჩანაწერები“** *ხანგრძლივობა: 1სთ. 30წთ.*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი)

**კინოთეატრი „ამირანი“**
**კოსტავას ქუჩა №36. ტელ.: 299-99-55.**

*დარბაზი 1*

12.30, 14.45, 17.30, 20.00, 22.30 - **„ირაციონალური ადამიანი“** *ხანგრძლივობა: 1სთ. 35წთ.*

*დარბაზი 2*

13.30, 16.40, 19.30, 22.20 - **„შეუსრულებელი მისია 5: განდევნილთა ტომი“** *ხანგრძლივობა: 2სთ. 10წთ.*

*დარბაზი 3*

13.00, 15.20, 17.40 - **„მინიონები“** 3D *ხანგრძლივობა: 1სთ. 30წთ;*

19.50 - **„ირაციონალური ადამიანი“** (ინგლისურად) *ხანგრძლივობა: 1სთ. 35წთ;*

22.10 - **„ცაცია“** *ხანგრძლივობა: 2სთ. 05წთ.*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: www.info-tbilisi.com. ან დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე: 218-22-55.

ინფო-თბილისი
თქვენი გზამკვლევი თბილისში
INFO-TBILISI
YOUR GUIDE TO TBILISI
www.info-tbilisi.com

# ხორცი წითელ სოუსში





**საჭირო ინგრედიენტები:** 900 გრამი ძროხის ხორცის ფილე, 600 გრამი პომიდორი თავისივე წვენში, 200 მილილიტრი წითელი, ნახევრად მშრალი ღვინო, 3-4 კბილი ნიორი, 3 თავი ხახვი (საშუალო ზომის), 2 ცალი დაფნის ფოთოლი, 3 სადილის კოვზი ფქვილი, 0,5 კონა ოხრახუში, 1 ჩაის კოვზი ქონდარი, 1 ჩაის კოვზი ლიმონის წვენი, 3 სადილის კოვზი ზეითუნის ზეთი, მარილი, შავი პილპილი.

**მომზადების წესი:** ხორცი დაჭერით 1,5 სანტიმეტრის სისქის ნაჭრებად. მოაყარეთ მარილი, პილპილი, ამოგანგლეთ ფქვილში სათითაოდ. ტაფაზე გააცხელეთ ზეთი (ზეითუნის) და შებრაწეთ მასში ხორცის ნაჭრები. ამოიღეთ ტაფიდან. იმავე ტაფაზე დაამატეთ ზეთი და მოშუშეთ წვრილად დაჭრილი ხახვი, ნიორი. პომიდორი დააბლენდერეთ. ჩაუმატეთ მოშუშულ ხახვსა და ნიორს. დაასხით ღვინოც. დაამატეთ მარილი, პილპილი, ხმელი ქონდარი. აადუღეთ და გადმოდგით ცეცხლიდან.

ცეცხლგამძლე მინის ჭურჭელში მოათავსეთ ხორცი. მოასხით სოუსი. ჩადეთ დაფნის ფოთოლი. დაახურეთ თავსახური ან გადააკარით ფოლგა. მოათავსეთ ცხელ აირღუმელში 170-200 გრადუსზე 2-2,5 საათის განმავლობაში. სანამ ხორცი მომზადდება, ცალკე დაჭერით ოხრახუში, შეურიეთ 1 ჩაის კოვზი ლიმონის წვენი და დაქუცმაცებული ნიორი. აურიეთ კარგად და ბლომად მოაყარეთ მზა ხორცს.  უხდება ნებისმიერი გარნირი.

# ბადრიჯნის კერძი





**საჭირო ინგრედიენტები:** 2 ცალი მოზრდილი ბადრიჯანი, 2 ცალი პომიდორი, 1 ცალი ხახვი, 1 ცალი დაფნის ფოთოლი, ორი ღერი პიტნა, 5 სადილის კოვზი ზეითუნის ან სიმინდის ზეთი, 2 მოზრდილი ნაჭერი მოცარელა (ან რბილი ყველი – უმარილო სულგუნი), 50 გრამი ფხვიერი ყველი, მარილი, შავი პილპილი – გემოვნებით. ცოტა კარაქი.

**მომზადების წესი:** ბადრიჯანი დაჭერით თხელ რგოლებად, ხახვი – ძალიან წვრილად. ფხვიერი ყველი გახეხეთ ან დაფხვენით. პომიდორი და მოცარელა – რბილი ყველი წვრილად დაჭერით.

ღრმა ტაფაში, ზეთში მოშუშეთ ხახვი ფერის შეცვლამდე. ჩაუმატეთ პომიდორი, პიტნა, დაფნის ფოთოლი, უყავით მარილი და პილპილი. აურიეთ, შუშეთ ძალიან დაბალ ცეცხლზე, სანამ სოუსს არ მიიღებთ. შემდეგ დაფნისა და პიტნის ფოთლები ამოიღეთ. მშრალ ტაფაზე გააცხელეთ ცოტა ზეითუნის ზეთი – 3 სადილის კოვზი. ჩაუმატეთ ჩაის კოვზით დაფქული ცხარე, წითელი წიწაკა. აურიეთ კარგად. შემდეგ მარლაში გადაწურეთ და ჩაუმატეთ პომიდვრის სოუსს. თუ ცხარე კერძი არ გიყვართ, ამის გარეშეც შეიძლება. ამ ზეთში შებრაწეთ ბადრიჯანი, ორივე მხრიდან. გამოსაცხობ ფორმებს წაუსვით ცოტა კარაქი. ეს „ტარტალეტკის“ ფორმები უნდა იყოს. ჩააწყვეთ მათში სათითაოდ შემწვარი ბადრიჯანი. დააყარეთ მოცარელა და წაუსვით სოუსი. ასე ააწყვეთ ბადრიჯნებით ფენა-ფენა ყველა ფორმაში. ზემოდან დაასრულეთ სოუსით და მოაყარეთ გახეხილი ყველი. გამოაცხვეთ 180 გრადუს ტემპერატურაზე 15 წუთის განმავლობაში. ფანტასტიკურია.

ყოველკვირეული ჟურნალი
თბილისელები

# სალათა ყვავილოვანი კომბოსტოთი





**საჭირო ინგრედიენტები:** 1 ცალი ყვავილოვანი კომბოსტო, 200 გრამი ქამა სოკო, 150 გრამი „მონადირის" ძეხვი, 100 გრამი ჰოლანდიური ან რბილი ყველი, 1 თავი ხახვი, 1 ცალი პომიდორი, 1 სადილის კოვზი სოიის სოუსი. ნიორი, მწვანილი, მარილი გემოვნებით. ცოტა ზეთი, მაიონეზი ან არაჟანი.

**მომზადების წესი:** ყვავილოვანი კომბოსტო დაშალეთ. მოთუთქეთ მდუღარე მარილწყალში. 2 წუთში მზად იქნება. არ ჩახარშოთ, ხრამუნა უნდა იყოს. დაასხით ცივი წყალი და გააჩერეთ ასე, ცოტა ხნით. დაჭერით ხახვი, ქამა სოკო და ძეხვი. ტაფაზე, ცოტა ზეთში მოხრაკეთ სოკო, შემდეგ დაუმატეთ ხახვი. დაასხით 1 სადილის კოვზი სოიის სოუსი და შუშეთ კიდევ ცოტა ხანს. დაუმატეთ ძეხვი, დანაყილი ნიორი აურიეთ და გააჩერეთ ცეცხლზე 1 წუთი.

აიღეთ მოზრდილი ლანგარი. მასზე ჯერ დაყარეთ ყვავილოვანი კომბოსტო, შემდეგ კი სოკო ხახვით და ძეხვით. მოაყარეთ კუბიკებად დაჭრილი პომიდორი, მწვანილი, ბადესავით „მოქსოვეთ" ზემოდან მაიონეზი ან არაჟანი და დაფარეთ გახეხილი ყველით. მორჩა, სალათა მზადაა.

# ტორტი-ომლეტი





**საჭირო ინგრედიენტები:** I. 4 ცალი კვერცხი, 100 გრამი მწვანე ხახვი, 10 გრამი ოხრახუში და კამა.

II. 2 ცალი პომიდორი, 2 ცალი ბულგარული წიწაკა – აუცილებლად წითელი, 4 ცალი კვერცხი.

ასევე: 200 გრამი მაგარი ყველი, 2 სადილის კოვზი არაჟანი, 2 სადილის კოვზი ტომატ-პასტა, 1 ცალი კიტრი, მარილი, პილპილი, 50 გრამი კარაქი.





**მომზადების წესი:** უნდა მოამზადოთ 4 ომლეტი-ფირფიტა: 2 ცალი მწვანე, 2 ცალი წითელი. ხახვი და მწვანილი წვრილად დაჭერით და მოამზადეთ 4 თეფში. ყველი გახეხეთ მსხვილად და ასევე გაყავით ოთხ ნაწილად. ტაფა გააცხელეთ დაბალ ცეცხლზე. გაადნეთ მასზე კარაქი. ათქვიფეთ ჯერ ორი კვერცხი, ცოტა მარილითა და პილპილით. დაასხით ტაფაზე. დაუმატეთ 2 სადილის კოვზი მწვანე ხახვი და მწვანილი. აურიეთ. დაუმატეთ 1/4 ყველი და შებრაწეთ, როგორც ჩვეულებრივი ომლეტი. ზუსტად ასევე უნდა შეწვათ მეორე ომლეტიც. ამის მერე დაჭერით პომიდორი, წვრილად დაჭერით ბულგარული წიწაკა. გათქვიფეთ ორი კვერცხი, ასევე, მარილითა და პილპილით. დაასხით ცხელ ტაფაზე, სადაც ცოტა კარაქს გაადნობთ. მოაყარეთ 1/2 პომიდორი, 1/2 ბულგარული და 1/4 ყველი. გამოაცხვეთ თავდახურულ ტაფაში. ამოიღეთ თეფშზე. ასევე მოამზადეთ მეორე წითელი ბისკვიტიც.

ახლა უკვე გაქვთ ოთხი ცალი ომლეტის „ბისკვიტი". ორი – მწვანე, ორი – წითელი. ერთმანეთში შეურიეთ არაჟანი და ტომატ-პასტა. შეგიძლიათ, ნებისმიერი კეტჩუპი გამოიყენოთ. ფართო ლანგარზე ჯერ დადეთ მწვანე ომლეტი და წაუსვით არაჟნისა და კეტჩუპის ნარევი. დააფარეთ წითელი ომლეტი, ისევ წაუსვით სოუსი. ასეააწყვეთ ომლეტებით „ტორტი". ზემოდან წითელი ომლეტი უნდა იყოს. მოაყარეთ მწვანილი და მორთეთ მრგვლად დაჭრილი კიტრით. გემრიელი საუზმეა... ვახშამიც.



# კალმახი ფენოვან ცომში – ნინო ლავთაძისგან



*საჭმელების კეთება კარგად მეხერხება, მით უფრო, რომ წლების განმავლობაში გათხოვილი დიასახლისი ვიყავი (იცინის). ძალიან მიყვარს ახალი კერძების მოფიქრება და მათი ჩემეული რეცეპტებით მომზადება. თავად, როგორც თევზების ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულ ადამიანს, ხშირად მეცვლება გემოვნება და, რომ მკითხოთ, რომელი კერძი მიყვარს ან რომელი ქვეყნის სამზარეულოს ვანიჭებ უპირატესობას, ვერ გიპასუხებთ. ახლა კი მკითხველს შევთავაზებ კალმახს ფენოვან ცომში, რომელსაც ხშირად ვამზადებ.*

**საჭირო ინგრედიენტები:** 500 გრამი ფენოვანი ცომი, 400 გრამი კალმახის ფილე, 4 ცალი კვერცხი, 400 გრამი გახეხილი მაგარი ყველი, 1 კონა კამა, მწიკვი მარილი, მწიკვი ჯავზი და მწიკვი შავი პილპილი.

**მომზადების წესი:** ფენოვანი ცომი გააბრტყელეთ ცხიმწასმულ თუნუქის ფურცელზე და ზემოდან დააწყვეთ პატარა ნაჭრებად დაჭრილი კალმახის ფილე; კვერცხი, სანელებლები და ყველი ერთმანეთში აურიეთ და თევზზე გადაანაწილეთ. შედგით 180 გრადუსზე გახურებულ ღუმელში და აცხვეთ დაახლოებით 15 წუთი. ღუმლიდან გამოღებამდე რამდენიმე წუთით ადრე მოაყარეთ დაჭრილი კამა.



სომელიე
თეიმურაზ ბენიძე

# სალათა მწვანე ლობიოთი

**საჭირო ინგრედიენტები:** 100 გრამი მწვანე ლობიო, 125 გრამი სხვადასხვა სახეობის სალათის ფოთოლი, 50 გრამი რუკოლა, 100 გრამი პომიდორი „ჩერი", 1 თავი წითელი ხახვი, 1 ქილა თინუსის კონსერვი, 2 ცალი კვერცხი, 6 სადილის კოვზი ცივი გამოხდის ზეითუნის ზეთი, 2 სადილის კოვზი წითელი ღვინის ძმარი, 1 სადილის კოვზი ლიმონის წვენი, მარილი, შავი პილპილი და შაქარი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** მწვანე ლობიო ჩაყარეთ მდუღარე მარილწყალში და 8-10 წუთის განმავლობაში ხარშეთ, შემდეგ გადაწურეთ და შეაგრილეთ. სალათის ფოთლები და რუკოლა გარეცხეთ, შეაშრეთ და ხელით მსხვილად დააქუცმაცეთ. პომიდვრები შუა-შუა გაჭერით, ხახვი – ალყებად, ძალიან თხლად. თევზი გადაწურეთ. კვერცხი მდუღარე წყალში ჩადეთ და 8 წუთი ხარშეთ, შემდეგ კი ცივი წყალი გადაავლეთ. ზეთი, ძმარი, მარილი, პილპილი და მწიკვი შაქარი ერთად ათქვიფეთ. კვერცხი ოთხად გაჭერით სიგრძეზე. ყველა ინგრედიენტი ერთმანეთში აურიეთ, მოასხით ლიმონის წვენი და სოუსი.





# ფუნთუშები ქლიავის ჯემით

**საჭირო ინგრედიენტები:** 1კილოგრამი ფქვილი, 1 ჩაის კოვზი მარილი, 150 გრამი შაქარი, 500 მილილიტრი თბილი რძე, 2 პატარა შეკვრა მშრალი საფუარი (2 სადილის კოვზი), 150 გრამი კარაქი, 4 კვერცხის გული, 300 გრამი ქლიავის ჯემი, 1 კვერცხი.

**მომზადების წესი:** 1 ჭიქა ფქვილში აურიეთ მარილი, საფუარი, 1 სადილის კოვზი შაქარი და დაასხით თბილი რძე, აურიეთ და შეაზილეთ იმდენი ფქვილი, რომ სქელი არაჟნის კონსისტენციის მასა მიიღოთ. ჭურჭელი დადგით თბილ ადგილას, რომ აფუვდეს. ამასობაში, შაქართან ერთად ათქვიფეთ კარგად დარბილებული ან გამდნარი კარაქი, დაუმატეთ კვერცხის გულები და აფუებულ ცომს შეურიეთ. შემდეგ შეაზილეთ დარჩენილი ფქვილი, გადააფარეთ ტილო და ცომი დადგით თბილ ადგილას ასაფუებლად. აფუებული ცომისგან მოამზადეთ თანაბარი ზომის ბურთულები, შიგ მოათავსეთ ქლიავის ჯემი, კარგად შეკარით და ცხიმწასმულ ფორმაზე ერთმანეთთან ახლოს დააწყვეთ, ზემოდან კი ათქვეფილი კვერცხი წაუსვით. 20 წუთის შემდეგ ფუნთუშები შედგით 180 გრადუსზე გახურებულ ღუმელში და დაახლოებით 30 წუთი აცხვეთ. მზა ფუნთუშებს მოაყარეთ შაქრის პუდრი.

ყოველკვირეული ჟურნალი თბილისელები





## „საოცარი საყვავილე“

აიღეთ ძველი ქოთანი. ერთი შეხედვით, შეიძლება, არ მოგეწონოთ, მაგრამ შეგიძლიათ, ძალიან გაალამაზოთ სულ ადვილად. დაგჭირდებათ წებო, სხვადასხვა ფორმის ბრჭყვიალა ღილები ან მეორე ვარიანტი – უფრო კულინარიული: ლობიო, მუხუდო, დამტვრეული მაკარონი და ბარდა... არჩევანი თქვენზეა. დახედეთ სურათებს. წაუსვით ქოთანს წებო და დაიწყეთ დეკორაციის შექმნა. თუ ორი ქოთანი გაქვთ, შეგიძლიათ, ორივე ვერსია განახორციელოთ. როცა გაშრება, წაუსვით უფერული ლაკი და მზად არის.



## სუვენირი – „ზაფხულის სამახსოვრო“

თუ ზაფხული ზღვის სანაპიროზე გაატარეთ და ნიჟარები მოაგროვეთ, შეგიძლიათ, მისგან სამახსოვრო სუვენირი გააკეთოთ. წებო და თეთრი ფერის ბურთულა-მძივები დაგჭირდებათ. ასევე, მაგარი მუყაო. გამოჭერით მისგან თქვენი სახელის პირველი ასო და წაუსვით წებო. შემდეგ ლამაზი განლაგებით დააწებეთ ნიჟარები და მძივები. მოგეწონებათ.

30-ე გვერდიდან

## ოთხშაბათი 19 აგვისტო

**08.00** ან/ფ "ტატონკას თავგადასავალი" **09.00** "ლიხს იქით და ლიხს აქეთ" **09.30** "სადილის დრო" **10.00** ტ/სერ. "**მეცამეტე მოციქული**" **11.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **12.30** ტ/სერ. "**ნიკიტა**" **13.30** დ/ფ "როგორ არის მოწყობილი სამყარო" **14.30** "საუკუნის პორტრეტები" **15.00** ტ/სერ. "**ევას სამი ვარდი**" **16.30** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **17.30** მხ/ფ. "**ყოველ სექტემბერს**" (ჯ.ლოლობრიჯიდა) **19.30** "სიტყვების თამაში" **20.30** ტ/სერ. "**ევას სამი ვარდი**" **21.30** ტ/ფ "მსურველებს შეუძლიათ ჩაეწერონ" **22.40** **ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგის პლეიოფის პირველი რაუნდი **00.30** მხ/ფ. "**გამოცხადება**" **02.10** დ/ფ "როგორ არის მოწყობილი სამყარო".

**07.00, 15.40** სერ. "**ლამაზი სიზმარი**" **08.00** მხ/ფ. **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** სერ. "**განშორების სევდიანი ფერი**" **16.55** სერ. "**მოჯადოებულები**" **18.55** სერ. "**სტამბოლის ცა**" **19.55** სერ. "**ქარადაი**" **22.00** ქ.მხ/ფ "**გრძელი, ნათელი დღეები**" **23.30** დოკ.ფილმი **00.00** სერ. "**გრიმი**" მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა **01.00** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი **03.30** მხ/ფ.

**7.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 00.00, 03.30** "მაესტროს ახალი ამბები" **07.30** ანიმაცია "**კუნგ-ფუს ოსტატი**" **08.30** **სერიალი** "**კარმა**" **10.00** **სერიალი** "**ქუზეი და გუნეი**" **12.30** **სერიალი** "**უშენოდ ვერ ვსუნთქავ**" **13.35** **სერიალი** "**დაკარგული დრო** **15.35** გადაცემა "თქვენი გადახდილია" **16.00** **სერიალი** "**მფარველი ანგელოზი**" **18.30** დოკ. ფილმი "საქართველო მე-**ჩჩ** საუკუნე" **19.00** **სერიალი** "**თქვი, რომ ბედნიერი ხარ**" **20.05** **სერიალი** "**შავი ფული და სიყვარული**" **21.00** "მაესტროს ცხრიანი" **22.00** **სერიალი** "**ბელადის ვაჟი**" **23.00** **სერიალი** "**ქურთ სეიტი და შურა**" **00.30** **სერიალი** "**კარმა**" **02.00** **სერიალი** "**ქუზეი და გუნეი**".

**07.30** სერ. "**მერლინი**" **08.30** სერ. "**კარმა**" **09.00** კულინარიული დუელი **10.00** სერ. "**დიდი სახლის პატარა დიასახლისი**" **3** სერ. **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.30, 03.45** ქრონიკა **11.20** სერ. "**ბოშა ქალი**" **12.30** სტუმრად იუმორინასთან **13.30** ერთხელ საქართველოში **14.40, 15.55** სერ. "**ორი ბედი**" **17.35** სერ. "**სიცოცხლის საფასური**" **18.45, 19.03** სერ. "**გზაჯვარედინი**" **20.55** სერ. "**შავი ვარდი**" **22.00** სერ. "**შუა ქალაქში 10 წლის შემდეგ-3**" **2** სერ. **23.00** ერთხელ საქართველოში **23.30** მხ/ფ "**ბრონქსის ისტორია**" (ჩ. პალმინტერი) **01.40** მხ/ფ "**რუგანტინო**" (კ.მორი) **03.25** სერ. "**დედამიწის ბურჯები**".

**06.10** მუს.პაუზა **06.15** დროის ჩანაწერები **07.00** მართლმადიდებლური კატეხიზმო **07.10** თვენი წმ. ეპისკოპოსი გაბრიელი (ქიქოძე) **07.30** "ჩვენი საგანძური" (ჩვენი ფონდი) **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.30** ქრისტიანული ხელოვნება **11.15** ბავშვები მუზეუმში **8** **11.35** დოკ.ფილმი "საქართველო ჩვენი სამშობლო" **12.10** ღია აუდიტორია-მანანა ფხაკაძე **1** ნაწ **13.00** ისტორიის გაკვეთილი **103** **13.30** "შუადღე"ერთსულოვნებაზე **14.30** ქრისტიანული სწავლება **3** **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.20** მულტ. ფილმი ქართული **15.40** კონცერტი **16.20** დოკ.ფილ. **16.50** კვირიაკე **17.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო-ყოვლადწმინდა სამება **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**ხარება და გოგია**" ნაწ **1** **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ივერიის ეკლესია-საქართველოს ეკლესია კეთილმსახური მეფე თამარის დროს **21.35** ეპოქის სახელები **22.00** სიახლენი **22.25** ქართული ალბომი "ერთგულების ხიდი" გიორგი კარიჭაშვილის ოჯახი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** დოკ. ფ **00.30** საგუშაგო კოშკი-იელოვას მოწმეები **01.00** "შუადღე"ერთსულოვნებაზე.

## ხუთშაბათი 20 აგვისტო

**08.00** ან/ფ "ტატონკას თავგადასავალი" **09.00** "ლიხს იქით და ლიხს აქეთ" **09.30** "სადილის დრო" **10.00** ტ/სერ"**მეცამეტე მოციქული**" **11.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **12.30** ტ/სერ. "**ნიკიტა**" **13.30** დ/ფ "როგორ არის მოწყობილი სამყარო" **14.30** "საუკუნის პორტრეტები" **15.00** ტ/სერ. "**ევას სამი ვარდი**" **16.30** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **17.30** მხ/ფ. "**გარეუბანი**" (ტ.ჰენკსი) **19.30** "სიტყვების თამაში" **20.30** ტ/სერ. "**ევას სამი ვარდი**" **21.30** მხ/ფ. "**ჯეინ ეარი**" **23.30** "უცნობი მუსიკა" **01.00** მხ/ფ. "**სულიერი სამზარეულო**".

**07.00, 15.40** სერ. "**ლამაზი სიზმარი**" **08.00** მხ/ფ. **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** სერ. "**განშორების სევდიანი ფერი**" **16.55** სერ. "**მოჯადოებულები**" **18.55** სერ. "**სტამბოლის ცა**" **19.55** სერ. "**ქარადაი**" **22.00** მარაო **23.30** ქალთა სახეები **00.00** სერ. "**გრიმი**" **01.00** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი **03.30** მხ/ფ.

**7.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 00.00, 03.30** "მაესტროს ახალი ამბები" **07.30** ანიმაცია "**კუნგ-ფუს ოსტატი**" **08.30** **სერიალი** "**კარმა**" **10.00** **სერიალი** "**ქუზეი და გუნეი**" **12.30** **სერიალი** "**უშენოდ ვერ ვსუნთქავ**" **13.35** **სერიალი** "**დაკარგული დრო** **15.35** სამედიცინო გადაცემა "პულსი" **16.00** **სერიალი** "**მფარველი ანგელოზი**" **18.30** დოკ. ფილმი "საქართველო მე-XX საუკუნე" **19.00** **სერიალი** "**თქვი, რომ ბედნიერი ხარ**" **20.05** **სერიალი** "**შავი ფული და სიყვარული**" **21.00** "მაესტროს ცხრიანი" **22.00** **სერიალი** "**ბელადის ვაჟი**" **23.00** **სერიალი** "**ქურთ სეიტი და შურა**" **00.30** **სერიალი** "**კარმა**" **02.00** **სერიალი** "**ქუზეი და გუნეი**".

**07.30** სერ. "**მერლინი**" **08.30** სერ. "**კარმა**" **09.00** კულინარიული დუელი **10.00** სერ. "**დიდი სახლის პატარა დიასახლისი**" **4** სერ. **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.30,** ქრონიკა **11.20** სერ. "**ბოშა ქალი**" **12.30** შალვა რამიშვილის შოუ **13.30** ერთხელ საქართველოში **14.40, 15.55** სერ. "**ორი ბედი**" **17.35** სერ. "**სიცოცხლის საფასური**" **18.45, 19.03** სერ. "**გზაჯვარედინი**" **20.55** სერ. "**შავი ვარდი**" **22.00** სერ. "**შუა ქალაქში 10 წლის შემდეგ-3**" **23.00** ერთხელ საქართველოში **23.30** მხ/ფ "**ეჭვქვეშ**" **01.40** მხ/ფ "**ბრონქსის ისტორია**" (ჩ.პალმინტერი) **03.40** მხ/ფ "**ოჯახური გეგმა**" (ლ.ნილსენი).

**06.10** მუს.პაუზა **06.15** ისტორიის გაკვეთილი "ქართული და სომხური ეკლესიების ისტორია" **06.40** პატერიკი-როგორ აცხოვნა ბერმა თავისი მოწაფე" **06.50** დეკორატიული ფლორა "ნეკერჩხალი" **07.05** ქართული ალბომი "დიდი დეკანოზის შთამომავლობა-დავით ღამბაშიძე" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** მულტ.ფ "**კეროტის თავგადასავალი**" **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ერთსულოვნების სალონი "მართლმადიდებლობა თანამედროვე მსოფლიოში" **11.30** ეპოქის სახელები "იუირი ანუა" **12.10** მხ/ფ "**ფესვები**" **13.35** ღვთის სახლი (აფხაზეთი) გალის მუნიციპალიტეტი-იმედის ხიდი **14.50** დოკ. ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" **14.30** ქრისტიანული სწავლება **15.05** ივერიის ეკლესია "საქართველოს ეკლესიის უფლებრივი მდგომარეობა" **15.20** მულტ. ფილმი ქართული **15.40** საყმაწვილო ენციკლოპედია **16.10** კონცერტი **16.55** საღვთისმეტყველო საუბრები "წმინდა ძმები კარბელაშვილები" **17.35** ჩვენი ფონდი "თამარ ქორიძე-წნინდა მოწამენი არჩილი და ლუარსაბი" **17.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო-მერვე მცნება **18.10** მულტ. ფ "**ვინი პუჰი**" **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** პორტრეტები "ლადო ათანელი" **20.00** დოკ. ფილმი **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** პორტრეტები ერთსულოვნების გალერეადან "ოლღა გურამიშვილი" **22.25** კარაბადინი "ციტო --ურტიკარია ჭინჭრის ციება" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ერთსულოვანი ოჯახი "ქურდიანები" **00.30** ქართული ალბომი "შალვა გაბესკირიას ოჯახი".

## პარასკევი 21 აგვისტო

**08.00** ან/ფ "ტატონკას თავგადასავალი" **09.00**"ლიხს იქით და ლიხს აქეთ" **09.30** "სადილის დრო" **10.00** ტ/სერ "**მეცამეტე მოციქული**" **11.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **12.30** ტ/სერ. "**ნიკიტა**" **13.30** დ/ფ "როგორ არის მოწყობილი სამყარო" **14.30** "საუკუნის პორტრეტები" **15.00** ტ/სერ. "**ევას სამი ვარდი**" **16.30** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **17.30** მხ/ფ. "**ჩიტი მავთულზე**" (მ.გიბსონი) **19.30** "სიტყვების თამაში" **20.30** ტ/სერ. "**ევას სამი ვარდი**" **21.30** მხ/ფ. "**განქორწინება**" (ჯ.ენისტონი) **23.30** მხ/ფ. "**ჯუდი**" (კ.უინსლეტი) **01.30** დ/ფ "როგორ არის მოწყობილი სამყარო".

**07.00, 15.40** სერ. "**ლამაზი სიზმარი**" **08.00** მხ/ფ. **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** სერ. "**განშორების სევდიანი ფერი**" **15.40** სერ. "ლამაზი სიზმარი" **16.55** სერ. "**მოჯადოებულები**" **18.55** სერ. "**სტამბოლის ცა**" **19.55** სერ. "**ქარადაი**" **20.50** ეროვნული ლატარეა. **22.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **23.00** იღბლიანი ბორბალი **00.00** ქალთა სახეები **00.30** სერ. "**გრიმი**" **01.30** კარდაშიანები **01.00** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი **03.30** მხ/ფ.

**7.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 00.00, 03.30** "მაესტროს ახალი ამბები" **07.30** ანიმაცია "**კუნგ-ფუს ოსტატი**" **08.30** **სერიალი** "**კარმა**" **10.00** **სერიალი** "**ქუზეი და გუნეი**" **12.30** **სერიალი** "**უშენოდ ვერ ვსუნთქავ**" **13.35** **სერიალი** "**დაკარგული დრო** **15.35** გადაცემა "თქვენი გადახდილია" **16.00** **სერიალი** "**მფარველი ანგელოზი**" **18.30** დოკ. ფილმი "საქართველო მე-XX საუკუნე" **19.00** **სერიალი** "**თქვი, რომ ბედნიერი ხარ**" **20.05** **სერიალი** "**შავი ფული და სიყვარული**" **21.00** "მაესტროს

ცხრიანი" **22.00 სერიალი "ბელადის ვაჟი" 23.00 სერიალი "ქურთ სეიტი და შურა" 00.30 სერიალი "კარმა" 02.00 სერიალი "ქუზეი და გუნეი".**

**07.30** სერ. **"მერლინი"** **08.30** სერ. **"კარმა"** **09.00** კულინარიული დუელი **10.00** სერ. **"დიდი სახლის პატარა დიასახლისი"** **5** სერ. **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.10, 03.30,** ქრონიკა **11.20** სერ. **"ბოშა ქალი"** **12.30** სტუმრად იუმორინასთან **13.30** ერთხელ საქართველოში **14.40, 15.55** სერ. **"ორი ბედი"** **17.35** სერ. **"სიცოცხლის საფასური"** **18.45, 19.03** სერ. **"გზაჯვარედინი"** **20.55** სერ. **"შავი ვარდი"** **22.00, 23.00** სერ. **"შუა ქალაქში 10 წლის შემდეგ–3"** **00.00** ერთხელ საქართველოში **00.30** მხ/ფ **"ქალი მუშკეტერი"** (ჟ. დეპარდიე) **03.40** მხ/ფ **"ეჭვქვეშ"** (ჯ. ჰეკმენი).

**06.10** მუს.პაუზა**06.15** კვირიაკე**07.20** დოკ. ფილ. "ხომლი-რკონი" I**08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** მულტ. ფილმი "კეროტის თავგადასავალი"**09.05** "განთიადი" (კოლაჟი)**10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი**10.35** დოკ. ფილ.**11.25** კარაბადინი "ციტო-ურტიკარია ჭინჭრის ციება"**12.10** პორტრეტები "ლადო ათანელი"**13.15** ბავშვები მუზეუმში**13.30** საქართველოს დაცული ტერიტორიები-ლაგოდეხის დაცული ტერიტორია**14.00** დოკ. ფილმი "დები ტრევისის საოცარი სახლი"**14.30** ქრისტიანული სწავლება**15.00** საეკლესიო კალენდარი **15.20** მულტ. ფილმი ქართული **15.40** საყმაწვილო ენციკლოპედი**16.30** კონცერტი**17.30** მიწათმოქმედი "ქართული ხორბლის გაცნობა" (რ. შალიბაშვილი )**17.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო-მეცხრე მცნება**18.10** მულტ. ფ **"ვინი პუჰი"18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი**19.20** ქართული ხმები-სარფი**20.00** თაობა ზეტი**20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** დროის ჩანაწერები "თემო ჯაფარიძე"**22.25** მოგზაურობა სამშობლოში" თრიალეთი-იქ სადაც ხრამი იწყება"**22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო-მეცხრე მცნება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ერთსულოვანი ოჯახი "დიაკონიძეები"**23.35** დოკ. ფილ. "სიჩუმის მცველები"**00.35** დოკ.ფილ "კირიონ II".

## შაბათი 22 აგვისტო

**08.00** დ/ფ "ჩრდილოეთ ამერიკა" **09.00** ან/ფ "ტატონკას თავგადასავალი" **10.00** მხ/ფ. **"ნევერლენდი"** **11.30** "ყოჩაღების ქუჩაზე" **12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **12.30** "სპექტაკლის დრო" **14.00** დ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა" **15.00** ტ/სერ. **"ევას სამი ვარდი" 16.45 ფეხბურთი**. საქართველოს ჩემპიონატი. მე-**2** ტური **18.55** კონცერტი: "თბილისის ბიგ ბენდი და თბილისის სიმფონიური ორკესტრი" **20.30** ტ/სერ. **"ევას სამი ვარდი"** **21.30** "შეხვედრები მწერალთა სახლში" **22.30** მხ/ფ. **"სიყვარულის ზღვა"** **00.20** მხ/ფ. **"სასიკვდილო რბოლა"** (ჯ.სტეტჰემი).

**08.00** კურიერის დაიჯესტი **08.30** ანიმაცია "" **10.30** მახე **11.00** ექიმები **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** სერ. **"ინდიანა ჯონსის მემკვიდრეები"** **13.30** კომედი ქიდს **14.30** სიცილის ზონა **15.30** კომედი კონცერტი **17.00** ევროტური **18.55** სერ. **"სტამბოლის ცა"** **19.55** სერ. **"ქარადაი"** **22.00** დოკ.ფ "ჩემი ცოლის დაქალები" (ახალი) **23.00** გააცინე და მოიგე **00.00** ქალთა სახეები **00.30** სერ. **"გრიმი"** **01.30** კარდაშიანები **01.00** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი **03.30** მხ/ფ.

**7.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 00.00, 01.30** "მაესტროს ახალი ამბები" **07.30** ანიმაცია **"კუნგ-ფუს ოსტატი" 08.30 სერიალი "კარმა"** **10.30** სამედიცინო გადაცემა "პულსი" **11.00 სერიალი "რვაფეხა" 12.30 სერიალი "შავი ფული და სიყვარული" 15.35** გადაცემა "თქვენი გადახდილია" **16.00 სერიალი "მფარველი ანგელოზი" 18.30** დოკ. ფილმი "საქართველო მე-XX საუკუნე" **19.00, 20.05 სერიალი "თქვი, რომ ბედნიერი ხარ" 21.00** "მაესტროს ცხრიანი" **21.30 სერიალი "ფერფლი" 22.30 სერიალი "ქურთ სეიტი და შურა" 23.30** მხ/ფ **"იპ მანი-2" 02.00 სერიალი "რვაფეხა" 03.00 სერიალი "კარმა".**

**08.00** სერ. **"მერლინი"** **09.00** მხ/ფ **"მერაია მუნდი და მიდასის ზარდახშის წყევლა 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.40, 03.40** ქრონიკა **11.20** "ორი ვარსკვლავი - **2**" **13.30** ერთხელ საქართველოში **14.40, 15.55** სერ. **"ორი ბედი"** **17.35** სერ. **"სიცოცხლის საფასური"** **18.45, 19.03** სერ. **"გზაჯვარედინი"** **20.55** სერ. **"შავი ვარდი"** **22.00, 23.00**სერ. **"შუა ქალაქში 10 წლის შემდეგ–3"** **00.00** ერთხელ საქართველოში **00.30** მხ/ფ **"ვირთხების რბოლა"** (რ. ატკინსონი) **02.30** მხ/ფ **"პატრული"**.

**06.10** მუს.პაუზა **06.15** ღვთის სახლი "სქურის ფერიცვალების სახელობის ტაძარი" **06.20** თბილისის ტაძრები-ზემო ბეთლემი **06.40** ეპოქის სახელები "იუირი ანუა" **07.20** მოგზაურობა სამშობლოში" თრიალეთი–იქ სადაც ხრამი იწყება" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა ხალხური. **08.30** ჩვენი ფონდი "მიხეილ ქავთარია-კორნელი კეკელიძის ღვაწლი" **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.15, 19.00, 22.00, 00.35** სიახლენი **10.35** დოკ. ფილ. "სიჩუმის მცველები" **10.50** კვირიაკე **11.00** ჩვენი ამბავი-დავით გურამიშვილი **12.10** მხ/ფ **"ლომა"** **13.25** პორტრეტები "ერთსულოვნების" გალერეადან **14.00** ღია აუდიტორია-ნესტან სულავა-ხანცდელი **14.45** საკვირაო სახარების განმარტება "საუკუნო ცხოვრების მოსურნე მდიდარი ჭაბუკი" I **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.20** მულტ.ფილმი **15.40** თაობა ზეტი **16.40** კონცერტი **17.20** წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან **18.10** დოკ.ფილ **18.35** საქართველოს სამართლის ისტორია **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** დეკორატიული ფლორა "ნეკერჩხალი" **19.35** ქართული ალბომი "დიდი დეკანოზის შთამომავლობა-დავით ღამბაშიძე" **20.00** ქრისტიანული ხელოვნება "ახალი აღთქმის კრეტსაბმელი" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** ერთსულოვნების სალონი "სოდომის ცოდვა" **22.20** შუადღის სტუმარი "მამა იაკობ ჩიჩილაძე-სექტები" IV **22.50** საკვირაო სახარების განმარტება "საუკუნო ცხოვრების მოსურნე მდიდარი ჭაბუკი" I **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ. ფილმი "ხომლი-რკონი" I **00.05** დროის ჩანაწერები "თემო ჯაფარიძე" **01.45** მხ/ფ **"საბრინა"**.

## კვირა 23 აგვისტო

**08.00** დ/ფ "ჩრდილოეთ ამერიკა" **09.00** ან/ფ "ტატონკას თავგადასავალი" **10.00** მხ/ფ. **"ნევერლენდი"** **11.30** "ყოჩაღების ქუჩაზე" **12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **12.30** ქართ. მხ/ფ. **"შეხვედრა მთაში"** **14.00** დ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა" **15.00** ტ/სერ. **"ევას სამი ვარდი"** **16.30** "გურმანია" **17.00** "ვაშინგტონი დღეს" **17.30** დ/ფ "დიდებული სასახლეები" **18.00** მხ/ფ. **"ცისფერთვალება მიკი"** (ჰ. გრანტი) **20.30** ტ/სერ. **"ევას სამი ვარდი"** **21.30** კონცერტი: ზვიად ბოლქვაძე და ჯგუფი "ნიუტონი" **22.30** მხ/ფ. **"თარგმანში დაკარგულნი"** (ბ. მიურეი) **00.10** მხ/ფ. **"ვითომ მაგარი პოლიციელები"** **02.10** დ/ფ "ქალაქები".

**08.00** კურიერის დაიჯესტი **08.30** ანიმაცია **09.30** ქ.მხ/ფ. **11.00** გააცინე **12.00, 15.00, 18.00** კურიერი **12.30** სერ. **"ინდიანა ჯონსის მემკვიდრეები"** **14.00** იღბლიანი ბორბალი **15.30** მხ/ფ **17.00** ევროტური **18.30** ეკი ვოკი **19.00** ქ.მხ/ფ **22.00** ექიმები **23.00** ქალთა სახეები **23.30** სერ. **"გრიმი"** **00.30** კარდაშიანები **01.00** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი **03.30** მხ/ფ.

**7.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 23.30, 02.30** "მაესტროს ახალი ამბები" **07.30** ანიმაცია **"კუნგ-ფუს ოსტატი" 08.30 სერიალი "კარმა" 10.30** სამედიცინო გადაცემა "პულსი" **11.00 სერიალი "რვაფეხა" 12.30 სერიალი "შავი ფული და სიყვარული" 15.30** გადაცემა "თქვენი გადახდილია" **16.00 სერიალი "მფარველი ანგელოზი" 18.30** დოკ. ფილმი "საქართველო მე-XX საუკუნე" **19.00, 20.05 სერიალი "თქვი, რომ ბედნიერი ხარ" 21.00** "მაესტროს ცხრიანი" **21.30 სერიალი "ფერფლი" 22.30 სერიალი "ქურთ სეიტი და შურა" 00.00 სერიალი "რვაფეხა" 01.00 სერიალი "კარმა" 03.00** დოკ. ფილმი "საქართველო მე-XX საუკუნე".

**08.00** სერ. **"მერლინი"** **09.00** ქ.მხ/ფ **"სიყვარული ყველას უნდა"** **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.10, 02.10** ქრონიკა **11.20** "ორი ვარსკვლავი - **2**" **13.30** ერთხელ საქართველოში **14.40, 15.55** სერ. **"ორი ბედი"** **17.35** სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად **20.00** იუმორინა **22.00, 23.00** სერ. **"შუა ქალაქში 10 წლის შემდეგ–3"** **00.00** ერთხელ საქართველოში **00.30** მხ/ფ **"დამრიგებელი"** (მ.სტრიპი) **02.15** მხ/ფ **"სახიფათო ბანგკოკი"** (ნ.ქეიჯი) **03.50** მხ/ფ **"ვირთხების რბოლა"** (რ.ატკინსონი).

**06.10** მუს.პაუზა **06.20** ისტორიის გაკვეთილი "დავითის ეპოქა" **06.50** დოკ. ფილმი "ხომლი-რკონი" II **07.30** მულტ.ფილმი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** საკვირაო სახარების განმარტება "საუკუნო ცხოვრების მოსურნე მდიდარი ჭაბუკი" **08.40** ღვთის სახლი "ალიბერგლო" **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.10** სიახლენი **10.25** ივერიის ეკლესია "წმინდა მეფე ვახტანგ გორგასალი" **10.40** შუადღის სტუმარი "გია მაჭარაშვილი" **11.30** ქართული ალბომი "დიდი დეკანოზის შთამომავლობა-დავით ღამბაშიძე" **12.15** მხ/ფ "ლომა დავიწყებული მეგობარი" **13.30** ქრისტიანული ხელოვნება "ახალი აღთქმის კრეტსაბმელი" **14.15** დოკ. ფილმი **14.45** საკვირაო სახარების განმარტება "საუკუნო ცხოვრების მოსურნე მდიდარი ჭაბუკი" I **15.05, 18.05, 21.05, 00.05** პატრიარქის ქადაგება **15.20** მულტ.ფილმი ქართული **15.40** მუს.პაუზა **15.55** ერთსულოვნების სალონი "მონაზვნული ცხოვრება" **16.45** დოკ. ფ. **17.40** ბავშვები მუზეუმში **18.05** პატრიარქის ქადაგება **18.30** დროის ჩანაწერები "თემო ჯაფარიძე" **19.30** მხ/ფ **"ივანე კოტორაშვილის ამბავი"** **21.40** კვირიაკე **22.50** საკვირაო სახარების განმარტება "საუკუნო ცხოვრების მოსურნე მდიდარი ჭაბუკი" I **23.00** საღამოს ლოცვა **23.05** საქართველოს სამართლის ისტორია **23.15** საღვთისმეტყველო საუბრები "ძველი აღთქმის მნიშვნელობა" **00.30** პორტრეტები "ლადო ათანელი" **01.20** მხ/ფ **"დანტეს პიკი"**.

# რამდენი წინაპრის ცოდვა-მადლზე ვაგებთ პასუხს და რა ადგილი და ფუნქცია აქვს თითოეულ ჩვენგანს ამ სამყაროში



რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი

*„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან“.*

**კურტ ვონეგუტი**

კოსმოსში ყველაფერი იგზავნება დედამიწიდან, ვარსკვლავებს კი, პირდაპირი კავშირი აქვს კონფლიქტებთან, ავტოკატასტროფებთან, ავადმყოფობებთან, ჯანმრთელობის გაუარესებასთან და ასე შემდეგ. მთვარის სატანურ დღეებში მოზღვავებული შავი ძალების გავლენა, მაქსიმალურად უწყობს ხელს სხვადასხვა სახის ტრავმას, კატასტროფებსა და ავარიებს. ეს დღეებია ახალი მთვარიდან – მეორე, მესამე, მეხუთე, მეცხრე, მეთორმეტე, მეცამეტე და ოცდამეცხრე. ამ დროს კოსმოსიდან მოდის დედამიწაზე უარყოფითი ენერგიის დიდი ნაკადი და ფრთხილად უნდა ვიყოთ.

თითოეულ ჩვენგანს ამ სამყაროში საკუთარი ადგილი და გარკვეული ფუნქცია აქვს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვექვემდებარებით სხვადასხვა სეზონურ ცვლილებასა და პლანეტარულ ზემოქმედებას, მაინც არ მივეკუთვნებით აბსოლუტურად განპირობებულ ქმნილებებს – მხოლოდ ჩვენს ხელშია შესაძლებლობები, რაც, შეიძლება, გამოვიყენოთ ან არ გამოვიყენოთ. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ბუნებისა და კოსმოსის კანონზომიერებათა შესწავლა.

ერთი თვის განმავლობაში მთვარე მთლიანად გადის ზოდიაქოს რკალს, თორმეტივე ნიშანს და ქმნის გარკვეულ კონფიგურაციებს სხვა პლანეტებთან მიმართებაში. როცა მთვარე ქმნის 90-გრადუსიან უარყოფით, დაძაბულ ასპექტს მარსთან, სატურნთან ან ურანთან, ეს მოქმედებს საჰაერო მოგზაურობასა და მოძრაობაზე. ამ პერიოდში მაღალი ალბათობაა იმისა, რომ უსიამოვნებები შეიქმნას ავია და ავტოტრანსპორტით მგზავრობისას. ამას თუ ემატება ახალმთვარეობის დღეები, მაშინ სიტუაცია კიდევ უფრო იძაბება, რთულდება და, შესაბამისად, რისკიც იზრდება. სწორედ ახალმთვარეობის დროს იმატებს სტატისტიკურად მკვლელობების, ავარიების, კატასტროფებისა და სხვადასხვა დაავადების გამოვლენის მაჩვენებელი. ყველა ადამიანს გარს აკრავს ენერგოინფორმაციული აურა, რომელიც შედგება გარკვეული მუხტისგან. ეს მუხტი შეიძლება იყოს დადებითი, უარყოფითი ან ნეიტრალური. როცა ერთად იმყოფება რამდენიმე ადამიანი და მგზავრობს, ცხადია, ხდება მათი მუხტების, ანუ აურის შეგროვება და შეჯამება. თუ ამას დაემთხვა ახალმთვარეობა, მარსის, ან სატურნის 90-გრადუსიანი კვადრატული დამოკიდებულებით ერთმანეთთან, მაშინ მაღალია კატასტროფის რისკი. ასეთ დროს კი, შესაძლოა, დაიღუპოს ბევრი და გადარჩეს ერთი ანუ ის, ვისი აურაც ამ პერიოდისთვის დადებითია და არ შეესაბამება ამ მძიმე ენერგეტიკულ ფონს. ამ დროს კონკრეტული ადამიანის მფარველი ანგელოზი იწყებს გააქტიურებას. თუმცა, ის, რომ კატასტროფა ამ ადამიანს კოსმოსიდან მაინც დაატყდა, იმის მანიშნებელია, რომ რაღაცას ისე ვერ აკეთებს და აუცილებელია, დედამიწაზე კოსმოსური ვალი მოიხადოს, ცხოვრებაში შეცვალოს რაღაც დეტალები. ეს ადამიანი უკვე მოხვდა ასეთ ჯგუფში, რაც ნიშნავს, განგებამ ასეთი სასიკეთო და „მსუბუქი“ სასჯელით მიანიშნა იმაზე, რომ ცვლილებები მისთვის გარდაუვალია, რათა შემდგომში უარესად არ დაისაჯოს. ასე რომ, ყველაფერი პირდაპირ კავშირშია ასტროლოგიასა და ვარსკვლავებთან, მათ მდებარეობასთან და ასე შემდეგ.

ზოგადად, ადამიანი მრავალგანზომილებიანი არსებაა, ისეთივე, როგორიცაა თვითონ სამყარო, რომლის ნაწილსაც ის წარმოადგენს. საკუთარი თავის უსასრულო სამყაროდ აღქმა შეუძლიათ მხოლოდ სუფთა ენერგეტიკული ველის მქონე ადამიანებს. ასევე, თუ ადამიანის ველი არ არის დაბინძურებული კარმებით, ის აბსოლუტურად ჯანმრთელია.

ენერგეტიკულ ველთა დაბინძურების მიზეზები მრავალგვარია. ჩვენი ახლანდელი მდგომარეობა და ჯანმრთელობა დამოკიდებულია წარსულში ჩვენ მიერ ჩადენილ ქმედებებზე, აზრებზე, რაც კარმულ დაბინძურებას იძლევა შედეგად. მომავალი მდგომარეობა კი დამოკიდებულია ამჟამინდელ საქციელსა და აზრებზე.

კარმული დაბინძურების ნაწილი ენერგეტიკული ველების სფეროშია განლაგებული, ნაწილი კი ფიზიკურ სხეულში აღწევს და იწვევს ავადმყოფობას.

კარმა ჩვენი ფიქრების, სიტყვებისა და მოქმედების მიერ გაცემული ენერგიაა, რომელიც ბუმერანგის პრინციპით გვიბრუნდება უკან. ჩვენ ვიხდით არა მხოლოდ ჩვენს ვალებს, არამედ წინაპართა ცოდვებზეც ვაგებთ პასუხს. საერთოდ, ადამიანი პასუხს აგებს ოთხი თაობის წინაპრის ცოდვა-მადლზე, ხოლო მის ნამოქმედარზე პასუხს აგებს მისი ოთხი თაობის შთამომავალი. ადამიანში მომხდარ ნებისმიერ ენერგეტიკულ ცვლილებას, მუხტს, ფიქრს, სიტყვას, მოქმედებას, აირეკლავს კოსმოსი და ბუმერანგის პრინციპით უკან გვიბრუნებს.

# შეკითხვა ასტროლოგს

**კითხვა: ჩემი გოგონა დაიბადა 2003 წლის 10 ოქტომბერს, 16 საათზე. მაინტერესებს, რომელ პროფესიაში მიაღწევს წარმატებას, რა არის მისი კარმული მისია და რომელი ქვეყნებია მისთვის მისაღები? ასევე, რომელ ნიშანთან ექნება ბედნიერი ქორწინება?**

**პასუხი:** მისი კარმული მისიაა, იყოს ინიციატივიანი, ენერგიული; შეეძლოს საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღება, ლიდერულ-ორგანიზატორული თვისებების გამოვლენა; ასევე, ჰქონდეს უშიშარი სული, გამოავლინოს სიკეთე. უნდა იყოს მშვიდობის მტრედი, სადაც შევა, შეიტანოს სიმშვიდე და ჰარმონია. დაიცვას თანასწორუფლებიანობის პრინციპი. დაეყრდნოს დიპლომატიას, ოპტიმიზმს, კეთილშობილებას, ცოდნის ბაზას – ეს მისი წარმატების მომტანი ფაქტორები და კოსმიურ-კარმული მისიაა. სასიყვარულო პარტნიორებიდან მისთვის მისაღებია სასწორი, მშვილდოსანი, ტყუპები ან მერწყული. პროფესიებიდან კარგია და წარმატების მომტანი: პოეზია, ლიტერატურა, ხელოვნების ფართო სპექტრი, იურისპრუდენცია, დიზაინი, სამოდელო სფერო, არქიტექტურა, პარფიუმერიულ-კოსმეტიკური სფერო, ქორეოგრაფია, ფოტოგრაფია, სადალაქო სფერო, საკონდიტრო ინდუსტრია, სოციოლოგიის ფართო სპექტრი, ფსიქოლოგია, მანქანების დიზაინი, მანქანათმშენებლობა, საინჟინრო საქმე, სამხედრო სტრუქტურები, სპორტის ფართო სპექტრი, სამეცნიერო კვლევა, საკონსტრუქტორო, საგანმანათლებლო საქმიანობა, ფსიქოთერაპია. უცხოეთი მისთვის საშუალოა. ქვეყნებიდან კი მისთვის შედარებით უფრო წარმატების მომტანია: ინგლისი, დანია, ავსტრალია, ყაზახეთი, შვედეთი, ვიეტნამი, ლაოსი, სინგაპური, ჩინეთის აღმოსავლეთი ნაწილი, იტალია, არგენტინა, ეგვიპტე, ტიბეტი, სან-მარინო, ესპანეთის კატალონიის მხარე, ლატვია, ჰავაის კუნძულები.

**კითხვა: დავიბადე 1999 წლის 13 ივლისს. რა არის ჩემი კარმული მისია დედამიწაზე და რომელი უცხო ქვეყანაა ჩემთვის მისაღები?**

**პასუხი:** თქვენი კარმული მისია დედამიწაზე არის ის, რომ მეტი დრო დაუთმოთ საკუთარ თავზე მუშაობას, იყოთ მეტად კომუნიკაბელური, დაიცვათ ტრადიციები, შეძლოთ ურთიერთობების დასტაბილურება. ასევე, თქვენი კარმულ-კოსმიური მისიაა უცხოეთი. ქვეყნებიდან კი წარმატებების მომტანია: საფრანგეთი, ავსტრალია, პორტუგალია, ესპანეთი, სერბეთი, სლოვენია, იტალია, არგენტინა, ეგვიპტე, ჩინეთის ჩრდილოეთი მხარე, ტიბეტი, ბირმა, მონაკო, არგენტინა, ლატვია, ავსტრია.

## ვერძი

აუცილებელი გახდება სერიოზული და გააზრებული გადაწყვეტილებების მიღება. გააკონტროლეთ ემოცია და მოერიდეთ ეჭვიანობას. არ გირჩევთ უცხოელებთან კონტაქტს. მოსალოდნელია გაუთვალისწინებელი ხარჯები და მოგზაურობის დროს ახალი სასიყვარულო კავშირის დამყარების ალბათობა.

## კურო

მოგიწევთ გარკვეული შეზღუდვების ატანა. მოერიდეთ ფულის უყაირათოდ ხარჯვას, რადგან მოიკლებს შემოსავალი. ასევე, ნუ ისესხებთ ფულს. ახალი სასიყვარულო კავშირი კი ჰარმონიულად განვითარდება, თუ არ ეცდებით, საკუთარი პრონციპების გამო, ურთიერთობის გაფუჭებას. კარგია მოგზაურობა.

## ტყუპები

გაიზრდება საქმეების რაოდენობა, რაც ძალიან დამღლელი აღმოჩნდება. ასევე, მოიმატებს შეხვედრებისა და გადადგილებების რაოდენობაც. კარგია ოჯახის წევრებთან ერთად მეტი დროის გატარება, გართობა, საყვარელ ადამიანთან განმარტოება. დიდი შანსია, ამ პერიოდში რომანტიკულ გარემოში ახალი ნაცნობობისა და თავგადასავლების.

## კირჩხიბი

დაფიქრდით შემოსავლებისა და ხარჯების გაკონტროლებაზე. ნუ ისარგებლებთ გარშემო მყოფების კეთილგანწყობით და მოერიდეთ ფინანსურ მაქინაციებს. კარგია ადრე დაწყებული საქმეების დასრულება, მაგრამ ახლის დაწყებას არ გირჩევთ. გადაადგილებებისას იყავით ფრთხილი.

## ლომი

სიახლეების სურვილი გიბიძგებთ, დამოუკიდებელი ნაბიჯები გადადგათ და ზოგიერთ კავშირს სამუდამოდ დაუსვათ წერტილი. გაიზრდება ხარჯების რაოდენობა. პირად და სასიყვარულო ურთიერთობებში მოიმატებს შინაგანი დაძაბულობა. ეცადეთ, იფიქროთ არა მარტო საქმეზე, დასვენებაზეც.

## ქალწული

პირადი ინტერესების დასაცავად გამოიყენეთ ფარული დიპლომატიის ხერხები. მეტად უსმინეთ ინტუიციას. ენერგიის წყალობით ბევრი საქმის დასრულებას შეძლებთ. კარგია საყვარელ ადამიანთან ბუნებაში განმარტოება, ახალი კავშირების დამყარება და იდეების განხორციელება, ასევე, მკურნალობის დაწყება.

## სასწორი

გაგიჭირდებათ დამოუკიდებლად მოქმედება, მიზნებისა და საქმეების წარმართვა. გაითვალისწინეთ გამოცდილი ადამიანების რჩევები. ოჯახის დახამრებით შეძლებთ გადალახოთ და მოაგვაროთ ფინანსური პრობლემები. კარგია მოგზაურობა, რათა დახარჯული ენერგია ადვილად აღიდგინოთ.

## მორიელი

მიუხედავად ენერგიის ნაკლებობისა, ჯობია, მეტი დრო დაუთმოთ საქმის კეთებას და პროფესიული მოვალეობის შესრულებას. ნუ იქნებით ზედმეტად თავდაჯერებული და ნუ იმოქმედებთ დამოუკიდებლად. ისწავლეთ დათმობაზე წასვლა. კარგია დასვენება და მოგზაურობა საყვარელი ადამიანების გარემოცვაში და არა მარტო.

## მშვილდოსანი

მგრძნობიარედ აისახება თქვენზე მიმდინარე პროცესები. მშვიდი გარემო კი დადებითად იმოქმედებს თქვენს ფსიქიკაზე, პროფესიონალურ განვითარებასა და კარიერულ წინსვლაზე. გაიზრდება სასიყვარულო ურთიერთობების რაოდენობაც. კარგია გავლენიან და პოპულარულ ადამიანებთან კონტაქტი.

## თხის რქა

მოიმატებს ოპტიმიზმი და შრომისუნარიანობა. ხელმძღვანელი პირები დააფასებენ თქვენს მონდომებას და შრომას. არ აჰყვეთ ცდუნებებს, რადგან შეცდომებს ვერ აცდებით და შესაძლოა, უსიამოვნებებში ამოჰყოთ თავი. გაიზრდება გადაადგილებების რიცხვი და კონტაქტები.

## მერწყული

ნუ გექნებათ სწრაფი კარიერული წინსვლისა და წარმატებების იმედი. ჯობია, გეგმაზომიერად იმოქმედოთ და დაელოდოთ შედეგებს. ძველი საქმეების დასრულება ბევრ დროს მოითხოვს, რაც გადამღლელი აღმოჩნდება. ეს პირად ურთიერთობებზე უარყოფით გავლენას მოახდენს და საყვარელი ადამიანის წყენას გამოიწვევს.

## თევზები

შეიცვლება თქვენი შეხედულებები და მისწრაფებები. ბევრი საქმე გექნებათ, თუმცა თავს გაართმევთ. ეცადეთ, ყველასთან შეინარჩუნოთ კეთილგანწყობა. მაქსიმალურად გამოიყენეთ საქმეში თქვენი კონტაქტები და გამოცდილება. მყარი სასიყვარულო კავშირი კი მეტ თავდაჯერებულობას შეგმატებთ.

# კვირის დღეების ასტროპროგნოზი

**ახალმთვარეობა – 13 სექტემბერი, 06 : 04 სთ.**

## ორშაბათი
## გეომაგნიტურია დღის პირველი ნახევარი

მაღალია წარმატებების მიღწევის ალბათობა. გამოავლინეთ შემოქმედებითი ნიჭი და უნარი. სიფრთხილე გამოიჩნეთ ახალი საქმის დაწყებისას. არ ვარგა სასიყვარულო კავშირები, გამოცდების ჩაბარება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. ატარეთ ყავისფერი, ნაცრისფერი, მწვანე, ყვითელი ან ნარინჯისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ყვითელი ან მწვანე იასპი, მალაქიტი, ონიქსი ან ოპალი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია საბანკო-საფინანსო ოპერაციები, ვაჭრობა, მიწათმოქმედება, თმის შეჭრა. სუსტდება ნაწლავთა სისტემა, ელენთა, კუჭქვეშა ჯირკვალი.

***პოზიტიური დღეა: კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის.***

## სამშაბათი

ყურადღება მიაქციეთ წვრილმანებს. კარგია პატიება, გეგმების დასახვა. გამოავლინეთ დიპლომატიური ნიჭი. მოერიდეთ კონფლიქტებს, ახალ ნაცნობობას. ატარეთ ლურჯი, ცისფერი, ჩალისფერი, მწვანე ან ნაცრისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, ფირუზი ან საფირონი. ყურადღებას ნუ მიაქცევთ სიზმრებს. კარგია სასიყვარულო კავშირები, მეგობრებთან ურთიერთობა, პარტნიორული თანამშრომლობა, გართობა, ხელოვნებასთან კონტაქტი, შემოქმედებითი მუშაობა, მკურნალობის დაწყება. სუსტდება ყელი, თირკმელები, კანი, ენდოკრინული სისტემა.

***პოზიტიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, მორიელებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის.***

## ოთხშაბათი
## გეომაგნიტური დღე

იმოქმედეთ წინდახედულად. არ არის გამორიცხული, დახმარება მიიღოთ მეგობრებისგან ან ხელმძღვანელი პირებისგან. სწრაფად განახორციელეთ იდეები. სიფრთხილე გამოიჩნეთ სასიყვარულო ურთიერთობებში, რადგან დიდია შეცდომების დაშვების ალბათობა. ატარეთ ლურჯი, ცისფერი, ჩალისფერი, ნაცრისფერი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – ლაზურიტი, ნეფრიტი, ჟადეიტი, ტოპაზი ან ცირკონი. ყურადღებას ნუ მიაქცევთ სიზმრებს. კარგია გართობა, შოპინგი. სუსტდება ყელი, ენდოკრინული სისტემა, თირკმელები, კანი.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის.***

## ხუთშაბათი

ეცადეთ, გაითვალისწინოთ პარტნიორთა აზრები. მოიმატებს იღბლიანობა და ინტუიცია. მოერიდეთ ახალი საქმის დაწყებას, ადგილსამყოფლის შეცვლას, სესხის აღებას. ატარეთ მწვანე, შავი, წითელი, ყვითელი ან შინდისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ოპალი, ტოპაზი, ქრიზოპრაზი, ამეთვისტო ან მარჯანი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს, რადგან დიდია მათი ახდენის ალბათობა. კარგია თვითშემეცნება, ავტომანქანების ყიდვა-გაყიდვა, სამეცნიერო კვლევა, თმის შეჭრა. სუსტდება შარდსასქესო სისტემა.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, თევზებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის.***

## პარასკევი

იყავით ყურადღებით, რადგან დიდია ტრავმების ალბათობა. მოერიდეთ ჭორაობას, ტყუილის თქმას, ახალი საქმის დაწყებას, ადგილსამყოფლის შეცვლას, სესხის აღებას. ნუ გასცემთ დაპირებებს. აკონტროლეთ ემოცია. მოიმატებს სექსუალურობა. ატარეთ შავი, წითელი, ყვითელი, მწვანე ან შინდისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ოპალი, ზურმუხტი, ტოპაზი, ქრიზოპრაზი ან მარჯანი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია სამეცნიერო კვლევა, ავტომანქანის ყიდვა-გაყიდვა, მასაჟის გაკეთება, თმის შეჭრა, კოსმეტიკური პროცედურების ჩატარება. სუსტდება შარდსასქესო სისტემები.

***პოზიტიური დღეა: მორიელებისთვის, თხის რქებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის.***

## შაბათი
## გეომაგნიტური დღე

მინიმუმამდე შეამცირეთ ფიზიკური დატვირთვა და გაუფრთხილდით ჯანმრთელობას. მოერიდეთ ახალი საქმის დაწყებას, მოგზაურობას, ადგილსამყოფლის შეცვლას, სესხის აღებას. ატარეთ წითელი, შინდისფერი, შავი, ყვითელი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – ოპალი, ტოპაზი, ონიქსი, მარგალიტი ან ამეთვისტო. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. მოერიდეთ ინტიმურ კონტაქტებს. კარგია კოსმეტიკური პროცედურების ჩატარება, მასაჟი, თმის შეჭრა. სუსტდება შარდსასქესო სისტემა, ცხვირი.

***პოზიტიური დღეა: კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის.***

## კვირა
## გეომაგნიტური დღე

გაუფრთხილდით ჯანმრთელობას და ნუ გადაიტვირთებით. გამოიჩინეთ მეტი პასუხისმგებლობა. მოერიდეთ მშენებლობას. ატარეთ წითელი, ყვითელი, იისფერი, ცისფერი ან ლურჯი სამოსი; ქვებიდან კი – ფირუზი, საფირონი, ლაზურიტი, სარდიონი ან წითელი იასპი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია შემოქმედებითი მუშაობა, სწავლა, უცხოელებთან კონტაქტი, მოგზაურობა, ვაჭრობა, კულტურული ღონისძიებების ჩატარება. სუსტდება ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი.

***პოზიტიური დღეა: ქალწულებისთვის, ტყუპებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: მორიელებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის.***

***გეომაგნიტურ დღეებში სუსტდება ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემები, მაღალია თავის ტკივილისა და უგუნებობის ალბათობა.***

# მკვლელი გარემოება

## ჯონ მაკდონალდი



თვალების გახელა არ იყო მთავარი – მაინც ვერ შეძლო ამოსვლა უფსკრულიდან. ისეთი განცდა ჰქონდა, რომ რაღაც ძალიან ღირებული და ძვირფასი დაკარგა. გული ერეოდა და გონებაც დაბინდული ჰქონდა. ვერ შეძლო, ცოლისთვის – სარასთვის დაეძახა. დალევა და ნაბახუსევი მისთვის უცხო არ იყო, ბოლო დროს კი ძალიან დაუმეგობრდა სასმელს. თვითონ ამას ტრაგიკულად არ მიიჩნევდა, მაგრამ სარა... ჰო, ცოლში გაუმართლა – სარა ჭკვიანიც იყო, ლამაზიც და საკმარისად მომთმენიც, თუმცა, ბოლო დროს ხშირად ეჩხუბებოდა, ძალიან ხშირადაც კი...

მუხლებზე დაჩოქილმა ძლივს მოახერხა, ტუალეტამდე მიეღწია. ონკანი მოუშვა, რამდენიმე ყლუპი წყალი გადაყლაპა და გული აერია. დიდხანს იყო ასე – უნიტაზში სანახევროდ თავჩაყოფილი. სისუსტე გაუძლიერდა, თუმცა თავი უკეთესად იგრძნო – თითქოს გონებიდან ბინდი გადაეწმინდა. შეეცადა, წინა დღის მოვლენები გაეხსენებინა – ეს საკმაოდ რთული იყო. „პახმელიაზე“ ადრეც ყოფილა, მაგრამ ეს კიდევ სხვა იყო – სიკვდილს ჰგავდა, თუმცა, აშკარად ცოცხალი იყო. არ შორდებოდა რაღაცნაირი დანაშაულის განცდა. წყალი ბევრი დალია, მერე სახეზეც შეისხა... ესეც არ ჩათვალა საკმარისად – პირსახოცი აიღო და გრილ შხაპს მთელი ტანი შეუშვირა. სწორედ შხაპის ქვეშ მდგარმა, ეტაპობრივად დაიწყო წინა დღის მოვლენების გახსენება – პრინციპში, ყველაფერი მეტ-ნაკლებად ახსოვდა, რაც საღამომდე მოხდა. მაგალითად, ეჭვი არ ეპარებოდა იმაში, რომ ნამდვილად ჰედლი ჰარვისი იყო და მსხვილ სარეკლამო კომპანიაში მუშაობდა. მას კარგი იდეები და ალღო ჰქონდა და ამიტომაც პატიობდნენ ისეთ წვრილმან ცელქობას, როგორიც შეუფერებელ დროს დალევა იყო... იმ დღეს ჰედლი ბილ ჰანტერმა ხაზგასმით გააფრთხილა – არავითარი სასმელიო. საღამოს განსაკუთრებულ პრეზენტაციაზე მიდიოდნენ – ავტომობილების უმსხვილეს კომპანიას ახალი მოდელი უნდა წარმოედგინა და ჰედლი ჰარვისის კომპანიისთვის მნიშვნელოვანი იყო ასეთი კლიენტის „დათრევა“. ჰედლიმ ირონიულად ჩაიცინა ბილის სიტყვებზე. ამ ტიპს ვერ იტანდა, არაფრად აგდებდა. თავი მოსწონდა იმით, რომ კომპანიის დამფუძნებელს, დრისკოლეს სწორედ იმ იდეებისთვის უყვარდა, რომლებითაც შემკვეთებს აღაფრთოვანებდა ხოლმე.

ჰედლიმ შუბლი მოისრისა: რა იყო მერე? ბარში ნამდვილად კარგი სასმელებით უმასპინძლდებოდნენ – ესეც ახსოვდა. ავტომობილი ისეთ კვარცხლბეკზე იდგა, რომელიც ნელა ბრუნდავდა... გვერდით თვალისმომჭრელი სილამაზის, გარუჯულსხეულიანი მოდელი იდგა და ავტომობილის მაღალ კლასს კიდევ უფრო გამოკვეთდა.

მესამე ჭიქა ბურბონის შემდეგ, სიცილი აუტყდა; მეოთხე ჭიქის შემდეგ კი სითამამე მოემატა და გათავხედდა – ხელის კვრით გვერდზე გასწია ბილი, რომელიც ეუბნებოდა, მეტი აღარ დალიო, დღეს „მოხუცმა“ შენს სამეთვალყუროდ გამამწესა. ჭკუით იყავი, პრობლემა არ შეიქმნაო... მერე ღიმილით მივიდა კომპანიის მეპატრონესთან, რომელიც სავარაუდო კლიენტთან საუბარში იყო გართული და რაღაც თქვა... ჰო, რაღაც, მაგრამ, კონკრეტულად ვერ იხსენებდა თავის სიტყვებს. თუმცა, ის კი ნათლად დაუდგა თვალწინ, როგორ მოებრიცა სახე დრისკოლეს, ხოლო გაფუყულმა ავტომფლობელმა უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა – ეს რა არის, კომუნისტი გყავს კომპანიაშიო?..

ჰანტერმა ამოიოხრა, ჰედლის მივარდა და გვერდზე გაათრია... უძალიანდებოდა? მგონი, ჰო... თუმცა, ეს ნაკლებად მნიშვნელოვანი იყო. მთავარი, სავარაუდოდ, ის სიტყვები აღმოჩნდა, რომლებიც შეფსა და იმ გაბღენძილს უთხრა, რადგან „მოხუცმა” განაჩენი გამოუტანა – სამსახურიდან გააგდო... ორი პეშვი ცივი წყალი სახეზე და, ნელ-ნელა ის სიტყვებიც გაიხსენა, რაც მაშინ დრისკოლემ წარმოთქვა: შეგიძლია, ხვალიდან კომპანიაში მოსვლით თავი არ შეიწუხო. შენს ნივთებს ჩემი მდივანი მოგიტანს. იდეები მართლაც არაჩვეულებრივი გაქვს, მაგრამ ყველაფერს საზღვარი აქვს. ახლა „სტავკას“ ჭკვიან და წესიერ თანამშრომელზე გავაკეთებო...

ჰარვისი ბინაში გამეფებულმა არაბუნებრივმა სიჩუმემ გააოცა. ნეტავი, სად იყო სარა... იცოდა, ჰედლი სამსახურიდან რომ გამოაგდეს? იქნებ, მთვრალმა უთხრა კიდეც და ახლა აღარ ახსოვდა? მაშინ, რატომ არ შემოდიოდა და სკანდალს რატომ არ ტეხდა?!

ჰარვის ჰედლიმ შუბლი მოისრისა. პრობლემა სერიოზული იყო: რადგან სამსახურიდან სიმთვრალის გამო გააგდეს, კომპენსაციასაც ვერ მოითხოვდა. ერთბაშად, მის დაბინდულ გონებაში რომელიღაც ნათურა აინთო. გაახსენდა, რომ წინა ღამითაც სწორედ ამაზე ფიქრობდა – ეძებდა საშუალებას, რომლითაც იმის დამტკიცებას შეძლებდა, რომ, ძალიან მთვრალი კი არა, მსუბუქად ნასვამი იყო... გაიხსენა, როგორ გამოვიდა ქუჩაში და განათებულ ვიტრინებს გაუყვა. მაღაზიების უმეტესობა ღია იყო. რატომ ეგონა, რომ მალე თავზე დაათენდებოდა? საათის ისრები ჯერ მხოლოდ ღამის 11 საათს უჩვენებდა. ერთ ვიტრინაში, მანეკენზე, ორიგინალური ჰალსტუხი დაინახა – ლურჯი იყო და წითელი, იაპონური იეროგლიფების მსგავსი ნაქარგები ჰქონდა. შეეცადა, მაღაზიაში მტკიცე ნაბიჯით შესულიყო და, როგორც თვითონ მოეჩვენა, გამყიდველს საკმაოდ „დალაგებულად” აუხსნა, რა უნდოდა. მერე გამყიდველმა ჰალსტუხი სპეციალურ, საფირმო ქაღალდის ტომსიკაში ჩაუდო... ჩეკიც იქვე იყო – ჰალსტუხი 23 დოლარი და რამდენიმე ცენტი ღირდა. ჰედლის გაუხარდა, რომ ამის გახსენებაც კი მოახერხა – ესე იგი, სასმლისგან გონება არც ისე დახშული ჰქონდა, როგორც თავიდან მოეჩვენა. ახლა სუფთად ჩაიცვამდა, ახალ ჰალსტუხს გაიკეთებდა და ოფისში წავიდოდა, რათა დაემტკიცებინა, რომ შეუფერებლად მთვრალი არ ყოფილა. ზუსტად იმდენი ჰქონდა დალეული, რამდენიც კოქტეილ-წვეულებაზე არის დასაშვები. თუ საჭირო გახდებოდა, მაღაზიაში მივიდოდა და მოწმედ გამყიდველს წამოიყვანდა.

საძინებელ ოთახში ჰალსტუხის ძებნამ შედეგი არ გამოიღო. იატაკზე მისი წინა დღის „გარდერობის“ ნაშთი ეყარა... ნამდვილად ვერ გაიხსენა, გული როდის აერია, ან როგორ მოახერხა, შარვალი მუხლზე გადაეხია... სარას საძინებელშიც არეულობა იყო, ლოგინი კი ნაომარს ჰგავდა... იატაკზე დაჭმუჭნილი ქაღალდის ტომსიკა ეგდო – სწორედ ის, რომელშიც გამყიდველმა ჰალსტუხი ჩაუდო... მაგრამ, რატომ არ ჩანდა სარა? ცოლს ვერც სამზარეულოში მიაგნო. თან, მასთან ერთად, თითქოს ჰალსტუხიც გაუჩინარდა. უცნაური განცდა დაეუფლა, რამაც შიში მოჰგვარა... ფეხაკრეფით შევიდა სასტუმრო ოთახში... რაღაც საშინელების მოლოდინში, ნაბახუსევიდან ჯერაც გამოურკვეველი სხეული კანკალმა აიტანა: სარა იატაკზე იჯდა და გაყინული მზერა მისკენ ჰქონდა მიმართული. შუშის თვალებში სიცოცხლე ჩაქრობოდა, მის ნაზ კისერზე კი მჭიდროდ შემოხვეული ლურჯი ჰალსტუხი შენიშნა – წითელი, იაპონური იეროგლიფების მსგავსი ნაქარგებით დამშვენებული.

**თარგმნა**
**ნინო წულუკიძე**


**ძვალ-სახსართა პათოლოგიების ცენტრი**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა; დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა; მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე ძვლის მკვებავებით; წონის დაკლება თვეში 5-18 კილოგრამამდე, დიეტების, აკრძალვებისა და ვარჯიშების გარეშე, მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით; ასევე, სიმაღლეში ზრდა 2-დან 25 წლამდე, კურსის განმავლობაში 3-5 სანტიმეტრის მომატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით; ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა – დანიშნულებით+ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

**599-91-37-65 – ქ-ნი ქეთევანი; 2-47-58-83 – ოფისი.**

# ღალატი სიყვარულისთვის

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები" №27-32(763)

ლაშამ ამოიოხრა... ანას ხელი მოხვია და შუბლზე აკოცა:

– გთხოვ, ტყუილუბრალოდ ნუღარ ინერვიულებ და ნუ ჩაიშხამებ ერთად ყოფნის სიამოვნებას.

– ჰო, მაგრამ, ჩემთვის ასე მარტივი არ არის ეს ყველაფერი.

– რატომ, გამაგებინე, რატომ? მითხარი, რას ვაშავებთ?

– ერთი შეხედვით, არაფერს.

– მეორე და მესამე შეხედვით?



– შენ ხუმრობ და ახლა მე მკითხე, – სახე დაუსევდიანდა ანას, – არ შემიძლია დანაშაულის განცდით ცხოვრება.

– ჰოდა, მეც მაგას გეუბნები, დანაშაულის განცდით არ იცხოვრო-მეთქი, იმიტომ რომ, ეს ჩვენი ცხოვრებაა, მარტო ჩვენი და სხვა არავისი.

– ჰო, მაგრამ...

– არავითარი „მაგრამ." ერთხელ უკვე გითხარი, ზრდასრული ადამიანები ვართ და არავის წინაშე არ გვაქვს ვალდებულება. დაიკიდე, გესმის? როცა გენდომება, მე სულ შენ გვერდით ვიქნები.

– როცა მენდომება... – ამოიოხრა ანამ, – შენ ან ვერაფერს ხვდები, ან არ გინდა, რომ მიხვდე.

კაცი შეიჭმუხნა:

– მომისმინე, ანა... ძალიან დიდხანს ვიცხოვრე მარტო. ცოლი არასდროს მყოლია... ვიცი, რომ ჩვენი შეხვედრის პირველივე დღიდან გაინტერესებდა ეს ამბავი, მაგრამ არ მეკითხებოდი... ჰო, არ მყოლია, მაგრამ, იმიტომ კი არა, რომ პასუხისმგებლობას გავურბივარ, უბრალოდ, მიმაჩნდა, რომ ოჯახის შესაქმნელად მზად არ ვიყავი. არც ახლა ვარ მზად და უნდა გამიგო... დრო უნდა მომცე.

– მე არაფერს გთხოვ... – ხმა აუკანკალდა ანას, – მხოლოდ შენთან ყოფნა მინდა.

– მეც მინდა შენთან ყოფნა და ვარ კიდეც. მოვლენების დაჩქარება ორივეს ჩიხში შეგვიყვანს. ყველაზე ძალიან იმას ვერ ვიტან, როცა რაღაცას მაძალებენ. ჭკვიანი ქალი ხარ, ლამაზი, დამოუკიდებელი... ნუ დაინახავ პრობლემას იქ, სადაც პრობლემა არ არის.

– მაინც ვერაფერი გავიგე, – ხელები გაშალა ანამ და მკერდზე ჩამოშლილი შავი, ოდნავ ხვეული თმა მხრებზე გადაიყარა.

– მითხარი, რა ვერ გაიგე? – დაღლილი ხმით ჩაილაპარაკა ლაშამ.

– როგორ უნდა ვიცხოვრო ამის მერე...

– ჩვეულებრივად, ანა, ჩვეულებრივად... უბრალოდ, ახლა მარტო აღარ იქნები.

– მართლა? მპირდები?

– რა თქმა უნდა. მე შენი მამაკაცი ვარ და შენ – ჩემი ქალი, ოღონდ, სწორად უნდა გაიგო ამ სიტყვების მნიშვნელობა.

– სწორად გავიგო, ანუ, ოჯახზე არ ვიოცნებო?

ლაშა დაიჭყანა:

– აუ, როგორ მძულს ეგ სიტყვა... რატომ უნდა იოცნებო, როცა მარტივად შეგიძლია, იყო ბედნიერი იმით, რაც ახლა გაქვს? იქნებ, ოჯახიც შევქმნათ, თანაც, იმაზე ადრე, ვიდრე შენი ოცნება ასრულდება?

– ლაშა... – თავი გადააქნია ანამ.

– მომენდე, – კაცმა ხელი მოხვია და მკერდზე მიიკრა, – ბევრ ბედნიერ დღეს, უამრავ საათსა და უთვალავ წუთს გაჩუქებ.

* * *

ანამ შუბლზე მოისვა ხელი და ფიქრიდან გამოერკვა. როგორ უნდოდა, მეხსიერების შორეულ სიღრმეში კარგად დაემალა თავისი ცხოვრების ეს ეპიზოდები, მაგრამ, ამაოდ – თითქოს ჯიბრზე, მუდამ ზედაპირზე ტივტივებდნენ და სულს უფორიაქებდნენ.

ოთახში სოფომ შემოყო თავი. სახე აწითლებული ჰქონდა და თვალები უბრჭყვიალებდა.

– შეიძლება, შემოვიდე?

– მოდი. მოხდა რამე?

– უჰ, რა ვიცი... დავიღალე და დავისიცხე... ერთი საათი ვდიე ჩემს ქმარს და მაინც ვერ გამოვიჭირე ეგ საზიზღარი.

– რა ქენი?

– მანქანით უკან გავყევი, მაგრამ, პირდაპირ სამსახურში მივიდა, არსად გადაუხვევია. თუმცა, ისეთი ეშმაკია, შეიძლება, შემნიშნა. მოკლედ, არ გამოვდგები კერძო დეტექტივად.

– შენც, რატომ წვალობ? თავი დაანებე, დაივიწყე შენი ეჭვები და მშვიდად იცხოვრე. შემჩნეული გყავს რამეში?

სოფო შეყოყმანდა:

– ასე, კონკრეტულად არა. თუმცა, ზოგჯერ ვიღაცასთან მესიჯობს ხოლმე, მაგრამ, მერე, ეტყობა, შლის კიდეც, რადგან, ერთი-ორჯერ მობილური გულდასმით გავუქექე და ვერაფერს მივაგენი.

– მაშინ, აბა, რა გინდა? – ანამ ამოიოხრა.

– შინაგანი ხმა მკარნახობს, რომ არც ისეთი ანგელოზია, როგორადაც თავს მაჩვენებს. ვერ ვისვენებ, ბოლომდე ვერ ვენდობი.

– ჰო, კაცების ნდობა ძნელია – ეს საკუთარი გამოცდილებით ვიცი. ზოგჯერ მთელი საკაცეთი მძულს...

– ვერ დაივიწყე? – თანაგრძნობით ჰკითხა სოფომ.

– ასე ადვილია? შვილი გვყავს, სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებო.

– ჰო, მესმის, მაგრამ, რაღაცნაირად, უნდა აიძულო თავი და ახალი ცხოვრება დაიწყო მის გარეშე. იქნებ, სხვა ვინმე გაიცნო? – ღირსეული, შენზეც რომ იზრუნებს და ბავშვზეც.

– სოფო, დამცინი? ეგ შეუძლებელია.

– რატომ? ხომ გაგიგია, არასოდეს თქვა არასოდესო...

– კი, მაგრამ, მე რეალისტი ვარ, უფრო სწორად, გავხდი...

– ვიცი, შენ რაც გჭირდება! – ხელი ხელს შემოჰკრა სოფომ.

ანამ კითხვით სავსე მზერა მიაპყრო და სევდიანად გაუღიმა.

– შაბათ-კვირას ქალაქგარეთ წასვლას ვაპირებთ მე და ნიკა, ბავშვიც მიგვყავს. წამოიყვანე ლილუ და წამოდი. მაგარი სასტუმრო უნდა დავჯავშნო, აუზით... კომფორტით... ნიკა ასეთ რაღაცეებში არ ძუნწობს ხოლმე.

– არ ვიცი... განწყობა არ მაქვს.

– განწყობა რომ არ გაქვს, იმიტომაც გეპატიჟები.

– არა. წადით ცოლ-ქმარი, ხელს არ შეგიშლით, – იუარა ანამ.

– ხელს რანაირად შეგვიშლი, სხვადასხვა ნომრებში ვიქნებით... წამოდი, რა, ბავშვებიც კარგად გაერთობიან ერთად.

– მოვიფიქრებ.

– ერთ საათს გაძლევ, მეტი დრო არ მაქვს, სასტუმრო ახლავე უნდა დავჯავშნო, მერე ადგილები აღარ იქნება.

ანამ ისე შეხედა, აშკარად სხვაგან იყო ფიქრებით და მექანიკურად უპასუხა.

– კარგი, წამოვალ.

* * *

ირინკა მობილურს დასწვდა და მესიჯი წაიკითხა. გაეცინა. არ უპასუხია, ყავა მოსვა და, გვერდით მჯდომ მამაკაცს, მის შიშველ მუხლზე რომ ედო ხელი, მრავალმნიშვნელოვნად გაუღიმა...

– შეიძლება გავიგო, ვინ გწერს მესიჯებს?

– არა, – გამომწვევად მიუგო ირინკამ, – უნდა მოგიყვე, ვინ მემესიჯება და რატ-

ომ?

– შენი ნებაა, სიყვარულო. თუ ვინმე გაწუხებს, შეგიძლია მითხრა და პრობლემას მოგიგვარებ.

ირინკამ გადაიკისკისა:

– როგორც წესი, მამაკაცებს აქვთ ხოლმე ჩემგან პრობლემები...

– მართლა ასეთი საშიში ხარ? – კაცი უფრო თამამ ალერსზე გადავიდა და თვალებში მაცდურად ჩააშტერდა, – რომ არ გეტყობა?

– გააჩნია, ვისთვის ვარ საშიში, – აკისკისდა ირინკა კეკლუცად, – ცოლიანი კაცებისთვის – ნამდვილად, ოღონდ, მე არაფერ შუაში ვარ, თვითონ აიტეხენ ხოლმე შარს. აი, ეს, მაგალითად, ცეცხლს ეთამაშება, იმიტომ რომ, ვერ გაუგია, რა უნდა.

– შენ ყოველთვის იცი, რა გინდა?

– რა თქმა უნდა...

– ჩემთან დაკავშირებით რა გეგმები გაქვს?

ირინკამ თავი გააქნია:

– არანაირი გეგმა არ მაქვს, საერთოდ არანაირი.

– ოჰო, ეს უკვე მომეწონა... ჩვენ ერთნაირები ვართ და ამიტომაც მივიღებთ სიამოვნებას ამ ურთიერთობიდან.

– მართლა? ანუ, მხოლოდ სიამოვნება და სხვა არაფერი?

– ასე არ მითხარი?

– ჰო, გითხარი. რატომ იძაბები? მოეშვი, მე თავისუფალი ქალი ვარ.

– თავიდან ასე ამბობენ ხოლმე... – მრავალმნიშვნელოვნად ჩაილაპარაკა კაცმა.

– ჰა, ჰა, ჰა, როგორ შეუშინებიხარ ვილაცას... ცოლად შერთვას გაიძულებს, ბავშვი გაგიჩინა თუ ფეხმძიმედ არის? პრობლემა გქონია, თანაც სერიოზული.

– რაღაც მაგდაგვარია, მაგრამ, პრობლემა აღარ არის, მოვაგვარე უკვე. შეგნებულია და თავი დამანება...

– ასეთი დაიმედებულიც ნუ იქნები. ქალებს სიურპრიზების მოწყობა გვიყვარს...

– მაგაში გეთანხმები, – კაცმა ცივი წვენი მოსვა და ირინკას მოშიშვლებულ მკერდზე აკოცა.

– რას იტყოდი, უიქენდის ერთად გატარება რომ შემომეთავაზებინა? ამ შაბათკვირას საქმიანი შეხვედრა მაქვს ერთ ფეშენებელურ სასტუმროში. ორი საათი და – მერე შენს განკარგულებაში ვიქნები. წამოდი და სასარგებლო სასიამოვნოს შევუთავსოთ.

– მგონი, არ გამოვა.

– რატომ?

– სხვა რაღაც მაქვს დაგეგმილი.

– ცუდია. არ მიყვარს სასტუმროში მარტო ყოფნა. შეიძლება, სულმა წამძლიოს და იქვე ვინმე ნაშა შევაბა.

– ჰა, ჰა, ჰა, როგორი გულახდილი ხარ!

– ვიცი, რომ არ გამიბრაზდები და იმიტომ. წამოდი, არ ინანებ. არ მინდა სხვა ნაშა.

– გეზარება ჩალიჩი? – დასცინა ირინკამ.

– ჩალიჩი არ მჭირდება ხოლმე, ეს არაფერ შუაშია. უბრალოდ, შენთან მინდა. აუზში ვიცურავებთ, გავირუჯებით, ბარში გავერთობით...

– მაცდუნებელი წინადადებაა, მაგრამ, სხვა რაღაც დავგეგმე და არ გამოვა.

– მეწყინა. უკვე წარმოვიდგინე ორი გიჟური ღამე შენთან ერთად.

– სხვა დროს იყოს... შენს წარმოდგენებში კი ძალიან ღრმად ნუ შეტოპავ – ეს ჩემი კეთილი რჩევაა.

კაცმა შეხედა მაცდურად მოღიმარ ირინკას და შეაყრყოლა:

– მაგარი ვინმე ხარ, ადვილად ვერ შეგელევი, – მერე ხელში აიტაცა და საწოლისკენ წაიყვანა. ირინკა ფეხებს იქნევდა და კისკისებდა.

* * *

სოფომ კომპიუტერის ღილაკს თითი დააჭირა და გახარებულმა აიღო მობილური:

– საყვარელო, დავჯავშნე! ორი დღე და სამი ღამე სულ რაღაც ხუთას სამოცი დოლარი დაგვიჯდება... აუ, რანაირად არის ძვირი, კვებით ავილე... ახლა ნუ წუწუნებ... ხომ დამპირდი? ცოტა იაფიანი არ მინდა, თუ გართობაა და დასვენება, სრული პაკეტი მჭირდება... საღამოს არ დააგვიანო, რამე გემრიელს მოგიმზადებ.

ირინკამ თავი ასწია და დაუფარავი ირონიით ჰკითხა:

– შეაბი ქმარი?

– „შეაბი" რა სიტყვაა? – ეწყინა სოფოს, – თვითონ შემომთავაზა, შაბათ-კვირა ქალაქგარეთ გავატაროთო. ძალიან გამოსწორდა ბოლო დროს: მანქანა მიყიდა, უიქენდზე მივყავარ...

– კაცები ასე მაშინ „გამოსწორდებიან" ხოლმე, როცა დანაშაულის დაფარვა და, შესაბამისად, ცოლების ყურადღების მოდუნება უნდათ. არ გაშინებ, მაგრამ, ფრთხილად იყავი, არაფერი გამოგეპაროს.

სოფოს აღფრთოვანებას მაშინვე ცივი წყალი გადაესხა:

– რა? შენ ასე ფიქრობ? ანუ, უკვე მიღალატა და ახლა ასე ცდილობს, დანაშაული გამოისყიდოს?

– მე ეგ არ მითქვამს, მხოლოდ გაგაფრთხილე. ნუ პანიკობ...

– გული გამიხეთქე და ახლა ნუ ვპანიკობ? მთელი სიხარული ჩამიმხამე...

– ვაიმე, მე მხოლოდ გაგაფრთხილე, სულ ეს არის... კაცები ტყუილუბრალოდ არაფერს აკეთებენ – ეს მათ ხასიათშია. შეიძლება, შენი ქმარი გამონაკლისია, არ ვიცი.

– გამონაკლისი რატომ იქნება? – სოფომ მაშინვე მოიწყინა და ძლივს გადაგორებული ეჭვი განუახლდა.

– სოფო, ყოველთვის ასე თუ დაიგრუზები, საერთოდ აღარაფერს გეტყვი. მე ვცდილობ, რაღაც გასწავლო, ცოტა შეგაჯანჯღარო და გამოგაფხიზლო... ვიცი, ახლა რასაც იზამ – სახლში წახვალ და ქმარს შეკითხვებით გადარევ. ეს კი არ უნდა გააკეთო, პირიქით, ისე უნდა მოიქცე, როგორც არ იქცევი ხოლმე, რომ თვითონ დაიზმენდეს, გაიგე? ყურადღებით ყოფნა კაცისთვის სულის ამოხდას არ ნიშნავს.

– ნეტავი, რით ვხდი სულს?

– ეჭვიანობით და შეკითხვებით. ამით კი საქმეს იფუჭებ.

– რა იცი, გათხოვილი ხომ არასდროს ყოფილხარ?

– არ სჭირდება ამას გათხოვება. ქართველი ცოლის ტიპური ნიმუში ხარ, ოღონდ, ესეც უკუღმა არ გაიგო, ცუდი არაფერი მიგულისხმია. კაცს ისეც არ უნდა მოუჭირო სადავე, რომ სული შეეხუთოს და არც ბოლომდე მიუშვა. ცხენზე ჯდომა იცი?

– არა. ეს რა შუაშია?

– რომ იცოდე, მიხვდებოდი, რას ვგულისხმობ. კაცს უნდა ეგონოს, რომ მიშვებულია, სინამდვილეში კი ოსტატურად უნდა აკონტროლო.

– მე მაგას ვერ შევძლებ.

– თუ მოინდომებ, შეძლებ, დამიჯერე. მანქანაც გიყიდა, უიქენდზეც მიჰყავხარ... – ის ახლა დარწმუნებულია, რომ შენ წინაშე ვალი მოიხადა.

– ჰო, ზუსტად ასეა.

ირინკამ თვალები მოჭუტა:

– სოფო, დაიხსომე: ქმარი არც ყურადღებით არ უნდა გაათამამო და არც უყურადღებობით...

– გავიგე, – ბეჯითი მოსწავლესავით გაიმეორა სოფომ. ირინკამ გაიცინა:

– არა, შენ მხოლოდ გგონია, რომ გაიგე, მაგრამ, არა უშავს, ნელ-ნელა ჩაგიჯდება გონებაში.

სოფომ მადლიერებით შეხედა:

– მაგარი ხარ. წარმომიდგენია, როცა გათხოვდები, ქმარს რას უზამ.

– არაფერსაც არ ვუზამ, უზომოდ ბედნიერი იქნება ჩემთან, მაგრამ, მე არ გავთხოვდები...

– აჰ, ახლა ასე ამბობ, მაგრამ, როგორც კი გამოჩნდება ვინმე...

– სოფო, იცი, რამდენი „ვინმეა" ჩემ გარშემო? როგორ გგონია, მარტო ვარ?

სოფომ ამოიოხრა:

– ეგ არ მგონია, მაგრამ, ეტყობა, ჯერ ერთობი. რამე სერიოზული რომ იყოს, გავიგებდით.

– ალბათ, როგორ გაინტერესებთ... ერთი სული გაქვთ, საჭორაო მასალას როდის მოგცემთ, არა?

– მე ჭორიკანა არ ვარ, – ეწყინა სოფოს, – სხვათა შორის, არც ანა...

– არ ვიცი, მე ჩემი მოსაზრებები მაქვს ყველაზე და ყველაფერზე. მაგალითად, დარწმუნებული ვარ, რომ ანას მაგრად არ ვევასები.

– საფუძველი? ასეთი ბოლმა გგონია?

– შეიძლება, ბოლმა არ არის, მაგრამ, გულზე აშკარად არ ვეხატები. ზოგადად, მე გათხოვილ ქალებს არ ვევასები ხოლმე.

– ანა განქორწინებულია.

– მით უმეტეს, – მრავალმნიშვნელოვნად ჩაილაპარაკა ირინკამ და სიგარეტს მოუკიდა... – მაგრამ, გულახდილად გეტყვი: მკიდია – ამ სიტყვის კარგი გაგებით. ახლა ერთ ძალიან მაგარ კაცს ვხვდები. თვითონ დარწმუნებულია, რომ შემაბა, ის კი არ იცის, როგორ ჩავავლებ და ჩემს ჭკუაზე ვათამაშებ, თანაც, სულ მალე...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# დიეტა ავიტამინოზისა და სხვა გვერდითი მოვლენების გარეშე

უამრავი დიეტა არსებობს და გაცილებით უფრო მეტი – მათი „მიმდევარი“. მათი უმრავლესობა სხვადასხვა ასაკის ქალბატონია, რომლებიც გახდომას ცდილობენ, სჭირდებათ ეს თუ არა და, იმდენად არიან ამ იდეით შეპყრობილნი, ყურადღებას აღარ აქცევენ, თუ რა ზიანს აყენებენ ორგანიზმს, განსაკუთრებით – მკაცრი დიეტებით. ეს ზიანი აუცილებელი ვიტამინების დანაკლისში გამოიხატება, რასაც შედეგად მოჰყვება უამრავი სახის სიმპტომი, უფრო სწორად კი, კონკრეტული სიმპტომი კონკრეტული ვიტამინის დეფიციტზე მიანიშნებს. ზოგადად, ამ დეფიციტს ავიტამინოზი ეწოდება, რაც ძალზე საშიშია ჯანმრთელობისთვის. ეს რომ არ მოხდეს, უნდა იცოდეთ, რომელი პროდუქტი რომელი ვიტამინის წყაროა და რომელი სიმპტომი რომელი ვიტამინის დეფიციტზე მიუთითებს. ეს ყველაფერი თუ გეცოდინებათ, თქვენი დიეტა უფრო გონივრული იქნება, შედეგი კი – უსაფრთხო.

მაშ, ასე:

A ვიტამინს ყველაზე ჭარბად შეიცავს: ღვიძლი, თევზის ქონი, ნაღები, ქაცვი, სტაფილო.

C ვიტამინს – ასკილი, შავი მოცხარი, წითელი ბულგარული წიწაკა, ციტრუსები.

D ვიტამინს – კვერცხის გული, ზეითუნის ზეთი.

E ვიტამინს – ზეითუნის, ქაცვის, სიმინდის ზეთი; გაღივებული მარცვლეული, სოია, სიმინდი.

K ვიტამინს – ისპანახი, მწვანე ბარდა, მარწყვი, ხბოს ხორცი.

H ვიტამინს – საქონლის თირკმელები, ღვიძლი, გული; კვერცხის გული, სოია.

PP ვიტამინს – ყავა, საფუარი, კურდღლის ხორცი, წიწიბურა.



$B_1$ ვიტამინს – სოია, მუხუდო, საფუარი, ლობიო, ჭვავი, ნიგოზი.

$B_2$ ვიტამინს – ღვიძლი, ყველი, ქამა სოკო, კვერცხის ცილა.

$B_5$ ვიტამინს – ღვიძლი, საფუარი, ბრინჯი, კარტოფილი, მაკარონი.

$B_6$ ვიტამინს – თხილი, ნიგოზი, მზესუმზირა, ტომატ-პასტა, უჩენჩო ქერი („პერლოვკა“), ქიშმიში, კომბოსტო.

$N_9$ ვიტამინს – ვირთევზას („ტრესკას“) ღვიძლი, ისპანახი, კაკაო, ჭვავის პური, მწვანე ხახვი.

$B_{12}$ ვიტამინს – საქონლის თირკმელები, ტვინი, ვირთევზა, საქონლის ფილტვები, რძის პროდუქტები.

ახლა გაგაცნობთ რომელი ვიტამინის დეფიციტი რა სიმპტომით ვლინდება.

მომატებული გაღიზიანება – $N_5$, $B_6$, PP, D, E ვიტამინების დანაკლისი.

მოთენთილობა, ძილიანობა – $B_2$, $B_5$, $B_6$, D, E ვიტამინების.

ყურადღებისა და მეხსიერების კონცენტრაციის დარღვევა – $B_1$, $B_{12}$ ვიტამინების.

კანის სიმშრალე, ნახეთქები ტუჩებზე – A, $B_2$, C, PP ვიტამინების.

ფრჩხილების აქერცვლა და ღარები სიგანეზე – A, D, C, E, $B_5$ ვიტამინების.

ცხვირიდან სისხლდენა – D, C, K ვიტამინების.

აღნაგობის დარღვევა – D, E, C ვიტამინების.

კუნთების საერთო სისუსტე – $B_6$, D, E, C ვიტამინების.

სისხლდენა ღრძილებიდან – D, K, C, PP ვიტამინების.

უმიზეზო ტირილის სურვილი – $B_2$, $B_5$, D ვიტამინების.

მადის დაქვეითება – $B_1$, $B_2$, $B_{12}$, C ვიტამინების.

წყვეტილი ძილი, უძილობა – B1, H ვიტამინების.

ხშირი თავის ტკივილი – $B_2$, $B_{12}$, PP ვიტამინების.

ხელისგულებისა და ტერფების ოფლიანობა – D ვიტამინის.

ძვლების გამრუდება – C, D ვიტამინების.

მუცლის შებერილობა – A, $B_6$, C ვიტამინების.

ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემები რომ არ შეგექმნათ, ნებისმიერი დიეტის დროს თქვენი კვება უნდა იყოს მრავალფეროვანი; აუცილებლად, დღეში 2-3 საათი მაინც (დილა-საღამოს), ფეხით ისეირნეთ სუფთა ჰაერზე და არ დაგავიწყდეთ პროდუქტების სწორად შენახვა და დამუშავება.

# კოსმეტოლოგის რჩევები

**კითხვა: გარუჯვის შემდეგ ძალიან ხშირად იწყებს კანი აქერცვლას. არსებობს თუ არა ამისგან თავის დაცვის რაიმე საშუალება?**

**პასუხი**: ეს რომ არ მოხდეს, უპირველეს ყოვლისა, უნდა შეეცადოთ, რომ გაირუჯოთ სწორად, ანუ არ დაიწვათ. შემდეგი პრევენცია კი ის არის, რომ დროებით დაივიწყეთ ნებისმიერი სკრაბისა და საბანაო ღრუბლის („მაჩალკის“) გამოყენება; ბანაობისას საპონი წაისვით ხელით, წყლის გადავლების შემდეგ კი მთელ სხეულზე გადაისვით დამატენიანებელი კრემი. ოღონდ, პლაჟიდან შინ დაბრუნებისთანავე საპნის გამოყენება არ არის რეკომენდებული. ასეთ დროს მხოლოდ წყლის გადავლებაც საკმარისია. არც ლოსიონით გაიწმინდოთ კანი – საპონი და ლოსიონი არღვევს კანის დამცავ ფენას.

**კითხვა: გამიგია, რომ არსებობს საკვები პროდუქტები, რომლებიც ხელს უწყობს კარგად გარუჯვას. თუ შეიძლება, მითხარით, რომელია ეს პროდუქტები და რა ფუნქცია ეკისრება მათ გარუჯვისას?**

**პასუხი**: გარუჯვისთვის ორგანიზმის „შიგნიდან“ მზადება ხდება ორნაირად: ვიტამინებითა და საკვებით. შეგიძლიათ, აფთიაქში შეიძინოთ თევზის ქონის შემცველი ვიტამინი A, ოღონდ, მკაცრად უნდა დაიცვათ მისი მიღების დოზები. ასევე კარგია E და C ვიტამინების მიღება, რომლებიც იცავს კანს ფოტოდაბერებისგან, სელენი კი ძლიერი ანტიოქსიდანტია, რომელსაც მზისგან დამცავ კრემებთან კომპლექსში შეუძლია, გაანეიტრალოს გამოსხივების მავნე ზემოქმედება. მაგრამ, გახსოვდეთ, რომ ეს ვიტამინები უნდა მიიღოთ არა მხოლოდ შვებულებაში გასვლის წინ, არამედ, მთელი შვებულების განმავლობაში და მისი დასრულების შემდეგაც (დაახლოებით 1 თვე) – ეს დაგეხმარებათ, რომ თქვენი ნამზეური დიდხანს გამოიყურებოდეს ლამაზად. რაც შეეხება საკვებს, თქვენს სადილვახშამს ყოველდღე დაუმატეთ ცოცხალი გახეხილი სტაფილო, შეზავებული 1 ჩაის კოვზი ზეითუნის ზეთით – ცნობისთვის, ბეტაკაროტინს აქვს ორგანიზმში დაგროვების უნარი და ის არა მარტო დაიცავს კანს სახიფათო თავისუფალი რადიკალებისგან, არამ-



ედ, ხელს შეუწყობს მელანინის გამომუშავებას და ასე დაეხმარება კანს თანაბარი და ლამაზი ფერის ნამზეურის მიღებასა და დიდხანს შენარჩუნებაში.

**მოამზადა**
**თამრიკო ზამთარაძემ**

# ინტიმური საუბრები

### არ ვიცი, საით მივექანებით

ჩვენს უბანში ერთი პატარა მარკეტია და, ეს ბოლო ხანებია, რატომღაც, ისეთ გოგო-ბიჭებს იღებენ სამუშაოდ, ვერ გაიგებ, ვინ გოგოა და ვინ ბიჭი, ანუ, უფრო ზუსტად რომ გითხრათ, მკლავებდაკუნთული, დიდხელება და სქელკისერა გოგოები კარგად ჩაკურატებულ, უკაცრავად პასუხია და, მუტრუკ ყმაწვილებს ჰგვანან; ბიჭებს კი მაკარონის სისქე, უკუნთო ხელ-ფეხი, ჭიაყელებივით გაწვრილებული უნიათო თითები, ამოქნილი წარბები „ამშვენებთ“ – მოკლედ, ვერაფერი გამიგია, დაბნეული ვარ კაცი. ამ ყველაფერთან ერთად, გოგები ლამის ბარიტონით ლაპარაკობენ და მატარებლებივით დაჯგლიგინობენ, ბიჭები კი – პირიქით, ნაზი ხმით მეტყველებენ, თვალებს აფახულებენ და ბალერინებივით დანარნარებენ. მოკლედ, არ ვიცი, საით მივექანებით.

არავის ეგონოს, რომ მე ვინმეს დავცინი ან განვიკითხავ – ყველა სხვადასხვანაირი იბადება და ყველას აქვს ამქვეყნად ცხოვრების უფლება, მაგრამ, ასეთი რამ ერთი პატარა უბნის პატარა მაღაზიაში ძალიან ხვდება თვალს. გარკვეულ დისკომფორტს კი ის იწვევს მომხმარებლებში, რომ ეს ვაჟკაცური გოგოები საკმაოდ უხეშები არიან მომსახურების დროს. საკმარისია, უბნის რომელიმე მცხოვრებმა ელემენტარული შენიშვნა ან მითითება მისცეს, მაშინვე კუნთებზე იყურებიან და ისე აიფოფრებიან ხოლმე, მზად ხარ, იქიდან სასწრაფოდ გაიქცე, რომ მათი მკლავების ძალა საკუთარ ტანზე არ გამოსცადო. აღარაფერს ვამბობ მათ „გულითად ლოცვა-კურთხევაზე“, რომელიც დაგარწმუნებს, რომ უსაზღვროა უინტელექტო ადამიანის ღარიბი ლექსიკონის გამრავალფეროვნების მცდელობა.




ერთხელ ასეთ ეგრეთ წოდებულ გოგონას მამაშვილურად მივუთითე, რომ ქალს არ უხდება ასეთი საქციელი. მერე კი ხუმრობით დავამატე, იცოდე, ბიჭებს არ უყვართ უხეში და მყვირალა გოგოები და გაუთხოვარი დარჩები-მეთქი. მან კი დამცინავად შემომხედა, ამათვალიერ-ჩამათვალიერა და თავისი ბარიტონით მიპასუხა: შენისთანებს თუ გულისხმობ, არც მჭირდება მაგათი მოწონება, იმდენი მომწონებელი მყავს, შენ და შენს მოდგმას არც კი დაგესიზმრებათ. ახლა კი აქედან აუდე, შე სირისტიანო ბებერო ინტელიგენტო და შენს ცოლშვილს ასწავლე ჭკუაო.

წარმოგიდგენიათ?! აღშფოთებისგან კინაღამ ინფარქტი დამემართა და გადავწყვიტე, საკადრისი პასუხი გამეცა, მაგრამ ერთმა ხანდაზმულმა ქალბატონმა გამაჩერა – აზრი არა აქვს, სიტყვაში მაინც ვერ მოუგებთ, მხოლოდ უარესად აიშლით ნერვებსო (როგორც ჩანს, უკვე ჰქონდა საამისო გამოცდილება). ამიტომ, თავი დავანებე და აკანკალებული გამოვედი მაღაზიიდან. მაგრამ ეს ყველაფერი არ იყო. რამდენიმე დღის შემდეგ ჩემი ვაჟი გამოვიდა იმ მაღაზიიდან და სადარბაზოში ისე შევიდა, არ დაუნახივარ. მე კი მაღაზიაში შევიარე სიგარეტის საყიდლად და, უცებ, ვხედავ და მესმის, როგორ ეტრაბახება ის ჩვენი „ზრდილობიანი“ გამყიდველი გოგო თავის თანამშრომელს: ახლა ბიჭი რომ გავიდა აქედან, მაგრად მომწონს და, რადაც არ უნდა დამიჯდეს, უნდა დავითრიო. წყნარი ბიჭი ჩანს და მორჩილი ქმარი იქნება (იმ მეორემ სიცილით ჩაურთო – არ იქნება და მაგისი აჯობებსო და ორივეს ხარხარი აუტყდა), თან, თბილისში გავთხოვდები და სოფელში თვალებს დავთხრი ჩემს დაქალებსო.

აი, ასეთი საშიშროების წინაშე ვდგავართ, ჩემო კარგებო და, დარწმუნებული ვარ, ეს საშიშროება მხოლოდ ჩემს ოჯახს არ ემუქრება.

**ანზორი, 64 წლის**

**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბავი და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის“ ისტორიები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ელექტრონული ფოსტით:**
**tbiliselebi2001@gmail.com**
**ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**

# ხართ მზად ოჯახისთვის?

*უკვე ხვდებით, რომ გული სხვანაირად ძგერს... სიყვარული გეწვიათ და ფიქრობთ, რომ დადგა დრო, როცა მასთან ერთად ჭირი და ლხინი უნდა გაიზიაროთ. თუმცა, სურვილი ერთია, მზაობა – მეორე. ხართ კი მზად ოჯახის შესაქმნელად?*

*ეს ტესტი ცოტათი მაინც დაგეხმარებათ სწორი გადაწყვეტილების მიღებაში. ეჭვებს გაგიფანტავთ ან პირიქით – გაგიძლიერებთ...*

**1. გახარებთ იმის წარმოდგენა, რომ დარჩენილ ცხოვრებას მის გვერდით გაატარებთ?**

ა) დიახ – 2 ქულა;
ბ) არ ვარ დარწმუნებული – 1 ქულა;
გ) არა – 0 ქულა.

**2. უკვე წყვილი ხართ – შეძლებთ, მას ღალატი აპატიოთ?**

ა) დიახ – 1 ქულა;
ბ) არა – 2 ქულა;
გ) მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მსგავს საქციელს მეც მაპატიებს – 0 ქულა.

**3. როცა პაემანზე მიდიხართ, ძირითადად, როგორ სამოსს ანიჭებთ უპირატესობას?**

ა) იმ სამოსს, რომელიც ვიცი, რომ მას მოსწონს – 2 ქულა;
ბ) მხოლოდ იმას, რაც მე მომწონს – 0 ქულა;
გ) იმას, რაც ჩემს გარდერობში ახალია – 1 ქულა.

**4. თუ აუცილებელი იქნება, საღამო მასთან ერთად გაატაროთ...**

ა) ოჰ, ეს თითქმის ინკვიზიციის ტოლფასი იქნება – 0 ქულა;
ბ) რა პრობლემაა... საინტერესოა და სასიამოვნოა – 2 ქულა;
გ) ეს დრო, ფაქტობრივად, დაკარგული იქნება – 1 ქულა.

**5. თქვენი რჩეული დაგპირდათ, რომ საღამოს თქვენთან ერთად გაატარებდა, მაგრამ არც კი დარეკა...**

ა) ისე მეწყინება, შეიძლება, ვიტირო – 1 ქულა;
ბ) მთელი დღე ტელეფონი მექნება ხელში – 0 ქულა;
გ) არ არის პრობლემა, რამე საქმეს გავაკეთებ – 2 ქულა.

**6. როცა კამათსა და კონფლიქტში თავად ხართ დამნაშავე...**

ა) დაველოდები, პირველ ნაბიჯს შერიგებისკენ როდის გადმოდგამს – 0 ქულა;
ბ) ვაღიარებ ამას და მოვუბოდიშებ – 2 ქულა;
გ) გავჩუმდები და ვნახავ, რა იქნება – 1 ქულა.



**7. დაოჯახების შემდეგ, შემთხვევით ძველ შეყვარებულს შეხვდით... გამოელაპარაკებით?**

ა) არა, არავითარ შემთხვევაში – 2 ქულა;
ბ) კი... ვეტყვი, რომ ბედნიერი ვარ – 1 ქულა;
გ) არც შევამჩნევ – 0 ქულა.

**8. გყოლიათ „სათადარიგო ვარიანტები“ და არის ამის აუცილებლობა?**

ა) არა. მე მხოლოდ 1 ადამიანი მჭირდება – 1 ქულა;
ბ) მგონი, საჭიროა – 0 ქულა;
გ) მიფიქრია ამაზე. თუმცა, მგონი, არ მჭირდება – 2 ქულა.

**9. თქვენი რჩეულის ბევრი თვისება გიზიდავთ?**

ა) დიახ. ის ძალიან ახლოს არის ჩემთან – 2 ქულა;
ბ) არ მიფიქრია ამაზე. ჭკუას ვკარგავ მისთვის – 1 ქულა;
გ) არა. მაგრამ მიყვარს – 0 ქულა.

**10. რა გავლენას ახდენს თქვენზე გრძნობა?**

ა) ვცდილობ, უკეთესობისკენ შევიცვალო – 2 ქულა;
ბ) ახდენს ცუდს – არ მძინავს, ვერ ვჭამ, ვნერვიულობ – 0 ქულა;
გ) ბედნიერი ვარ – 1 ქულა.

**11. როგორი დამოკიდებულება გაქვთ სხვა ადამიანებთან?**

ა) სხვა ადამიანებს ველარ ვამჩნევ – 0 ქულა;
ბ) ჩვეულებრივი. არაფერი განსაკუთრებული – 2 ქულა;
გ) არ მიფიქრია ამაზე – 1 ქულა.

**12. რა უდევს საფუძვლად თქვენს ურთიერთობას?**

ა) სურვილი, ოჯახი მქონდეს სტაბილურ პიროვნებასთან და მარტო არ დავრჩე – 0 ქულა;
ბ) არ ვიცი. მთავარია, რომ მისთვის ვცოცხლობ – 2 ქულა;
გ) პასუხი არ მაქვს – 1 ქულა.

### ნახეთ ტესტის შედეგები

**თუ დააგროვეთ 6 ქულაზე ნაკლები:** *თქვენ არ გაქვთ ჭეშმარიტი გრძნობა. ეს უფრო გატაცებაა, ვიდრე სიყვარული. ნურც საკუთარ თავს მოატყუებთ და ნურც მას. თქვენ არ ხართ მზად ოჯახისთვის.*

**7-დან 18 ქულამდე:** *შეყვარებული აშკარად ხართ. თუმცა, სერიოზული ურთიერთობისთვის ჯერ მზად არ ხართ და ნერვიულობთ. ფიქრობთ, რომ მეტი გარანტიები გჭირდებათ, მაგრამ ოჯახი და სიყვარული ისეთი თემაა, გარანტიები არ არსებობს. მთავარია, ორივეს გულწრფელი გრძნობა გქონდეთ.*

**19 ქულაზე მეტი:** *საოცარი სიყვარული გცოდნიათ. თქვენი გრძნობა ისეთი დიდია, რომ ყველაფრისთვის მზად ხართ. მასაც ასე უყვარხართ? მაშინ ნამდვილად დროა, შექმნათ ოჯახი.*

**ელენე წულუკიძე**

# მძარცველთა საგანძური

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №22-32(763)**

გენერალმა წითელი ტელეფონის ყურმილი აიღო. შავ ღილაკს თითი დააჭირა და თქვა:

– სვერდლოვსკთან შემაერთეთ. ლენინის რაიონის სამძებროს უფროსს ოლეგ მასლოვს დამალაპარაკეთ.

ორიოდე წუთის შემდეგ ტელეფონში მამაკაცის ბოხი ხმა გაისმა:

– პოდპოლკოვნიკი მასლოვი გისმენთ.

– კბილა, როგორ ხარ? – თქვა გენერალმა და გაჩუმდა.



– რომელი ხარ? – იკითხა მასლოვმა.

– გენერალი პოპოვი. ვერ მიცანი, ხომ?

– ვასილ ანდრეევიჩ, ძვირფასო... როგორ ხარ? საიდან სადაო, – ისე გაუხარდა პოპოვის ხმის გაგონება მასლოვს, რომ ლამის ყურმილში გამოძვრა.

– რა მიჭირს. შენ როგორ ხარ?

– ძველებურად.

– მეც ძველებურად, – მიუგო გენერალმა და ჰკითხა, – ისევ ისეთი რისკიანი და დაუდეგარი ხარ?

– აბა, როგორ?! სხვაგვარად ჩვენს საქმეში არაფერი გამოგივა. თქვენ რას შვრებით?

– პენსიაზე ვარ, ძვირფასო. მაგრამ გული ისევ ახალგაზრდული მაქვს.

– ეჭვიც არ მეპარება ამაში. სხვა? სხვა რა ხდება?

გენერალმა ხმა დაიდინჯა და მასლოვს უთხრა:

– ოლეგ, ძვირფასო, ლუდაჩკას გარდაცვალების ამბავი ახლახან გავიგე და მთელი არსებით ვიზიარებ შენს მწუხარებას. დიდებული გოგო იყო და ღმერთმა გაანათლოს მისი სული.

– გმადლობთ, ვასილ ანდრეევიჩ, – გაიხარეთ.

– ოლეგ, რა მშვენიერი ქალიშვილი გყოლია. ჩამოსხმული ლუდაჩკაა, ნამდვილი დედოფალია. ისეთი, რომ ავ თვალს არ დაენახვება.

– გალიაზე მეუბნები? – შეცბა პოდპოლკოვნიკი.

– ჰო. გალიჩკაზე, შენს ულამაზეს ქალიშვილზე.

– კი მაგრამ, საიდან იცნობ?

– წუხელ გავიცანი. თხუთმეტი წუთის წინ კი აეროპორტიდან გამოვაცილე. სვერდლოვსკში მოფრინავს და დახვდი. პირველის ნახევარზე ჩამოფრინდება.

– მოიცა, მოიცა, საიდან გამოაცილე?

– ადლერიდან.

– ადლერიდან, კი მაგრამ, ყამირზე არ გაემგზავრა?

– მოგატყუა. ასე მითხრა – მარტოობაში საკუთარი გამოცდა და ზღვაზე დასვენება მინდოდაო, – უთხრა პოპოვმა მასლოვს. შემდეგ კი, ყველაფერი დაწვრილებით უამბო, – კბილა, ლუდაჩკას ხსოვნას გაფიცებ და თუ ოდნავ პატივს მცემ, გოგონას ცუდად არ მოექცე. მან უკვე მიიღო გაკვეთილი. პირობაც დამიდო და დარწმუნებული ვარ, რომ შეასრულებს.

– უყურე ამ ძაღლიშვილს! ეს როგორ გაბედა?! – გაბრაზდა მასლოვი.

– კარგი, ნუ ცხარობ. დაელაპარაკე, მაგრამ ნუ დასჯი, – უთხრა გენერალმა, – მოკლედ, პირველის ნახევარზე აეროპორტში იყავი.

– კარგი. არ დავსჯი. აეროპორტში კი მე ვერ დავხვდები და ვინმეს გავგზავნი. წუთი წუთზე ოპერაციაზე გავდივარ. ინფორმაციას ველოდები.

– რა ხდება, თუ, რა თქმა უნდა, საიდუმლო არაა.

– შენთან დასამალი რა მაქვს, – თქვა მასლოვმა, – ამას წინათ, მოსკოვში რომ ინკასაცია გასწიეს და ნახევარი მილიონი გაიტაცეს, ალბათ, გაიგებდი.

მასლოვის სიტყვებზე პოპოვს გული აუჩქარდა, მაგრამ თავი მოთოკა და მიუგო:

– ჰო. მოვკარი ყური.

– მოკლედ, ხუთმა მძარცველმა ინკასაცია გასწია მოსკოვში და ნახევარი მილიონი გაიტაცა. ოთხი მათ შორის ციხიდან გაქცეული ძებნილი იყო. სამი მძარცველი საქმის დროს დაიღუპა, ორმა კი ფულთან ერთად მოასწრო გაქცევა.

– გაქცეულების კვალს დააჯექით?

– მთლად გაქცეულების – არა. ისინი ერთ ქირუგთან იყვნენ ჩაყუჩებულები. შემდეგ, როგორც გაირკვა, იმ ქირურგმა მათი ფული გაიტაცა და გაიქცა. ჩვენმა ინფორმატორმა გაშიფრა ის და ქირურგის კვალს მივდევთ. ოპერაციას მოსკოვის ცენტრალური აპარატი ატარებს. საქმეში, ჩვენ გარდა, ქართველები და სხვათა შორის, შენები, ლენინგრადელებიც არიან.

– ამდენი ხალხი რა საჭიროა. ვერაფერს ვხვდები.

– აგიხსნი, – მიუგო მასლოვმა, – ვარაუდობენ, რომ შესაძლებელია, მძარცველებიც კუდზე ასხდნენ იმ ქირურგს და თუ ასეა, მაშინ ყველას ერთად ავყრით. ერთ-ერთი მძარცველი თბილისელია და ქართველებიც ამიტომ ჩართეს საქმეში.

– თქვენ და ლენინგრადი?

– ჩვენ და ლენინგრადი კი იმიტომ, რომ ინფორმატორის ცნობით, ის ქირურგი შეიძლება, თქვენთანაც გამოჩნდეს და აქაც. მოკლედ, რაღაც-რაღაცეები ზუსტდება და სადმე მაინც მოვიხელთებთ. ყველას თუ არა, ქირურგს მაინც.

– ყველაფერი გასაგებია, – თქვა პოპოვმა და დაამატა, – კბილა, იცოდე, ფრთხილად იყავი. თუ სადმე მოიხელთებთ იმათ, ფრთხილად იმოქმედე და ტყვიებს შუბლს ნუ შეუშვერ, გალიჩკაზე იფიქრე. მას შენს მეტი არავინ ჰყავს და ერთმანეთს გაუფრთხილდით. გასაგებია?

– გასაგებია, ვასილ ანდრეევიჩ.

– ჩემი ტელეფონის ნომერი ჩაიწერე და აუცილებლად დამირეკე. გალიჩკას კი მივეცი და შენიც გამოვართვი, მაგრამ შენც გეწეროს.

– კარგი. ყველაფრისთვის მადლობა. ნახვამდის.

– ნახვამდის, – მიუგო მასლოვს პოპოვმა. ტელეფონის ყურმილი აპარატზე დადო. ყავარჯნებს დაეყრდნო, კაბინეტიდან გავიდა და მაიორს უთხრა:

– გმადლობთ, მაიორო. ნახვამდის.

– ნახვამდის, ამხანაგო გენერალო, – გამოეჭიმა მალცევი პოპოვს და კაბინეტში შევიდა.

– მოხდა რამე, მამიკო? – ჰკითხა პოპოვს დიმკამ.

– მანქანაში მოგიყვებით. წავედით, – მიუგო გენერალმა და ქალ-ვაჟთან ერთად მოსაცდელი შენობა დატოვა.

განძის მაძიებლები რომ ადლერიდან გაემგზავრნენ, დილის თერთმეტი საათი იყო. პოპოვმა ქალ-ვაჟს დაწვრილებით უამბო პოდპოლკოვნიკ მასლოვთან საუბრის შინაარსი და ბოლოს თქვა:

– აი, რატომ უთქვამს ვასო ჩხიკვაძეს, შეიძლება, გენერალი მოვინახულო ლენინგრადშიო.

– ჩვენ არაფერი გვქონია სანერვიულო და ქირურგმა ზალკინმა იკითხოს. თუ ააგდეს, ისე აბურთავებენ, მიწაზე ფეხს ვერ დაადგამს. კაი მაგარ სროკსაც აჰკიდებენ და ზონაში ამოხდება სული ვირთხასავით, – თქვა დიმკამ და იკითხა, – ისე კი საინტერესოა, ზალკინზე როგორ გავიდნენ?

– მოკავშირე ხომ უნდოდა, რომ დამალულიყო და ინფორმაციამაც გაჟონა, – თქვა პოპოვმა, – მილიცია საბავშვო ბაღი ხომ არაა. პროფესიონალები მუშაობენ და ინფორმატორების კარგი ქსელიც აქვთ გაბმული.

– დაიჭერენ და აი, დარდი! ამ ჩემს ფეხებს... ღირსი კია, – თქვა დიმკამ.

– მაგრამ, ჩვენც ფრთხილად უნდა ვიყოთ. რა იცი, რა ხდება და ჩვენზეც არ გამოვიდნენ, – თქვა პოპოვმა.

– თავისთავად, – დაეთანხმა დიმკა.

***

შავიზღვისპირეთიდან განძის მაძიებლებმა როსტოვისკენ აიღეს გეზი. შვიდასკილომეტრიანი მანძილი რვა საათში დაფარეს. გზაში მხოლოდ ერთხელ შეჩერდნენ და ისიც, – ნახევარი საათით. ისადილეს და კვლავ გზას გაუდგნენ. ნუცა გამოცდილი მძღოლივით მართავდა მანქანას და „ვოლგას“ ლარივით გაჭიმულ გზატკეცილზე მიაქროლებდა. დონისპირა ქალაქში რომ შევიდნენ, საღამოს რვა საათი შესრულდა. გენერალმა მშობლიური ქალაქის მისადგომები რომ დაინახა, გახალისდა და მხიარულად შესძახა:

– აი, დედაროსტოვშიც ჩამოვედით. კეთილი იყოს თქვენი ფეხი ჩემს სამშობლოში.

– სად შევჩერდეთ? ღამე კვლავ ველურ, უკაცრიელი დონის ნაპირებზე უნდა გავატაროთ? – ჰკითხა გენერალს დიმკამ.

– რა თქმა უნდა, არა, – მიუგო პოპოვმა.

– აბა, სად?

– ვარიასთან.

– ეგ ვინაა?

– ჩემი ბავშვობის სიყვარული. ჩემ გამო დღემდე არ გათხოვილა, – თქვა გენერალმა, – ვარიჩკას კერძო სახლი აქვს. მანქანას ეზოში, უსაფრთხოდ გავაჩერებთ და კარგადაც მოვეწყობით. დილით კი გზას გავაგრძელებთ. ვარიჩკა ექთანია და შეიძლება, ცვლაში იყოს. მოდი ერთი, დავრეკავ და გავიგებ ამბავს.

– თუ ცვლაში იქნა, როგორ გაიგებ? – თქვა დიმკამ, – ვიღაცამ ხომ უნდა გიპასუხოს?

– დისშვილი ჰყავს, მართა და ის მაინც იქნება სახლში, – თქვა პოპოვმა და დააყოლა, – მოდი, შვილიკო, გადასვლაში მომეხმარე. სატელეფონო ჯიხურთან მივიდეთ.

პოპოვი ჯიხურში შევიდა. სამიოდე წუთის შემდეგ გამოვიდა და თქვა:

– მართამ მიპასუხა და ასე მითხრა, – დეიდა ცვლაშია და ცხრის მერე დაბრუნდებაო. მოდი, ასე ვქნათ, აქვე, ენგელსის ქუჩის კუთხეში სასადილოა და იქ ვივახშმოთ. ისეთ გემრიელ კერძებს ამზადებენ, თითებს ჩაიკვნეტთ. მანქანა ტროტუართან გავაჩეროთ და ვიტრინიდან შევხედავთ, რომ არავინ გაგვიწიოს.

– მასე იყოს, – მიუგო დიმკამ და პოპოვს მანქანიდან გადასვლაში დაეხმარა, მხარში ამოუდგა.

ნუცამ „ვოლგა“ ტროტუარზე შეაყენა. ჩაკეტა. გასაღები ჯიბეში ჩაიდო და პოპოვს მეორე მხრიდან ამოუდგა.

ტროტუარიდან, სადაც „ვოლგა“ ეყენა, სასადილოს შესასვლელამდე სულ რაღაც ათიოდე მეტრის მანძილი იყო. განძის მაძიებლები უკვე სასადილოს კარს აღებდნენ, როდესაც ნუცამ ძრავას ამოქმედების ხმა გაიგონა. შეტრიალდა და დაინახა, თუ როგორ მოწყდა ადგილს გენერლის „ვოლგა“ და დიდი სიჩქარით გაიჭრა ენგელსის ქუჩაზე.

– მანქანა მოგვპარეს... – აღმოხდა გოგონას და გაფითრდა.

გაფითრდნენ დიმკა და გენერალიც და ადგილზე გაქვავდნენ. პირველი მაინც პოპოვი მოეგო გონს და დიმკას შესძახა:

– ჩქარა, ტაქსი ან კერძო მანქანა გააჩერე.

– რა აზრი აქვს, ისე სწრაფად გავარდნენ, ველარ ვიპოვით, – ხელი ჩაიქნია ბიჭმა.

– დადევნებას არც ვაპირებ. უნდა წავიდეთ. სასწრაფო რეაგირებაა საჭირო, – სხაპასხუპით თქვა გენერალმა.

– ვასილი ანდრეევიჩ, აქვს კი აზრი მილიციაში გაცხადებას? ოქროს კუბო რომ აღმოაჩინონ, უარესი არ იქნება ჩვენთვის? – უთხრა ნუცამ პოპოვს.

– ნუციკო, მილიციაში გაცხადება არც მიფიქრია. სხვაგან მივდივართ, – თქვა პოპოვმა და დიმკას გააყოლა თვალი, რომელიც კერძო „მოსკვიჩს“ წინ გადაუდგა და გააჩერა. მძღოლს ოცდახუთმანეთიანი შეაჩეჩა. შემდეგ გენერალს ჩაჯდომაში დაეხმარა. ნუცასთან ერთად უკანა სავარძელზე მოთავსდა და უხმოდ მიაჩერდა პოპოვს, რომელმაც მძღოლს უთხრა:

– რაც შეიძლება ჩქარა, ვოროშილოვკაზე წაგვიყვანე.

მძღოლი წამით შეცბა, რადგან ვოროშილოვკა, იგივე ვოროშილოვის ქუჩა, როსტოვის „შავ უბნად” ითვლებოდა. იქ ბოროტმოქმედები იკრიბებოდნენ. მილიციაც კი ერიდებოდა იქ გამოჩენას და არც ტაქსისტებს ეხატებოდათ გულზე ის ადგილი, თუმცა, ოცდახუთმანეთიანის ხათრით „მოსკვიჩის“ მძღოლმა შიში დაძლია. მანქანა ადგილს მოწყვიტა და ათიოდე წუთის შემდეგ უკვე როსტოვის ყველაზე სახიფათო რაიონში მიიყვანა მგზავრები.

ჩაბნელებულ ქუჩაზე არც კაცის ჭაჭანება იყო და არც მანქანის. მხოლოდ აქეთიქით ჩამწკრივებული ხის ქოხებიდან გამოდიოდა შუქი. ირგვლივ სამარისებური სიჩუმე იდგა.

– აი, ამ ეზოსთან გააჩერე, – უთხრა პოპოვმა მძღოლს. შემდეგ ქალ-ვაჟის დახმარებით მანქანიდან გადავიდა და როგორც კი კარი მიხურა, „მოსკვიჩი“ ადგილს მოსწყდა და სასწრაფოდ გაშორდა იქაურობას.

– გიჟია? – თქვა დიმკამ, – რა გადარეულივით მოწყვიტა მანქანა.

– არცაა გასაკვირი, – ჩაეცინა გენერალს.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ჩვენ ახლა როსტოვის ყველაზე „შავ უბანში” ვიმყოფებით და აქ შემოსვლას მილიციას კი ერიდება.

– ვისთან მივდივართ?

– ქურდებთან.

– ქურდებთან? – გაიმეორა ნუცამ, – საშიში არაა?

– ნუ გეშინია, შვილო. ჩემთან ხარ.

– გასაგებია. „ვაზვრატზე“ ვჩალიჩობთ, – თქვა დიმკამ.

პოპოვმა არემარე შეათვალიერა. შემდეგ №21 სახლისკენ გაიშვირა ხელი და ქალვაჟს უთხრა:

– იმ ეზოში შევიდეთ.

განძის მაძიებლები ეზოში შევიდნენ. ქოხს მიუახლოვდნენ და პოპოვმა პაროლით დააკაკუნა. ოციოდე წამის შემდეგ კარი გაიღო და ზღურბლზე ოცდახუთიოდე წლის ბიჭი გამოჩნდა. ახალმოსულები შეათვალიერა და იკითხა:

– ვინ გინდათ?

– „ცალთვალასთან“ ვარ. სახლში უნდა იყოს, – მიუგო პოპოვმა.

ბიჭმა პასუხის გაცემა დააყოვნა და ჩაფიქრდა, თან ყავარჯნებიან პოპოვს ათვალიერებდა. გენერალმა კი ბიჭს უთხრა:

– გენერალი ვარ. ცალთვალასთან მოვედი.

– გენერალი? – დუნედ გაიმეორა ბიჭმა და ვერ გადაეწყვიტა, შეეშვა თუ არა სტუმრები.

– ჰო. გენერალი. შენ რაღაც ვერ გცნობ. რა გქვია?

– „კოსტია მალი“, – მიუგო ბიჭმა.

– მალი, გენერალი ვარ, პოპოვი, ვასილი ანდრეევიჩი. არ გსმენია?

მალიმ ვერც ჰოს თქმა გაბედა და ვერც არასი. ამიტომ, ერთადერთი გამოსავალი მოძებნა, განზე გაიწია. ახალმოსულებს გზა დაუთმო. ხელით შეიპატიჟა ქოხში და თქვა:

– შემოდით.

განძის მაძიებლები ქოხში შევიდნენ და კოსტია მალის დაელოდნენ, რომელმაც ქოხის კარი მიიხურა და ოთახისკენ დაიძრა. პოპოვმა ის გააჩერა და ჰკითხა:

– ბევრნი შეიკრიბნენ?

– ყველაა „დუტის“ გარდა და ისიც მალე უნდა მოვიდეს, – მიუგო ბიჭმა.


## მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც); შარდვის პრობლემები: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი; გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან; ასევე, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ და სწრაფად გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა; „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა; ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა. საჭირო გამოკვლევები და დიაგნოსტიკა უახლოესი აპარატურით, ანონიმურობის დაცვით, მყარი, 100-პროცენტიანი შედეგით.

**599-90-54-78; 2-34-02-38. – ოფისი. ქ-ნი მარიამი**

– აბა, კოსტია, შეგვიძეხი ხატაში, – უთხრა ბიჭს პოპოვმა და მალი წინ გაუშვა.

კოსტია პირველი შევიდა განათებულ ოთახში და სანამ განძის მაძიებლებიც იქ შედგამდნენ ფეხს, პოპოვს ცალთვალას ჩახლეჩილი ხმა მოესმა, რომელმაც ბიჭს ჰკითხა:

– მალიოკ, ვინაა? დუტი გაიჩითა?

– დუტი არა, გენერალი, – მიუგო ბიჭმა.

– ვინ გენერალი? შენ... – ცალთვალას სიტყვა შუაზე გაუწყდა, რადგან ამ დროს ოთახში პოპოვი და ქალ-ვაჟი შევიდნენ. მან ჯერ მწველი მზერა კოსტია მალის ესროლა, რომელიც მიხვდა, რომ ქოხში დაუპატიჟებელი სტუმრები შეუშვა, შემდეგ კი, ცალთვალამ ერთადერთი სალი თვალი პოპოვს მიაპყრო და უთხრა:

– ვასილ ანდრეევიჩ, შენ ხარ თუ მეჩვენება?

– მე ვარ. არ გეჩვენება, – მიუგო გენერალმა.

– აქ რა ქარმა გადმოგაგდო?

– საქმეზე მოვედი.

– სამტროდ თუ სამოყვროდ?

– შენთან ოდესმე სამტროდ მოვსულვარ? – ჰკითხა გენერალმა როსტოვისა და როსტოვის ოლქის მაყურებელ ქურდს, რომელსაც ქურდულ შეკრებაზე კოლეგები ჰყავდა დაბარებული.

– ყოველ შემთხვევაში, არც კეთილგანწყობა გეტყობა.

– ეს იმიტომ, რომ გამაბრაზეს. მშობლიურ ქალაქში რომ მოვდიოდი, გული სიხარულით მქონდა აღსავსე, მაგრამ როგორც კი ფეხი შემოვდგი აქ, მაშინვე მაწყენინეს.

– უცნაურია. განა არის აქ ისეთი ვინმე, ვინც ვასილ ანდრეევიჩის წყენინებას გაბედავს, – თქვა ქურდმა. მხრები აიჩეჩა. ხელები გაშალა, – აქ რაღაც გაუგებრობას აქვს ადგილი.

– ჰოდა, მეც ამის გასარკვევად გეწვიეთ ამ სხოდკაზე.

– კარგი რა, ვასილ ანდრეევიჩ, რის სხოდკა. უბრალოდ, მეგობრულ ვახშამზე ვართ შეკრებილები. ესაა და ეს, – თქვა ცალთვალამ.

– ვახშამი საჭმლისა და სასმლის გარეშე? – ორიგინალურია. ალბათ, დუტი მოიტანს ჯადოსნურ სუფრას და რომ გადააფარებს, თავისით გაიშლება, – თქვა პოპოვმა და დაამატა, – ჩემი საქმე არაა თქვენი ამბების მოკითხვა. როგორმე თვითონ გაერკვევით. მე ჩემი მინდა, მივიღო და მეტი არაფერი. აი, ამისთვის მოვედი.

– თქვენი მიიღოთ? – გაიმეორა ცალთვალამ და მხრები აიჩეჩა. კოლეგებს გადახედა, რომლებიც აგრეთვე ვერაფერს მიხვდნენ და გენერალს ჰკითხა:

– ვასილ ანდრეევიჩ, გარკვევით გვითხარი, რა გინდა, რას მოითხოვ ჩვენგან?

– დრო არ ითმენს და მოკლედ გეტყვი. ნახევარიოდე საათის წინ, ენგელსის კუთხეში რომ სასადილოა, ვილაც თავხედებმა „ვოლგა" გამიწიეს ცხვირწინ. ისე შუსტრად წაიყვანეს, რომ დასლოკინებაც ვერ მოვასწარი. მაყუთი იქ არ არის და სიმდიდრე. საბარგული თბილისიდან წამოღებული სუვენირებითაა გატენილი. სალონში ჩემი გენერლის მუნდირია. „ბარდაჩოკში" კი ორი ცალი რკინა, ერთი სიტყვით, მანქანა მთელი უნდა მივიღო.

– სულ ესაა? – შვებით ამოისუნთქა ცალთვალამ, – რაზეა ბაზარი. შენს ურემს ქალწულივით უბიწოს მოგიყვანენ, მაქსიმუმ, ერთ საათში.

– შევთანხმდით, – თქვა პოპოვმა.

– ვასილ ანდრეევიჩ, სულ მთლად გამოვშტერდი. ფეხზე რა გჭირთ?

– ავარიაში მოვყევი და მოვიტეხე.

– სამწუხაროა. დაბრძანდი, მოისვენე, სანამ მანქანას მოიყვანენ, – უთხრა მასპინძელმა გენერალს. სავარძელზე მიუთითა და ახალმოსულები რომ დასხდნენ, კოსტია მალის უთხრა:

– მალიოკ, დატრიალდი და რაც შეიძლება მალე გააჩინე აქ „ვოლგა". ერთი განაკაწრიც რომ ჰქონდეს ან, თუნდაც, ქაღალდის ნაგლეჯიც რომ იყოს დაკარგული, ნურავინ დამენახვება. გასაგებია?

– გასაგებია. წავედი, – თქვა კოსტია მალიმ და ჩქარი ნაბიჯით გავიდა ოთახიდან.

ერთი საათიც არ იყო გასული, რომ კოსტია მალი უკანვე დაბრუნდა და საზეიმოდ განაცხადა:

– „ვოლგა" ეზოს წინ დგას.

– ყოჩაღ, მალიოკ. კარგად გაისარჯე და ჯილდო გეკუთვნის, – უთხრა ცალთვალამ კოსტია მალის, – ამიტომ, იმ იაღლიშს გაპატიებ, ვასილი ანდრეევიჩი ქურდად რომ მიიჩნიე და წესიერად არ გაარკვიე მისი ვინაობა.

– დამნაშავე ვარ... – ხელები გაშალა კოსტიამ. ცალთვალამ კი უთხრა:

– დაიხსომე, მალიოკ, რომ ქურდი ქურდია და გენერალი კი – გენერალი. სად ჩვენ, ბროტმოქმედები და სად პატივცემული ვასილ ანდრეევიჩი. ამით შენ მას შეურაცხყოფა მიაყენე და ქურდებში აგერია. მომავალში გაითვალისწინე ეს.

– კი. აუცილებლად გავითვალისწინებ, – დაიმორცხვა კოსტიამ.

ცალთვალას ორაზროვანი, ირონიული ტონი არ გამოპარვია გენერალს და იმავე სტილში უთხრა მას:

– ძალიან მკაცრად ნუ განსჯი ჩვენს ახალგაზრდა მეგობარს. ჯერ ძალიან ნორჩია. ყველაფერი წინ აქვს და ქურდისგან გენერლის გარჩევასაც ისწავლის. ასე რომ, შეუნდე. არცოდნა არცოდვაა.

– ჩვენს საქმეში არცოდნა, შეიძლება, დიდი სროკი დაგიჯდეს კაცს, – თქვა ცალთვალამ. შემდეგ კი ღიმილით დაამატა, – ვაპატიებ, მხოლოდ თქვენი ხათრით, ვასილ ანდრეევიჩ, მხოლოდ თქვენი ხათრით.

– მადლობის მეტი რა მეთქმის. მალიოკს აპატიე, „ვოლგა" დამიბრუნე. სიკეთით გადამეხადოს. ახლა კი, თქვენის ნებართვით, დაგტოვებთ. ნახვამდის, – თქვა გენერალმა.

მრგვალი მაგიდის ირგვლივ შეკრებილი ქურდები ფეხზე წამოდგნენ და პოპოვს გამოემშვიდობნენ. ცალთვალამ კი სტუმარს გაუღიმა და უთხრა:

– სამწუხაროა, რომ ასე მალე გვტოვებთ, მაგრამ მესმის თქვენი. საქმე გიხმობთ. საქმის ღალატი კი არ იქნება. წამობრძანდით, გაგაცილებთ. თან, თქვენს ქალწულსაც შევავლებ თვალს.

ცალთვალა მანქანამდე გაჰყვა განძის მაძიებლებს და სანამ არ დარწმუნდა, რომ ყველაფერი სრულად ჩაბარდა პატრონს, ფეხი არ მოუცვლია ადგილიდან. პოპოვი რომ ნუცას გვერდით მოკალათდა, მან ფანჯარასთან ჩაიცუცქა და გენერალს სერიოზული სახით, ჩურჩულით ჰკითხა:

– ვასილ ანდრეევიჩ, მართალია, რომ სედოიმ და მისმა პაძელნიკებმა მოსკოვში ნახევარი ლიმონის ინკასაცია გასწიეს და მოტყდნენ?

– ო, მეც მოვკარი ამას ყური.

– ესე იგი, მართალია, – დაასკვნა ცალთვალამ.

– მერე, რა რო?

– მერე ის, გენერალო, რომ არავინ მოასვენებს და მთელი ცხოვრება დევნილი მგელივით უნდა იყოს. არადა, უკვე ახალგაზრდაც არაა. თუ მოახერხა და მილიციას ან კიდევ უარესს, ქვეყნიდან გაასწრო, ხომ კარგი. წინააღმდეგ შემთხვევაში კი, ძალიან გაუჭირდება თავის უსაფრთხოდ შენახვა, ნახევარი ლიმონითაც კი, – მიუგო ცალთვალამ.

– შემთხვევით, სადმე ხომ არ გადაყრიხარ ამ ბოლო დროს სედოის?

ცალთვალას ჩაეცინა და გენერალს უთხრა:

– ვასილ ანდრეევიჩ, ვგავარ იმ კაცს, ვისაც ასეთ კითხვებს უსვამენ?

– კარგი, კარგი, ნუ გეწყინება, გეხუმრე. შენი დიდი მადლობელი ვარ. აბა, ნახვამდის, – მიუგო პოპოვმა ცალთვალას და ხელი გაუწოდა.

ქურდმა გენერალს ხელი ჩამოართვა და უთხრა:

– რის მადლობა, ვასილ ანდრეევიჩ. ნახვამდის. სედოი კი უკვე თითქმის ათი წელია, რაც აღარ მინახავს.

ნუცამ „ვოლგა" ადგილიდან დაძრა და როსტოვის ყველაზე სახიფათო უბანი დატოვა. ცალთვალა კი ქოხში დაბრუნდა.

* * *

ცალთვალასგან წამოსული განძის მაძიებლები ღამით გენერლის ბავშვობის შეყვარებულთან დარჩნენ. დილით კი უთენია ადგნენ. ლენინგრადისკენ აიღეს გეზი და შემდეგი დღის საღამოს უკვე ნევისპირა ქალაქში ჩააღწიეს.

ნუცამ „ვოლგა" ავტოფარეხში გააჩერა. გენერალი მანქანაში დარჩა. ქალ-ვაჟმა კი სუვენირებით სავსე ჩანთები ამოალაგა და იქვე მიაწყვეს. ბოლოს ბრეზენტში გახვეული ოქროს კუბოც ამოიღეს. დიმკამ ის მხარზე მოიგდო. ნუცა გენერალს მიეხმარა და სამივე ლიფტით ავიდა პოპოვის ბინაში.

– როგორც იქნა, დაბრუნდით, – ახალმოსულებს შეეგება სედოი. დიმკას და პოპოვს გადაეხვია. ნუცა კი შეათვალიერა,

მიესალმა და გენერალს ჰკითხა:

– ეს მშვენიერი ფერია ვინაა? – თუმცა, მე მგონი, ვხვდები. ნუცა მგელაძეა?

– კი. ჩვენი ნუციკოა, – მიუგო პოპოვმა.

– სად დაიკარგეთ ამდენ ხანს. გული კინაღამ გაგვისკდა თქვენს ლოდინში, – თქვა სედოიმ.

– ჩვენ თვითონ კინაღამ დავიხოცეთ ნერვიულობით. იმდენი რაღაც გადაგვხდა თავს ამ მოკლე დროში, ას კაცს ათასი წელი ეყოფა, – მიუგო პოპოვმა.

– ფეხზე რა გჭირს?

– ჯერ განძი განახოთ და მერე მოგიყვეთ ჩვენი ამბები თუ პირიქით? – ჰკითხა სედოის პოპოვმა.

– პირიქით, – მიუგო სედოიმ.

გენერალმა სიგარეტი გააბოლა და სედოისა და ფიგაროს დაწვრილებით უამბო ყველაფერი. ბოლოს ჰკითხა:

– რა დასკვნა გამოიტანე ამ ყველაფრიდან, სიომკა?

– დასკვნები ბოლოს. ახლა განძი ვნახოთ.

დიმკამ ოქროს კუბოს ბრეზენტი შემოაცალა. შემდეგ, ნუცამ და ბიჭმა განძის საცავს თავი მოხადეს და სედოისა და ფიგაროს ანახვეს.

– მაგარია! ეს იმაზე ბევრად მეტი და ძვირფასია, რაც ზალკინმა აგვახია, – თქვა სედოიმ, – ფიგარომ კი დაამატა:

– ზღაპრული სიმდიდრეა.

– ახლა შენი აზრი მაინტერესებს, სიომკა. რას იტყვი ჩემს მონაყოლზე. როგორ ფიქრობ, მილიციას აქვს შანსი, რომ ჩვენს კვალზე გამოვიდეს? – ჰკითხა გენერალმა სედოის.

– რაღაც მცირე შანსი ყოველთვისაა, ყველა საქმეში და ეს შენ ჩემზე არანაკლებად იცი. თუმცა, მეეჭვება, რომ ჩვენზე გამოვიდნენ. თუ... რა თქმა უნდა... ჩვენ არ მივცემთ მილიციას ამის შანსს, – თქვ... სედოიმ.

– ზალკინზე... როგორ გავიდნენ? – იკითხ... დიმკამ.

– გავიდნენ... რო? – ჩაეცინ... სედოის.

– ეგ რას ნიშნავს? – ჰკითხა დიმკამ.



– რაც ვთქვი, იმას. თუკი ქირურგის კვალს დაადგნენ, მაშინ კიდეც უნდა აეყვანათ. აიყვანეს?

– ჯერ არ ვიცი, – მხრები აიჩეჩა ბიჭმა.

– ჰოდა, ჯერ ეგ უნდა გავარკვიოთ. დანარჩენზე კი მერე ვიმსჯელოთ, – მიუგო ბიჭს სედოიმ და გენერალს მიუბრუნდა:

– ვასკა, ხომ გაქვს იმ მასლოვის ტელეფონი?

– კი, – უთხრა პოპოვმა.

– ჰოდა, დაურეკე და ფრთხილად გაარკვიე.

– მართალი ხარ, ახლავე, – თქვა პოპოვმა და ფიგაროს უთხრა:

– ტელეფონი მომაწოდე.

ფიგარომ სავარძელში მოკალათებულ გენერალს ტელეფონი მიუტანა. პოპოვმა სვერდლოვსკის კოდი აკრიფა, შემდეგ მასლოვების ბინის ნომერი და დაელოდა.

– გისმენთ, – გაისმა გალიას ხმა.

– გალიჩკა, შვილო, როგორ ხარ? – მოიკითხა გენერალმა გოგონა.

– გამარჯობა, ვასილ ანდრეევიჩ. მე კარგად ვარ. თქვენ?

– მეც არა მიშავს.

– ფეხი როგორ გაქვთ?

– უკეთესად.

– ძალიან გამიხარდა, რომ დარეკეთ.

– მეც.

– როდის ჩახვედით?

– ამწუთას შემოვედი ბინაში ფეხი, – მიუგო პოპოვმა, – შენ როგორ იფრინე?

– კარგად. გმადლობთ.

– დაგხვდნენ, ხომ?

– კი, მაგრამ მამა – არა. საქმეზე იყო წასული და მისი თანამშრომელი დამხვდა.

– ახლა სადაა ოლეგი?

– ციმბირში.

– ციმბირში რა უნდა, როდის გაემგზავრა?

– ამ დილით, ვასილ ანდრეევიჩ.

– ხომ არ გაგიბრაზდა?

– ჯერ არა.

– ჯერ არა, რას ნიშნავს?

– რაც ჩამოვედი, მამა მხოლოდ ორი საათით ვნახე. ისიც, სხვისი თანდასწრებით. სხვათა შორის, ჩვენთან კაპიტანი ჩხიკვაძე იყო და მოგიკითხათ.

– ვასო?

– დიახ, ვასო. აი, ის, თქვენ რომ ფეხი მოგტეხათ.

– რაო, ვასომ?

– მამასთან ერთადაა ციმბირში. ვიღაცის დასაჭერად არიან წასულები და როდის ჩამოვლენ, არ იციან. ეგ ვასო ლენინგრადშიც ყოფილა, მაგრამ თქვენთან მოსვლა ვერ მოახერხა. იქიდან ჩვენთან გადმოფრინდა. შემდეგ კი, მამასთან ერთად, ციმბირში გაემგზავრა. მოკლედ, დიდი გაწამაწიაა.

– გასაგებია. შენ ხომ არ მოიწყინე მარტო?

– არა. წიგნებს ვკითხულობ, თან დღიურებს ვწერ.

– ძალიან კარგი. აბა, შენ იცი, ჭკვიანად იყავი, ჩემო გოგონა. დაგირეკავ კიდევ. კბილა რომ ჩამოვა, დამირეკე და შემატყობინე.

– კარგი, დაგირეკავთ.

– აუცილებლად დამირეკე, თორემ ძალიან ვნერვიულობ. მაგის ამბავი რომ ვიცი, გული გახეთქაზე მაქვს.

– კარგი, არ ინერვიულოთ. ნახვამდის.

– ნახვამდის, შვილო, – მიუგო გალიას გენერალმა. ყურმილი დაკიდა და სედოის უთხრა.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ბ | ი | ნ | ო | შ | ი |
| | | | | ა | ■ | ე | ■ | ა | ■ |
| | | | | ნ | ე | პ | ე | რ | ი |
| | | | | დ | ■ | ტ | ■ | ა | ნ |
| | | | | ი | ■ | უ | რ | ვ | ა |
| ■ | ი | ლ | ა | ტ | ა | ნ | ■ | ა | ს |
| ი | ნ | ა | ბ | ი | ლ | ი | ო | ნ | ი |
| ■ | დ | ■ | რ | ■ | ბ | ■ | ს | დ | ■ |
| ვ | ე | ნ | ე | რ | ა | ■ | ა | ე | ■ |
| უ | მ | უ | მ | ■ | ტ | ო | ნ | დ | ო |
| ი | ნ | რ | ე | ვ | ■ | ■ | ა | ი | ა |
| პ | ი | ა | ნ | ი | ნ | ო | ■ | ■ | ზ |
| ■ | ტ | ვ | ი | ნ | ი | ■ | ა | ბ | ი |
| ო | ე | ■ | ■ | ■ | ს | ■ | ■ | ე | ს |
| ა | ტ | ე | კ | ნ | ა | ქ | ა | ბ | ი |
| რ | ი | კ | ■ | ი | ნ | ე | დ | ი | ■ |
| ი | ■ | ა | დ | ლ | ი | ■ | ფ | ა | უ |

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 5 | 4 | 8 | 6 | 9 | 2 | 1 | 3 |
| 6 | 2 | 1 | 4 | 3 | 5 | 7 | 8 | 9 |
| 3 | 8 | 9 | 7 | 2 | 1 | 4 | 5 | 6 |
| 1 | 3 | 8 | 5 | 7 | 6 | 9 | 2 | 4 |
| 9 | 4 | 5 | 2 | 1 | 3 | 6 | 7 | 8 |
| 2 | 7 | 6 | 9 | 8 | 4 | 5 | 3 | 1 |
| 8 | 6 | 2 | 3 | 9 | 7 | 1 | 4 | 5 |
| 4 | 1 | 3 | 6 | 5 | 2 | 8 | 9 | 7 |
| 5 | 9 | 7 | 1 | 4 | 8 | 3 | 6 | 2 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 3 | 9 | 2 | 1 | 4 | 8 | 5 | 7 |
| 7 | 8 | 1 | 3 | 9 | 5 | 6 | 2 | 4 |
| 2 | 4 | 5 | 8 | 7 | 6 | 1 | 3 | 9 |
| 5 | 9 | 3 | 1 | 4 | 7 | 2 | 6 | 8 |
| 8 | 7 | 6 | 9 | 5 | 2 | 4 | 1 | 3 |
| 1 | 2 | 4 | 6 | 3 | 8 | 9 | 7 | 5 |
| 3 | 1 | 8 | 7 | 6 | 9 | 5 | 4 | 2 |
| 9 | 5 | 7 | 4 | 2 | 1 | 3 | 8 | 6 |
| 4 | 6 | 2 | 5 | 8 | 3 | 7 | 9 | 1 |

„თუ გამოიცნობთ“ რუბრიკის პასუხები: **1. ტურინის კვართი იესოს გამოსახულებით. 2. ჯონი ვაისმიულერის – ტარზანის ხმა. 3. სოდომი და გომორი. 4. სამსხივიანი ვარსკვლავი – „მერსედესის“ ემბლემა. 5. ჰარმონია. 6. „აილო“ – რა თქმა უნდა, ქრთამი. 7. ასუანის კაშხალი – ჰიდროელექტროსადგური. 8. 365. 9. სასიყვარულო ხაზი პუაროსა და მარპლს შორის. 10. „დისნეილენდს“.**

# ვინ იყო ქართველი თაღლითი, რომელმაც გრიგორი რასპუტინის უახლოეს გარემოცვაში შეღწევა მოახერხა



### თაღლითების დინასტია

ამბაკო სარჯველაძე გურიის ერთ-ერთ სოფელში, 1939 წელს დაბადებული თაღლითი იყო და ეს „პროფესია" მას ბაბუისა და მამისგან ერგო. ბაბუამისი, ამბაკო სარჯველაძე, ჯერ კიდევ ცარიზმის დროს მოღვაწეობდა. გარეგნულად ძალიან წარმოსადეგი, ნიჭიერი კაცი გახლდათ და ერთი პერიოდი, გრიგორი რასპუტინის უახლოეს გარემოცვაშიც კი შეაღწია. ის ბრწყინვალე თავადად ასაღებდა თავს. არაფრით ჩამოუვარდებოდა რასპუტინს ქალებთან ურთიერთობის მხრივ და ისევე, როგორც „მამა გრიგორი", მაღალი საზოგადოების ქალბატონთა სიყვარულით სარგებლობდა. ამბაკო-უფროსი, სწორედ, ამ მოხიბლული ქალების გავლენას იყენებდა. ბანკებიდან სესხს იღებდა და არ აბრუნებდა, რისთვისაც პასუხს არავინ სთხოვდა. თუმცა, რასპუტინის მკვლელობის შემდეგ, ამბაკო თურქეთში გაიქცა და მხოლოდ რევოლუციის მერე დაბრუნდა უკან. 1923 წელს კი მან თავისი უკანასკნელი აფერა გაჩარხა. წითელი არმიის ერთ-ერთ სომხურ გარნიზონს, ამბაკომ 20 ათასი ოქროს მანეთი გამოართვა, სანაცვლოდ, ჯარისკაცები ერთწლიანი კვებით უნდა უზრუნველეყო. მან კი თანხა ჩაიჯიბა, ლენინგრადში გაემგზავრა და „დაამლერა". თუმცა, „ჩეკამ" ის დააპატიმრა და დახვრიტეს... ამბაკო-უფროსს 10 წლის შვილი, ერთადერთი ვაჟი – პორფილე დარჩა. ისიც მამის კვალს გაჰყვა და ჯერ 16 წლისაც არ იყო, რომ თაღლითობით ირჩენდა თავს. პორფილე აქტიორული ნიჭით გამოირჩეოდა. ის თბილისში მოღვაწეობდა. თავს კომუნისტი მაღალჩინოსნის შვილად ასაღებდა და ყოფილ თავადებსა და ვაჭრებს აშანტაჟებდა. ფულს სძალავდა მათ და იოლ, ბოჰემურ ცხოვრებას ეწეოდა. 1935 წელს კი პორფილე ერთ-ერთი გერმანელი ინჟინრის მოტყუებისთვის დააპატიმრეს და 22 წლის ბიჭი ციხეში ჩასვეს. პორფილემ გერმანელს 3 400 მანეთი გამოსძალა, სანაცვლოდ კი მისთვის, ვითომდა უნიკალური ოქროს ხატი უნდა მიეტანა, რომელიც სახელმწიფო მუზეუმში იყო გამოფენილი და ინჟინერს მოეწონა. ციხიდან პორფილე 1938 წელს გამოვიდა. იმავე წელს დაქორწინდა. ერთი წლის მერე მას ვაჟი შეეძინა, რომელსაც მამის პატივსაცემად, ამბაკო დაარქვა. თავად პორფილე სარჯველაძე კი 1942 წელს, უკრაინაში, ფრონტზე დაიღუპა.

ამბაკო-უმცროსი მამა-პაპის საქმის ღირსეული გამგრძელებელი აღმოჩნდა. ბავშვი, ისევე, როგორც მისი წინაპრები, მოხდენილი და გონებამახვილი იყო. ჯერ კიდევ ადრეულ ასაკშივე ამჟღავნებდა თაღლითობისადმი მიდრეკილებას. პირველი სერიოზული თაღლითობა ამბაკომ 1953 წლის 7 მარტს ჩაატარა... სტალინი ორი დღის გარდაცვლილი იყო. მთელი ქვეყანა გლოვობდა. უამრავ ადამიანს მოსკოვში გამგზავრება და დიდი ბელადის უკანასკნელ გზაზე გაცილება უნდოდა. ეს ყველაფერი რომ გაიაზრა, 14 წლის ამბაკომ გადაწყვიტა, ფული გაეკეთებინა. ბიჭმა სკოლის კანცელარიიდან გერბიანი, ბეჭდიანი ფურცლები მოიპარა. ფურცლებზე კი ტუშით რუსულ ენაზე ლამაზად დააწერა, რომ თითქოს ეს ფურცლები სტალინის დაკრძალვაზე დასასწრები, კოლექტიური საშვი იყო. შემდეგ ეს ფურცლები მოსკოვში წამსვლელთა სახელებით შეავსო (სულ 400 ადამიანი დაეტია), თითოეულს 25-25 მანეთი გამოართვა და შეგროვილი 10 ათასით გაუჩინარდა... თუმცა, თაღლითს მალე მიაგნო მილიციამ. ის გურიიდან ჩამოიყვანეს და ფული ჩამოართვეს. დასჯით კი ვერ დასაჯეს, რადგან არასრულწლოვანი იყო და მხოლოდ აღრიცხვაზე აიყვანეს. თან, ხელწერილი დაადებინეს, რომ აღარ ითაღლითებდა.

### კოოპერატივი „მშენებელი"

მილიციისთვის მიცემული ხელწერილი ამბაკო-უმცროსმა სულ რაღაც ორ კვირაში დაარღვია და ბათუმში ერთი რუსი დამსვენებელი მოატყუა, რომელსაც 2 500 მანეთი გამოსძალა, ვითომდა ბრილიანტის ყელსაბამის სანაცვლოდ. ბიჭმა მოტყუებულს ბებიამისის ძვირფასი სამკაული მიუტანა, რომელიც ბაბუამისს (ამბაკო-უფროსს ერთ-ერთმა თავადის ქალმა აჩუქა) ცოლისთვის ჰქონდა ნასახსოვრები. ფული რომ მიიღო, 15 წლის თაღლითმა ბავშვმა მყიდველს „კუკლა" (ნივთის თვალწინ შეცვლა) გაუკეთა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. მოტყუებულმა ქალმა მილიციას მიმართა, თუმცა, ბოროტმოქმედის ვინაობის დადგენა ვერ მოხერხდა და ამბაკო სასჯელს გადაურჩა.

**უფროსი ამბაკო სარჯველაძე ქალებთან ურთიერთობის მხრივ არაფრით ჩამოუვარდებოდა გრიგორი რასპუტინს**

1957-1961 წლებში ამბაკო რუსეთში გაემგზავრა და სხვადასხვა წვრილმანი აფერით იყო დაკავებული. ძირითადად, „კუკლებს" უკეთებდა თავის მსხვერპლს და ვალუტის მაგივრად, ხან დაჭრილ ქაღალდებს აჩეჩებდა მათ; ძვირფასი ნივთების სანაცვლოდ – ძველმანებს, ხოლო სამკაულების მაგივრად – იაფფასიან ბიჟუტერიას... პირველი მსხვილი აფერა ამბაკო-უმცროსმა 1962 წელს განახორციელა. მან თბილისის ერთ-ერთი სამშენებლო ტრესტის მმართველისგან 45 ათასი მანეთი აიღო. ფულის სანაცვლოდ კი, ტრესტს ციმბირის ძვირფასი ხის ნედლეულით დატვირთული ორი ეშელონი უნდა მიეღო. ტრესტი შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისთვის ხის აგარაკებს აშენებდა. ამიტომ, თაღლითის ძებნით თვით დაზარალებული უწყების (მილიციის) მაღალჩინოსნები დაინტერესდნენ და 1963 წლის დასაწყისში ამბაკო სარჯველაძე მოსკოვში დააპატიმრეს. თუმცა, გატაცებული 45 ათასიდან მას მხოლოდ 3 ათასი მანეთიღა ჰქონდა დარჩენილი. ის გაასამართლეს და 8 წლით ციხეში ჩასვეს. თაღლითი რუსეთში იხდიდა სასჯელს და 2 წლის მერე მოახერხა გარეთ გამოსვლა. 1965-1985 წლებში ამბაკო სარჯველაძე კიდევ ორჯერ გაება და შესაბამისად, 3 და 5 წელი გაატარა საპყრობილეში. „პერესტროიკის" დროს კი, მან თბილისელ სომეხთან, ვართან პოღოსიანთან ერთად, სამშენებლო კოოპერატივი – „მშენებელი" დააარსა. ფირმა მხოლოდ ქაღალდზე არსებობდა. თანაც, მარნეულის მკვიდრზე, ვინმე მაშალა ჰასანოვზე იყო გაფორმებული. თბილისელი თაღლითები საბჭოეთის სხვადასხვა რესპუბლიკაში სამშენებლო კონტრაქტებს აფორმებდნენ, ვითომდა ფინური კოტეჯების ასაშენებლად, შემდეგ ბანკიდან სესხებს იღებდნენ და იჯიბავდნენ. ჰასანოვს კი ყოველთვიურად 300 მანეთს უხდიდნენ. ამგვარად, აფერისტების ტანდემმა 1986-1989 წლებში 2 მილიონ 650 ათასი მანეთის სახელმწიფო სესხი მიითვისეს და 1989 წლის სექტემბერში უშიშროების საგანგებო ჯგუფი მარნეულში ჩავიდა ჰასანოვის დასაკითხად. თუმცა 87 წლის მოხუცი მათ 4 თვის გარდაცვლილი დახვდათ... მისმა შვილმა კი გამომძიებლები სარჯველაძესა და პოღოსიანზე გაიყვანეს. თაღლითებზე საკავშირო ძებნა გამოცხადდა, მაგრამ უკვე გვიანი იყო. თბილისელმა აფერისტებმა გატაცებული კრედიტებით ძვირფასი ქვები – ბრილიანტი, ლალი და ზურმუხტი შეიძინეს და ჯერ თურქეთში გადავიდნენ. იქიდან კი ავსტრალიაში ამოყვეს თავი...

***P.S.** თბილისელმა აფერისტებმა ქალაქ სიდნეიში, ერთ-ერთ ადგილობრივ ბიზნესმენთან ერთად, სამშენებლო ფირმა გახსნეს და წარმატებით აამუშავეს. ეს ფირმა ადგილობრივ ფერმერებს ინფრასტრუქტურის მშენებლობაში ეხმარებოდა. სანიმუშო რეპუტაცია გაჩნდა და დიდი პოპულარობით სარგებლობდა ხალხში... ამბაკო სარჯველაძე 2012 წელს, 73 წლის ასაკში გარდაიცვალა. მისი ფირმა კი დღემდე ფუნქციონირებს და ამ საქმიანობას უკვე მისი შვილიშვილი, ამბაკო აგრძელებს.*

**ნიკა ლაშაური**

# როგორ მოკლა დედამთილმა რძალი ორი მცირეწლოვანი ბავშვის თვალწინ



63 წლის ელენე ჭ-ძე სასამართლომ რძლის მკვლელობის ბრალდებით გაასამართლა. განზრახ მკვლელობაში ბრალდებული, რძლის მოკვლის ფაქტს ადასტურებდა, თუმცა როგორც გამოძიების პროცესში, ასევე სასამართლო პროცესზე, ის ამტკიცებდა, რომ 37 წლის რძალი თავად დაესხა თავს და მკვლელობა აუცილებელი მოგერიების ფარგლებში ჩაიდინა. საპირისპიროს ამტკიცებდა დაზარალებული მხარე – გარდაცვლილის ქმარი და მისი და, რომლებიც როგორც სასამართლოზე, ასევე გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებებში აცხადებდნენ, რომ დედამთილი ქორწინების პირველი დღიდან ვერ იტანდა რძალს, რომელსაც პირველი ქორწინებიდან ერთი შვილი ჰყავდა. მის შვილთან კი, კიდევ ორი შვილი გაუჩნდა.

რა გახდა 37 წლის ეკა მ-შვილის მკვლელობის მიზეზი და როგორ მოხდა მკვლელობა გარდაცვლილის სახლში, ამის შესახებ საქმის მასალების მიხედვით გახდა ცნობილი. მკვლელობის დღეს, 63 წლის ელენე ჭ-ძე შვილის სახლში დილით მივიდა. მას რძალთან რთული და დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა. რძალ-დედამთილს შორის დაწყებული უსიამოვნო საუბარი, ჩხუბსა და ხელჩართულ დაპირისპირებაში გადაიზარდა, რომელსაც გარდაცვლილი ქალის ორი მცირეწლოვანი შვილი შეესწრო. დედამთილმა, ელენე ჭ-ძემ დანით ორი ჭრილობა მიაყენა ეკა მ-შვილს. მიყენებული დაზიანებებისგან ახალგაზრდა ქალი საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა. გამოძიებას პირველი ჩვენება გარდაცვლილი ქალის მეზობელმა მისცა, რომელმაც განაცხადა, რომ კართან შეხვდა ელენე ჭ-ძე და მას დაჭრილი რძლისთვის სასწრაფოს გამოძახება სთხოვა. ამონაწერი მოწმის ჩვენებიდან: „ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ორი პატარა ბავშვით ჩემს მეზობლად რამდენიმე თვის წინ გადმოვიდა. საკმაოდ ჩაკეტილად ცხოვრობდნენ, მეზობლებთან ურთიერთობა არ ჰქონდათ. თუმცა, როცა ერთმანეთს სადარბაზოში ვხვდებოდით, ცოლიც და ქმარიც ზრდილობიანად მესალმებოდნენ. რა მოხდა იმ დღეს მათ ბინაში, ჩემთვის უცნობია. კიბეზე ამოვდიოდი, როდესაც სახლიდან ქალბატონი გამოვარდა, ანერვიულებული სახე ჰქონდა. სასწრაფოს დაუძახეთო, მითხრა და კიბეზე დაეშვა. სანამ სასწრაფოში დავრეკავდი, ბინაში შევედი. დავინახე, ორი პატარა ბავშვი, დაჭრილ, სისხლში ამოსვრილ დედას დასტრიალებდა თავს. გოგონას თეთრი ზედატანი ეცვა და ზურგი მთლიანად სისხლით ჰქონდა დასვრილი. ქალი სამზარეულოში იწვა ძირს, იატაკზე. მე გამოვიძახე სასწრაფო და ადგილზე მოვიდა პოლიციაც."

სამედიცინო ბრიგადამ ზურგში დაჭრილი ახალგაზრდა ქალის გადარჩენა ვერ შეძლო. მას დაზიანებული ჰქონდა ფილტვი. იქვე, შემთხვევის ადგილზე, ეგდო დანაშაულის იარაღიც – დიდი ზომის დანა, რომელიც გარდაცვლილის სისხლით იყო მოსვრილი. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. სამართალდამცველებმა დააკავეს დანაშაულში ეჭვმიტანილი დედამთილი, ელენე ჭ-ძე, რომელმაც ჩადენილი დანაშაული აღიარა. ამონაწერი მისი ჩვენებიდან: „ამ ინციდენტამდე რამდენიმე ხნით ადრე, შვილმა და რძალმა, ჩემი ნებართვით გაყიდეს ჩემი კუთვნილი ბინა. ჩვენი მოლაპარაკების მიხედვით, უნდა გვეყიდა ორი ბინა – ერთი ჩემთვის, მეორე შვილისა და რძლისთვის. მათ ჩემთან ერთად ცხოვრება არ უნდოდათ. იმ პერიოდში პირად საქმეებზე უცხოეთში მომიწია წასვლა. ამიტომ, ჩემთვის ცნობილი არ იყო, რომ შვილმა და რძალმა ბინა შეიძინეს. მასში კი ის თანხაც ჩადეს, რომელიც ჩემი ბინისთვის იყო განკუთვნილი. თბილისში დაბრუნებულმა აღმოვაჩინე, რომ უსახლკაროდ დამტოვეს, რაზედაც ჩემს რძალთან დაპირისპირება და კონფლიქტი მომიხდა. მან შემომთვაზა, რომ ქირით მეცხოვრა

**როცა გავიგე, რომ ჩემს რძალს საყვარელი ჰყავდა, გონება დავკარგე**

დარჩენილი წლები, რის გამოც ჩვენ შორის ურთიერთობა დაიძაბა. მან საერთოდ ამიკრძალა მის სახლში მისვლა. არ პასუხობდა ჩემს სატელეფონო ზარს და იგივეს მოითხოვდა ჩემი შვილისგანაც, რომელსაც მივხვდი, რომ ჩემთან ურთიერთობის ეშინოდა."

ბრალდებული ქალის ჩვენების მიხედვით, მკვლელობის დღეს, როდესაც ის რძლისა და შვილის ბინაში მივიდა, ეკა მ-შვილი მას სახლში არ უშვებდა, რის გამოც, ის ძალიან აღელდა. „კარი ცხვირწინ მომიკეტა, მაგრამ გავუძალიანდი და მაინც შევაღე. სახლში მარტო იყო, ბავშვებთან ერთად. მაშინვე ჩხუბი დამიწყო, უშვერი სიტყვებით მლანძღავდა. მე ვუთხარი, რომ არ მივცემდი უფლებას, მის გამო დამეკარგა ერთადერთი ვაჟი. ამის გამო ეკასგან საშინელი სიტყვები მოვისმინე. მე მას ვუთხარი, რომ ვიცოდი, საყვარელი ჰყავდა და ამის შესახებ აუცილებლად ვეტყოდი ჩემს შვილს. ეს ამბავი ახალი გაგებული მქონდა და დეტალებს ვაზუსტებდი. როცა ეს გავიგე, ისე განვიცადე, გონება დავკარგე. აღარც სახლი მახსოვდა და არც არაფერი. იმ მამაკაცის ვინაობაც ვიცოდი – ჩემს შვილს ეახლობლებოდა. როცა ეკას ეს ბრალდება წავუყენე, ძალიან გაბრაზდა. მივხვდი, რომ ჩემი ინფორმაცია მართალი იყო – უცებ დანას წამოავლო ხელი, ჩვენ ერთმანეთთან ვძიძგილაობდით. ვცდილობდი, მისთვის დანა წამერთმია, მაგრამ ჩემზე ძლიერი იყო – ძირს დამაგდო, ზემოდან დამაწვა და ყელის გამოჭრით მემუქრებოდა. მე მოვახერხე მისთვის დანის წართმევა და ზურგში ორჯერ ჩავარტყი, რომ თავიდან მომეცილებინა."

გარდაცვლილი ქალის ოჯახის წევრები, მშობლები და ქმარი, ამტკიცებდნენ, რომ ეკა მ-შვილი ფიზიკურად სუსტი აღნაგობის იყო და უფრო ძლიერ დედამთილს, ძალით ვერ დაჯაბნიდა. გამოძიებამ ვერ შეძლო ვერანაირი ინფორმაციის მიღება მცირეწლოვანი ბავშვებისგან მომხდარის შესახებ, მათი შოკური მდგომარეობის გამო. სასამართლო პროცესზე რძლის მკვლელობაში ბრალდებულ ქალს დაუპირისპირდა საკუთარი შვილიც. ვანო ჭ-ძის ჩვენების მიხედვით, დედა მის ცოლს ქორწინების პირველი დღიდან ვერ იტანდა და მუდმივად სთხოვდა, ის სახლიდან გაეგდო. რვა თვის ორსულზე მითხრა, გაშორდი და სახლიდან გააგდეო, – განაცხადა გარდაცვლილი ქალის ქმარმა დედის შესახებ. მან ასევე, უსაფუძვლოდ მიიჩნია დედის განცხადება, რომ მის რძალს საყვარელი ჰყავდა და მკვლელის სასტიკად დასჯა მოითხოვა. სასამართლომ ელენე ჭ-ძე დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

**ეკა ბარაბაძე**

**მომავლის ხედვის უნიკალური მეთოდი**

გაფრთხილება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ; უარყოფითი ენერგეტიკული ზემოქმედების (ჯადო, გათვალვა) დადგენა; ეზოთერიკულ-ფსიქოლოგიური დახმარება; წარსულის, აწმყოსა და მომავლის თავისებურებებზე მსჯელობა; პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზის დადგენა; დასმულ შეკითხვებზე პირდაპირი პასუხების მიღება.

**ყოველივე ამას უძველესი და მემკვიდრეობით მეხუთე თაობაზე გადმოცემული მეთოდის დახმარებით გთავაზობთ ნინო ჯანელიძე.**

**ტელეფონები: 2-52-79-57, 2-52-87-58, 555-33-91-66.**

# ისწავლეთ ხატვა ზალიკოსთან ერთად






ზაალ სულაკაურის სამხატვრო სტუდია
თამარაშვილის №36
ტელ.: 272 9191

# იპოვეთ 10 განსხვავება





## დაეხმარეთ გზის გაკვლევაში



## რიცხვრებუსი

9, , , , 0

## ჩაწერეთ სწორი ნიშანი



# სასაცილო სპილო



თქვენი შვილის ტანსაცმლის უჯრაში მოძებნეთ მხიარული ფერის, ორი ცალი ზოლებიანი წინდა. მოიმარაგეთ ოთხი ღილი, ბამბა და თქვენი პატარას დახმარებით, ძალიან ლამაზ სპილოს დაამზადებთ. დახედეთ სურათს. წინდის ზედა ნაწილი, იქ, სადაც რეზინია, ორი თითის დადებაზე გადაჭერით – ამით სპილოს ყურებს გაუკეთებთ. ერთი წინდა გადააკერეთ ისე, რომ სპილოს თათები და ფეხები გამოიკვეთოს, ოღონდ, ის ჯერ ბამბით უნდა შეავსოთ და თავად მიხვდებით, სად იქნება საჭირო გაკერვა. მერე მეორე წინდაც გატენეთ ბამბით და ეს ორი წინდა ისე გადააკერეთ ერთმანეთს, როგორც სურათზეა ნაჩვენები. ერთი ქუსლი სპილოს თავი უნდა იყოს, მეორე ქუსლი კი მის უკანა ნაწილად გამოდგება და სპილო დაჯდება.



| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
|  | | | | | | | | ფრანგული ავტომობილი | ათი კვადრატში |
| | | | | პუჩინის ოპერა | | სსრკ-ის ატომური პოლიგონი | | | |
| | | | | | | | | | ქალაქი საუდის არაბეთში |
| | | | | ამერიკული სიგარეტი | | წვიმის ღვთაება ქართულ მით. | | | |
| | | | | მოზელილი კარტოფილი | | | | | |
| | | | ჯუჯა ცხენი | | | ქაღალდის დიდი ხვია | ზევსის დედა ბერძ. მით. | | |
| სახოტბო ლექსი | ჰომეროსის პოემა | | | | | | | | |
| | | | ქართველი წმინდანი | | | ქალაქი იაპონიაში | ნორმატიული აქტი | | ქართული კულტურის ძეგლი ისტორიულ ტაოში |
| ... კოლინზი | სვიფტის ნაწარმოების პერსონაჟი | | | | | | | | |
| | | | | ჯადოქარი | | ყურის ანთება | | სახელმწიფო აზიაში | |
| მდინარე რუსეთში | | | | ცხენის ზურგზე გადასაფარებელი | | ... ნოლტი | | | |
| | | | | | | | | | |
| ფოტონი, ანუ ... | | ... მარი | წონის გასაზომი ხელსაწყო | | | | | | ციხის საწოლი |
| | | | | | | ანტილოპის სახეობა | | | წილი ბიზნესში |
| | | | | | ვულკანი იტალიაში | | მომღერალი ... ბანსონი | | |
| ქალაქი საფრანგეთში | | | | | | | | ფიზიკური ვარჯიშის ინდური სისტემა | |
| „ბარსელონას" ფეხბურთელი | | | | | უდაბნო მონღოლეთში | | | | |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 1 | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 1 | | | | 1 | | | | |
| | | | | | | | | | | | 3 | | 5 | 6 | 7 | | | 4 | 3 | 2 | 2 | 1 | 1 | | 1 | 1 | 2 | | |
| | 23 | | | | | | | 1 | 1 | 2 | 2 | 4 | 1 | 4 | 1 | | 7 | 1 | 2 | 3 | 1 | 2 | 1 | | 1 | 1 | 1 | | |
| | 2 | 23 | 23 | 23 | 23 | 23 | 23 | 21 | 20 | 24 | 2 | 1 | 1 | 12 | 12 | 12 | 1 | 15 | 17 | 1 | 1 | 2 | 1 | 1 | 1 | 3 | 1 | 3 | |
| 23 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 24 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 24 | 1 | 9 | 1 | 1 | 1 | 3 | 4 |
| 3 | 1 | 4 | 3 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 3 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 21 | 11 | 11 | 12 | 13 | 14 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | 30 |
| | | | | | 8 | 11 | 3 |
| | | | | 9 | 9 | 4 | 2 |
| | | 10 | 7 | 2 | 1 | 1 | 1 |
| | | | 11 | 5 | 2 | 3 | 1 |
| | 12 | 4 | 2 | 1 | 1 | 1 | 1 |
| | | | | | 13 | 3 | 10 |
| | | 11 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 |
| | 11 | 1 | 1 | 1 | 1 | 2 | 1 |
| 11 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 |
| | 11 | 1 | 1 | 1 | 1 | 2 | 2 |
| | | | | | 11 | 11 | 3 |
| | | | 11 | 1 | 1 | 1 | 6 |
| | | | 11 | 1 | 2 | 1 | 6 |
| | | | 11 | 1 | 2 | 1 | 6 |
| | | | 11 | 1 | 2 | 1 | 6 |
| | | 11 | 1 | 2 | 2 | 1 | 6 |
| | | 11 | 1 | 2 | 2 | 1 | 6 |
| | | 11 | 1 | 2 | 2 | 1 | 6 |
| | | 11 | 1 | 2 | 2 | 1 | 6 |
| | | 11 | 1 | 2 | 2 | 1 | 6 |
| | | 11 | 1 | 2 | 2 | 1 | 6 |
| | | 11 | 1 | 2 | 2 | 1 | 6 |
| | | 1 | 1 | 2 | 2 | 1 | 1 |
| | 5 | 1 | 1 | 2 | 2 | 1 | 1 |
| | | 8 | 1 | 2 | 2 | 1 | 1 |
| | 2 | 2 | 1 | 2 | 2 | 1 | 1 |
| | | 2 | 3 | 2 | 2 | 1 | 1 |
| | | | | 2 | 2 | 1 | 1 |
| | | | | 1 | 1 | 1 | 1 |
| | | | | | 2 | 12 | 1 |
| | | | | | 2 | 13 | 1 |
| | | | | | 2 | 2 | 1 |
| | | | | | | 8 | 13 |
| | | | | | | | 10 |

## სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | | 2 | | 9 | 8 | | 5 | |
| | 7 | 5 | 3 | | 4 | 2 | | 8 |
| | 8 | | 2 | | 5 | | 6 | 4 |
| 4 | | 7 | | 8 | | | 3 | |
| | 6 | | 5 | | 2 | | | 7 |
| 8 | | | | | 3 | 1 | 4 | |
| | 9 | 4 | | 3 | | 8 | 2 | 5 |
| 5 | | 8 | 4 | 2 | 9 | 6 | | |
| 2 | 3 | | 8 | | 7 | | 1 | 9 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | | 9 | | 3 | | 2 | | 4 |
| | 3 | | | | | | 7 | |
| | 7 | | 1 | | 2 | | | |
| 2 | | 8 | 7 | | 5 | 3 | | |
| | 5 | | 4 | | | | 1 | 2 |
| | | 4 | | 9 | 3 | 7 | | 5 |
| 7 | | 1 | 3 | | 4 | | 6 | |
| | 4 | | | 8 | | | | |
| | | | | 7 | | 4 | | 8 |

**მსახიობ ნატა ბერეჟიანის გმირი – ნატო კაკაჩია სერიალ „ჩემი ცოლის დაქალების“ ბოლო პერიოდში ძალიან გააქტიურდა. ესაა საკმაოდ ჯანსაღად მოაზროვნე ქალი ბიზნესში, მაგრამ პირად ურთიერთობებში ცოტა სიმკაცრეს იჩენს, რაც მის მეუღლეს ძალიან აწუხებს.**

# რა აკრძალვები აქვს ნატა ბერეჟიანს მეუღლისთვის და რას იხვეწება ზურა ნიჟარაძე ნატო კაკაჩიასთან დაკავშირებით

**ნატა ბერეჟიანი:** ზაფხულის მიუხედავად, აქტიურ გადაღებებში ვარ ჩართული. სექტემბრიდან „მაესტროზე” ახალი სერიალი დაიწყება, რომელსაც „ღამის შოუს“ სტუდია იღებს. სახელწოდება ჯერ არ ვიცი, თუმცა კომედიური ჟანრის არაა. ჩვეულებრივი, ცხოვრებისეული სერიალია, რომელშიც მრავალი გმირია განსხვავებული ისტორიებით. რაც შეეხება „ჩემი ცოლის დაქალებს“, ეს სეზონი ისე დამთავრდა, რომ იმედი მაქვს, ჩემი პერსონაჟი კიდევ იქნება, თუმცა, ეს სცენარისტის გადასაწყვეტია. მე მომწონს ნატო კაკაჩია ***(იცინის).*** მართალია, ჯერ კარგად არ ჩანს, როგორი ადამიანია. მის შესახებ უფრო მეტს მისი მეუღლე ლაპარაკობს.

**– თუმცა, მეუღლე კარგს ბევრს არაფერს ამბობს.**

– ავი ქალია ***(იცინის).*** მაგრამ რადგან ქმარს უყვარს, ესე იგი, კარგი თვისებებიც აქვს. იმედი მაქვს, მომდევნო სერიებში იქნება ამის გამოვლენის საშუალება. ჯერჯერობით ჩანს, რომ პრაგმატულად მოაზროვნე ქალია. გადაწყვეტილებებს მარტივად არ იღებს. ამბობს, სანამ გადავწყვეტთ, ჯერ უნდა დავთვალოთ, დავიანგარიშოთო. მისგან განსხვავებით, მე არასდროს მივსულვარ ნათესავთან რამის სათხოვნელად. მით უმეტეს, ამხელა თანხის. ძალიან ახლო მეგობარს, შეიძლება, ელემენტარული რამ ვთხოვო, მაგრამ დიდ თანხას, ალბათ, ვერასდროს ვთხოვ, თუ მართლა უსაყვარლესი ადამიანის სიცოცხლე არ იდება სასწორზე და მეტი გამოსავალი არ მექნება.



**მეგობრებმა მითხრეს, ყველას პატარა ბრელოკი-სალამური უნდა გვქონდეს და დავიკიდოთ. ეს „სისინს” რომ დაიწყებს, სალამურით უნდა მივაძინოთო**

**– ნატოს რამით ჰგავხარ?**

– ნატოსავით არა, მაგრამ ბუნებით ცოტა ავი მეც ვარ ***(იცინის).*** „ახლა გეყოფა, მეტი არ დალიო” და მსგავსი რამეები, მეც მითქვამს მეუღლისთვის. მგონი, ეს ყველა ქართველ ქალში დევს. პატარა აკრძალვები მაქვს, მაგრამ, როგორც მერაბ დარჩიას ექცევა ნატო, მე ისე ნამდვილად არ ვექცევი ჩემს ქმარს ***(იცინის).***

**– მეუღლე რომ გხედავს ამ როლში, რას გეუბნება?**

– არასდროს უთქვამს ჰგავხარო ***(იცინის).*** თუმცა, ისე, კი მეუბნება, მწარე ენა გაქვსო და ამაში ვეთანხმები. ისე მწარედ ვიცი რამის თქმა, რომ შემიძლია, ერთი წინადადებით ძალიან ვაწყენინო ადამიანს. გურული ვარ და გურული ქალისთვის დამახასიათებელი ენაც მაქვს. ამით გამორჩეული ვარ ***(იცინის).*** ამის გამო მეუღლე მეუბნება, ხანდახან უნდა დაფიქრდე, სანამ რამეს იტყვი. არ შეიძლება, ერთი სიტყვით ადამიანს ძალიან ატკინო გულიო. მარტო მეუღლე კი არა, დედა, მამა, მეგობრებიც სულ ამას მეუბნებიან. მეგობრებმა ისიც მითხრეს, ყველას პატარა ბრელოკი-სალამურები უნდა გვქონდეს და დავიკიდოთ. ეს „სისინს“ რომ დაიწყებს სალამურით უნდა მივაძინოთო. მსაყვედურობენ, თუმცა, მე არასდროს არაფერს ვიგონებ, ყოველთვის სიმართლეს ვამბობ. სიმართლის მოსმენა კიდევ, ხომ იცით, არავის უყვარს. მომთხოვნიც ვარ. ცოტა რთული ხასიათი მაქვს. ჩემზე, დამყოლი და დამჯერი ცოლი, არ ითქმის, პირიქით, ჯიუტი ვარ. რამის გაკეთება რომ მინდა, წინააღმდეგობის მიუხედავად, მაინც ვცდილობ, ჩემი გავიტანო.

**– შენ და ზურა ნიჟარაძეს სინამდვილეში როგორი ურთიერთობა გაქვთ?**

– ზურა ჩემი კურსელი და ძალიან ახლო მეგობარია. ძალიან მაგრად მიყვარს. ისეთი რბილი ხასიათის ნამდვილად არაა, როგორიც სერიალში ჩანს. ცხოვრებაში მასაც ძალიან მწარე ენა აქვს. ხშირად ვკამათობთ ხოლმე. მეც ბევრ მწარეს ვეუბნები და ისიც. ძალიან განიცდის, რომ ასე ჩაგრავენ ეკრანზე ***(იცინის).*** იხვეწება, ერთხელ მაინც შემაგინებინეთო. მე კიდევ ვამბობ, ამ სცენაში არ შეიძლება, ერთი წამოარტყას ნატომ-მეთქი და ზურა ბრაზდება – არა, ეგეთ მდგომარეობაშიც ნუ ჩააგდებთ, კაცო, ამ მერაბსო. მოკლედ, ძალიან სერიოზულად განიცდის ***(იცინის).*** ხალხს ეგონება, რომ მართლა ასეთი ვაროო. არადა, ასეთი საერთოდ არაა.

**– შენ, როგორც ვიცი, ხშირად შლი გადაღებებს სიცილის გამო.**

– ჰო. ბოლო გადაღების დროსაც ამიტყდა სიცილი, მაგრამ მოვახერხე თავის შეკავება. ძალიან ცხელოდა, ყველა გადაღლილი იყო და მივხვდი, რომ როგორმე, მობილიზაცია უნდა გამეკეთებინა, თუმცა, სამი დუბლი გავაფუჭე. ბოლოს ვთქვი, ორი წამით მაცალეთ და მეტს აღარ გავაფუჭებ-მეთქი. ეს დაღლილობისგან ხდება ხოლმე. ბავშვს რომ ძილი გადაუცდება და უზნეოდ იქცევა, ისე მემართება ***(იცინის).*** ვიცინი და ველარ ვჩერდები. ამისთვის განსაკუთრებული მიზეზი არ მჭირდება. ანეკდოტების დაგალების დროს, ღამით, როცა უკვე ძალიან დავიღლებოდი, ამიტყდებოდა სიცილი და ველარ მაჩერებდნენ. ბოლოს რეჟისორმა თქვა: მოდი, ღამის გადაღებებზე ბერეჟიანი აღარ დავიბაროთო. ეს სიცილი გადამდები ხდებოდა და ყველა იძახდა: ბერეჟიანი, გაჩუმდიო. ჩემი შვილი მეუბნება: მეც ხომ გეუბნები, ღამ-ღამობით გიჟდებიო ***(იცინის).*** რომ ვიღლები, უაზროდ ვიქცევი ხოლმე. უფრო სწორად, სიმწრის სიცილი მაქვს.

**– შვილს მოსწონს ეკრანზე რომ გხედავს?**

– ეკრანზე რომ მხედავს, მგონი, ცოტა იძაბება. სახეზე ხელებს იფარებს ხოლმე. ცოტა ღელავს ამ დროს და ცოტა რცხვენია. ძირითადად, ჩემთან ერთად უყურებს, თან ჩემს ხელს იჭერს და თვალებზე იფარებს. ბავშვობაში რამის ყურებას რომ გიკრძალავენ და ორ თითს შორის იჭვრიტები, ზუსტად ისე ***(იცინის).***

**– მეგობრებთან არ ამაყობს პოპულარული დედის გამო?**

– კი. დათუნა ცხრა წლისაა და დღეს ეზოში ჩხუბი მოუვიდა. მითხრა, ძალიან მაგრად ვიჩხუბეო და მერე იმ ბიჭს ვიღაცამ უთხრა: ეს იცი, ვისი შვილიაო? იმ მსახიობისო. ის ბიჭი მოვიდა და „აუ, ძაან დიდი ბოდიშიო“ და შემირიგდაო. უკვე სარგებლობს ***(იცინის).***

**– თვითონაც ხომ არ უნდა, პოპულარული მსახიობი რომ იყოს?**

– არა, თვითონ ჯერ არ იცის. ხან უნდა, რომ მეცნიერი იყოს, ხან – არქეოლოგი და ხან – ფეხბურთელი და მორაგბე. არ ჩამოყალიბებულა. მეცნიერობა არ ვიცი, რატომ უნდა. გამომგონებელი უნდა გამოვიდეო, ამბობს. ისე, აფერისტია და სიმულაცია ეხერხება. მაგალითად, არაჩვეულებრივად თამაშობს დაღლილობას და ტკივილს ***(იცინის).***

**– მომავალ მეუღლესა და შენ შორის ურთიერთობა როგორ დაიწყო?**

– მე და აკოს საერთო ბავშვობის მეგობარი გვყავს და ერთმანეთი მასთან გავიცანით. ჩვენი ამბავი ძალიან სწრაფად მოხდა. ერთ კვირაში უკვე ერთად ვიყავით. მესამე დღეს მითხრა, რომ მოვწონდი და ჩემგანაც იგივე პასუხი მიიღო. წელიწადსა და რამდენიმე თვეში ცოლად გავყევი. მაისში ათი წელი შეგვისრულდა.

**– ნატო კაკაჩიას შესარიგებლად მეუღლემ ერთხელ გრანდიოზული სიურპრიზი მოუწო. შენი მეუღლეც თუ ცდილობს ხოლმე შენს შემორიგებას სიურპრიზებით?**

– ჩვენ ჩვეულებრივად ვრიგდებით ხოლმე. სიურპრიზი როგორ არ გაუკეთებია, ძალიან ბევრჯერ, მაგრამ შესარიგებლად არა. დათუნამაც იცის საჩუქრების გაკეთება. ფულს აგროვებს და მერე რაღაცეებს ყიდულობს ჩემთვის. შარშან „კონვერსის” კედები მიყიდა. ვთქვი, რომ ძალიან მინდოდა და რატომ არ ყიდულობო? ფული არ მაქვს-მეთქი. ფასი მკითხა და გაჩუმდა. დილით სკოლაში წასვლამდე თავთით დაუტოვებია ფული ***(იცინის).*** მაშინ რვა წლის იყო და ამის შესახებ დიდი სიამაყით ვყვები ხოლმე.

**– სერიალში შენს ქმარს და დედას – ეგონას არასახარბიელო დამოკიდებულება აქვთ. რეალურ ცხოვრებაში რა ხდება?**

– ჩემს მეუღლესა და დედაჩემს ზედმეტად კარგი ურთიერთობა აქვთ. იმდენად კარგი, რომ ვბრაზდები. ხომ არ შეიძლება, ყველაფერში აკო იყოს მართალი. როგორი კონფლიქტიც არ უნდა მოხდეს ჩვენ შორის, მაინც მის მხარეს იჭერენ. თვითონაც ძალიან უყვარს ჩემი მშობლები და ალბათ, მათაც ამიტომ აქვთ ასეთი დამოკიდებულება. ანალოგიურად, მეც კარგი ურთიერთობა მაქვს აკოს მშობლებთან. უკვე რამდენი წელია, ერთად ვცხოვრობთ და სერიალის მსგავსი პრობლემები არცერთს არ გვქონია.

**– ახლო მომავალისთვის რა გეგმები გაქვს?**

– რამდენიმე დღეში კიდევ გადაღებები და რეპეტიციები მეწყება. აგვისტოს ბოლოს მუსკომედიის თეატრიდან ბუქარესტში მივდივართ გასტროლზე. საკმაოდ დატვირთული გრაფიკი მაქვს და ბავშვი მეუბნება, თითქმის ვერ გნახულობო. ყველა დიასახლისს პატივს ვცემ, მაგრამ მგონია, შვილისთვისაც კარგია, როცა ხედავს, რომ მშობელი შრომობს. ეს მაგალითის მიმცემია.

**ქეთი კაპანაძე**

**„დედოფალი – სიხარულის მომნიჭებელი“ – ხატი, რომელიც განსაკუთრებულად შეიყვარა მთელმა ერმა. ეს ხატი სასწაულმოქმედი და მსწრაფლშემსმენელია. როგორც მომლოცველები ამბობენ, ზოგჯერ მხოლოდ წუთები გადის, ვიდრე საკვირველება მოხდება, თუმცა, ალბათ, თავად ხატის ისტორიაა განსაკუთრებულად საკვირველი. ეს ისტორია ხომ ჩვენს დროში და ჩვენ გვერდით მოხდა და, შესაბამისად, მრევლშიც განსაკუთრებულ ემოციებს იწვევს. მიუხედავად იმისა, რომ „დედოფალი“ ახლად გამოჩენილი ხატია, მას უდიდესი საკვირველმოქმედებები აქვს აღსრულებული. „დედოფალზე“ უამრავი სტატია დაიწერა და მომლოცველებიც ხშირად ჩამოდიან უცხოეთიდან. ხატს, როგორც იცით, ორი მცველი ჰყავს – გიორგი ჭოლოკავა და ზურაბ შიოშვილი. დღეს „დედოფალზე“ უკვე უცხოეთშიც შეიტყვეს და არაერთ ენაზე ითარგმნა ხატის ისტორიაც და მისი საკვირველებებიც.**

# როგორ განიკურნა „დედოფლის“ მიბრძანებისთანავე ბავშვი, რომელიც უმოძრაო იყო, ვერ მეტყველებდა, ვერ ჭამდა და როგორ იღებენ ადამიანები მასთან მიახლებისთანავე შეწევნას

**გიორგი ჭოლოკავა:** უამრავი ადამიანი ინტერესდება „დედოფლის” საკვირველმოქმედებით; მომლოცველთა ნაკადი მუდამ დიდია. როდესაც მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის კურთხევით ხატს გამოვაბრძანებთ, იმ წუთებიდანვე დგება მომლოცველთა რიგები. სასიხარულო ისაა, რომ ღვთისმშობლის მოსალოცად ყველა დიდი სიყვარულითა და მოწიწებით მოდის, ეს ერთგვარი დღესასწაულია. მრავალ საკვირველებას აღასრულებს „დედოფალი“, თუმცა, ეს, უპირველესად, მომლოცველზეა დამოკიდებული, თუ როგორ მიეახლება ის „დედოფალს” და რამდენად უფლისთვისა და ღვთისმშობლისათვის სათნოა მათი სურვილები თუ შესავედრებელი.

**ზურაბ შიოშვილი:** ხატიდან განსაკუთრებული ცხოველმყოფელობა იგრძნობა ღვთისმშობლისა. ხშირად ხდება ისე, რომ მომლოცველი მოილოცავს ხატს, გავა ტაძრიდან, ისევ უკან შემოდის და ასე აკეთებს რამდენჯერმე, რადგან უჭირს ხატთან განშორება. უამრავი საკვირველება აქვს აღსრულებული „დედოფალს“ და ამას თავად მრევლისგან ვიგებთ. განსაკუთრებულად აღვნიშნავთ იმას, რომ ხატის რეპროდუქციებსა თუ ჟურნალში დაბეჭდილ გამოსახულებებს ხელები მუდამ თბილი აქვთ. ეს პირველად ერთმა მომლოცველმა მოგვწერა, მერე მეორემ და ასე გამოჩნდა უამრავი ადამიანი, ვინც ამ ფაქტს აღნიშნავს. უცხოეთშიც მრავლად გაგზავნეს ასლები და იქიდანაც გვწერენ ამაზე. ეს იმდენად დიდი სასწაულია, რომ მსგავსი მოვლენის შესახებ არსად ამომიკითხავს. თავად ხატიდანაც მოდის უზარმაზარი სითბო. მნიშვნელობა აქვს თავად მომლოცველსაც: ზოგის მიახლებისას სითბო იმატებს, ზოგჯერ კი – არა. ხატის ასლებზეც ასე ხდება. ეს მართლაც უიშვიათესი მოვლენაა საქრისტიანოში.

**გიორგი:** პეტრეპავლობის მარხვაში, როდესაც „დედოფალი“ გამოვაბრძანეთ სამების ტაძარში, ულამაზესი ყვავილების გვირგვინით იყო შემკობილი. ხატი ახალ კიოტში იყო ჩაბრძანებული, რომელსაც კარგადაც კი არ ჰქონდა ლაკი შემშრალი. სამწუხაროდ, ერთი მომლოცველის დაუდევრობით, მოხდა ისე, რომ სანთლიდან ყვავილებს ცეცხლი მოედო. საბედნიეროდ, ცეცხლი ჩააქრეს, მაგრამ, ერთი საკვირველება ამასაც მოჰყვა: ყვავილები სქელ კარკასზე იყო დამაგრებული. როდესაც ვნახეთ კარკასი, მთლიანად დამწყვარი იყო, ცეცხლის კვალი ჰქონდა ანალოღიასაც, მაგრამ ხატის კიოტი აბსოლუტურად დაუზიანებელი იყო. უამრავი ადამიანი გვწერს კურნებათა შესახებ, ბევრიც ტაძარში მოდის და გვესაუბრება. არის კურნებები ისეთი მძიმე დაავადებებისგან, როგორიცაა სიმსივნე ან თუნდაც ლეიკემია. უმეტეს შემთხვევაში ეს დადგენილი დიაგნოზია, პაციენტი მკურნალობს, მაგრამ, ხატის მოლოცვის შემდეგ მიდიან გამოკვლევაზე და დაავადება, უბრალოდ, აღარ არის. ცნობილი გახდა ერთი ბავშვის ამბავიც, რომელიც უმძიმესი მდგომარეობიდან იხსნა „დედოფალმა“; ბავშვისა, რომელიც უკვე უმოძრაო იყო, ვერც მეტყველებდა და ვერც ჭამდა, მაგრამ ხატის ასლის მიბრძანებისთანავე, რამდენიმე წუთში, ბავშვი ადგა და ჭამა და ლაპარაკი დაიწყო. იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც რეანიმაციაში გადაყვანილი, უკვე იმედგადაწურული პაციენტები გამოკეთებულან.

**ზურაბი:** „ფეისბუქში” არის გვერდი „დედოფალი“, საიდანაც მომლოცველები იტყობენ ხოლმე ხატის გამობრძანების შესახებ ან იგებენ სხვადასხვა საჭირო ინფორმაციას, სწორედ იქ გვწერენ ხშირად. რუსთავიდან გვწერდა გოგონა: როდესაც მან შეიტყო „დედოფლის“ გამოჩენის შესახებ, მის მოსალოცად უნდოდა მოსვლა, მაგრამ გზის ფული არ ჰქონდა. ის წერდა, რომ „დედოფალს“ ევედრებოდა შეწევნას თბილისში ჩამოსასვლელად, რათა სამების ტაძარში მოსალოცად მოსულიყო. ღვთისმშობლის იმედად გამოვიდა სახლიდან და დაეშვა კიბეზე. მას გზაში შეხვდა დედა, რომელმაც მხოლოდ თბილისამდე წამოსასვლელი ფული მისცა, რადგან მეტი არ ჰქონდა. ჩამოვიდა და თაყვანი სცა ხატს, უკანა გზაზე კი სრულიად უცხო მძღოლმა უთხრა, ფული არ გადაიხადოო.



**გიორგი: „ცეცხლი ჩააქრეს, მაგრამ ერთი საკვირველება ამასაც მოჰყვა: ყვავილები სქელ კარკასზე იყო დამაგრებული, როდესაც ვნახეთ კარკასი, მთლიანად დამწვარი იყო, ცეცხლის კვალი ჰქონდა ანალოღიასაც, მაგრამ ხატის კიოტი აბსოლუტურად დაუზიანებელი იყო“**

**გიორგი:** მხოლოდ კურნებები როდია, არაერთს უთქვამს, რომ შეუთხოვიათ კეთილად დაოჯახებაზე და ძალიან მალე ასეც მომხდარა. ზოგს მძიმე სოციალური მდგომარეობა აქვს, ისიც კი უთქვამთ, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში ოჯახში ყველა უმუშევარი იყო, მაგრამ, ღვთისმშობლის ხატის მოლოცვის შემდგომ ოჯახის ორი წევრი რამდენიმე დღეში დასაქმდა. ძალიან დიდ სიყვარულსა და სითბოს იწვევს „დედოფალი“ მრევლში, ის ყველას დედაა და მფარველი, მთავარია, ადამიანმა სიყვარული საკუთარ გულში იპოვოს. მომლოცველები უცხოეთიდანაც ჩამოდიან, ბევრი მათგანი უიმედოდაა სნეულების გამო, მაგრამ, რამდენიმე დღეში წერენ, რომ სასწაულებრივად განიკურნენ, რაც ჩვენ ძალიან გვახარებს. არის ნარკომანიისგან განკურნების შემთხვევებიც; მოდიან უშვილო წყვილებიც, ორსულებიც უამრავი პრობლემით. „დედოფალმა” უდიდესი საკვირველმოქმედებები ათონის მთაზე აღასრულა, რომლის შემსწრენიც ჩვენ, ხატის მცველები ვიყავით. ჯერ კიდევ ახალჩასულებს გვითხრა ათონელმა უხუცესმა ბერმა, ეს ბოლო დროის უდიდესი ხატიაო. მაშინ ეს ყველაფერი ჯერ კიდევ იწყებოდა და, არც ვიცოდით, რაოდენ დიდი მოვლენების წინაშე დავდგებოდით.

**ზურაბი:** უდიდესი სიყვარულითა და სითბოთი ხვდებიან „დედოფალს“ რეგიონებშიც. ჩვენ, ასევე, გახლდით ისტორიულ ლორეში, სადაც „დედოფალი“ მიბრძანდა იქ დარჩენილ ქართულ ტაძრებში. სამწუხაროდ, ვერ ვახერხებთ ხატის იერუსალიმში წაბრძანებას; ასევე ათონის წმინდა მთაზეც უნდა წაგვებრძანებინა, რადგან ბერებმა გვთხოვეს ხატის იქ ჩაბრძანება, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ეტაპზე ამას ვერ ვახერხებთ. ყველაფერი ჩვენი, ხატის მცველების პირადი დანაზოგით კეთდება მუდამ. ამ ეტაპზე კი არ გვაქვს საშუალება, ხატი წავაბრძანოთ, თუმცა, იმედი გვაქვს, უფალი გზას გაგვიხსნის (ანგარიშის ნომერი: საქართველოს ბანკი #GE18BG0000000559017500. მიმღები: ზურაბ შიოშვილი. შემოწირულობით ხატი წმიდა მიწაზე გაემგზავრება). მე ვფიქრობ, დღეს ნამდვილად გვაქვს უდიდესი სიხარულის მიზეზი, რადგან უფალმა გადმოგვცა თავისი დედის ესოდენი დიდი ცხოველმყოფელი ხატი. ეს დიდი სიხარულიცაა და, ამავდროულად, პასუხისმგებლობაც. მინდა, კიდევ ერთი ისტორია მოგითხროთ, რომელიც სულ რამდენიმე კვირის წინ მოხდა: მყავს ტაილანდელი მეგობარი, საკმაოდ მორწმუნე ოჯახიდან. მოგეხსენებათ, ტაილანდელები ბუდისტები არიან და, ჩემი მეგობრის ოჯახიც, წესისამებრ, მუდამ დადის ტაძარშიც. ამ ოჯახს ძალიან სერიოზული პრობლემები შეექმნა და, გამოუვალი სიტუაციის გამო, დიდ მწუხარებაშიც აღმოჩდნენ. ძალიან განვიცდიდი მათ ასეთ გასაჭირს, ოჯახი ტირილსა და გლოვაში იყო მუდამ. ერთ დღეს, როდესაც ჩემი მეგობარი კვლავ საკუთარ გასაჭირზე მესაუბრებოდა, ხატის ასლი გავუგზავნე. მან უკვე იცოდა „დედოფლის“ შესახებ. ჯერ მოვუბოდიშე, რადგან სხვა რელიგიის წარმომადგენელი იყო, მაგრამ, ვუთხარი, „დედოფლისთვის” ეთხოვათ დახმარება, ელოცათ მის წინაშე და ის შეეწეოდა მათ. ორი დღის შემდეგ მისგან შეტყობინება მივიღე, რომ ისინი ლოცულობდნენ ღვთისმშობლის წინაშე, ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმაც შეისმინა მათი ვედრება და ის განსაცდელი უეცრად გაქრა. ძალიან დიდ სიხარულში იყო და, მითხრა, რომ არასოდეს მოიშორებდა დედოფლის ხატს, როგორც მისი ოჯახის მფარველს.

**გიორგი:** როდესაც ვისმენთ ან ვკითხულობთ ისტორიებს „დედოფლის“ მიერ მომლოცველთა შეწევნის შესახებ, გული სიხარულით გვევსება. უმეტეს შემთხვევაში, მართლაც რომ, მხოლოდ ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს თუ შეუძლია ადამიანების ხსნა იმ განსაცდელებისგან. მოსაყოლი მართლაც რომ ბევრია, მაგრამ, ბევრ ისტორიას ვერც ვყვებით, რადგან ეს მაინც სხვისი ტკივილით სავსე ისტორიებია. ჩვენ ყველას სიყვარულით ვხვდებით და გვახარებს თითოეული მომლოცველის ტაძარში შემოსვლა. „დედოფალს“ ყველგან მუდამ დიდი სიხარულით ელიან და ჩვენც იმედი გვაქვს, რომ მისი შეწევნით შევძლებთ ხატის საქართველოს ყველა კუთხეში შებრძანებას. „დედოფალი“ მართლაც რომ არის სიხარულის მომნიჭებელი.

**ნათია უტიაშვილი**

# რატომ მიაჩნდათ ლაშა-გიორგი ქართველებსა და ევროპელებს ზღაპრულ უფლისწულად

იდგა 1192 წელი. მისი დაბადება ერთმა ქართველმა მემატიანემ ასე გადმოგვცა: „ტაბახმელაში, როგორც ბეთლემში, მყოფმა თამარმა შვა ძე „სწორი ძისა ღმრთისა“...

დაარქვეს პაპის სახელი - გიორგი, მეტსახელად უწოდეს ლაშა, რაც აფსართა ენაზე ნიშნავს განმანათლებელს სოფლისა. აფსართა და არა აფხაზთა ენაზე. მაშინდელი აფხაზები ქართველები იყვნენ. იმდროინდელი ქართველები განასხვავებდნენ აფხაზებსა და აფსარებს. ეს სიტყვა დღევანდელი აფსუების ენით იხსნება.



მემკვიდრის დაბადება უდიდესი სიხარულით აღინიშნა ნიკოფსიიდან დარუბანდამდე გადაჭიმულ ქართულ-კავკასიურ იმპერიაში. გაათავისუფლეს ტყვეები, უზარმაზარი თანხები შესწირეს ეკლესიებს, გულუხვად დაასაჩუქრეს მღვდლები და მონაზვნები, დიდი საბოძვარი გასცეს გლახაკებისთვის.

ბიზანტიის იმპერატორმა, წინა აზიის სულთნებმა, ათაბაგებმა, ამირებმა დიდი საჩუქრები გამოუგზავნეს საქართველოს სამეფო კარს და მოულოცეს მემკვიდრის დაბადება.

ახალშობილი უფლისწულის სახელზე ქართულმა ჯარმა ილაშქრა ბარდავში, ერთი თვის მერე კი არზრუმში, შემდეგ ყარსში.

დავით წინასწარმეტყველისა და ვახტანგ გორგასლის შთამომავალი გარეგნობით დედმამასავით ლამაზი ყოფილა – ოქროსფერი კულულები ამშვენებდა კავკასიელთა უფლისწულს (როგორც ერთ-ერთ ფრესკაზეა გამოსახული).

ცამეტიოდე წლის იქნებოდა, მამა რომ გარდაეცვალა, დიდი მეომარი, მეფეთმეფისა და დედოფალთ-დედოფლის მეუღლე, მეფე დავით სოსლანი.

შვიდმნათობიერმა თამარმა თანამეფედ გამოაცხადა და თავად დაადგა გვირგვინი.

რამდენიმე წლის მერე გარდაიცვალა ქართველთა სათაყვანებელი თამარ მეფე და ქვეყნის ერთპიროვნული მმართველი გახდა თამარის ძე გიორგი მეოთხე ლაშა.

თანამედროვე მემატიანე ასე ახასიათებს ლაშას: „ლომივით ძლიერი და უმანკო გონებით, ადამიანების მოყვარული, მშვიდი და განურისხებელი ბუნების, შვიდი სამეფოს მეფე იყო და ერთი მონისთვისაც კი მათრახი არ დაურტყამს“.

ისე, მეფეს, ან უფლისწულს, რატომ უნდა დაერტყა მათრახი მონისთვის თუ მსახურისთვის?

ლაშა ყოფილა კარგი მშვილდოსანი და მხედარი, გულადი და შემართული. ლაშქრობაში ყოფნა უყვარდა, უხაროდა შემოდგომაზე ნაყოფთა დამწიფება, იყო გაჭირვებულთა დამხმარე და სამართლიანი.

შემოდიოდა და შემოდიოდა სახელმწიფო ხაზინაში ხარკი ყმადნაფიცი სახელმწიფოებიდან. დუღდა ცხოვრება ქალაქებში და გახურებული იყო ვაჭრობა. სახელმწიფოს მთელი შემოსავლის მეათედი გაჭირვებულებს ურიგდებოდათ. ბევრი იყო სამეფოში უფასო სამკურნალო.

ლაშას სიჭაბუკით ისარგებლეს და განდგნენ ყმადნაფიცი ქვეყნები. თამარის ძემ ივაჟკაცა და ხელახლა დაიმორჩილა და დახარკა განძა, მერე დაარბია ხლათი, და ისიც კვლავ ვასალად აქცია. შემდეგ არზრუმმა (კარნუ-ქალაქის სასულთნომ) ისევ ითხოვა ქართველი მეფის ქვეშევრდომობა. შემდგომ კვლავ განაგრძო ქართულმა არმიამ შემოვლა საკუთარ რეგიონში, ნახჭევანამდე.

უდიდესი პოლიტიკური გავლენა ჰქონდათ მხარგრძელებს. დიდი სახელი ჰქონდა შალვა ახალციხელ-თორელს – „არა ყოფილა კაცთა შორის მისებრი ჭაბუკი და მეომარი“.

სიახლეები უნდოდა ახალგაზრდა მეფეს, ცხოვრებით ტკბობა და თან, ერთპიროვნული მმართველობა. მაგრამ, დიდებულები ამის საშუალებას არ აძლევდნენ. ისიც არ ეპუებოდა, ცდილობდა...

ამ ცდაში შეცდომებიც მოუვიდა. შემოიკრიბა თანატოლები, თანამოასაკენი. მათთან ერთად ყოფნა უყვარდა. თუმცა, მათ სახელმწიფოში გავლენა არ ჰქონდათ, არც პოლიტიკური ცოდნა გააჩნდათ, უფრო მეტად დროსტარება, სიმღერა, სმა, ნადირობა და გართობა იზიდავდათ.

ეს ერთგვარი პროტესტი შეიძლება, ყოფილიყო გაზულუქებული დიდებულების წინააღმდეგ.

თვითბუნება (თავნება) გახდა ქართველთა იმედი.

დიდი დანაშაულიც ჩაიდინა, ველისციხეში ქვეშევრდომს ცოლი წაართვა და სასახლეში დაისვა, რომლისგანაც ვაჟი, დავითი შეეძინა. არავინ იცის, რა მოხდა, ვინ იყო იმ ქალის ქმარი. იქნებ არ უყვარდა იმ ქალს ქმარი და ლაშას დანახვისას ეწვია სიყვარული... მეფეც ემოციური ყოფილა, გადააბიჯა კანონს, სარწმუნოებას, ადამიანობას, კაცობას და ქვეშევრდომს ცოლი წაართვა.

დიდებულებმა წაგვარეს გულისწორი და ქმარს მიუბრუნეს.

**მეფეც ემოციური ყოფილა, გადააბიჯა კანონს, სარწმუნოებას, ადამიანობას, კაცობას და ქვეშევრდომს ცოლი წაართვა**

საარაკო ვაჟკაცი იყო, უშიშარი მეომარი და კარგი ორგანიზატორი. დაახლოებით 1219 წელს ლაშა-გიორგის რომის პაპის, ჰონორიუს მესამის წერილი მოუვიდა, რომელიც ახალ, მეხუთე ჯვაროსნულ ომში იწვევდა უფლის საფლავის გამოსახსნელად.

ემზადებოდა იერუსალიმის გასათავისუფლებლად. რამდენიმე ბრძოლაც მოუსწრია, როგორც ჩანს, ამ მიმართულებით. არსებობს ერთი ევროპული ცნობა, ფრანგი ჯვაროსანი რაინდის, დებუას წერილი, თუმცა გადაჭარბებული:

„მოისმინეთ გასაოცარი და მნიშვნელოვანი ახალი ცნობები. ჯერ ყურმოკრული სიტყვა შევიტყვე, ხოლო შემდეგ სარწმუნო ელჩის მეშვეობით დანამდვილებით შევამოწმე, რომ იბერიელი ქრისტიანების, რომელნიც გეორგიანებად (ქართველებად) იწოდებიან, დიდძალმა ცხენოსანმა და ქვეითმა ჯარმა, ღვთის შემწეობით აღფრთოვანებულმა და ძალზე კარგად შეიარაღებულმა, გამოილაშქრა ურწმუნო წარმართების წინააღმდეგ. სწრაფად დაჰკრა მათ და უკვე აიღო 300 ციხე და 9 დიდი ქალაქი, რომელთაგან სუსტნი ნაცარტუტად აქცია... ზემოაღნიშნული ჯარი მოეშურება, რათა გაათავისუფლოს იერუსალიმის წმიდა მიწა-წყალი და დაიპყროს წარმართთა მთელი სამყარო. მათი წარჩინებული მეფე 16 წლის ჭაბუკია. ის ალექსანდრე მაკედონელს ჰგავს ვაჟკაცობითა და სათნოებით, მაგრამ არა – სარწმუნოებით. ამ ჭაბუკს თან მოაქვს ძვლები თავისი დედისა, უძლიერესი მეფის თამარისა, რომელსაც თავის დროზე იერუსალიმს წამოსვლის აღთქმა დაუდვია და უთხოვია შვილისათვის, თუ აღთქმის ასრულება არ დამცალდეს, ჩემი ძვლები ქრისტეს საფლავზე წაიღეო. შვილს არ დავიწყებია დედის თხოვნა და გადაუწყვეტია, წმიდა ქალაქში გადმოიტანოს დედის ნეშტი“.

ასეთი დიდი წარმოდგენა ჰქონდათ მაშინდელ ევროპელებს საქართველოზე. ასეთი ლეგენდები ვრცელდებოდა ჭაბუკ ქართველ მეფეზე მსოფლიოში.

იერუსალიმის გასათავისუფლებლად წასვლა ქართულმა არმიამ ველარ მოასწრო. 1220 წელს საქართველოს მოადგა მონღოლთა ორი სახელგანთქმული მხედართმთავარი – სუბუდაი და ჯებე, 20 000 მონღოლით და ასევე, სხვა ეროვნების ჯარისკაცებით. ზოგი თავისი ნებით იყო მონღოლებთან, ზოგი კი ტყვედ ჰყავდათ და ბრძოლის დროს წინა რიგებში უშვებდნენ უიარაღოდ. ამ ტყვეების ხოცვის დროს ილღებოდა ხოლმე მონღოლთა მოწინააღმდეგეების ავანგარდი და იხარჯებოდა ისრები.

ბერდუჯის წყლის პირას გაიმართა ბრძოლა. მოგვიანებით, ჟამთააღმწერელი წერდა, პირველი ბრძოლა ქართველთა მარცხით დამთავრდაო.

მონღოლებმა ჯარი ორად გაყვეს და ნახევარი გადამალეს. ბრძოლა რომ გახურდა, ვითომ შეშინდნენ და გაიქცნენ. ქართველები გამოეკიდნენ... უცებ მონღოლები მობრუნდნენ და გაშლილ ქართულ ჯარს ისრები დაუშინეს, გვერდიდან კი დამალული ნაწილი დაეტაკა ქართველებს. ქართველთა ჯარი აირია და საკმაოდ დიდი ზიანით დაიხია უკან.

ლაშა გიორგის მემატიანის თქმით, ეს ამბავი კი მას უკეთ ეცოდინებოდა. მეფემ შეძლო არმიის მობილიზება, კვლავ შეტევაზე გადავიდა, გააქცია მონღოლები და დიდი ზიანიც მიაყენა.

მონღოლთა ჯარი ისევ ემზადებოდა ქვეყანაში შემოსაჭრელად. მათ მიიერთეს ახალი, დამატებითი ძალები საქართველოსადმი უკმაყოფილო ტომებიდან. ბევრი ოცნებობდა ქართველთა დამარცხებაზე, მდიდარი საქართველოს გაძარცვაზე.

მიუხედავად ბრძოლაში მიღებული ჭრილობისა, მეფემ შეძლო არმიის სწრაფად რეორგანიზება, მოიხმო კარნუ-ქალაქის (არზრუმის) ყმადნაფიცი სასულთნოს ჯარიც და წინ დაუდგა მონღოლებს, რომლებიც ბარდავს დაბანაკებულიყვნენ. მონღოლებმა ველარ გაბედეს მათი ხრიკის მცოდნე, სახელგანთქმულ ქართულ ჯართან შებრძოლება, მიბრუნდნენ და დარუბანდის გზას გაუყვნენ, ანუ გაიქცნენ.

მხოლოდ ორჯერ ვერ გაიმარჯვეს სუბუდაიმ და ჯებემ - უბრძოლველად გაეცალნენ ლაშა-გიორგის და დამარცხდნენ ვოლგის ბულგარებთან.

შარვან-შაჰმა სთხოვა გიორგი მეფეს რუსუდანზე დაქორწინება. მეფე დათანხმდა. ქართლის ერისთავი გააგზავნა შარვანში, თვითონ კი ბაგავანს გაემგზავრა. ბაგავანი უნდა ყოფილიყო სადღაც შირვანის საზღვართან ახლოს. იქიდან უნდა გაეტანებინა თავისი და შირვანშაჰისთვის.

მოულოდნელად ავად გახდა, ალბათ, ძველი ჭრილობების გამო და გარდაიცვალა ქართველთა იმედი ბაგავანში, 1222 წლის 18 იანვარს, ოთხშაბათს.

**გიორგი მახოზეშვილი**

**წინა კვირას კიდევ ერთმა ახალგაზრდამ დაასრულა სიცოცხლე ტრაგიკულად. ლაშა დევიძე, რომელიც თიანეთში შეყვარებულთან ერთად იმყოფებოდა, 9 აგვისტოს სიონის ტბაში დაიხრჩო. ბიჭი, რომელიც სიცოცხლით ხარობდა და გარშემო მყოფებს სიყვარულით ავსებდა, ტრაგედიის წინა დღეს 20 წლის გახდა. ახლობლისთვის უთქვამს, რომ ეს მისთვის საუკეთესო დაბადების დღე იყო, რომლის მსგავსიც აღარასდროს ექნებოდა. ბიჭმა ცურვა არ იცოდა, მაშველებმა სამი საათი დააგვიანეს და... სამომავლო გეგმებითა და იმედებით სავსე ახალგაზრდისთვის, სამწუხაროდ, ეს დღე უკანასკნელი აღმოჩნდა.**

# რისთვის აპირებდა ფულის შეგროვებას 20 წლის ლაშა დევიძე სიონის ტბაში დახრჩობამდე და რატომ მიაჩნდა მას თავისი ბოლო დაბადების დღე უბედნიერესად

**ნინო მჭედლიშვილი (ლაშას მეგობრის დედა):** ლაშა ჩემი შვილის მეგობარი იყო, ფაქტობრივად, ერთად გაიზარდნენ. ერთ უბანში ვცხოვრობთ და ბავშვები ერთ სკოლაში სწავლობდნენ. ჩემი შვილი მასზე ორი წლით პატარაა. ძალიან დავახლოვდით. ჩვენთან ხშირად იყო და დედა რომ ურეკავდა, ეუბნებოდა: დედასთან ვარო. დედას მეძახდა. სულ სადღაც ეჩქარებოდა, სულ გარბოდა. თითქოს რაღაცას ასწრებდა. არ ვიცი, თითქოს წინასწარ გრძნობდა, რომ ასე უნდა მომხდარიყო. სახლში რომ შემოვიდოდა, დამჯდარს ერთი წუთით ვერ ნახავდი. სულ აქეთ-იქეთ დადიოდა, ტელეფონით საუბრობდა, მესიჯობდა. უამრავი მეგობარი ჰყავდა. მგონი, მთელ თბილისს იცნობდა. ჩემს შვილთან ერთად ერთი ფოტო აქვს გადაღებული და ერთხელ მასზე დაწერა: მე და ანი რომ მოვკვდებით, ეს სურათი გაგვიდიდეთო. თითქოს მართლა რაღაცას გრძნობდა. ერთხელ ისიც კი მითხრა, მე არ დავბერდებიო. მისი მეგობრებიც აღნიშნავენ, რომ ამბობდა, მალე უნდა მოვკვდეო, მაგრამ ამის მიზეზი არასდროს უთქვამს. არაფერი აწუხებდა, ჯანმრთელი და სიცოცხლით სავსე ბიჭი იყო. სულ რაღაცას აკეთებდა. ბოლო დროს თითქმის ყოველ საღამოს მოდიოდა ჩვენთან და ძალიან ახლო ურთიერთობა გვქონდა. რამდენიმე თვის წინ ერთი გოგონა შეუყვარდა. პირველად ჩემთან მოიყვანა და როგორც დედას, ისე გამაცნო. ლაშა ისეთი არასდროს მინახავს, ბედნიერებისგან დაფრინავდა. ვნატრობდი, ნეტავ, დიდხანს გაგრძელდეს მისი ბედნიერება-მეთქი. იმ დღესაც შეყვარებულთან ერთად იყო წასული იქ, საიდანაც აღარ დაბრუნებულა.

**– რას ყვებიან ამ ამბის თვითმხილველები?**

– როგორც მისი შეყვაებული, ნატა ყვება, ლაშა ნაპირთან ახლოს ყოფილა. მან ცურვა არ იცოდა, მაგრამ იმდენად ამაყი იყო, ეს ნატასთვის არ უთქვამს. ამბობენ, თითქოს ნასვამი იყოო. ასე არაა, არც ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონია. არ ვიცი, რა მოხდა. თითქმის ნაპირთან იყო, ხელი დამიქნია და ვიფიქრე, რომ მეხუმრებოდა. მერე მეორე ხელიც დამიქნია და ჩაყვინთა. წამოვდექი, წყალში ჩავედი, მაგრამ ისე მღვრიე წყალი იყო, ვერაფერი დავინახე. ვყვიროდი, ორი ბიჭი მოვიდა, მაგრამ ვერაფერი ქნესო, მითხრა ნატამ. საწყალი გოგო სამი საათი ელოდა მაშველებს. ამდენი დრო დასჭირდა თბილისიდან სიონამდე ჩასვლას, მაგრამ, როცა მივიდნენ, უკვე აზრი აღარ ჰქონდა. ცხედარი ათ წუთში იპოვეს. იქვე ახლოს იყო. მალე რომ მისულიყვნენ მისი გადარჩენა ძალიან ადვილი იქნებოდა. მთავარი პრობლემა ისაა, რომ ამხელა კურორტზე ერთი მაშველი არ არსებობს.

**– როგორც ცნობილი გახდა, ლაშას წინა დღით შეუსრულდა 20 წელი...**

– კი. წინა დღით 20 წლის გახდა. მისალოცად რომ დავურეკე, მითხრა: ცხოვრებაში ყველაზე მაგარი დაბადების დღე მქონდა. დილით შეყვარებულმა გამაღვიძა ხაჭაპურებითა და კრუასანებით. დარწმუნებული ვარ, ასეთი მაგარი დაბადების დღე აღარასდროს მექნებაო. ჩემმა შვილმა, ანიმაც მიულოცა და მას უთხრა: დღეს როგორი თბილი ხარ, ნეტავ, სულ დაბადების დღე გქონდესო. ანისაც, ეტყობა, გულმა უგრძნო და მეორე დღეს მისწერა: დღეს დაბადების დღე არ გაქვს, მაგრამ მე მაინც მიყვარხარო. იმ დღეს დატრიალდა ეს ტრაგედია. ნატა იმ დღის შემდეგ სულ ტირის. რაც ჩამოვიდნენ, მისი მაისური აცვია და სასახლესთან ზის. ფეხზე არ ამდგარა. ყველაფერი მის თვალწინ მოხდა და ამაში თავის თავსაც ადანაშაულებს. ჩემს თავს ვერ ვაპატიებს, რომ ვერ მივხვდი, რას მანიშნებდა, როცა ხელი დამიქნიაო. ლაშა იმდენად ამაყი იყო, იხრჩობოდა, მაგრამ არ დაუყვირია, მიშველეთო. ამბობდა: სახლში ძალიან ბევრი ვცხოვრობთ, არადა, საშუალება რომ მქონდეს, ნატას დღესვე ცოლად მოვიყვანდი. ახლა ვფიქრობთ, ერთად ანაბარი გავხსნათ, ნელ-ნელა ფული დავაგროვოთ, ბინა ვიგიროთ და ერთად გადავიდეთ საცხოვრებლადო. მასთან ურთიერთობით უბედნიერესი იყო. ას ჩვეულებრივ გოგოს არ გავცვლიდი ჩემს ერთ შეყვარებულზეო. ახლა მანქანის ყიდვასაც აპირებდა და მოკლედ, დიდი გეგმები ჰქონდა.



## მე და ანი რომ მოვკვდებით, ეს სურათი გაგვიდიდეთო. თითქოს მართლა რაღაცას გრძნობდა

**– რით იყო დაკავებული?**

– ლაშა კომპანია „დეშელში“ ოპერატორად მუშაობდა. სკოლის დამთავრების შემდეგ ჯარი მოიარა. სხვათა შორის, იქ ყოფნა თავიდან მაინცდამაინც არ უნდოდა, მაგრამ მერე იმდენად მოეწეონა – იარაღი, ვარჯიში, ჯარისკაცის ფორმა, რომ ამბობდა: შეიძლება, ასეთ ცხოვრებას გავყვე კიდევაცო. რომ ჩამოვიდა, იმდენად შეცვლილი იყო, ვერც ვიცანი. დავაჟკაცებულა და ჯენტლმენური თვისებები შეუძენია იქ ყოფნისას.

**– ლაშას დედმამიშვილები ჰყავს?**

– კი. უფროსი და და ძმა ჰყავს. მათთან, მშობლებთან და ბებიასთან ერთად ცხოვრობდა. და გათხოვილია იყო და პატარა შვილები ჰყავს. ხუმრობდა ხოლმე, სახლში იმდენი ვართ, დილაობით აბაზანაში შესასვლელად რიგში დგომა გვიწევსო. საოცარი იუმორი და გადმოცემის უნარი ჰქონდა. ძალიან უყვარდა საკუთარი თავი. ვეხუმრებოდი – ნარცისი ხარმეთქი. სულ სარკეში იყურებოდა და თმას ისწორებდა. კომპლიმენტების ხშირად მოსმენა სიამოვნებდა და თუ შენ არ ეტყოდი რამეს, თვითონ გეტყოდა: დღეს არ გითქვამს, რომ სიმპათიური ვარო. ერთი სიმღერა უყვარდა ძალიან – „სულ ყველაზე ლამაზი შენი თვალის ფერია“ და ხშირად ვუმღეროდი. ამბობდა, ეგ ჩემი სიმღერაა, ყველაზე ლამაზი თვალები მე მაქვსო. გიჟდებოდა თავის თვალებზე. ჩვენთან რომ მოდიოდა, ნარდს მეთამაშებოდა. ბოლოს ერთი ბეჭედი იყიდა და მეუბნებოდა: რაც ეს გავიკეთე, მის მერე მიგებო. ამიტომ, იხსნიდა და ისე თამაშობდა. ბეჭდის კი არა, იმის ბრალია, ცალ ხალში ტელეფონი რომ გიჭირავს და ფიქრებით ნატასთან ხარ, ისიც წამოგეყვნა, მის გარეშე მაინც არ ხარ ჩვენთან-მეთქი, – ვეუბნებოდი. შეყვარებულის მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა. ეჭვიანობდა კიდეც: ნატას არავინ შეხედოს, ნატა მარტო ხომ არ არის სადმეო?! სამსახურში ერთად მიდიოდნენ და მოდიოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ არც ისე დიდი ხნის ურთიერთობა ჰქონდათ, საოცარი სიყვარული აკავშირებდათ, რომლის მსგავსი მართლა არც მინახავს.

**– თქვენ როგორ გაიგეთ მომხდარის შესახებ?**

– ლაშას შეყვარებული ჩვენთან ხშირად მოჰყავდა ხოლმე და მასაც ძალიან დავუმეგობრდი. მირეკავდა, ნატას მოენატრეო და ორივე მოდიოდნენ. ეს ამბავი რომ მოხდა, ნატამ პირველად მე დამირეკა და მითხრა: უკვე ერთი საათია, წყალშია და ვერაფრს ვშველი, მაშველებს ვურეკავთ და არ მოდიანო. მითხარი, რომ ხუმრობ-მეთქი და ნეტავ, ეგრე იყოსო. მერე, მგონი, მთელი თბილისი 112-ზე რეკავდა. ბოლოს გვეუბნებოდნენ მისულები ვართო, მაგრამ ნატას რომ ვეკითხებოდი, არ მოსულანო. წარმოიდგინეთ, მათ ლაშას ძმამ მოასწრო იქ ჩასვლა. მოატყუეს, რომ ნატა გახდა ცუდადო და ბიჭი საქესთან თვითონ იჯდა. რომ სცოდნოდა, მის ძმას რაც დაემართა, იქამდე როგორ ჩააღწევდა. მშობლებმა გვიან გაიგეს, ლაშას რაც შეემთხვა. მაშინ, როცა უკვე გარდაცვლილი სახლში მიიყვანეს.

სანამ სკოლას დაამთავრებდა, ამბობდა, მსახიობი უნდა გავხდეო. პროფესიით ჟურნალისტი ვარ და მეუბნებოდა: ცნობილი მსახიობი რომ გავხდები, პირველ ინტერვიუს შენ მოგცემო. თუმცა, ოჯახს მატერიალურად უჭირდა და უნივერსიტეტში ჩაბარება ვეღარ მოახერხა. მერე სამსახური იშოვა და ძალიან უხაროდა, რომ ოჯახის დახმარება შეეძლო. ჩემთანაც რომ მოდიოდა, რაღაცეები მოჰქონდა და ამით ძალიან ამაყობდა. დედაზე გიჟდებოდა, საჩუქრებს ყიდულობდა და გახარებული მეკითხებოდა: ხომ კარგია, ხომ მოეწონებაო?! ყველას მიმართ უზომოდ ყურადღებიანი იყო. ერთხელ, ჩემი შვილი ცუდად გახდა და დიდი ჩანთით ნატურალური წვენები მოუტანა. შენთვის ჭამა მაინც არ შეიძლება, გასუქდები და ეს სვიო. ახერხებდა, რომ თავისი სითბო და სიყვარული ყველასთვის გაენაწილებინა. ამიტომ, თვითონაც ყველას ძალიან უყვარდა. მისი წასვლა ჩვენთვის აუტანელია. ვერ წარმომიდგენია, ვინ შეძლებს მისი დგილის შევსებას. არ მჯერა, რომ აღარასდროს შემოაღებს ჩემი სახლის კარს და აღარ იტყვის – მოვედიო.

**ქეთი მოდებაძე**



**ცოტა ხნის წინ ზალიკო სულაკაურმა და ნინო განუგრავამ ულამაზეს თუშეთში, ზღვის დონიდან 2 080 მეტრზე მდებარე შენაქოს ეკლესიაში დაიწერეს ჯვარი. მათმა ჯვრისწერამ თუშებში დიდი სიხარული გამოიწვია და ნეფე-დედოფალს სათანადო დახვედრა მოუწყვეს.**

# რატომ გადაიქცა ზალიკო სულაკაურისა და ნინო განუგრავას ჯვრისწერა თუშეთში დღეობად და რატომ გაატარა წყვილმა თაფლობის თვე კარავში

**ზალიკო სულაკაური:** თუში რომ ვარ და თუშეთი ძალიან მიყვარს, ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

**ნინო განუგრავა:** ზალიკოს არც ვიცნობდი, როდესაც თუშეთში მოვხვდი და, ბოლო ხუთი წელია, ყოველ წელს ჩავდივარ იქ. სოფელ შენაქოს ეკლესია მთელ თუშეთში ერთადერთი მოქმედი ტაძარია. ორი წლის წინ



ზალიკოს ძმამ, მეგობრებმა და თავად ზალიკომ სრულიად უსასყიდლოდ მოხატეს ეს ეკლესია. იმ პერიოდში მეც იქ ვიყავი და მეც მივიღე მონაწილეობა. ხატვა არ ვიცი, სამაგიეროდ, ვაფერადებდი. ეს ტაძარი და ის ადგილი იმდენად მნიშვნელოვანია ჩვენთვის, რომ, გადავწყვიტეთ, სწორედ იქ დაგვეწერა ჯვარი. შარშან გვინდოდა ჯვრისწერა, მაგრამ სამსახურიდან „კაზანტიპზე“ გამიშვეს და გადამადებინეს, სამაგიეროდ, წელს ავიხდინეთ სურვილი.

**– ფოტოები ვნახე, ულამაზესი ქორწილი გქონდათ.**

– ყველამ იცოდა, რომ ქორწილი, თეთრი კაბა, ფატა – ასეთი რაღაც არასდროს მოხდებოდა ჩემს ცხოვრებაში; ეს კი ისეთი გამოვიდა, როგორიც წარმოდგენილი მქონდა. მოვიძიე თუშური ტანსაცმელი, როგორი კაბები ჰქონდათ და იმის მიხედვით შევიკერე – ლამაზი და სადა, რომელსაც თბილისშიც ჩავიცვამ. ზალიკომაც თუშური ზედა შეიკერა. ერთი სული აქვს, როდის აცივდება, ჩაიცვას. ჩვენს ლაბრადორის ლეკვსაც ჩევუკერეთ თუშური საქორწილო სამოსი. ეკლესიაში დამახვედრეს გვირილების თაიგული და ყვავილებისგან ხელით დაწნული გვირგვინები – ძალიან ლამაზი და მთის შესაფერისი იყო. სანთლებიც თავისი ხელით დაგვიმზადეს და ძალიან ბევრი თუშური საჩუქარი დაგვახვედრეს. თავი მეთერთმეტე საუკუნეში მეგონა. ჯვარი მამა დავით ჭვრიტიძემ დაგვწერა. სხვათა შორის, თუშეთში სულ მეუბნებოდნენ: შენ ისე იცნობ აქაურობას, ერთი თუში ბიჭი უნდა გაგირიგოთო. თან, გასაცნობად მოჰყავდათ



ვიღაცეები.

**ზალიკო:** მერე, რომ გაიგეს ჩვენი ამბავი, ნინოს ურეკავდნენ: ისე გვრცხვენია, ეს რა გაგვიკეთეო.

**ნინო:** ჩემნაირებს, ვინც ხშირად ჩადის თუშეთში, „მოთუშულებს” ეძახიან. მეც მეუბნებდნენ შენც მოთუშული ხარო და ამიტომაც განსაკუთრებულად გაუხარდათ ჩვენი ამბავი.

ჯვრისწერის შემდეგ ძალიან ლამაზ ადგილას წავედით და იქაც სიურპრიზი დაგვახვედრეს – ცხვრები იყო დაკლული, დიდი ქვაბები თუხთუხებდა.



**ზალიკო:** როდესაც თუშეთში სუფრა იშლება, იქ ვერ ნახავ ტრადიციულ სადღეგრძელოებს. ყველაფერი განსხვავებული აქვთ: სასმისები, სადღეგრძელოს შინაარსი, ყველაფერი ძალიან ლამაზი და საინტერესოა. ამჯერადაც ყველაფერი თუშურ ყაიდაზე წარიმართა...

**ნინო:** თან, ტყეში ერთი დიდი სუფრა იყო გაშლილი, მეორე სუფრა – უკვე მზარეულებისთვის. ამ გადაძახილ-გადმოძახილში, მეგონა, ცაში ვიყავი.



**ზალიკო:** ტაძრის მოხატვის შემდეგ პირველები ჩვენ ვიყავით, ვინც იქ ჯვარი დაწერა. დიდი, პატარა – ყველა იქ იყო, მთელმა თუშეთმა იცოდა... ბავშვი, მწყემსი – ყველა გვილოცავდა.

**ნინო:** ჩვენმა ახლობლებლმაც, ვინც იცოდა ჩვენი ჯვრისწერის ამბავი, დაამთხვიეს და უცხოელი ტურისტებიც ზუსტად იმ დროს ჩამოიყვანეს. ეკლესიაში გველოდებოდნენ, უყურეს ჯვრისწერას. სოფელში ნამდვილი დღესასწაული იყო, დღეობასავით. იცოდნენ, ჩვენ თუშური სამოსი რომ გვეცვა და თვითონ თუშებიც ცხენებით, თუშურ სამოსში გამოწყობილები დაგვხვდნენ. ჯვრისწერის შემდეგ რამდენიმე დღე თუშეთში დავრჩით, კარვებში გვეძინა მე, ზალიკოს და ჩვენს ლაბრადორს, ხან სად და ხან – სად.

**– ხომ არ აპირებთ თუშეთში საცხოვრებლად გადასვლას?**

– ზალიკოს ვეხვეწები, რომ ერთი ზამთარი იქ გავატაროთ. ოქტომბერში რომ დაიკეტება გზა, მაისის ბოლომდე ვერ გამოხვალ იქიდან. მპირდება და, იმედია, შემისრულებს.

**ზალიკო:** ცოტა რთული იქნება, მაგრამ ვნახოთ. ხუთი ჩხირით წინდების ქსოვა ვიციო, მაგრამ, არ ვუჯერებ.

**ნინო:** ჰოდა, ამ ზამთარს „ფეჩის“ გვერდით უნდა დავუმტკიცო.

**– სამომავლოდ სად აპირებთ რაიმე მნიშვნელოვანი დღის აღნიშნავს?**

**ზალიკო:** თუშეთიდან უკვე დაგვიკვეთეს მომავალ წელს ბავშვის ნათლობა.

**ნინო:** ზუსტად ვიცი, რომ ყოველ წელს ვივლით იქ და, რას დავგეგმავთ, ჯერ არ გადაგვიწყვეტია. მეჯვარეებზე მოხდა საინტერესო ამბავი: ჩემი მეჯვარეა ლევან სუხიტაშვილი, ზალიკოსი – კატო ჯავახიშვილი. კატოს წინა დღეს დეიდა გარდაეცვალა და ვერ ჩამოვიდა. ზალიკოს და ლევანს ერთნაირი ზედები ეცვათ, მე და კატოსაც ერთნაირი კაბები უნდა გვცმოდა. ზალიკოს სახლში ჰქონდა ძველი ხევსურული სამოსი – ყოველი შემთხვევისთვის წავიღოთ, იქ უცებ გადავწყვეტ, ვინ იქნება ჩემი მეჯვარე და გადავაცმევო. ტაძარში რომ ვიდექით, ზალიკომ გაიხედა, გამოიხედა, თავისი მეგობარი ციხელა დაინახა, მას მისცა ეს თუშური ზედა – აბა, ჩაიცვი, როგორ გექნებაო... რომ ჩაიცვა, უთხრა: მოდი, ბარემ, ჩემი მეჯვარე იყავიო.

**– თქვენს ოჯახში რამე ხდება დაგეგმილად?**

**ზალიკო:** არა, ძირითადად ის ხდება, რაც თავში დაგვარტყამს.

**ნინო:** აქედან რომ წავედით თუშეთში, მე ვიჯექი საჭესთან. ერთ ადგილას ისე ჩავარტყი, რომ „გლუშიტელი“ ჩამოვარდა. ყოველ 15 წუთში ლევანი მანქანის ქვეშ იყო შემძვრალი და აკეთებდა, თან მთელი გზა გვაგინებდა. სულ ტალახში იყო ამოსვრილი, სველი „სალფეტკებით“ გავასუფთავე და მერე ვხუმრობდი, „ხადავიკი“ მეჯვარე მყავს-მეთქი.

**ნათია უტიაშვილი**



**თინათინ ჯაფარიძეს ჩვენი მკითხველი უკვე კარგად იცნობს – უნიჭიერესი ადამიანი, კომპოზიტორი, მომღერალი და არაჩვეულებრივი პიროვნება მუდმივად იწვევს აღფრთოვანებას. ამიტომაც, უკვე წლებია, ის საკუთარი შრომით, ნიჭიერებითა და სილაღით შექმნილ ულამაზეს, ზღაპრულ სამყაროში ცხოვრობს და საქმიანობს. შესაბამისად, მის ყოველ ნაბიჯს მუდმივად ახლავს წარმატებები და წინსვლა.**

# როგორ შექმნა თინათინ ჯაფარიძემ ავტობიოგრაფიული სპექტაკლით ახალი ჟანრი ბროდვეისთვის და როდის ჩაწერენ მის სიმღერებს სელინ დიონი და ბარბრა სტრეიზანდი

**თინათინ ჯაფარიძე:** მუსიკალური შემოქმედების პარალელურად, ჩავაბარე კოლუმბიის უნივერსიტეტში. ყოველთვის მიზიდავდა ფსიქოლოგია და, ახლაც, უნივერისტეტში, ჩემი ინტერესის სფეროს წარმოადგენს ფსიქოლოგია და ყოფილი საბჭოთა კავშირი, ანუ, როგორ იმოქმედა საბჭოთა კავშირის დანგრევამ და დაშლამ ჩვენს თაობაზე, რომელმაც რაღაც პერიოდი საბჭოთა კავშირში გაატარა. დოქტორანტურისთვის უკვე ვამზადებ თემას და ეს არის „ქართული იდენტობა პოსტსაბჭოთა საქართველოში". პარალელურად, ვთანამშრომლობ ჰარიმანის ინსტიტუტთან, ვსწავლობ და ვამზადებ ჩემს ექსპერიმენტს. კოლუმბიის უნივერსიტეტმა უკვე გამომიშვა სამუშაოდ ერთი თვით და მეც ვმუშაობ. შევხვდი ახალგაზრდა ექსპერტებსაც და, ასევე, მამაჩემის თაობას. ეს ის თაობაა, რომელსაც ძალიან ბევრი ინფორმაცია აქვს და მათთან ურთიერთობა ძალიან დიდი ბედნიერებაა. ამ ადამიანებთან ურთიერთობისას უზარმაზარ სიამოვნებას ვიღებ და თან მათთან საუბრის მერე ჩანაწერებს ვაკეთებ.

**– შეიძლება, ეს ახალ წიგნს დაედოს საფუძვლად?**

– შეიძლება, ჩემი წიგნი მომავალი წლის დასაწყისში გამოდის, ფინიშს ვუახლოვდები. შემდეგი წიგნისთვის უკვე მექნება მონახაზი. მაშინ, როდესაც ჩემი წიგნის წერა დავიწყე, სულ რაღაც სიახლეები ხდებოდა. რედაქტირებას რომ აკეთებდა ჩემი რედაქტორი და მე სიახლეს ვუყვებოდი, მეუბნებოდა, უნდა ჩავამატოთო და ასე აღარ და აღარ დამთავრდა. მაგრამ ახლა აღარ შეიძლება რამის ჩამატება, რადგან, გამოაცხადეს, რომ წიგნი თებერვალში გამოვა. პირველად გამოვა ამერიკაში ინგლისურ ენაზე და შემდეგ უკვე რედაქცია იზრუნებს, თუ სად უნდა გამოიცეს და რომელ ენაზე.

**– შენი სპექტაკლი „მატრიოშკა" „ოფ ბროდვეიზე" ჩვენების შემდეგ ძალიან წარმატებული აღმოჩნდა.**

– ბარიშნიკოვთან გვქონდა ჩვენება, შემდეგ „სტაინვეის ჰოლში", „მეტროპოლიტენ რუმში", „თრაიედის თეატრში", ანუ, ისეთ ადგილებში, რომლებიც ბროდვეის სამყაროში მართლაც მნიშვნელოვანია. ახლა ვაპირებთ სხვადასხვა ქალაქში გატანას. ფილადელფიასა და ვაშინგტონში გვინდა საჩვენებელი სპექტაკლების ჩატარება, რომ უფრო ხშირად გაჟღერდეს „მატრიოშკას" სახელი. ჩემი თანაავტორის, თიმოთი გრეფენრიდის ძალიან ცნობილ სპექტაკლს, რომელიც იყო პირველი აფრიკულ-ამერიკული სპექტაკლი, დაიდგა 70-იან წლებში და დიდი რევოლუცია მოახდინა, 40 წელი უსრულდება. რამდენიმე დღის წინ „ცენტრალ პარკში" ჩატარდა ამ სპექტაკლის ჩვენება და იმდენი ხალხი დაესწრო, ტევა არ იყო. ახლა ბროდვეიზე აბრუნებენ. გარდა ამისა, საახალწლოდ, „ენბისის" არხზე რჩეული, ლეგენდარული სეპქტაკლების სატელევიზიო ვერსიას უშვებენ და წელს სწორედ თიმოთის სპექტაკლს გაუშვებენ პირდაპირ ეთერში და მთელი ამერიკა ნახავს. ეს ჩვენთვის ძალიან კარგია. „მატრიოშკა" ძირითადად, საჩვენებელი სპექტაკლი იყო ბროდვეის შიდა სამყაროსთვის, რადგან, გვინდოდა, კონტრაქტები დაგვედო ჩამწერ კომპანიასთან და გამომცემლობასთან, რომელმაც დაგვიდო კონტრაქტი არა მხოლოდ ამერიკაში, არამედ ინგლისშიც. ზოგადი რეაქცია ძალიან კარგია: ეს არის ასე თუ ისე ახალი ჟანრი ბროდვეისთვის, პოსტმოდერნი. გარდა ამისა, პოსტსაბჭოთა თემა, საქართველო, რუსეთი – აქტუალურია ამერიკაში; ამიტომ, ვინც მე არ მიცნობდა, არ ჰქონდა ჩემი სიმღერები მოსმენილი, თემის გამო მოდიოდნენ სანახავად. ახლა უკვე შეიძლება, რომ ჩანაწერი მოისმინონ და მეორედ მოვიდნენ მიუზიკლის სანახავად.

**– სპექტაკლში თუ შეიტანეთ ცვლილებები, თუ დაამატეთ პერსონაჟები?**

– ხშირად შეგვაქვს ცვლილებები. სასიყვარულო თემაც შევიტანეთ, რადგან ეს აინტერებს მაყურებელს. მე ვარ და ერთი პერსონაჟი, სიუჟეტი ნამდვილ ამბავზეა აგებული. ცოტამ თუ იცოდა, ვისზე იყო ეს ამბავი – საკმაოდ დიდი ფიგურაა და არ მინდოდა მისი სახელის თქმა, რადგან თავისებურ პიარს იწვევს. სპექტაკლს კი არ სჭირდება ასეთი კუთხით ყურადღების მიქცევა. სულ ორმა ადამიანმა იცოდა, ვისზე იყო ეს ამბავი აგებული. არ ვიცი, როგორ მოხდა, მაგრამ, იმ ქვეყანაში, სადაც ეს პიროვნება მოღვაწეობს, გასკდა ეს ამბავი. იმ ქვეყანაში დაწერეს სტატია. ჩემი და მისი სახელი არ ახსენეს, უბრალოდ, ჩემზე დაწერეს, რომ მე ვარ ეგზოტიკური წარმოშობის არტისტი, ხოლო ის პიროვნება ისე დაახასიათეს, რომ იმ ქვეყანაში ყველა მიხვდებოდა, ვისზე იყო საუბარი. ბოლოს დააანონსეს, რომ მომავალში ამ ლამაზი სიყვარულის შესახებ უფრო მეტს გაიგებს საზოგადოებაო. იმდენად განსხვავებული და უჩვეულო ისტორიაა, რომ, ვინც ნახულობს, ყველას აინტერესებს – ვისზეა, ვინ არის.



**დღესაც არ ვიცი, როგორ „გასკდა" ეს ამბავი, თან, სხვა ქვეყანაში. ალბათ, იმ პიროვნებამაც გაიგო, თუმცა არ გამომეხმაურა. ეს იყო მართლაც ლამაზი ისტორია, რომელიც დასრულდა**

**– შენ და დეივ გრუზინი საქართველოში აპირებდით ჩამოსვლას – „იავნანას" საქველმოქმედო კონცერტში უნდა მიგეღოთ მონაწილეობა.**

– ჩამოვდიოდით, პროექტი მზად იყო, მაგრამ, საბოლოოდ, არ გამოვიდა, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. დეივს ძალიან უნდოდა ჩამოსვლა, თან, იმდენი წელი ვესაუბრებოდი საქართველოზე, ჯერ კიდევ 14 წლის ასაკში ვუთხარი, საქართველოში ლეგენდა დადის თქვენს ქართულ წარმომავლობაზე-მეთქი, რომ, ბოლოს ჩაიხედა თავის ბიოგრაფიაში და მართლაც აღმოაჩნდა ქართული ძირი. ძალიან უნდოდა, ჩამოსულიყო; უნდოდა ჩვენი ერთად გამოსვლა (ჩვენი ოჯახური კონცერტიო, ამბობდა) – მე, თვითონ და მისი ძმა უნდა გამოვსულიყავით, რომელიც პიანისტია. მაგრამ, ბოლო წუთში ჩაიშალა და გული დაგვწყდა ორივეს. ჩვენს ურთიერთობას უკვე აღარ ჰქვია მეგობრობა. ცოტა ხნის წინ დაბადების დღე ჰქონდა, დავურეკე და ვუმღერე – ასეთი ტრადიცია გვაქვს. ადრე მითხრა: Dear დეივ კი არ უნდა მითხრა, Dear ფაფაო (Dear Papa). ამ კონცერტის ჩაშლამ ჩვენ კიდევ უფრო მეტად დაგვააახლოვა.

**– ძალიან ბევრ ცნობილ მომღერალს უწერ სიმღერებს. გარკვეული პერიოდის წინ სელინ დიონისთვის და ბარბრა სტრეიზანდისთვისაც დაწერე სიმღერები. რა ბედი ეწია მათ?**

– ბარბრა სტრეიზანდის სოლო ალბომისთვის დავწერე სიმღერა და გავუგზავნე ადამიანს, რომელიც მას ასმენინებს სიმღერებს და ერთად არჩევენ. ამ კაცს ძალიან მოეწონა, მაგრამ, მითხრა: სოლო ალბომის ჩაწერა გადაიდო, ბარბრა დუეტებს წერს (ახალხან გამოვიდა ეს ალბომი) და იქნებ გადააკეთო დუეტადო. ძალიან მინდოდა, ვცადე გადაკეთება, მაგრამ, სიმღერა ფუჭდებოდა – არ მოუხდა. ახალი იქნებ დაწეროო – ახლის დაწერის დროც არ იყო. სამაგიეროდ, ეს სიმღერა გადადებულია, ბარბრას სოლო ალბომს ელოდება. სელინთანაც ანალოგიურად გამოვიდა: დაიწყეს ინგლისურენოვან ალბომზე მუშაობა, დავუწერე, გადავუგზავნე, მოეწონა. გადამაფრინა ლას-ვეგასში, შევხვდით, კონცერტსაც დავესწარი, ორივე კმაყოფილები დავრჩით, მაგრამ, ინგლისური ალბომი დროებით გადაიდო და ფრანგული გამოვიდა შარშან. ეს სიმღერა გადავდეთ ინგლისური ალბომისთვის და სამწუხაროდ, მისი მეუღლე გახდა ავად. სელინი მაქსიმალურად ბევრ დროს ატარებს მასთან. როგორც კი გადაწყვეტს ჩაწერას, მაშინვე მოგვარდება სიმღერის საკითხი – ეს კიდევ უფრო მარტივია, რადგან, საერთო პროდიუსერი გვყავს. მაქვს კიდევ ერთი მუსიკალური სიახლე: უკვე დიდი ხანია, ვმუშაობ რიკ ალისონთან ერთად, რომელიც ლარა ფაბიანის მეუღლე იყო. სელინისა და ბარბრასთვის სიმღერები მასთან ერთად დავწერე. ახლა გვაქვს ახალი პროექტი, რომელიც ერთი თვის წინ წამოვიწყეთ – ეს არის ჩვენი დუეტი. ულამაზესი ვოკალი აქვს, მაგრამ, რადგან ლარა იყო წინა პლანზე, თვითონ არ მღეროდა. ახლა გადავწყვიტეთ, ერთად გავაკეთოთ პროექტი, რომელსაც ჰქვია „სარკე" – დაკავშირებულია კულტურულ ანარეკლთან. სამი სიმღერა დავამზადეთ, სექტემბერში უნდა წავიდე კანადაში და კიდევ ჩავწეროთ სიმღერები და გავგზავნოთ ორგანიზატორებთან, რომ შევუთანხმოთ მასალა. იქნება კონცერტი და, შემდეგ, ალბათ, გამოვუშვებთ ალბომს. ძალიან ნიჭიერი ადამიანია, კარგი პიროვნება. ჩაწერის დროს ლარას მიკროფონი გამომიტანა, რომელშიც მან თავისი ჰიტები იმღერა – მინდა, ამ მიკროფონით ჩავწეროთ სიმღერაო. ვაპირებთ ამ კონცერტის ჩატანას მოსკოვში. სპექტაკლი ჯერ ამერიკაში უნდა ვაჩვენოთ, მერე სხვა ქვეყნებშიც და, რა თქმა უნდა, განსაკუთრებულად საქართველოში. ძალიან საინტერესო სოციოლოგიურ-კულტურული საკითხებია. კოლუმბიის უნივერსიტეტს აქვს „მილერის თეატრი", სადაც წინა საუკუნეში ბროდვეის ცნობილი შოუების ბევრი პრემიერა შედგა. ჩვენი სპექტაკლი ძალიან აინტერესებთ. ბოლო საჩვენებელი სპექტაკლი რომ ჩავატარეთ, დაესწრნენ ჩემი რექტორი, დეკანი, პროფესორები და აღფრთოვანებულები წავიდნენ. მეორე დღეს რექტორმა გამომიძახა და 12-ფურცლიანი გადაბეჭდილი ანალიზი მომცა თავისი იდეებით, აზრებით – ძალიან დავინტერესდი და მთელი ღამე ვწერდიო. ისეთი მოულოდნელი და საინტერესო იყო, ძალიან გამიხარდა.

**ნათია უტიაშვილი**

## ბრძნული აზრები

**ჩანინგი:** თითოეული ადამიანი მთელი ტომია, თუკი იცით, როგორ წაიკითხოთ.

**შპენგლერი:** თუ მართლაც ასეა, რომ ადამიანი მოაზროვნე არსებაა, ის მაინც შორსაა იმისგან, რომ იყოს ქმნილება, რომლის არსებობაც აზროვნებაში მდგომარეობს.

**სენეკა:** საუკეთესოა ის წიგნები, რომლებიც აზროვნებისთვის გვაძლევს საკვებს.

**დემოკრიტე:** პატიოსანია თუ არა ადამიანი, გამოიცნობა არა მხოლოდ საქმით, არამედ სურვილითაც.

**ფოიერბახი:** მაშინ წარმოადგენ რაღაცას, როცა ვინმე ან რამე გიყვარს, რადგან, არაფრის სიყვარული და არაფერი – ეს ერთი და იგივეა.

**მონტესკიე:** ყველაზე მკაცრია ის ტირანი, რომელიც გამოდის კანონის სახელითა და სამართლიანობის დროშით.

**ლაროშფუკო:** ჩვენი ბოროტმოქმედება იმდენ მტერსა და მდევნელს არ გვძენს, რამდენსაც ჩვენი ღირსება.

**შექსპირი:** უდიდესი წყენა, რომელიც შეიძლება პატიოსან ადამიანს მიაყენონ, ესაა დაეჭვდე მის წესიერებაში.

**სენეკა:** კეთილი საქმისადმი მოწოდება ძნელია დარიგებებით, მაგრამ ადვილია მაგალითით.

**დრაიზერი:** ის, რაც სავსებით ვარგისი იყო ასი წლის წინათ, არ შეიძლება ასევე ვარგისი იყოს დღესაც, თუმცა, ზოგ რამეში და, ალბათ, ბევრშიც, ის შეიძლება ჩვენთვის სასარგებლო გამოდგეს.

**ჰიუგო:** გონება ისევე გამოიწრთობა ან სუსტდება კითხვით, როგორც სხეული – სუფთა და დაბინძურებული ჰაერით.

**დოდე:** ყველაზე უკეთ იმ ნაკლოვანებების დაცინვაა შესაძლებელი, რომლებიც თავად გაგვაჩნია.

**ჰეგელი:** ვინც თვითონ არ არის თავისუფალი, მისთვის არც სხვები არიან თავისუფლები.

**ვებერი:** ადამიანთა მოღვაწეობაზე ინტერესები ბატონობს და არა იდეები.

**ჟანლისი:** ჭეშმარიტი სიდიადისკენ მიმავალ გზაზე ხშირად ქედმაღლობაა დაბრკოლება.

**ფულერი:** დაუფიქრებლად ლაპარაკი იგივეა, რაც დაუმიზნებლად სროლა.

**ბალზაკი:** ვისაც ყველაფერი გარეთ გამოაქვს, შიგნით აღარაფერი რჩება.

**გოეთე:** ყველაზე სასაცილო სურვილია – ყველას მოსწონდე.

**ბრუნო:** არასოდეს დავიჯერებ, რომ ღვთაებრივს ეზიარება ის, ვისაც მიწიერი ტანჯვის ეშინია.

**დიდრო:** რა არის ჭეშმარიტება? ჩვენი განსჯის თანხმობა სინამდვილესთან, რაც ბუნებას შეუქმნია.

**ფრანსი:** გულწრფელია ის ქალი, რომელიც მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში ამბობს ტყუილს.

**პაული:** ყველაზე გულახდილი აღიარების დროსაც კი, ქალი ყოველთვის რაღაცას იტოვებს თავისთვის.

# თუ გამოიცნობთ

1. ლეგენდის მიხედვით, ედესის მეფე აბგარმა, რომელიც განუკურნებელი სენით დაავადდა, წერილი მისწერა იესო ქრისტეს თხოვნით – განეკურნა იგი. იესო არ ჩავიდა მეფესთან, მაგრამ დაიტანა თავისი გამოსახულება ქსოვილის ნაჭერზე, გაუგზავნა მას და მეფე გამოჯანმრთელდა. როგორც ამბობენ, ასე შეიქმნა... **რა?**

2. 1984 წელს, როდესაც ხუთგზის ოლიმპიური ჩემპიონის კუბო საფლავში ჩაუშვეს, გაისმა მაგნიტოფონის ფირზე ჩაწერილი მსოფლიოში ცნობილი ხმა. **ვის დაკრძალვაზე მოხდა ეს?**

3. მდინარე იორდანესთან გათხრების დროს აღმოაჩინეს მუმია, რომლის ქსოვილების შესწავლისას მასში შიდსის სახესხვაობა აღმოაჩინეს. ექსპედიციის ხელმძღვანელმა კლოდ პონკერალმა გაიხსენა ქალაქები, რომლებიც, როგორც თვითონ ვარაუდობდა, შესაძლოა, ღმერთმა იმიტომ გაანადგურა, რომ კაცობრიობისთვის ეს დაავადება აეცილებინა თავიდან. **რომელი ქალაქები?**

4. 1880 წელს კარლ ბენცმა თავისი სახლის კედელზე ის პირველად გამოსახა და მიაწერა წინასწარმეტყველთა ფრაზა: „ის ამ ადგილის თავზე ამოვა და, იმედია, დაგვლოცავს ჩვენ და შვილთა ჩვენთა“. **რა დახატა კედელზე ბენცმა?**

5. ბერძნული მითოლოგიით, აფროდიტე ჰეფესტოს ცოლი იყო, თუმცა ეს ქორწინება არ აღმოჩნდა ჰარმონიული და ქალღმერთმა არაერთხელ უღალატა ქმარს. არესთან ღალატის შედეგად იშვა ის, რაც ჰეფესტოსთან მის ქორწინებას აკლდა. **დაასახელეთ – რა?**

6. გოგოლის „რევიზორის“ სცენარის მომზადებისას ბულგაკოვმა გადაწყვიტა, კლასიკური ნაწარმოების ორიგინალისთვის დაემატებინა რამდენიმე სცენა. ბოლო სცენაში, ახალ რევიზორთან შეხვედრის შემდეგ, ერთ-ერთი პერსონაჟი გამოდის სასტუმროს ნომრიდან და ამბობს მხოლოდ ერთ სიტყვას, რითაც გამოიხატება, რომ არაფერი შეცვლილა. **დაასახელეთ ეს სიტყვა.**

7. ობიექტი, რომლის აშენებაში გამალ აბდელ ნასერს საბჭოთა კავშირი ეხმარებოდა, ქალაქ ასუანთან მდებარეობს. სწორედ ამის გამო შეარქვეს მას „წითელი ფარაონი“. **რა ააშენეს ხელისუფლებაში მისი ყოფნის დროს?**

8. ჩიჩენ-იცაში კუკულკანის ტაძრის პლატფორმა ოთხივე მხარეს კიბეს წარმოადგენდა, თითოეული თითქმის ასამდე საფეხურისგან შედგებოდა და ერთგვარად კალენდრის მოვალეობასაც ასრულებდა. **რამდენი საფეხური იყო სულ?**

9. იაპონიაში გადაიღეს ანიმე-სერიალი – „აგატა კრისტის დეტექტივები“, რომლის გმირები არიან ერკიულ პუარო და მის მარპლი. როგორც ამბობენ, ის დეტექტივების ავტორს რომ ენახა, შოკირებული იქნებოდა იმით, რომ, გამოძიების გარდა, სერიალში არის... **რა არის სერიალში?**

10. ის 1955 წელს გაიხსნა და, მიუხედავად იმისა, რომ თითქოს ადამიანთა მხოლოდ გარკვეული კატეგორიისთვის იყო განკუთვნილი, აღფრთოვანებული ჟურნალისტები პრესაში მას ხან „ამერიკანიზმის კვინტესენციად“, ხან „მეოცე საუკუნის სახალხო ვერსალად“ მოიხსენიებდნენ. **რას უწოდებდნენ ასე მედიამუშაკები?**

***პასუხები იხილეთ 47-ე გვერდზე***

# რა მოხდა ამ დღეს

**17 აგვისტო**

1807 – რობერტ ფულტონმა ნიუ-იორკში წარმოადგინა პირველი ორთქლმავალი.

1945 – გამოცხადდა ინდონეზიის რესპუბლიკა.

**18 აგვისტო**

1868 – ფრანგმა ასტრონომმა პიერ ჟანსენმა ერთი თვით დაასწრო ინგლისელ ჯოზეფ ნორმან ლოკიერს და მზის სპექტრში აღმოაჩინა ახალი ელემენტი – ჰელიუმი. დედამიწაზე ჰელიუმი მხოლოდ 1895 წელს აღმოაჩინეს.

1900 – ფრანცუზ პერსკიმ ლათინურ-ბერძნული სიტყვების შეერთებით შექმნა ახალი სიტყვა – „ტელევიზორი.“

**19 აგვისტო**

1936 – ფაშისტებმა მოკლეს ფრედერიკო გარსია ლორკა – ესპანელი პოეტი და დრამატურგი.

1991 – პუტჩის მცდელობა საბჭოთა კავშირში.

**20 აგვისტო**

1896 – დააპატენტეს ტელეფონი, ნომრის ასაკრეფი დისკით.

1969 – „ბითლზის“ წევრებმა ერთობლივად ჩაწერეს ბოლო ალბომი – Abbey Road.

**21 აგვისტო**

1968 – ჩეხოსლოვაკიაში შევიდნენ ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების ჯარები.

1981 – მეცნიერებმა ოფიციალურად პირველად გამოაცხადეს გლობალური დათბობის საშიშროების შესახებ.

1986 – კამერუნში მოხდა ბუნებრივი კატასტროფა – ტბა ნიოსიდან ამოიფრქვა მგუდავი გაზი, რომლის ღრუბელმაც დაფარა 25 კვადრატულ კილომეტრზე მეტი. დაიღუპა 1 746 ადამიანი და 20 ათასი მსხვილფეხა რქოსანი საქონელი.

**22 აგვისტო**

1770 – ჯეიმს კუკმა აღმოაჩინა ავსტრალიის აღმოსავლეთი სანაპირო, რომელიც ინგლისის სამეფოს საკუთრებად გამოაცხადა.

1932 – ტელემაუწყებლობა დაიწყო კომპანია „ბიბისიმ“.

**23 აგვისტო**

1903 – ლონდონში რსდმპ-ის სხდომაზე მოხდა განხეთქილება, რის შედეგადაც წარმოიშვა ორი ფრაქცია – ბოლშევიკების და მენშევიკების.

1939 – გერმანიამ და საბჭოთა კავშირმა ხელი მოაწერეს ეგრეთ წოდებულ „მოლოტოვ-რიბენტროპის“ აქტს გავლენის სფეროების განაწილების შესახებ.

# შამათი სამ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:**

**1. მხb4 კc4. 2. o-o-o კe6=**

**1. f5 ეc4. 2. o-o ეg4#.**



**რეპერ ბედინას ანეკდოტები**

სვანები 99-ე სართულზე ფეხბურთს თამაშობენ და ბურთი გადაუვარდებათ. ყველანი კიბით ჩავლენ ამოსატანად. სახურავზე მარტო ერთი სვანი დარჩება, რომელიც პირდაპირ გადახტება და ასფალტს დაენარცხება. კიბით ჩასულები მისცვივდებიან მიცვალებულს და ურტყამენ, რაც ძალა და ღონე აქვთ:

– მოკლე გზა თუ იცოდი, ჩვენ რატომ არ გვასწავლე?!

* * *

ფირმის ახალ დირექტორს მდივანი შუადღისას კაბინეტში შეუტანს კონიაკს და მარილს.

დირექტორი:

- კონიაკი გასაგებია, მაგრამ მარილი რად მინდა?

მდივანი:

- ძველ დირექტორს ევასებოდა ასე, ჯერ კონიაკს გადაკრავდა, მერე მარილს ძუძუზე დამაყრიდა და ტლიკავდა.

დირექტორი:

– საინტერესოა...

აიღებს დირექტორი გადაკრავს კონიაკს, მარილს სასქესო ორგანოზე დაიყრის და ეტყვის მდივანს:

- შეიცვალა მთავრობა, გენაცვალე, შეიცვალა.

* * *

– ნაზიკია, მაჩუქე შენი სურათი, რა იქნება! – ეხვეწება რეზიკია.

– რად გინდა, ბიჭო, ჩემი სურათი? – გაინაზა ქალი.

– შტეფსელთან მივაკრავ, ბაღნები დენთან რომ არ მივიდნენ.

* * *

ორი ნარკომანი კაიფში აბირჟავებს. ერთი მაგრაა და უკვე სადაცა გაითიშება. მეორე აფხიზლებს:

– ბიჭო, ნახე ეგერ, იმ ხიდან სპილო ჩამოდის.

– აბა, სად?

– ეგე, ნახე, ბიჭო, მეორე სპილოც ჩამოდის... მესამე, მეოთხე...

– აუ, დაანებე რა თავი, ზნაჩიტ, მაგ ხეზე ბუდე აქვთ!

**რეპერ მასტერის ანეკდოტები**

გურულმა ცოლს საყვარელთან შეუსწრო და გადაირია:

– რას შობა, ქალო, აი ყაზახი ჩემს ლოგინში?

ცოლმა გამოყო საბნიდან თავი:

– უი ნენა, არ დეიჯერებ და... სასწოულს შობა, სასწოულს!

* * *



მიხოს, როგორც იქნა, ნანატრი ვაჟი შეეძინა. გადიოდა წლები, ბავშვმა კი ლაპარაკი ვერ ისწავლა. ერთი სიტყვაც არ იცოდა. ბოლოს, ოთხი წლის თავზე, ბავშვმა თავისი პირველი სიტყვა თქვა: პაპა. ყველამ მაგრად გაიხარა, მაგრამ მეორე დღეს პაპა მოკვდა. გავიდა რამოდენიმე კვირა, ბავშვმა თავისი მეორე სიტყვა წარმოთქვა – ბებო. მეორე დღეს ბებია უკან გაჰყვა პაპას. გავიდა კიდევ რამდენიმე კვირა. ბავშვმა თქვა თავისი მესამე სიტყვა – ძაღლი. მეორე დღეს ძაღლი მგლებმა შეჭამეს. შეშინდა მიხო, ღმერთსა სთხოვდა: ღმერთო, მამა არ ათქმევინო ამ მამაძაღლს, ამასაო და... ბავშვის მეოთხე სიტყვა იყო – მამა. გაემზადა მიხო, ანდერძი დაწერა, ახლობლებს დაემშვიდობა, დაწვა და ელოდება სიკვდილს... ამ ლოდინში ჩაეძინა და მომდევნო დღის დილამდე ეძინა. გაღვიძებულს, ჯერ გაუკვირდა, რომ არ მომკვდარა, შემდეგ გაუხარდა... ამ დროს მიხოს ცოლი შემოვიდა:

– მიხო, კაცო, რას წამოწოლილხარ, ვერ გაიგეე, ჩვენი მეზობელი მიტუა მამკვდარა!

* * *

კაცს ეკითხებიან:

– ბომბზე რო იდგე, როგორ მოიქცეოდი?

– როგორც მე მოვიქცეოდი, ისე მეიქცა ჩემი დამაწყევარი.

* * *

ანზორა კვდება და ცოლს დაუბარებს:

– რამდენჯერაც მიღალატებ, იმდენჯერ გადავბრუნდები საფლავში... – და, მოკვდება.

რამდენიმე წლის შემდეგ ცოლიც მოკვდება და საიქიოში გამწარებული ეძებს თავის ქმარს. გზაში შეხვდება ვიღაცეებს და ჰკითხავს:

– ანზორა ხო არ გინახიათ?

– რომელი ანზორა, ვინტილიატორად რო მუშაობს?

## როგორ მიიყვანა ცოლმა ქმარი თვითმკვლელობამდე, რის შემდეგაც ისინი ზღაპრულად გამდიდრდნენ

ახალგაზრდობაში პლეხანოვზე ინსპექტორად ვმუშაობდი. ჩემი მონაკვეთი მქონდა და სხვადასხვა წვრილმანი კონფლიქტის მოგვარება მევალებოდა. ყველაზე ხშირად გევურქოვებთან მიწევდა სტუმრობა. სირანა და ზენო უშვილოები იყვნენ. ხშირად ჩხუბობდნენ ფულის გამო, რადგან მეწაღე ზენო ყოველ საღამოს გროშებით, თანაც გალეშილი ბრუნდებოდა.



ერთ მშვენიერ დღეს, გევურქოვების ეზოსთან რომ გავიარე, ხმები მომესმა. ეზოში შევედი და რას ვხედავ, მთელი ეზოს წინ სირანას ზენო წიხლქვეშ გაუგდია და ურტყამს. მე რომ დამინახა, პაუზა გააკეთა, ზენომ კი ამით ისარგებლა და ხელიდან გაუსხლტა ცოლს. კიბისკენ გაიქცა და მიაძახა: მე შენ გიჩვენებ სეირს. თავს მოვიკლავ და დაგიჭერენო. ერთი სიტყვით, ზენო სახლში შევარდა, კარი ჩარაზა და მიყუჩდა. ჩვენ ზევით ავედით, მაგრამ ბინაში შესვლა ვერ შევძელით. ამ დროს ხეზე მყოფმა ბავშვმა, რომელიც გევურქოვების ბინაში იჭყიტებოდა, დამიყვირა: ძია ვარლამ, ზენომ ჭაღს თოკი ჩამოაბა და თავს იხრჩობსო. მე კარისკენ გავვარდი, შევანგრიე და დავინახე, როგორ დაენარცხა იატაკზე ყულფში თავგაყრილი ცოცხალი ზენო, რადგან ჭერი ჩამოინგრა და ჭაღიც ჩამოვარდა. ჭაღთან ერთად მომცრო ყუთიც დაენარცხა იატაკს, საიდანაც რამდენიმე ოქროს მონეტა გამოგორდა... სირანამ ყუთს ხალათი გადააფარა და ყველანი გარეთ გამოგვისტუმრა. კარი ცხვირწინ მოგვიხურა და მას მერე ცოლ-ქმარს აღარასოდეს უჩხუბია, მდიდრულად ცხოვრობდნენ. მეზობლების თქმით, განძით სავსე ყუთი ზენოს ბაბუას დაუმალავს, რომელიც ვაჭარი ყოფილა.

**ვარლამ ჯელაძის მიხედვით, მომზადა ნიკა ლაშაურმა**

## გია დანელიას „მენიუ“

იმ პერიოდში, გია დანელიას „არ დაიდარდო“ რომ გამოვიდა კინოეკრანებზე, გია ყანჩელის სიმღერა „ტაია-ტაია“ საკმაოდ პოპულარული გახდა. მოსაშვილის ქუჩის კუთხეში სამი შეზარხოშებული კაცი ხმამაღლა მღეროდა „ტაია-ტაიას“, რასაც ბიძინა კვერნაძის დაუყოვნებელი სატელეფონო ზარი მოჰყვა:

„გია! გასტრონომთან ვიღაცა სამი დეგენერატი მენიუს მღერის და შენ ხომ არ დაწერე?“

**თითოეული წარმატებული ადამიანი ქვეყნისთვის დიდი სიამაყეა, განსაკუთრებით კი მაშინ, თუ მას სამშობლოს სახელი საზღვრებს გარეთ გააქვს. საბედნიეროდ, ასეთი ქართველი ბევრი გვყავს. მათ შორის ერთ-ერთს – დანიელ თორაძეს (დავით თოხაძე), ცოტა ხნის წინ შორეულ ვენესუელაში შეუსრულდა 101 წელი. ის კარაკასის უნივერსიტეტის დამსახურებული პროფესორია. წარმატებული ფიზიკოსის ცხოვრების შესახებ მისმა შვილმა, გილდა თორდინავამ გვიამბო.**

# როგორ აღუნიშნა ქართველ ფიზიკოსს დიდი დამსახურებისთვის 100 წლის იუბილე კარაკასის უნივერსიტეტმა და რისთვის გაუგზავნა მან ედუარდ შევარდნაძის მთავრობას მილიონ-ნახევარი

**გილდა თორდინავა:** მამაჩემი, დავით თოხაძე გურიაში, ლანჩხუთის რაიონის სოფელ აკეთში დაიბადა 1914 წელს. სკოლა მშობლიურ მხარეში დაამთავრა და ამის შემდეგ სწავლა საფეიქრო ტექნიკუმში განაგრძო. 1933 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩაირიცხა, ფიზიკის ფაკულტეტზე. უნივერსიტეტის სრული კურსის გავლის შემდეგ ასპირანტურაში ჩააბარა და ზოგადი ფიზიკის დარგში ილო მირცხულავასთან მუშაობდა ასპირანტად. 1941 წელს, ეგრეთ წოდებული სამამულო ომი რომ დაიწყო, მამა ჯარში გაიწვიეს არტილერიის უფროსი ლეიტენანტის ჩინით. მაშინ 28 წლის იყო. როგორც ვიცი, ის ჩრდილოეთ კავკასიაში იბრძოდა, მდინარე ბაქსანთან და 1942 წელს ტყვედ ჩავარდა, თუმცა გაქცევა მოახერხა და რვა წლის განმავლობაში ავსტრიაში იმყოფებოდა. 1950 წელს ვენაში ამერიკის შეერთებული შტატების სპეციალური კომისია ჩავიდა – ისინი ემიგრანტებიდან საჭირო კადრებს არჩევდნენ. მათი ხელშეწყობით მამა ვენესუელის დედაქალაქ კარაკასში ჩავიდა, სადაც ადგილობრივ უნივერსიტეტთან დაკავშირება მოახერხა. მან სამი ენა იცოდა – ქართული, რუსული და გერმანული, მაგრამ იქ არცერთი არ გამოადგა. სანამ ესპანურს იწავლიდა, ფიზიკის ლაბორატორიაში მუშაობდა ლაბორანტად. თუმცა, იქ რომ მივიდა, არანაირი საბუთი არ ჰქონდა, რომლითაც თავის განათლებას დაამტკიცებდა და პატარა გამოცდა მოუწყვიათ. ყველა გაუკვირვებია, იმდენად სწარაფად ხსნიდა ფიზიკისა და მათემატიკის ურთულეს ამოცანებს. უკვე სამი წლის შემდეგ კი, მისი სამეცნიერო მოღვაწეობა დაიწო და იმავე წელს პედაგოგიურ მოღვაწეობასაც შეუდგა. მამა იხსენებს: ფიზიკის ლექციაზე პირველად რომ შევედი და კონკრეტულ საკითხზე დავიწყე საუბარი, სტუდენტები სულგანაბულები მისმენდნენო. მიუხედავად იმისა, რომ იმ დროისთვის სრულყოფილად არ ფლობდა ესპანურ ენას და მცირე შეცდომები მოსდიოდა, ამის გამო მსმენელი არ მოჰკლებია, რადგან, მოსწავლეების ხედავდნენ, რომ მათი პედაგოგი „ფიზიკის ენაში“ შეუმცდარი იყო. დაუღალავმა შრომამ შედეგი მალევე გამოიღო: კიდევ ერთი წლის შემდეგ მამა უკვე პროფესორად დანიშნეს „ფიზიკა-1 მექანიკის“ კათედრაზე. მას აქტიურად და ნაყოფიერად გაუგრძელებია მუშაობა და 1964 წლამდე სამეცნიერო ხარისხის ყველა კატეგორია გაუვლია. შესაბამისად, უმაღლესი კატეგორია – „პროფესორ ტიტულარის” ხარისხიც მიიღო. ამის შემდეგ, დაახლოებით ექვსი წლის განმავლობაში, დასავლეთ გერმანიაში, შტუდგარდშიც მუშაობდა „ფიზიკა 2-ის“ ინსტიტუტში და პენსიაში გასვლამდე ფიზიკის დეპარტამენტის უფროსი იყო. იქ სახელი და გვარი შეიცვალა, რადგან, უცხოელებისთვის „დავით თოხაძე” ცოტა რთული წარმოსათქმელი იყო და ამიტომ მამა დანიელ თორაძედ იქცა.

**– თქვენ მამასთან ხშირი ურთიერთობა გაქვთ?**

– როცა მამა ჯარში გაიწვიეს, ახალდაქორწინებული იყო. დედა მისი სტუდენტი ყოფილა, ერთმანეთი მისაღებ გამოცდაზე გაუცვნიათ. მშობლები დაქორწინებას უშლიდნენ – ომი იწყება და ახლა მაგის დრო არააო, მაგრამ მათ მაინც თავისი გაუტანიათ. როცა მამა ფრონტზე წავიდა, დედა ჩემზე იყო ფეხმძიმედ. მე რომ დავიბადე, მამას არ ვუნახავვარ – არც კი იცოდა ჩემი არსებობის შესახებ. იმ წლების განმავლობაში ჩვენთან დაკავშირება შეუძლებელი იყო და, ვფიქრობდით, რომ მამა უგზო-უკვლოდ დაიკარგა. მერე მამა გვიყვებოდა: ვენესუელაში თავს მარტოსულად ვგრძნობდი, ჩემიანი არავინ მყავდაო და ამიტომ ოჯახის შექმნა თავიდან გადაწყვიტა. მან ცოლად შეირთო პოლონელი ქალი – ირინა, რომელთანაც შეეძინა ორი ქალიშვილი – თამარი და კაროლინა.

**– თქვენ როგორ შეიტყვეთ, რომ ცოცხალი გადარჩა?**

– საქართველოსთან დაკავშირება მამამ პირველად 1958 წელს მოაერხა. იქიდან



55 წლის განმავლობაში ქართული სიტყვა არ გაეგონა და საოცრად ღელავდა. ეზოში „ადესა“ ჰქონდა

გამომდინარე, რომ ჩვენთან კომუნისტური რეჟიმი იყო, მამა წერილში საკუთარ ვინაობას არ ამხელდა და ხელს ანტონ ჭყონიას სახელით აწერდა. ვითომ დავით თოხაძე და ანტონი ერთად იყვნენ ხანგძლივი დროის განმავლობაში და ერთმანეთს მისცეს პირობა, რომ განშორების შემთხვევაში, ერთმანეთის ახლობლებს შეეხმიანებოდნენ. ბებიაჩემი წერილის მიღებისას მძიმედ ავად ყოფილა, მაგრამ შვილის ხელწერა მაშინვე უცვნია და ქალიშვილისთვის უთქვამს: ნახე, შენი ძმის წერილი მოვიდაო. მამიდაჩემს უფიქრია, რომ უფროსმა ძმამ, იოსებმა გამოუგზავნა წერილი, რომელიც თბილისში ცხოვრობდა, თუმცა, წაკითხვის შემდეგ ყველაფერს მიმხვდარა. ამის შემდეგ, ჭყონიას სახელით მამას კიდევ რამდენიმე წერილი გამოუგზავნია, თუმცა, მერე ძმას მიუწერია, რომ თავის სახელითაც შეეძლო მოწერა. ჩვენებისგან მიწერილი პირველივე წერილიდან შეუტყვია მამას, რომ ქალიშვილი შეეძინა. სხვათა შორის, ჩემი სახელი თვითონ შეურჩევია წასვლამდე. ამის შემდეგ ჩვენთან კონტაქტი აღარ დაუკარგავს.

**– პირადად თუ გქონდათ ერთმანეთის ნახვის საშუალება?**

– 1989 წელს მამამ მეუღლითა და შვილებით მიმიწვია კარაკასში. ბუნებრივია, ჩვენი შეხვედრა განსაკუთრებული და ემოციებით სავსე იყო. ოთხი წლის შემდეგ, 1993 წელს, მამამ საქართველოში ჩამოსვლა შეძლო და ყველა ახლობელი მოინახულა. უბედნიერესი იყო, თუმცა, უნივერსიტეტში რომ მივიდა, უკან დასევდიანებული დაბრუნდა – ჩემი თაობის არცერთი მეცნიერი ცოცხალი აღარ არისო. იმ დროს, მოგეხსენებათ, რა პროცესებიც ვითარდებოდა ჩვენს ქვეყანაში. ამიტომ მამამ გადაწყვიტა, საქართველოს თავდაცვის ფონდისთვის თანხა შეეწირა და ასეც მოიქცა – მილიონ-ნახევარი გადმორიცხა, რის გამოც, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურისგან, ედუარდ შევარდნაძისგან, მადლობის წერილი მიიღო. მამას მეორედაც სურდა საქართველოში ჩამოსვლა, მაგრამ, ჩემი მეუღლის გარდაცვალების გამო, ეს ვიზიტი ველარ მოხერხდა. სხვათა შორის, ვენესუელაში ის კიდევ ერთმა ჩვენმა ახლობელმა მოინახულა 1989 წელს – ინგა წლების განმავლობაში ცეკვავდა „სუხიშვილებში“ და იმ წელიწადს ვენესუელაში იყო გასტროლზე. იცოდა, რომ მამა იქ ცხოვრობდა და ერთადერთი ქართული გვარი ტელეფონების წიგნის საშუალებით უპოვია. რომ დავრეკე და ავუხსენი, რა სიტუაციაც იყო და ვისაც ვეძებდი, ტელეფონში აცრემლებული ხმა შემომესმა – მე ვარ, დათიკოო. ხუთ წუთში მოვარდა და ჩამეხუტა. 55 წლის განმავლობაში ქართული სიტყვა არ გაეგონა და საოცრად ღელავდა. ეზოში „ადესა“ ჰქონდაო, – იგონებს ინგა.

მამა ახლა 101 წლისაა და, ბუნებრივია, ჩამოსვლას ველარ მოახერხებს, მაგრამ, ძალიან აქტიური ურთიერთობა გვაქვს. ყველაფერი აინტერესებს, რაც ჩვენს ქვეყანაში ხდება, ამიტომ, თითქმის ყოველდღე გვეკონტაქტება. ქართულ ჟურნალ-გაზეთებსაც ეცნობა, თუმცა ეს ცოტა დაგვიანებით ხერხდება, რაზეც ძალიან სწყდება გული.

**– კარაკასში სხვა ქართველებიც თუ არიან?**

– დიახ, იქ კიდევ იყო ორი ქართველი – გიორგაძე და კანკავა. ისინიც ომის შემდეგ შემორჩნენ ამ ქვეყანას და იქ შექმნეს ოჯახები. როგორც ვიცი, ისინი და მამა ერთმანეთის ხშირი სტუმრები იყვნენ. როცა მე მამასთან ვიყავი ჩასული, ტელეფონით შეატყობინეს, რომ ერთ-ერთი ქართველი – ბორის გიორგაძე გარდაიცვალა. მახსოვს, ტელეფონით რომ აგვარებდა მისი დაკრძალვის ამბებს. ბორისი თვითონ გაჭირვებულად ცხოვრობდა. თბილისში უნივერსიტეტი კი ჰქონდა დამთავრებული, მაგრამ, თავის სფეროში მოღვაწეობა არ გაუგრძელებია და ამ დრომდე ფოტოაპარატით იყოო, – ამბობდა მამა.

შარშან კარაკასის უნივერსიტეტმა მამას, როგორც დამსახურებულ პროფესორს, 100 წლის იუბილე აღუნიშნა. საქართველოსგან განსხვავებით, დამსახურებულ პროფესორებს იქ ძალიან დიდი დაფასება აქვთ, ამიტომ მამა მატერიალურადაც მთლიანად უზრუნველყოფილია.

**ქეთი კაპანაძე**

# მიირთვი „დომინო“ – გაიგე ნამდვილი პიცის გემო!

## თქვენი პიცის ექსპერტები!

**ხარისხიანი და გემრიელი პროდუქტი – „დომინო'ს პიცა“ – უკვე საქართველოშია. პირველი საერთაშორისო პიცერიების ქსელი სულ რამდენიმე თვეა, შემოვიდა ქართულ ბაზარზე და უგემრიელესი, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებით დამზადებული „დომინო'ს პიცა“ ამჯერად ქართველ მომხმარებლებს შესთავაზა. პირველი რესტორანი 2015 წლის 26 აპრილს, კოსტავას ქუჩა №74-ში გაიხსნა. აღნიშნულ ობიექტზე ფუნქციონირებს როგორც რესტორანი, ასევე ცომის საწარმო. მეორე ობიექტი კი თბილისში, ჭავჭავაძის გამზირის 11-ში მდებარეობს. ეს ადგილები პიცის მოყვარული ახალგაზრდებისთვის უკვე იქცა თავშეყრის ადგილად.**




„დომინოს“ ქსელის მრავალფეროვან მენიუში წარმოდგენილია 13 სახეობის პიცა. დასამზადებლად საჭირო ხორცპროდუქტების იმპორტირება ხდება დანიიდან; ფქვილისა და სხვა ინგრედიენტებისა თურქეთიდან, ხოლო ბოსტნეული „დომინო'ს პიცაში“ ადგილობრივი წარმოებისაა და ქართული კომპანიებისგან შეისყიდიან. პიცერიათა ქსელი მომხმარებელს ასევე სთავაზობს სხვადასხვა პროდუქციას: ჩიზიბრედებს, ქათმის ქიქერსს, ქათმის ფრთებს, კარტოფილს, უგემრიელეს „ლავა ქეიქს“ და სხვა პროდუქციას.



ამერიკული რესტორნების უმსხვილეს ქსელის – „დომინო'ს პიცას“ ფრენჩაიზინგის ექსკლუზიურ ხელშეკრულებას ხელი შპს „ჯეოპიცამ“ გასული წლის ბოლოს მოაწერა. „დომინო'ს პიცა“ ამერიკის შეერთებულ შტატებში 1960 წელს დაარსდა და დღეს მსოფლიოში პიცერიათა უდიდეს ქსელს წარმოადგენს, რომელიც 75 ქვეყანაში 12 000-ზე მეტ რესტორანს ფლობს. კომპანია წარმატებით ინარჩუნებს ლიდერის პოზიციას პიცის მიწოდების სერვისში და მომხმარებელს პიცის მრავალფეროვან მენიუს სთავაზობს.



მართალია, ქართველმა მომხმარებელმა ის სულ ახლახან გაიცნო, თუმცა, „დომინომ“ უკვე მოიპოვა მომხმარებლის განსაკუთრებული ნდობა. მომდევნო 4 წლის განმავლობაში საქართველოში „დომინო'ს პიცას“ მინიმუმ 10 რესტორანი გაიხსნება. აღსანიშნავია, რომ „დომინო'ს პიცა“ ხელმისაწვდომია და ყველა სეგმენტზეა გათვლილი.



რა განსხვავებულ აქციებს სთავაზობს მომხმარებელს „დომინო'ს პიცა“ და რატომ უნდა ესტუმროთ მის ქსელს?! – ხარისხიანი და უგემრიელესი პროდუქცია, ინდივიდუალური შეკვეთები, პიცების ნაირსახეობა, უფასო მიტანის სერვისი, საერთაშორისო სტანდარტები, კვალიფიციური კადრები, მომსახურების მაღალი დონე და დიდი არჩევანი ხდის „დომინო'ს პიცას“ გამორჩეულს.




ასე რომ, ერთხელ მაინც დააგემოვნეთ „დომინო'ს პიცა“ და მიხვდებით, როგორი უნდა იყოს ნამდვილი ამერიკული პიცა!

**მისამართი: კოსტავას ქუჩა № 74; ჭავჭავაძის გამზირი №11. გამოძახების სერვისისთვის: – ტელ.: 299-88-88 – უფასო მიტანის სერვისი.**

# კეტონალი დუო®

კეტოპროფენი

## სწრაფი და ხანგრძლივი გამარჯვება ტკივილზე[1]




რეცეპტის გარეშე

SANDOZ
a Novartis company

**პრეპარატის სავაჭრო დასახელება:** კეტონალი® დუო, **შემადგენლობა:** კეტოპროფენი. **გამოყენების ჩვენებები:** პოსტტრავმული და ოპერაციისშემდგომი ტკივილი, მტკივნეული მენსტრუაცია, რევმატოიდული ართრიტი, სპონდილოართრიტი, ფსორიაზული ართრიტი, ნიკრისის ქარი, ოსტეოართრიტი, სახსარგარე რევმატიზმი. **უკუჩვენებები:** მომატებული მგრძნობელობა კეტოპროფენის ან პრეპარატის ნებისმიერი დამხმარე ნივთიერების მიმართ, მძიმე ფორმის გულის უკმარისობა, ქრონიკული დისპეფსია, პეპტიდური წყლული, კუჭ-ნაწლავური სისხლდენა, წყლული ან პერფორაცია, სისხლდენისკენ მიდრეკილება, თირკმელების და ღვიძლის ფუნქციის მძიმე დარღვევა, ორსულობის ბოლო ტრიმესტრი, 15 წლამდე ასაკის ბავშვები. **განსაკუთრებული მითითებანი და უსაფრთხოების ზომები:** არასასურველია პრეპარატის აასპ-თან ერთად გამოყენება, განსაკუთრებით ხანდაზმულებში. კეტონალ დუო-მ შესაძლოა შენიღბოს ინფექციური დაავადებების ნიშნები და სიმპტომები, დააქვეითოს ფერტილურობა. კეტონალ დუო-ს კაფსულები შეიცავენ ლაქტოზას, ამიტომ არასასურველია მისი მიღება გალაქტოზის თანდაყოლილი აუტანლობის, ლაქტაზის დეფიციტის, გლუკოზის ან გალაქტოზის შეწოვის დარღვევის მქონე პაციენტების მიერ. **ორსულობა და ძუძუთი კვება:** რეკომენდებული არ არის კეტონალ დუო-ს დანიშვნა ორსულებში და მეძუძურ დედებში. **ზეგავლენა სატრანსპორტო საშუალებების მართვის უნარსა და მექანიზმებთან მუშაობაზე:** პრეპარატმა შეიძლება გამოიწვიოს თავბრუსხვევა, ძილიანობა ან კრუნჩხვები; **დოზები და გამოყენების ხერხი:** შინაგანად მისაღებად. მიიღება ჭამის დროს ან ჭამის შემდეგ, არანაკლებ 100 მლ წყალთან ან რძესთან ერთად. დაუშვებელია კაფსულების დაღეჭვა. მოზრდილები 15 წელს ზემოთ: კეტონალ დუო-ს 1 კაფსულა (კეტოპროფენის 150 მგ) დღეში ერთხელ. კეტოპროფენის მაქსიმალური სადღეღამისო დოზაა - 200 მგ. **გვერდითი მოქმედება:** დარღვევები სისხლის და ლიმფური სისტემის, ფსიქიკის, ნერვული სისტემის, სმენის, გულის, სისხლძარღვების, სასუნთქი სისტემის, გულმკერდის და შუასაყარის ორგანოების, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის, ღვიძლის და ნაღველმდენი გზების, კანის და კანქვეშა ქსოვილების, თირკმელების და შარდმდენი გზების მხრიდან. **ჭარბი დოზირება:** რეკომენდებულია კუჭის გამორეცხვა, სიმპტომატური და შემანარჩუნებელი თერაპიის ჩატარება. **სხვა სამკურნალწამლო პრეპარატებთან ურთიერთქმედება და ურთიერთქმედების სხვა ფორმები:** პრეპარატების არარეკომენდებული კომბინაციები: სხვა აასპ და სალიცილატები მაღალი დოზებით, ანტიკოაგულანტები, ლითიუმი, მეტოტრექსატი 15 მგ/კვირა-ზე მაღალი დოზებით. **შენახვის პირობები:** ინახება ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას. არაუმეტეს 25°C ტემპერატურაზე. გაიცემა ურეცეპტოდ.

R-014932; GE1506344420

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს

1. Pil of product

## შვეიცარული მიდგომა ხარისხთან

თბილისი, გ. ტაბიძის ქ. №18; ტელ.: 298 27 30, 298 27 50